ნინო ჩიხლაძე

რომაული ლიტერატურის ისტორია

დამხმარე სახელმძღვანელო

ქუთაისი 2018

ნაშრომი გაწსაზღვრულია, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო ანტიკური, კერძოდ, რომაული ლიტერატურის პრობლემებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის. ნაშრომში წარმოდგენილია ინფორმაცია დაახლოებით ასამდე რომაელი ავტორის (პაკუვიუსი, კეკილიუსი, ტროგუსი, მანილიუსი, კალპურნიუსი, პატერკულუსი, რუფუსი, კლავდიანუსი, სედელიუსი და სხვები) შესახებ; გამოკვლეულია სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად შესწავლილი პრობლემები, როგორიცაა: „განმანათლებლები“ომში, ტექნიკური და განმანათლებელი ავტორები, ნაკლებად ცნობილი რომაელი ისტორიკოსები, ორატორები და ეპისტოლოგრაფოსები, ლათინი მეხოტბეები, რომაელი მთარგმნელები და სხვა. ნაშრომს ახლავს ორი დანართი - რომაელი დრამატურგისა და ფილოსოფოსის, სენეკას შემოქმედების შედარებით უცნობ ასპექტები და მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლების“ პირველი წიგნი, რომელიც ქართულ ენაზე თარგმნა ნინო ჩიხლაძემ.

რედაქტორი: ზაალ ლილუაშვილი

რეცენზენტები: ვერა წერეთელი
შორენა ბარბაქაძე
ნესტან კუტივაძე

ISBN 978-9941-459-71-9
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59.
ქუთაისი
ტელ.: 24 00 21
ელ–ფოსტა: atsugamomcemloba@gmail.com

სარჩევი

წინათქმა ____ 5
პაკუვიუსი(Pacuvius) ____ 7
კეკილიუსი (Caecilius) ____ 14
ლიტერატურული პორტრეტები რომში
(ბიოგრაფიული ჟანრი) ____ 22
კორნელიუს ნეპოსი (Cornelius Nepos) ____ 30
„განმანათლებლები" რომში ____ 35
რომაელი გრამატიკოსები ____ 43
უცნობი ავტორის „რიტორიკა ჰერენიუმისაგან"
(Rhetorica ad Herennium) ____ 47
ავგუსტუსის ეპოქის მეორეხარისხოვანი ავტორები ____ 50
პომპეიუს ტროგუსი(Pompeius Trogus) ____ 55
ავგუსტუსის ეპოქის ორატორები ____ 58
ტექნიკური და განმანათლებელი ავტორები
(ავგუსტუსის ეპოქა) ____ 61
სილიუს იტალიკუსი (Silius Italikus) ____ 73
მანილიუსი (Manilius) ____ 78
გერმანიკუსი (Germanicus) ____ 86
კალპურნიუსი (Calpurnius) ____ 89
პერსიუსი (Persius) ____ 94
პრიაპეა (Priapea) ____ 101
ველეიუს პატერკულუსი (Velleius paterculus) ____ 105
ვალერიუს მაქსიმუსი (Valerius Maqsimus) ____ 113
კურტიუს რუფუსი (Curtius Rufus) ____ 121
POETAE NOVELLI ____ 130
ავსონიუსი (Ausonius) ____ 134
ავიანუსი (Avianus) ____ 140
რუტილიუს ნამატიანუსი (Rutilius Namatianus) ____ 142
კლაუდიანუსი (Claudianus) ____ 145

იუვენკუსი (Juvencus) 151
სედულიუსი (Sedulius) 153
ნაკლებად ცნობილი რომაელი ისტორიკოსები 155
უცნობი რომაელი ორატორები და ეპისტოლოგრაფები 164
უცნობი ლათინი მეხოტბეები 167
უცნობი რომაელი მთარგმნელები 172
დანართი 1. სენეკა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე 174
დანართი 2. მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი. 217
„მჭევრმეტყველების სწავლება“ წიგნი პირველი. 301
სამეცნიერო ლიტერატურა 305
ელექტრონული ბიბლიოთეკები 311
შემოკლებები 312

წინათქმა

რომაელებმა შექმნეს უდიდესი მწერლობა. ჩვენ მათზე გაცილებით მეტი ვიცით, ვიდრე ნებისმიერ სხვა ცივილიზაციაზე, რადგან მათ დატოვეს ძალიან საინტერესო ლიტერატურული და ისტორიული ხასიათის შრომები. რომაელებმა ააგეს უზარმაზარი ბიბლიოთეკები დაპყრობილ ტერიტორიებზე და ახალი შედევრები თავადვე დაამატეს. ძვ. წ. 350 წელს რომში 29 ბიბლიოთეკა იყო; გავრცელდა წიგნიერება. მაგალითად, ინგლისს რომის მმართველობის ქვეშ გაცილებით მაღალი დონის განათლება ჰქონდა, ვიდრე ნებისმიერ სხვა პერიოდში, მე–19 საუკუნემდე.

წიგნები, რომელთაც ბერძნები და რომაელები კითხულობდნენ, არ იყო წიგნები თანამედროვე გაგებით, ყოველ შემთხვევაში, მეორე საუკუნემდე. წიგნების გრაგნილები დაახლოებით ორი კმ გზის სიგრძის, ორივე მხრიდან დახვეული პაპირუსი იყო და წასაკითხად საკმაოდ უხერხული. წიგნი, შესაძლოა, ღირდა ჯარისკაცის ორი თვის ხელფასი. მონებისაგან შემდგარი სტამბის ექვივალენტი ვერგილიუსის მთელი ჯარი შეიძლებოდა ყოფილიყო. პირველი წიგნის მაღაზიებიც რომში გაიხსნა. წიგნი იმდენი ღირდა, რამდენიც მთელი წლის განმავლობაში ერთი ოთხსულიანი ოჯახის შენახვას ჭირდებოდა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, რომაელები კითხულობდნენ და გამალებით ეძებდნენ გამართულ, დაზუსტებულ ლიტერატურულ ტექსტებს ისეთი ცნობილი ავტორებისა, როგორებიც იყვნენ: პლავტუსი, ტერენციუსი, ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი, ციცერონი, იულიუს კეისარი, სენეკა, ტაციტუსი და სხვები.

გარდა ამ ძალიან ცნობილი ავტორებისა, იყვნენ შედარებით ნაკლებად ცნობილები, რომლებზეც დღემდე ძალიან ცოტა, ან საერ-

თოდ არ დაწერილა. წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო ამ ხარვეზის შევსების ცდაა. ნაშრომში წარმოდგენილია დაახლოებით ასამდე რომაელი ავტორი. ნაშრომს ახლავს დანართი, რომელიც კარგად ცნობილი რომაელი დრამატურგისა და ფილოსოფოსის, სენეკას შემოქმედების უცნობ ასპექტებს ეხება.

წიგნში პირველად ქვეყნდება კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლების“ პირველი წიგნის ქართული თარგმანი, რომელიც აქამდე არ არსებობდა.

ნაშრომში გამოთქმულ თეორიულ მოსაზრებებს აქვთ მეცნიერული ღირებულება როგორც ქართული, ისე კლასიკური ფილოლოგიისათვის. იგი დახმარებას გაუწევს რომაული ლიტერატურით დაინტერესებულ მეცნიერებს, სტუდენტებს და მკითხველებს და შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებლებში ანტიკური ლიტერატურის სალექციო კურსების, სპეცკურსებისა და სპეცსემინარებისათვის, სახელმღვანელოების და მონოგრაფიების შედგენისას.

ნინო ჩიხლაძე

ქუთაისი, 2018

პაკუვიუსი (Pacuvius)

მარკუს პაკუვიუსი (Marcus Pacuvius) დაიბადა ძვ.წ.ა. 220 წელს, ბრუნდისიუმთან და სავარაუდოდ, უნდა გარდაცვლილიყო 130 წლამდე, ტარენტუმთან. ის იყო ცნობილი პოეტის, ნევიუსის დისშვილი. სხვა წყაროს მიხედვით ((Jerome, chrin,1864), პაკუვიუსი იყო ენიუსის შვილიშვილი და ცხოვრობდა ტერენციუსზე (ძვ.წ.მე–3 ს.) გვიან (Gellius17.21.49 და Velius2.9.3). იგი ასპარეზზე გამოვიდა დაახლოებით ძვ.წ. 200 წლიდან, როგორც მხატვარი (Plin.nat.35.19) და პოეტი. პაკუვიუსი იყო პირველი ადამიანი რომში, რომელიც ცნობილი გახდა ორი პროფესიით. მეორეს მხრივ, იგი შემოიფარგლა ტრაგედიით და praetexta-თი. არა გვაქვს ზუსტი ინფორმაცია მისი სატირების შესახებ. Paulus, მისი praetexta გვიჩვენებს, რომ იგი დაკავშირებული იყო პიდნას გამარჯვებასთან. ციცერონი აღნიშნავს (Lael.24), რომ პაკუვიუსს ჰქონდა კავშირები სციპიონის წრესთან (Strasburger, 1966: 60-72). ღრმა მოხუცებულობისას ჯანმრთელობის მდგომარეობამ აიძულა, გადასულიყო ტერენტუმში, სადაც იგი მოინახულა აქციუსმა (Gellius13.2), რომელმაც მას მიუძღვნა ეპიტაფია (1.24.4) . პაკუვიუსს აღიარებდნენ სიცოცხლეშივე და შემდგომი თაობებიც. შესაძლოა, მისი კარიერის დაწყებას ხელი შეუწყო ენიუსთან ნათესაურმა კავშირებმა (Dahlmann1963:65-124).

თავისი რომაელი წინამორბედებისაგან განსხვავებით, პაკუვიუსი იყო უფრო თავშეკავებული და ზომიერი როგორც ლიტერატურული აქტივობით, ისე ჟანრების შერჩევისას. ამ სპეციალიზირებამ მოუტანა რომაულ მწერლობას მისი წყალობით პირველი აღიარება. იგი თავს თვლიდა ენიუსის სტუდენტად და ლათინური ტრადიციის მიმდევრად. მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია 13 სათაური. პაკუვიუსმა კვლავ წამოსწია ის თემები, რომლებსაც ეხებოდნენ ად-

რეული რომაელი პოეტები. იგი ეჯიბრებოდა ლივიუს ანდრონიკუსს (ძვ.წ. მე–3 ს.) (Hermiona, Teucer, Armorum iudicium) და ენიუსს (Armorum iudicium, Teucer, Orestes). ამავე დროს, იგი ცდილობდა, გარკვეულწილად, დაშორებოდა ტრადიციას და შეხებოდა ახალ თემებსაც. ასე მაგალითად, მან გააგრძელა ტროას მითის დამუშავება, მაგრამ ამ სფეროში პოეტი ხშირად ეხმიანებოდა გვიანდელი თაობების დიდი მოვლენების ექოსაც (Chryses, Hermonia, Dulorestes, Orestes, Iliana). ამავე გზით წარმოადგინა პაკუვიუსმა მედეა. იგი აგრეთვე იყენებდა მითებს სხვა ციკლებიდან (Antiopa, Pentheus, Atalanta, Periboea).

მოდელების არჩევისას პაკუვიუსი იყო საკმაოდ დამოუკიდებელი. ენიუსისაგან განსხვავებით, იგი არ ანიჭებდა უპირატესობას ევრიპიდეს, თუმცა ბაძავდა მას ტრაგედიაში *Antiopa*. მან აგრეთვე მიბაძა ესქილეს (*Armorum iudicium*), სოფოკლეს (*Chryses, Hermina, Niptra*). ასევე, დაამუშავა სრულიად ახალი მოდელები (*Iliana, Medus*). აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ევრიპიდეს შემდგომ დროინდელი ტრაგედიის ზეგავლენაც. პაკუვიუსი იყო თავისუფალი თემების შერჩევისას, შეზღუდული ჟანრებში, მაგრამ ახერხებდა, ასეთ დროსაც კი ყოფილიყო უნივერსალური.

ბერძნული პარალელების გავლებისას, შეიძლება ვთქვათ, რომ პაკუვიუსი იყო თავისუფალი. ეს დამოკიდებულება არ არის გასაკვირი იმ ავტორისათვის, რომელიც საგნების შერჩევის დროსაც კი ორიგინალურია. შესაძლოა, მან განავრცო თავისი ტრაგედიები სხვა პიესებიდან აღებული სცენებით (D'Anna 1965:364-383). *Antiopa*-ში გუნდი შედგებოდა ატიკელებისაგან. ამ თვალსაზრისით, პაკუვიუსი დაშორდა ევრიპიდეს და მიბაძა ელინისტ პოეტებს. *Pentheus*-ში მან გადააჭარბა ევრიპიდეს იმით, რომ ნება მისცა გიჟ გმირს ენახა ევმენიდები (Haffter 1966: 290-293). იგი ხედავდა სამყაროს მხატვრის თვალებით და იყო ეფექტური სცენების ხატვის ოსტატი. ციცერონის ტესტიმონიაში (Tusc.1.16) გარდაცვლილი ვაჟიშვილის გამოცხადება პაკუვიუსის *Iliona*-ში სოცრად შთამბეჭდავი იყო.

Medus-ის შინაარსი ინტრიგაზეა აგებული. მედუსი, ეგევსისა და მედეას ვაჟი, ჩადის კოლხეთში თავისი დედის საძებნელად. ის შეიპყრეს და მიუყვანეს მეფე პერსესს, რომელმაც მიიღო ორაკულის გაფრთხილება – მორიდებოდა მეფე აიეტის შთამომავალს. ამან აიძულა მედუსი, წარედგინა თავისი თავი, როგორც კრეონის, კორინთოსის მეფის ვაჟიშვილი. მედეაც ამ დროს ჩავიდა კოლხეთში და შესთავაზა, დაესრულებინა იქ გვალვა ადამიანის მსხვერპლშეწირვით. მისი არჩევანი შეჩერდა უცნობზე, რომელიც, მისი აზრით, მართლაც მისი დაუძინებელი მტრის, კრეონის ვაჟი იყო, მაგრამ მოულოდნელად მან თქვა სიმართლე, რომ ის იყო ვაჟიშვილი ეგევსისა და მედეასი, რომელიც კოლხეთში სასტიკად სძულდათ (პლავტუსის რემინისცენციაა, ტყუილით სიმართლის გამეღავნება, Poen1099). მოგვიანებით ისინი შეხვდნენ ერთმანეთს და მოკლეს მეფე პერსესი.

მოქმედების განვითარების ასეთი ეშმაკური სქემა წარმოადგენს რომაულ დრამას საკმაოდ მოულოდნელი რაკურსით, რომელსაც ბერძნული ინტრიგის კომედიის ძირებამდე მივყავართ. ამავე დროს, ახალი შტრიხები (ოჯახური კავშირები, მამის ძმაზე შურისგება და სხვა) რომაელ მაყურებელს, ნებსით თუ უნებლიედ, რომულუსს მოაგონებდა (Della Casa 1974:287-296).

პაკუვიუსის ფაქიზი დამოკიდებულება ხელოვნებისადმი ვრცელდებოდა აგრეთვე მის ენაზე, წერის მანერაზე. იმისათვის, რომ შეექმნა „მაღალი" და „დიდებული" ტრაგიკული სტილი, მან გამოიყენა ლათინური ენის ყველა ხიბლი. ერთის მხრივ, გამოიყენა არქაული ელემენტები, მაგალითად, არსებით სახელთა მივიწყებული ფორმები (ტრაგ.221); მეორეს მხრივ, პაკუვიუსმა შემოიტანა ლათინურში ბერძნული სიტყვები, უფრო მეტიც, შექმნა ზედსართავები ბერძნულ სტილში (ტრაგ.408) (Lazzeroni 1966:116-148).

პაკუვიუსის სახელით ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები, რომლებიც ერთი შეხედვით, საკმაოდ უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს ენობრივი თვალსაზრისით, იძლევა ორი კლასიფიკაციის საშუალებას: 1. სალიტერატურო ენიდან გადახვევათა სიხშირე განსაზღვრუ-

ლია იმ გრამატიკოსთა ინტერესებით, ვინც ახდენს მის ციტირებას; 2. პაკუვიუსის დროს ბევრი საფიქსი უფრო ხშირად გამოიყენებოდა, ვიდრე მოგვიანებით და ბევრი ფლექსია თუ ფორმაცია ჯერ კიდევ არ იყო ნორმალიზებული. მიხედავად ამისა, პაკუვიუსის ენას შეიძლებოდა დაეტოვებინა უფრო უცნაურის შთაბეჭდილება, ვიდრე, მაგალითად, პლავტუსისას, რომელზედაც ვერავინ იტყვის, რომ ცუდი ლათინურით წერდა. ამის ახსნა პაკუვიუსის „უცხო" წარმომავლობით იქნებოდა შეცდომა. ის წერდა მხოლოდ ტრაგედიებს, მხოლოდ რამდენიმე პიესის ავტორი იყო და მის ენაშიც შეგნებული შერჩევის პრინციპი აუცილებლად ითამაშებდა გარკვეულ როლს (Yadley 1974: 429-434). ისე როგორც თავისი მოდელების შერჩევისას, პაკუვიუსი აქაც ცდილობდა ამოეწურა ყველა შესაძლებლობა. მან თავისი ხელოვნების ენად ყველა შესაძლო ტონი გამოიყენა. გარკვეულწილად, მან გამოიყენა თავისი ბიძის, ენიუსის ინოვაციებიც.

ევრიპიდესთან შედარება გვაძლევს პაკუვიუსის სტილის შეფასების საშუალებას. მან ანაპესტები ჩაანაცვლა ტროქეული სეპტენარიებით. ამავე დროს, გვხვდება სიმეტრიულად კონსტრუირებული ანტითეზები ცალკეულ ვერსიებში.

ძნელი სათქმელია, როგორი იყო პაკუვიუსის დამოკიდებულება ლიტერატურის მიმართ, მაგრამ მისი ერთ–ერთი სცენა პიესიდან Antiopa, მიანიშნებს, რომ ინტელექტუალური კამათი რომაელთა ცხოვრების ნაწილი იყო: ტყუპები, ამფიონი და ძეტუსი წარმოადგენენ ოპოზიციურ შეხედულებებს: ამფიონს, როგორც მუსიკოსს, მოსწონს ცხოვრების შემოქმედებითი სტილი, ხოლო ძეტუსს – როგორც მონადირეს, პრაქტიკული ცხოვრების სტილი იზიდავს. იმ დღეს ძეტუსი იმარჯვებს და სანადიროდ მიდიან, მაგრამ სცენა მაინც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ ტიპის საკითხები შეიძლებოდა რომაელთა ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ყოფილიყო.

კეთილშობილი ამფიონი გაუწევს ანტიოპას დახმარებას, რო-

მელსაც იგი ითხოვდა. ბეტუსი, ასე თუ ისე, უარყოფს მის თხოვნას იმ საბაბით, რომ ის არის გაქცეული მონა, მაგრამ, მოულოდნელად, ვაჟიშვილები უთმობენ თავიანთ დედას საძაგელ დედოფალ დირკეს. მათ გაიგეს თავიანთი მემკვიდრეობის შესახებ მხოლოდ ბოლო წუთს, იხსნეს დედა და დასაჯეს დირკე. გარდა იმისა, რომ ეს პიესა ეხება ინტელექტუალურ საკითხებს, იგი აგრეთვე ხაზს უსვამს ფილოსოფიურ სიმართლეს, რომ გაქცეული მონა სინამდვილეში შესაძლოა იყოს ადამიანი, ჩვენივე მსგავსი, ვისაც ჩვენ უნდა დავეხმაროთ და პატივი ვცეთ. მსგავსი სიტუაციები შეიძლება ვიპოვოთ კომედიაში და ელეგიაში. ეს ევრიპიდესეული ინტელექტუალური გარემო განპირობებული იყო ბერძნული განათლებით, მაგრამ მან ვერ ჰპოვა რომში წარმატება (Lanowski1956:131-151).

ტრაგედიაში Armorum iudicium, მონა აიაქსი და მჭევრმეტყველი ულისესი შეერკინენ ერთმანეთს აქილევსის იარაღისთვის. აქ ისეთივე წინააღმდეგობაა, როგორც ამპიონსა და ბეტუსს შორის. თუმცა, ესქილეს ტიპის ამ პიესაში, აიაქსი, აქტიური კაცი, იმსახურებს მეტ სიმპათიას. ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ხაზი რომაულ ლიტერატურაში არის მისი რემარკი: უნდა დამეხსნა ის, რათა ყოფილიყო ისეთი ვინმე, ვინც მე გამანადგურებდა? (ტრაგ. 40 R). ეს პასაჟი იმღერეს კეისრის დაკრძალვაზე, რათა განეწყოთ ხალხი მისი მტრების წინააღმდეგ.

Atalanta-სა და Herminona-ში იყო სხვა დებატებიც მეტოქეებს შორის. Chryses-ში ვხვდებით კამათს ჰაერისა და დედამიწის, როგორც წარმომშობი ძალების შესახებ, ცხოვრების შემქმნელ და მომსპობ არსებებზე. ეს ევრიპიდესეული აზრებია (ფრგ. 839N). როგორც ჩანს, რომაული საზოგადოებას აინტერესებდა სამეცნიერო საკითხებიც.

მშობლებისა და შვილების ურთიერთობას ეხება პაკუვიუსის რამდენიმე დრამა. Antiopa-ში ვაჟიშვილები იხსნიან დედას დაღუპვისაგან, ხოლო *მედეაში* დედა აგდებს ვაჟს საფრთხეში. Niptra-ში ორაკულმა უწინასწარმეტყველა ულისესს, რომ მისი ვაჟი მოკლავდა მას. შესაბამისად, მას ეშინოდა ტელემაქოსის, სანამ მისმა მეორე ვაჟ-

მა, ტელეგონუსმა არ მიაყენა მას სასიკვდილო ჭრილობა. აქ ხდება მამისა და შვილის გამოცნობისა და ორაკულის წინასწარმეტყველების სწორი ახსნა. პენთევსი მოკლა მისმა დედამ; ორესტესი, რომლის სახელიც ორ პიესას ეწოდა, დედის მკვლელი იყო. და ბოლოს, Teucer-ში ვაჟი დაიბარა მამამ, ტელამონმა ანგარიშის გასასწორებლად, რადგან მან არ იძია შური აიაქსზე. პიესის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს მამის სიტყვები შვილისა და შვილიშვილის დაკარგვის გამო (ციც. De orat, 2. 1930).

თაობებს შორის კონფლიქტი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ბიძა-დისშვილს შორის მწვავე ურთიერთობით. აღსანიშნავია, რომ უფროს თაობას ყველა პიესაში სულაც არა აქვს უპირატესობა. ხშირად კონფლიქტი ხდება ორივე მხარის სიცოცხლისათვის საფრთხის მომტანი, მაგრამ ყოველთვის ჰუმანურად და კეთილად მთავრდება. გმირები განიცდიან შინაგან ტრაგედიას. ციცერონი აღნიშნავს, რომ პაკუვიუსთან ულისესი ნაკლებს წუწუნებდა და იტანდა თავის გაჭირვებას უფრო ვაჟკაცურად, ვიდრე სოფოკლესთან (Tusc.2.21.48 f.).

პაკუვიუსის ტრაგედიები საინტერესო იყო ძვ. წ. პირველ საუკუნეშიც და შემდეგაც. ავტორები ხშირად ახდენდნენ მის ციტირებას. ის ფაქტი, რომ მასზე ცოტა რამ ვიცით, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ის ეკუთვნოდა გარდამავალ თაობას, არ ფლობდა იმ პრივილეგიებს, რომელსაც ფლობდნენ მისი ცნობილი წინამორბედები, ენიუსი და პლავტუსი. ამავე დროს, მისი ლათინური იყო შეუფერებელი იმიტაციისათვის.

ციცერონი ეძახდა პაკუვიუსს ყველაზე გამორჩეულ რომაელ ტრაგიკოსს (opt.gen.2). მან თავის ერთ–ერთ გმირს ათქმევინა მისი ვერსია (orat.36). მას პაკუვიუსის **Antiopa** მიაჩნდა ევრიპიდეს ტრაგედიის ტოლფასად (**fin.1.4**). გელიუსმა აღნიშნა პაკუვიუსის **elegantissima gravitas** (1.24.4) და აღფრთოვანდა იმ ვერსიით, რომელშიც ძიძა მიმართავს ულისეს (2.26.13). კვინტილიანუსმა აქციუსს უწოდა „უფრო ძლიერი", ხოლო პაკუვიუსს „უფრო არტისტული, მხატვრული" და უფრო „ნასწავლი" (doctior) (10.1.97). აქციუსი, ვერ-

გილიუსი, ოვიდიუსი და სენეკა საზრდოობდნენ სცენებით პაკუვიუსის ტრაგედიებიდან.

პაკუვიუსი პირველი რომაელი პოეტია, რომელიც მხოლოდ ტრაგედიის ჟანრში მოღვაწეობდა. მისი ტრაგედიები ისევე არ ექვემდებარება კრიტიკას რომში, როგორც შექსპირის პიესები – ინგლისში. ის ყველაზე დიდ არაკლასიკოს კლასიკოსად ითვლება რომში.

პაკუვიუსის სახელით ჩვენთვის ცნობილი ტრაგედიებია: *Antiopa, Armorum iudicium, Atalanta, Chryses, Dulorestes, Hermiona, Iliona, Medus, Niptra, Orestes, Pentheus, Periboea, Protesilaus(?), Teucer, Thyestes (Fulg.serm.ant.57+Helmg3.125ff). Praetexta: Paullus.Saturae.*

კეკილიუსი (Caecilius)

კეკილიუს სტატიუსი (Caecilius Statius), როგორც ვოლკაციუს სელიგიტუსი გვაუწყებს (1. 5. M)+1. 5. Bu), იყო რომის უდიდესი კომედიოგრაფოსი, რომელიც რომში ჩავიდა Cisalpine Gauli- დან , ისე როგორც ბევრი ცნობილი ავტორი. გელიუსი ამბობს, რომ იგი იყო ყოფილი მონა (4.20.12;13). შესაძლოა, არც ერთი ეს ინფორმაცია სანდო არ იყოს, თუმცა, ალბათ, ყველაზე საინტერესო მაინც ის ფაქტია, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი დაიბადა ძვ. წ. 220 წელს, კეკილიუსი და პაკუვიუსი თანამედროვეებად მოიხსენიებიან. ხშირად ავიწყდებათ ის გარემოება, რომ კეკილიუსი გარდაიცვალა ენიუსის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, სამოციანი წლების დასაწყისში, ხოლო პაკუვიუსმა მას შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა.

კეკილიუსის კომედიები თავდაპირველად არ მიიღეს, სანამ, განსაკუთრებით, პლავტუსის გარდაცვალების შემდეგ (184), არ ჩაერია პროდიუსერი ამბივიუს ტურპიუსი, ისე როგორც ეს მოხდა მოგვიანებით ტერენციუსის შემთხვევაში (Robson 1938: 301-308). კეკილიუსი განსაკუთრებით აღიარებდა ტერენციუსის ტალანტს, თუმცა შესაძლებელია, მისი ფანატიზმი ტერენციუსის მიმართ, გარკვეულწილად, ლეგენდის სფეროდან უფრო იყოს. ყოველ შემთხვევაში, ეს მაინც, ალბათ, გაგრძელდებოდა მანამ, სანამ არ შეიქმნა კეკილიუსის ორიგინალური კომედია *Andria* (ძვ.წ.176).

კეკულიუსი, ბირითადად, ბაძავდა მენანდრეს; მასთან ერთად, ანტიფანესს და ალექსისს საშუალო კომედიიდან და ფილემონს, ახალი კომედიიდან (*Exul, Hapazomene, Nothus Nicasio*), მაკონს (*Epistula*) და პოსიდიპუსს (*Eistathmos).*

მენანდრესათვის უპირატესობის მინიჭებით კეკილიუსმა რომაულ ლიტერატურაში შემოიტანა ახალი ტენდენცია. ტერენციუსის

დროც, dimidiastus Menander, არ არის შორს.

თავისი კომედიების სტრუქტურისათვის კეკილიუსი გაცილებით მეტს იღებს მათგან, ვისაც ის მოდელად ირჩევს, ვიდრე ამას აკეთებდა პლავტუსი. შედარებით იშვიათად, იგი ცილდება ორიგინალს და ლიტერატურულ თარგმანს აკეთებს.

კომედიოგრაფოსი პოეტისათვის, ბუნებრივია, ხარკი გადაუხადოს პოპულარულ ტრადიციებს. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ისეთი პოეტისათვის, როგორიც კეკილიუს სტატიუსია, რომელიც ძალიან დაშორდა ტერენციუსის სწორხაზოვნებას.

Synephebi-ში მოხუცი ფერმერი, რომელიც რგავს ხეებს, შეკითხვაზე, რატომ აკეთებს ამას, პასუხობს, რომ ის ამას აკეთებს მომავალი თაობებისათვისათვის (Cicero Cato7.24). ძნელი სათქმელია, ეს რემარკი კეკილიუსმა აიღო თუ არა მენანდრესაგან, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მოტივი ფართოდ გავრცელდა ჟოლკლორში.

ვარონი კეკილიუსის შინაარსების შესახებ საუბრისას აღნიშნავს იმ თვისებაზე, რომლითაც იგი დავალებული უნდა ყოფილიყო მენანდრესაგან. მის მსგავსად, კეკილიუსმა ნაკლებად გააერთიანა სცენები სხვადასხვა პიესებიდან, ანუ ნაკლებად გამოიყენა კონტამინაციის (contaminatio) ხერხი. პლავტუსისაგან განსხვავებით, მან არ გამოიყენა მაყურებლისადმი მიმართვა. რომაული წეს–ჩვეულებანიც კი ძალიან მწირია მის კომედიებში.

კეკილიუსი იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც ლუსკიუსი, მუდმივად რომ საყვედურობდა ტერენციუსს მოდელებისადმი ბრმა მიმბაძველობას. კეკულიუსი, ძირითადად, კომედიებში ბერძნულ სახელებს იყენებდა. მასთან გაჩინარდა ფორმაციები -aria და კნინობითი სუფიქსები. ტერენციუსი და ტურპილიუსი მოგვიანებით სულაც აღარ იყენებენ ლათინურ სახელწოდებებს.

როგორც მისი „მარტივი ლიტერატურული გადაკეთებები" გვიჩვენებს, მის ე.წ. მენანდრესეულ პიესებშიც კი, ნაკლებია ფსიქოლოგიური სიღრმე და გმირის ეთოსი. გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა სასცენო ეფექტებს, მაგრამ აქაც, ისევე როგორც პლავტუს-

თან, დიალოგები არ გამოდის ავტორის კონტროლიდან. არისტოტელეს მიხედვით, შინაარსი (სიუჟეტი) (argumentum) ჯაბნის დიალოგებს და ხასიათების ხატვასაც კი (ethos). სწორედ ეს არის კეკილიუსის უპირატესობა პლავტუსის დამაბნეველ კომპოზიციასთან შედარებით და ამავე დროს, ნაკლებად ეფექტური ხასიათების უფრო სათუთად დახატვის ოსტატ ტერენციუსთან შედარებით. ანუ კეკულიუსი, გარკვეულწილად, შუახიდია ორ ბუბმერაზს, პლავტუსსა და ტერენციუსს შორის.

თუმცა, კეკილიუსთანაც შეიძლება შედარებით ერფეროვანი ხასიათები და გმირები ვიპოვოთ. *Synephebi*-ში ახალგაზრდა გმირი მთელი ძალით გაჰყვირის ყველას გასაგონად, რომ მამისი არის "უდარდელი და უზრუნველი" (com.196-206 Guard+199-209 R.); მეორე პასაჟში გვხვდება ჰეტერა, რომელიც უარს ამბობს ფულის აღებაზე (com. 211-212G=213-214 R.). ორივე შემთხვევაში ვაწყდებით მენანდრესეული „საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული" იდეების და აზრების შეცვლის მცდელობას. შესაძლოა, აქ უკვე იმ გზაზე ვდგევართ, როცა ჩვენი პოეტი დაინტერესდა ხასიათებით ისე, როგორ ტერენციუსი აკეთებდა ამას. და მაინც, კეკილიუსი ორიენტირებული იყო უფრო მაყურებლის გაოცებაზე, ვიდრე ინდივიდუალური ხასიათების და საინტერესო პორტრეტების წარმოდგენაზე.

საბედნიეროდ, ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ კეკილიუსის ყველაზე კარგად ცნობილი პიესა (com.136-184G.=142-189R.) "ყელსაბამი" (*Plocium*) მენანდრეს პიესას. გელიუსი (2.23.9-11), ვისაც უნდა ვუმადლოდეთ ამ შესაძლებლობას, დარდობს სიმარტივისა და გრაციოზულობის ნაკლებობაზე და ლაპარაკობს დაახლოებით ისეთივე გაცვლაზე, როგორიც არის ჰომეროსთან გლავკოსსა და დიომედეს შორის. კვინტილიანუსის აზრით, ლათინურში ატიკური შარმის მიღწევა შეუძლებელია (inst.10.1.100).

მოხუცი დაქორწინებული ჯენტლმენი წუწუნებს თავისი მდიდარი, მაგრამ მახინჯი ცოლის გამო, რომელმაც მას აიძულა გაეშვა ლამაზი მოსამსახურე გოგო (com.136-153G.=142-157R.). მენანდრეს-

თან ვპოულობთ მშვიდ, მომხიბვლელ ტრიმეტრებს, ხოლო კეკილიუსთან ეს ადგილები გამართულია მრავალსაზომიანი კანტიკუმებით. ადრეული ლათინურისათვის ტიპიურია სინონიმებისა და ომოეოტელეუტების თავმოყრა: *Ita plorando, orando, instando atque obiugrando me obdidit (ასე დამცა მან მე ძირს ქვითინით, ქლესაობით, შემოჩენით და ლანძღვა-გინებით).* ამგვარი სტილით ავტორი ხაზს უსვამს, როგორ „მუშაობს" ქმარი კობილე. ისე ჩანს, თითქოს ეს იყოს მენანდრეს დახვეწილი სტილის კარიკატურა, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ, კარიკატურის ელემენტები ორიგინალში დატოვებულია: ქალბატონი გრძელი ცხვირით და გროტესკული გამომეტყველებით ისე გამოიყურება, როგორც „ვირი მაიმუნებს შორის". ბერძენი ავტორი ხაზს უსვამს გმირის გარეგნობას და ზუსტ რიცხვებს: 16 ტალანტი მზითევში. რომაელი, პირიქით, ამჯობინებს არამოტივირებული ხმების ეფექტს და ეპიგრამატიკულ ანტითეზისებს: ცხვირის ნაცვლად ის გვაცნობს ერთ ირონიულ გამოთქმას forma, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ ჟესტიკულაციის თანხლებით. ამავე დროს, კეკილიუსი მთლიანად კონცენტრირებულია მეტყველებასა და მოქმედებაზე: მაგალითად: „დარბილების" პროცესზე მან მოახდინა სიტყვასიტყვით ციტირება დამპყრობელი ჯადოქრის, რომელმაც გაიმარჯვა კამათში *„რომელმა ახალგარდა ქალმა შეძლო გაეკუთებინა იმდენი, რამდენიც მე გავაკეთე ჩემს მოხუცებულობის ასაკში?* აქ აღნიშვნის ღირსია ანტითეზისი: *„Qui quasi ad hosts captus liber srvio salva urbe atque arce (მე ვარ თავისუფალი, მაგრამ მე ჯერ კიდევ მტრის სურვილის მონა ვარ, თუმცა, ჩემი ქალაქი და ციხე-სიმაგრე უსაფრთხოდაა).*

თავის ნაშრომებში კეკილიუსი, უპირატესად, ხელმძღვანელობს თავისი საკუთარი შემოქმედებითი ხედვით და თეორიული წარმოდგენებით. როგორც ჩანს, მან შექმნა განსაზღვრული წესები: 1. უფრო მეტი ყურადღება გამახვილებულიყო ორიგინალის (მოდელების) შინაარსზე; 2. თავიდან აეცილებინათ კონტამინაცია; 3. პიესა უნდა ყოფილიყო „ახალი" (მაშინ, როცა პლავტუსი დაკავე-

ბული იყო ენიუსის პიესების გადაკეთებით).

ეს იყო კეკილიუსის თეორიული ინოვაციები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც იმ გზას ადგა თავად, რომელსაც ტერენციუსამდე მივყავართ. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვფლობთ საკმაო მასალას, რათა ჩვენს მსჯელობებში წავიდეთ უფრო შორს ამ ავტორთან მიმართებაში და იძულებული ვართ ამ ზოგადი ხასიათის მსჯელობებით შემოვიფარგლოთ.

კეკილიუსის ეპიგრამები შეიცავს აზრებს, რომლებიც განვითარდა ელინისტური ფილოსოფიიდან: "იცხოვრე იმდენად კარგად, რამდენადაც შეგიძლია, რადგანაც შენ არ შეგიძლია იცხოვრო ისე, როგორც გსურს (com.173G.=177R. vivas ut possis, quando non quis ut veli: perficies); „ერთი კაცი მეორესათვის კარგია, თუ მან იცის თავისი მოვალეობები" (com. 283G.=264R. homo homini dues est, si suum officium sciat). შდრ. პლავტუსის lupus est homo homini (ადამიანი ადამიანისათვის მგელია) (Asin.495, დემოფილუსიდან).

მენანდრეს ეპიგრამებში ნაწილობრივ სტოიკოსების, ნაწილობრივ, არისტოტელეს ზეგავლენა იგრძნობა. ღმერთის, როგორც სიცოცხლის მფარველი ღვთაების კონცეფცია დევს მათში. ღმერთის ეს „ადამიანური" წარმოდგენა კარგად შეესაბამება რომაელთა განცდას აქტიური ცხოვრების შესახებ.

ის „ტრაგიკული" პათოსი, რომელიც კეკილიუსმა წამოსწია წინ, შესაძლოა, სოციალურად იყო მოტივირებული (165-168G.=169-172R.): მენედემუსის მონა პარმენო აღმოაჩენს, რომ მისი ბატონის ქალიშვილი, უცნობის მიერ გაუპატიურებული, დაბადებს ბავშვს და წუხს ღარიბი კაცის გამო, რომელსაც ფული არა აქვს და მას დასჭირდება თავისი უბედურების დაფარვა. კეკილიუსი ამცირებს მენანდრესეულ სენტიმენტალურ ფიგურებს და პიესაში შემოაქვს ანტითესისი: „ის კაცი არის განსაკუთრებით უიღბლო, ვისი საკუთარი სიღარიბე ნიშნავს, რომ მან უნდა აღზარდოს ბავშვები სიღარიბეში. კაცი, რომელიც მოკლებულია სიმდიდრეს, განწირულია ყველაფერი ცუდისათვის, მაშინ, როცა მდიდარი ადამიანი ყოველგვარ ნაკლს

ადვილად ფარავს". აქ კეკილიუსი, მენანდრესთან შედარებით, არის უფრო ულმობელი და მკაცრი.

ციცერონი, რომელიც განსაკუთრებით დაკავებული იყო თაობებს შორის განსხვავებულობის ასახვით კომედიაში, ძალიან აფასებდა კეკილიუსის *Synephebi*-ს. მან შემოგვინახა ამ პიესიდან 15 ფრაგმენტი, რომლებიც გვეხმარება შევიტანოთ გარკვეული კორექტურა იმ შთაბეჭდილებაში, რომელსაც *Plocium*-ში ვპოულობთ კეკილიუსის ხასიათების ხატვასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი წყაროები კეკილიუსის შესწავლისას არის აგრეთვე ნონიუსი (106 ფრაგმენტი), ვერიუს ფლაკუსი ((26 ფრაგმენტი), გელიუსი (11 ფრაგმენტი). დანარჩენი ფრაგმენტები შემონახულია აგრეთვე პრისციანუსთან, ხარისიუსთან, დიომედესთან, დონატუსთან, სერვიუსთან, ისიდორესთან და სხვებთან. ასევე, კეკილიუსის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მე-12 საუკუნის ლექსიკონი (Osbern of Gloucester, A.Mai,Thesaurus novus Latinitatis, Roma1836) da Glossarium Terentianum, published by G.Bart,1624).

კეკილიუსის სახელი უკვე გვხვდება ტერენციუსის Hecyra-ში, სადაც ამბივიუს ტურპიუსი მას მოიხსენიებს, როგორც ცნობილ პოეტს, რომელმაც, ტერენციუსის მსგავსად, გადალახა დიდი სირთულეები თავისი კარიერის დასაწყისში. ტერენციუსი დეტალურად ეკამათება ლუსკიუს ლანუვინუსს, შესაძლოა, კეკილიუსის პროტეჟეს. მას არ შეეძლო ეღიარებინა ყველა ის ინოვაცია, რაც რომაულ ლიტერატურაში კეკილიუსის სახელს უკავშირდებოდა. იგი კვლავ უბრუნდება contaminacio-ს, თუმცა მეტი სიფრთხილით. მოდელების ერთგულება ჟანრის დასასრულს მოასწავებდა. ვოლკაციუს სედიგიტუსმა, რომელიც კატონსა და ციცერონს შორის პერიოდში ცხოვრობდა, მიანიჭა კეკილიუსს ყველა კომედიოგრაფოსს შორის უპირველესი ადგილი. შემდეგ მოდიოდა პლავტუსი, ნევიუსი იყო მესამე, ტერენციუსი - მხოლოდ მეექვსე (apud.Gell.15.24). მისთვის, როგორც ჩანს, ადგილების განაწილებისას მთავარი კრიტერიუმები იყო ენის სიძლიერე, დახვეწილობა და სიტუაციების კომედიურობა.

კეკილიუსმა ცნობადობით პლავტუსსაც კი გაუსწრო, იმის წყალობით, ალბათ, რომ მისი სიუჟეტები იყო ძალიან ძლიერი და მომხიბვლელი. მან დაუკავშირა პლავტუსის დამსახურებებს (ნათელი ფერები, ძლიერი ენა) სიუჟეტების ბრწყინვალედ კონსტრუირების მენანდრესეული მანერა.

ჰორაციუსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კეკილიუსი ფლობს gravitas-ს (epist.2.1.59). მან პოეტი მოიხსენია პლავტუსის გვერდით, როგორც *სიტყვათა შექმნის ოსტატი* (ars 45-55). ორივე მის განცხადებაში არის სიმართლის მარცვალი. უფრო მეტიც, განიხილავდნენ, რატომ მიეცა კეკილიუსის კომედიები დავიწყებას: მისი გარდაცვალების შემდეგ ლათინური ლიტერატურული ენა, მისი სტილისტური მხარე სრულიად შეიცვალა. ელეგანტურობა და დახვეწილობა ჩაანაცვლა უხეშმა ძალამ, სიმდიდრემ და ფერადოვნებამ, აქ კი gravitas-სისთვის ადგილი აღარ დარჩებოდა. ამდენად, მისი გაგება ენობრივი და სიუჟეტური თვალსაზრისით, გაჭირდებოდა.

კეკილიუსი ჰგავს პაკუვიუსს იმდენად, რამდენადაც მისი ენა იყო ლათინურისათვის cul-de-sac (ჩიხი). იგი ბაძავდა პლავტუსის კომედიას იმით, რომ გააძლიერა „უხეშობები" და შეცვალა მისი „მასხარას" ენა „ტრაგიკული მაღალფარდოვნობით". ეს მისი თაობისათვის დამახასიათებელია. კეკილიუსის მიმართება პლავტუსისადმი დაახლოებით ისეთივეა, როგორიც პაკუვიუსის - ენიუსისადმი. ამ ავტორებმა ლათინური თეატრალური ენა ძალიან დააშორეს სამეტყველო ენას. ტერენციუსმა, მათგან განსხვავებით, დაამკვიდრა მარტივი, ხალხის ენა, ანუ დააბრუნა ის კომედიისათვის უფრო შესაფერის რეგისტრში.

კეკილიუსის როლის დადგენა რომაულ ლიტერატურაში ძნელდება იმის გამო, რომ მისი მთავარი ხიბლი მაინც სიუჟეტები იყო, ხოლო ჩვენამდე მოღწეული მისი კომედიების ფრაგმენტები მათი ნორმალურად აღქმისა და ანალიზის საშუალებას, სამწუხაროდ, არ იძლევა. კეკილიუსი ათანხმებს ოსტატურად აგებულ სიუჟეტს და ეპიგრამატიკულ აზრებს ხასიათების ხატვის მოუმწიფებელ, დაუს-

რულებელ, უხეშ მანერასთან და მასხარას ფერადოვან ენასთან. ეს ორი რამ კი, წარმოდგენის წარმატებისათვის გადამწყვეტია. მისი ორი ნაკლი უფრო თვალშისაცემი იქნებოდა მკითხველისათვის, ვიდრე მაყურებლისათვის, რომელიც, შესაძლოა, თავდაპირველად მათ მიმზიდველადაც კი თვლიდა. გელიუსი ჰყვება, რომ Plocium-ი მოეწონა მას და მის მეგობრებს პირველი წაკითხვისას, მაგრამ პიესამ დაკარგა თავისი მომხიბვლელობა, როცა იგი შეისწავლა უფრო ღრმად და შეადარა მენანდრეს პიესეს. ასე თუ ისე, მხოლოდ კითხვა პიესის სრულფასოვნად აღქმისათვის, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი.

კეკილიუსის სახელით ჩვენთვის ცნობილი ნაწარმოებებია: *Aetherio, Andria (M=ნასესხებია მენანდრესაგან), Androgynos (M), Asotus, Chalcia (M), Chrysion, Dardanus (M), Davos, Demandati, Ephesio (M?), Epicleros (M), Epistathmos, Epistula, Exul, Fallacia, Gamos, Harpazomene, Hymnis (M), Hipobolimaeus, sive Subditivos (M), Meretrix, Nauclerus (M), Nothus Nicasio, Obolastates sive Faeneretor, Pausimachus, Philumena, Plocium (M), Polumenoe (M), Portitor, Progamos (M), Pugil, Symbolum,Synaristosae (M), Synephebi (M), Syracusii, Titthe (M), Triumphus, Venator.*

ლიტერატურული პორტრეტები რომში
(ბიოგრაფიული ჟანრი)

ბიოგრაფია „ცხოვრების აღწერას" ნიშნავს. ეს არ არის ის ჟანრი, რომელსაც აქვს მკაცრად განსაზღვრული ფორმატი, გარკვეული დადგენილი წესებით. ძნელია ამ ჟანრისათვის გარკვეული დეფინიციის მიცემა. შეიძლება იგი იყოს ტაციტუსის *Agicola*-სა და პლუტარქეს *Bioi*-სის მსგავსი, მაგრამ აქ მასალა არ არის დალაგებული ქრონოლოგიურად, სტანდარტულად: დაიბადა (როდის?), იცხოვრა (როგორ?), გარდაიცვალა (როდის?). ბერძნები ბიოგრაფიებს ურთავენ ავტორთა შრომებს, როგორც დანართებს; ფილოსოფოსთა ბიოგრაფიები ქვეყნდება დოქსოგრაფიკულ ტექსტებში. გარდაცვლილთა ბიოგრაფიებს ჰყვებოდნენ დაკრძალვის ცერემონიალებზე, მაგრამ არის კიდევ ბიოგრაფიები ლიტერატურულ სტილში.

ლიტერატურულ პორტრეტებს, ან ბიოგრაფიებს მსგავს ჟანრებთან ზოგი რამ აკავშირებს, ზოგიც - განასხვავებს. უპირველესად, კონტაქტების შესახებ. ორივე - encomia-ცა და ბიოგრაფიაც აჯგუფებენ მიღწევებს ქცევების, ღირსებების (virtues), ან მარცხის მიხედვით. ორივე, ლიტერატურული პორტრეტებიც და ბიოგრაფიებიც შეიძლება იყოს არა სრულყოფილი და ეხებოდეს მხოლოდ კონკრეტულ ინდივიდუალურ თვისებებს. ჩვეულებრივ, ისინი კონცენტრირებული არიან თავიანთი „შესასწავლი" ობიექტის ცხოვრებიდან მნიშვნელოვან ეპიზოდებზე - წარმატებულზე, ან წარუმატებელზე, მაგრამ ყველა შემთხვევაში თავად „ობიექტი" უნდა იყოს წარმატებული (ცნობილი). პოლიტიკოსების შემთხვევაში, ბიოგრაფია გვერდს ვერ აუვლის მათ ისტორიულ დამსახურებებს.

რაც შეეხება განსხვავებებს, encomia ხაზს უსვამს პოლიტიკურ, მორალურ ან ინტელექტუალურ მიღწევებს; ბიოგრაფია - პიროვნე-

ბის ცხოვრებას და შეიძლება, უარყოფით ასპექტებს და ნაკლსაც შეეხოს; ლიტერატურული პორტრეტის ავტორისათვის საკმარისია გამოიტანოს მისი გმირის ხასიათის რამდენიმე შტრიხი, ან მოვლენა მისი ცხოვრებიდან, ბიოგრაფოსმა კი მხედველობაში უნდა მიიღოს პერსონის ცხოვრების ზოგადი ხაზი; ისტორიული მწერალი ყურადღებას ამახვილებს პერსონაჟის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ბიოგრაფოსი წარმოაჩენს პერსონალურ თავისებურებებს და თვისებებს.

ყველა საზოგადოება არ იჩენს ინტერესს ინდივიდების მიმართ, ამიტომ ბიოგრაფია ყოველთვის, ყველგან განვითარებული არ არის. საბერძნეთში ბიოგრაფიული ჟანრი შედარებით გვიან განვითარდა და თავდაპირველად მისი ძირები პოლიტიკური ხასიათისა იყო. ეს ჟანრი განსაკუთრებით „მოდური" მაშინ ხდებოდა, როცა მყარდებოდა მმართველობის მონარქიული, ან ტირანული ფორმა. იდეალიზირებული სამეფო ბიოგრაფიები ხელს უწყობდნენ მათ აღმოცენებას. ისინი შეიძლებოდა ყოფილიყო სახოტბო (მმართველის ქება-დიდებით). მე-4 საუკუნიდან encomium-მა მიიღო ფიქსირებული ფორმა. იგი ემსახურებოდა პედაგოგიურ მიზნებს, სახელმწიფოს მოქალაქეების განათლებას, იდეალური მონარქის განდიდებას. ორსავე შემთხვევაში ეს არ არის ბიოგრაფია პირდაპირი გაგებით.

მოგვიანებით ბევრი ბიოგრაფია (პლუტარქეს, სვეტონიუსის) თავს იყრის მმართველის პიროვნების ირგვლივ, მაგრამ არა მხოლოდ ლიტერატურული პორტრეტების სახით.

ბიოგრაფიული ჟანრის მეორე მიმართულება დაფიქსირებულია ფილოსოფიაში. როგორც ინტელექტუალური მასწავლებლები, ფილოსოფოსები ხშირად ხვდებოდნენ ბიოგრაფოსთა არეალში. ბერძნები კარგად ხედავდნენ სოკრატეს განსაკუთრებულობას და უჩვეულობას, მაგრამ პლატონს არ დაუწერია მისი მასწავლებლის ბიოგრაფია. თუმცა, მან თავის *Apology*-ში და დიალოგებში შესანიშნავად გადმოსცა სოკრატეს თავისებურებანი. მიუხედავად ამისა, ძნელი სათქმელია, მაინც რა იყო მათში მართლაც სოკრატისეული და რა

პლატონისეული. ქსენოფონმა თავის „სოკრატეს რემინისცენციებში“ აირჩია სხვაგვარი გზა, მაგრამ არა ნაკლებად არაისტორიული. მისი თავდაპირველი განზრახვა არ იყო მისი მასწავლებლის ცხოვრების აღწერა. იგი ცდილობდა ეჩვენებინა პიროვნება როგორ იქცევა ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში, ანუ მას უფრო აინტერესებდა პერსონის აზრები და ქცევები, ვიდრე თავად პერსონა.

მოგვიანებით, ფილოსოფოსთა ბიოგრაფიები სკოლას დაუკავშირეს და მათი ცხოვრება მოსწავლეებისათვის სამაგალითო გახადეს. შემდეგ ამან განავითარა წმინდანთა ცხოვრების აღწერის ტრადიცია. ბიოგრაფიისადმი ინტერესის მესამე მოტივი არის სკოლარული და ლიტერატურული. ავტორთა ბიოგრაფიების წერა იწყეს ძვ.წ. მე-4 საუკუნიდან. ელინისტური პერიოდიდან წესად იქცა მწერლის შემოქმედებისათვის მისივე ბიოგრაფიის დართვა, რათა თვალსაჩინო გამხდარიყო კავშირი მის შრომებსა და ცხოვრებას შორის.

ბევრი შეიძლება ითქვას ბიოგრაფიული ჟანრის ძირების შესახებ საბერძნეთის ინტელექტუალურ ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა პერიპათეტიკოსთა გამოცდილება. დამკვიდრდა პიროვნების ანალიზი ფილოსოფიური ეთიკის თვალსაზრისით, კონტრასტის ჩვენება ღირსებასა და ნაკლს შორის, რომელიც შემოიტანეს არისტოტელემ და თეოფრასტოსმა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ ბიოგრაფიის სპეციფიკურ, პერიპათეტიკურ ფორმაზე.

ამის პარალელურად, განვითარება დაიწყო გარკვეულმა წესებმა ბიოგრაფიის წერისათვის. ისინი, ნაწილობრივ, წარმოიშვა ე.წ. ლიტერატურული პორტრეტებიდან.

საბერძნეთში ბიოგრაფიის კლასიკურ მოდელებად ითვლებიან: არისტოქსენუსი, რომლის *Bioi*-ს (პლატონის, სოკრატეს, არხიტუსის ბიოგრაფიები) ხშირად აკრიტიკებდნენ (ძვ.წ.მე-4ს.); ანტიგონუსი, რომელმაც შექმნა ფილოსოფოსთა ცოცხალი და საინტერესო ბიოგრაფიები (ძვ.წ.მე-3ს.); ჰერმიპუს სმირნელი, რომელმაც ალექსანდრი-

ის ბიბლიოთეკის მასალებზე დაყრდნობით დაწერა კანონმდებელთა, ფილოსოფოსთა და მწერალთა ბიოგრაფიები (ძვ.წ.მე-3ს.); სატირუსი, რომელმაც აღწერა მეფეების, პოლიტიკოსების, ორატორების, ფილოსოფოსების და მწერლების ბიოგრაფიები (ძვ.წ. მე-3 ს. -ის მეორე ნახევარი). მისი „ევრიპიდეს ცხოვრება" (Pap.Oxy. 1176) საინტერესოა იმით, რომ გადმოცემულია დიალოგების ფორმით, ლიტერატურული ტექსტების ანალიზი ხდება თანამედროვეობის პოზიციებიდან.

რომში ინდივიდის მიმართ ინტერესი გაღვივდა ელინისტურ პერიოდში, მაგრამ ვერ შევუდგებით იმის მტკიცებას, რომ იგი მანამდეც არასდროს არსებობდა იქ. იგი უფრო ინტენსიურად განვითარდა რომში, ვიდრე საბერძნეთში. უფრო მეტიც, ბიოგრაფიასაც და ავტობიოგრაფიასაც რომში ჰქონდა ძალიან ეროვნული ძირები. ამისათვის ყველაზე ძველი და ძლიერი მოტივი იყო ოჯახის სიამაყე. ბიოგრაფიული ინფორმაცია ფიქსირდებოდა tituli-ებში, რომლებიც ხაზს უსვამდნენ დიდებული ადამიანების სტატუსს. Laudatio funerbris წარმოითქმებოდა გარდაცვლილის დაკრძალვისას და აფიქსირებდა მინიშვნელოვან მომენტებს მისი ბიოგრაფიიდან. ასეთი სიტყვები იკრიბებოდა ოჯახის არქივში. ისინი ემსახურებოდნენ გარდაცვლილის ცხოვრების სამაგალითოდ (exemplum) ქცევას.

უფრო მეტიც, რომში უნდა ყოფილიყო მასწავლებლების ბიოგრაფიები, სადაც ხდებოდა ფაქტების ზედმიწევნით ზუსტად ჩაწერა. ამ, სუფთა რომაული ტიპის ბიოგრაფიებს ვპოულობთ Liber pontificalis-ში, სადაც ამკარა ანალოგი შეიძლება მოვიძიოთ ინდივიდის წარმოდგენასა და ძეგლებსა თუ წარწერებზე რომაელთა მიერ საკუთარი თავის წარმოჩენას შორის.

კიდევ ერთი პირობა რომაული ბიოგრაფიისათვის იყო homo novus-ის მიერ თვითდამტკიცებასა და წარმოჩენაზე ზრუნვა. ეს კი, თავის მხრის, იყო რეაქცია gentes- ის ყოვლისმომცველ ძალაზე. კატო უფროსმა შეკრიბა ყველა თავისი სიტყვა, თავდაპირველად, პრაქტიკული მიზნებისათვის, შემდეგ კი წარმოაჩინა ისინი თავის

შრომებში, რათა ამით საკუთარი უკვდავება განემტკიცებინა და უზრუნველეყო; ციცერონმა, ჰორაციუსმა და ოვიდიუსმაც თავადვე უკვდავყვეს თავიანთი დიდება საკუთარ პროზასა და პოეზიაში; ოვიდუსმა შექმნა პირველი პოეტური ავტობიოგრაფია.

ბიოგრაფიის აღზევება პროზაში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო პოლიტიკურ სიტუაციასთან. გვიანი რესპუბლიკის პერიოდის რომში მრავლად იყვნენ დიდი, გამორჩეული ინდივიდები, რომლებიც პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ. სულამ დაწერა საკუთარი ბიოგრაფია (სამწუხაროდ, დაკარგულია), რათა განემტკიცებინა და გაემართლებინა ის პოლიტიკა, რომელსაც იგი თავადვე ქვეყანაში ატარებდა. სულას მეგობარმა, კორნელიუს ეპიკადუსმა, დაასრულა საკუთარი პატრონის ბიოგრაფია და ის არის ბიოგრაფიულ ჟანრში პირველი ავტორი, რომლის სახელიც ჩვენთვის ცნობილია. ციცერონმა წარმოაჩინა საკუთარი დამსახურებები *Comentarii*-ში.

ელინისტური ეპოქის ავტორების ზეგავლენით, რომში გავრცელდა პოლიტიკური ბიოგრაფიები. ვარონმა პირველმა დაწერა *De viris illustribus*, მაგრამ პირველი ავტორი, რომელიც რომში ითვლება ლიტერატურული ბიოგრაფიის შემქმნელად, არის ნეპოსი, რომელსაც შემდეგ თავში წარმოვადგენთ. მისი საქმის გამგრძელებელი იყო ჰიგინუსი.

ტაციტუსმა გაამდიდრა თავისი სიმამრის ბიოგრაფია (*Agricola*) ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ელემენტებით. მან, თაკისი ისტორიული ხასიათის შრომებში, მოვლენათა ცენტრალიზება მოახდინა გამოჩენილ ადამიანთა (იმპერატორების) ბიოგრაფიების ირგვლივ. სვეტონიუსიდან მოყოლებული, ამ ტიპის შრომები მომრავლდა რომში (Marius Maximus, Historia Augustua, Aurelius Victor). ევსებიუსმა დაწერა პანაგირიკი *Vita Constantini*.

გვიან ანტიკურობაში შეიქმნა, უპირატესად, ფილოსოფოსთა ცხოვრების აღმწერი ნაწარმოებები: პორფირიუსმა შექმნა „პლოტინუსის ცხოვრება", პილოსტრატუსმა თავი მოუყარა სოფისტების ბიოგრაფიებს და მისი საქმე გააგრძელა ევნაპიუსმა.

სვეტონიუსის მიმდევრად გვევლინება იერომე. მან შექმნა პირველი ქრისტიანული ლიტერატურის ისტორია.

მოგვიანებით, შეიქმნა წიგნები წმინდანთა ცხოვრებაზე: ევაგრიუსმა თარგმნა ათანასიუსის „ანტონიუსის ცხოვრება"; იერომემ დაწერა *Vita S.P, Vita S. Hilarionis, Vita Malchi* (მალხუსის ცხოვრება, რა თქმა უნდა, არ არის წმინდანის ცხოვრება, მაგრამ იგი ემსახურება ქრისტიანული განათლების მიზანს), ხოლო სულპიკიუს სევერუსმა *Vita S. Martini.*

ბიოგრაფიები ორ ტიპად შეიძლება დავყოთ მასალის წარმოდგენის თვალსაზრისით: 1. როცა იხატება პიროვნების მთლიანი პორტრეტი, დეტალების ნაკლებად გათვალისწინებით; 2. როცა პიროვნების ცხოვრება წარმოსდგება ისტორიული სრულყოფილების ფონზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბიოგრაფოსი განსხვავდება ისტორიკოსისაგან იმით, რომ მას აინტერესებს არა მოვლენები თავისთავად, არამედ ჯერ პიროვნება, მისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით, დეტალებით მისი ცხოვრებიდან, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნების მკითხველისათვის უკეთ წარდგენას (მისი ჰობი, საყვარელი საჭმელი..... არ არის აუცილებელი, გადმოიცეს მთელი ცხოვრება, დაბადებიდან გარდაცვალებამდე, არამედ ავტორი შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ყველაზე საინტერესო დეტალებით და ფაქტებით პიროვნების პორტრეტის შესაქმნელად), შემდეგ მოვლენა, რომელიც საინტერესოა ავტორისათვის მხოლოდ ამ ყველაფრის უკეთ წარმოჩენის მიზნით.

ინდივიდის პრეზენტაცია ბიოგრაფიაში შეიძლება მოხდეს პიროვნების ღირსებების, ან ნაკლის ირგვლივ, პედაგოგიური, ან მორალური მიზნის ირგვლივ ცენტრალიზებით.

ბიოგრაფიები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი კატეგორიების მიხედვით: კანონმდებლები, ტირანები, პოეტები და ა.შ. ყველა ისინი შემდეგ ერთიანდებოდა სახელწოდებით: *ცნობილ ადამიანთა შესახებ* (ვარო, ნეპოსი, ჰიგინუსი, სვეტონიუსი). გვიანი რესპუბლიკის პერიოდიდან კი იწყეს ბერძენ და რომაელ მოღვაწეთა ცხოვრების პა-

რალელურად მოყოლა (ვარრო, ნეპოსი, პლუტარქოსი). ფილოსოფოსთა ცხოვრება ჯგუფდებოდა ფილოსოფიური მიმდინარეობებისა და მათი წინამძღოლების შესაბამისად.

ელინისტურ პერიოდში გაიზარდა ინტერესი დიდი ადამიანების ქმედებების, გადაწყვეტილებების, ხასიათის და ნირის მიმართ, ამიტომ მომრავლდა ბიოგრაფიები (განსაკუთრებით, ალექსანდრე მაკედონელის) ისტორიულ ფონზე. სალუსტიუსმა (*ანალებში*) და ტაციტუსმა (*ისტორიებში*) აჩვენეს, როგორ ცვლიან გამოჩენილი იმპერატორები მსოფლიოს.

ცალკე უნდა გამოვყოთ ბიოგრაფიების ის ტიპი, რომელიც დიალოგის ფორმით არის მოწოდებული. ამის თვალსაჩინო მაგალითია სატირუსის *ევრიპიდეს ცხოვრება* (ძვ.წ. მე-3 ს.-ის მეორე ნახევარი) და გვიანი ანტიკურობის დროის ავტორების (პალადიუსი, სულპიციუს სევერუსი) მიერ შექმნილი ბიოგრაფიები; ხოლო ზებუნებრივი და გასართობი ელემენტების თხრობაში ჩართვამ წარმოშვა ბიოგრაფიის კიდევ ერთი ფორმა, ჰაგიოგრაფიული ლეგენდები (ათანასიუსი, იერომე).

ფილოსოფოსთა ცხოვრების წარმოჩენას, ძირითადად, მორალური დატვირთვა ჰქონდა, ზოგს - არეოტოლოგიის. ასეთია, მაგალითად, ფილოსტრატუსის *აპოლონიუსის ცხოვრება*; ლუკიანუსი კი ქმნიდა პაროდიებს ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრებაზე. ფილოსოფოსთა ბიოგრაფიების ადაპტაცია ძალიან ადვილად მოხერხდა ქრისტიანულ ჰაგიოგრაფიაში.

რაც შეეხება ქრისტიანულ ბიოგრაფიებს, აქ შეიძლება შემდეგი ჯგუფები გამოიყოს: წამებულთა ცხოვრება და მოღვაწეობა; ბერების ცხოვრება; ეპისკოპოსთა ცხოვრება; მე-6 საუკუნის ბიოგრაფიული სერიები; ავტობიოგრაფიები; ქმედებანი (*acta*).

ავტობიოგრაფიები შექმნეს შემდეგმა ავტორებმა: ციცერონი, სენეკა, დიონ პრუსიელი, ეპიქტეტუსი, მარკუს ავრელიუსი, ელიუს ერისტიდესი, ლიბანიუსი; მოგვიანებით, ქრისტიანულ ლიტერატურაში ისეთმა ავტორებმა, როგორებიც იყვნენ: გრეგორიუს ნაზიანუ-

სი, იუსტინე, ჰილარიუსი, ავგუსტინე ენოდიუსი, პატრიკიუსი. ძირითადად, თავიანთ ბიოგრაფიებში ისინი ირჩევენ ან პლუტარქეს, ან სვეტონიუსის ენასა და სტილს.

ბიოგრაფიული ჟანრის ავტორები და მათი ნაწარმოებებია: **Passio SS.** *Perpetue et Felicitatis;* **Pontius.** *Vita Cypriani*; **Sebastianus.** *laurence et Agnes*; **Jerome.** *Vitae Pauli*, Hilarionis, *Mlchi*; *De viris illustribus* **Sulpicius Severus.** *Vita Martini*; Paulinus. *Vita Ambrosii*; **Eusebius.** *Ecclesiastic Historia*; **Hilarius.** *Vita Honorati, Vita Hilarii, Vita Caesarii.*

კორნელიუს ნეპოსი (Cornelius Nepos)

კორნელიუს ნეპოსი (Cornelius Nepos) (ცნობითი სახელი უცნობია) დაიბადა დაახლოებით ძვ.წ. 100 წელს, რა თქმა უნდა, ის ძვ.წ. 63 წ. მთლად ახალგაზრდაც არ იქნებოდა (Plin.nat.9.137). მისი მშობლიური ქალაქი, შესაძლოა, იყო ტიკინუმი. რა თქმა უნდა, ის იყო, ტრანსპადანე (Pliny nat.9.137), კატულუსის მსგავსად, რომელიც მიმართავს მას თავის მიძღვნით ლექსში. თავად ნეპოსმაც მოიხსენია იგი (Att.12,4). ნეპოსს არასოდეს ჰკავებია რაიმენაირი პოსტი - მთლიანად თავისი თავი ოჯახს და ლიტერატურას მიუძღვნა (Plin.epist.5.3.6). ვარონისა და ატიკუსის მსგავსად, ის იყო ცხენოსანთა ჯარის გაწვრთნილი ჯარისკაცი. მარკუსისა და კვინტუს ციცერონის, ჰორტენზიუსისა და შესაძლოა, ვარონის მსგავსად, იყო ატიკუსის მეგობარი. ძვ.წ. 65 წ. ნეპოსი ისმენდა ციცერონის სიტყვას კორნელიუსის დასაცავად (Jerome c. Ioh 12 (419)=PL 23, 381). თავად ციცერონმა იგი თავის ერთ-ერთ სიტყვაში მოიხსენია (Att.16.5.5). შესაძლოა, მათ მიწერ-მოწერა ჰქონოდათ. როგორც ბიოგრაფოსმა, ნეპოსმა ციცერონის ცხოვრება აღწერა და შესაძლოა, იყო რედაქტორიც (ციცერონის? კატულუსის?). ფრონტო ნეპოსს აყენებს ლამპადიუსის, სტაბერიუსის და ატიკუსის გვერდით. მან იცოცხლა ატიკუსზე (რომელიც გარდაიცვალა ძვ.წ.32 წ., Nep.Att.19.10.) მეტ ხანს, ავგუსტუსის ეპოქამდე. შესაძლოა, გარდაიცვალა ძვ. წ. 27 წელს.

კორნელიუს ნეპოსის *Chronica*-სათვის მოდელი იქნებოდა აპოლოდორე ათენელის *Chronica* (ძვ. წ. მე-2 ს.), თუმცა, ეს უკანასკნელი გამართული იყო კომიკური ტრიმეტრებით. აპოლოდორეც ხშირად მიმართავდა ლიტერატურის ისტორიას. ნეპოსმაც, აპოლოდორეს მსგავსად, რომის დაარსება ძვ.წ. 751/750-ით განსაზღვრა.

Exempla-ში, შესაძლოა, ნეპოსი ბაძავდა ბერძენ პარადოქსოგრა-

ფოსებს ((L. Traube, U ntersuchungen zur Uberlieferugsgeschichte romischer Schriftsteller, SBw q1891, 397=L.T., Vorlesugen und Abhandlungen 3, ed. S.Brandt, Munchen1920, 9).

ისტორიული შრომები, რომლებიც ნეპოსის დროს მრავლად და ადვილად ხელმისაწვდომი იყო, აუცილებლად იქნებოდა წყარო მისი ბიოგრაფიებისათვის. ნეპოსი ახდენს თუკიდიდეს, ქსენოფონეს, თეოპომპუსის, ტიმეოსის, დინონის, ატიკუსის, პოლიბიოსის, სულპიციუსის, სილენუსის, სოსილუსის, ეფოროსის და კალისთენეს ციტირებას. აგრეთვე, აშკარად მასზე ჩანს ენკომიების ტექნიკის ზეგავლენა.

ნაწილობრივ, ნეპოსი მისდევს პერიპათეტიკოსთა ბიოგრაფიულ ტრადიციებს, რომლებიც სრულყოფილი გახადა პლუტარქემ. ნეპოსს კარგა ესმოდა, რომ წერილები ისტორიისა და ბიოგრაფიისათვის ძალიან კარგი წყარო იქნებოდა, ამიტომ იგი იყენებდა ციცერონის წერილებს: *quae qui legat, non multum desideret historiam contextum eorum temporum* (ციცერონის წერილების) მკითხველს ნაკლებად დასჭირდება იმ პერიოდის გაბმული ისტორიის კითხვა (Nep.Att.16). წერილებს ასევე იყენებდნენ ელინისტური პერიოდის ბიოგრაფოსები.

რომში იყო უამრავი ავტობიოგრაფია (შედარებით იშვიათი ჟანრი საბერძნეთში), რომელიც განსაკუთრებით აყვავდა გაიუს გრაკხუსის დროს (Badian 1966: 1-38). რომაულ ლიტერატურაში ჟანრის პიონერად ნეპოსი ითვლება. არც პოლიტიკოსების ცხოვრება ყოფილა მანამდე დამუშავებული. არ არის გამორიცხული, მისი ბიოგრაფიები შექმნილიყო კერძო თხოვნის გამოც. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ მის „ქრონიკებში" მოხვდა ნეპოსის დროს ჯერ კიდევ ცოცხალ მოღვაწეთა (მაგალითად, ატიკუსის) ბიოგრაფიები.

ნეპოსი თავადვე გამოჰყოფდა საკუთარ მეთოდს ისტორიკოსების მეთოდისაგან: *quod vereor, si res explicare.*

ნეპოსის სახელით ჩვენთვის ცნობილი შრომებია: 1. *Chronica* (სამი წიგნი). დაწერილია ძვ. წ. 54 წლამდე. ეს იყო ნეპოსის ყველაზე

ადრეული შრომები პროზაში (Catulus1-3-7). ის აქ აანალიზებს ბერძნული და რომაული, მათ შორის, ლიტერატურული მოვლენების ისტორიას; 2. *Exempla,* რომელიც გამოჩნდა ძვ.წ. 44 წლის შემდეგ, სულ ცოტა, 5 წიგნად (fr.12 Peter=frg.21 Mashall). ეს იყო რომში სრულიად ახალი ჟანრი, სადაც ავტორმა გარკვეული თემების მიხედვით წარმოადგინა ანეგდოტები (სასაცილო ამბები). შეიძლება, ისინი დაჯგუფებული ყოფილიყო ბერძნული და რომაული მაგალითების მიხედვით, ისე როგორც მოგვიანებით, ვალერიუს მაქსიმუსთან; 3. ნეპოსმა გამოაქვეყნა ცალკე კატოსა და ციცერონის დეტალური ცხოვრების აღწერა; 4. მისი ძირითადი ნაშრომი *De viris illustribus,* წარმოადგენს 16 წიგნად შეკრულ უცხოელ და რომაელ მეფეთა, მხედართმთავრების, ორატორების, ისტორიკოსების, პოეტების და გრამატიკოსთა ცხოვრებას. ორი მომდევნო ჯგუფი უსახელოა. ჩვენამდე მოაღწია იმ წიგნმა, რომელიც ეხება უცხოელ მხედართმთავრებს, ორატორებს. ამას მოჰყვებოდა ამჟამად დაკარგული წიგნი რომაელი კომანდერების შესახებ (Hann.13.4). შემორჩა ის ნაწილი, რომელიც მოგვითხრობს რომაელ ისტორიკოსებზე (კატო, ატიკუსი). მისი პირველი გამოცემა უნდა მომხდარიყო ძვ.წ. 35-32 წწ.-ში. შემორჩენილია 14 ბერძენი გენერლის ბიოგრაფია. დანართის სახით ნაპოვნია ჰანიბალისა და ჰამილკარის ბიოგრაფიები; 5. ნეპოსმა აგრეთვე დაწერა მცირე ზომის პოემები (Plin. Epist.5.3.6) და, შესაძლოა, მასვე ეკუთვნოდა ერთი გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომი.

ჩვენამდე მოაღწია 17-მა ხელნაწერმა და ცნობილია 15 ხელნაწერის შესახებ, რომელიც დაიკარგა. ყველაზე ძველი ხელნაწერი მე-12 საუკუნით თარიღდება. შედარებით სრულად შემონახულია მე-15 საუკუნის ხელნაწერები.

ნეპოსის *Chronica* დაჩრდილა ატიკუსის შრომამ, რომელიც დაიწერა რომის აღმშენებლობის პერიოდში. მიუხედავად ამისა, ნეპოსს ჰქონდა უშუალო ზეგავლენა გელიუსზე (17. 21. 3) და არაპირდაპირი - სოლინუსზე.

პლინიუს უფროსმა გამოიყენა ნეპოსის თარიღთა ცხრილი. აღსანიშნავია მისი შესაძლო ზეგავლენა პლუტარქესა და ციცერონზე. ნეპოსის შემოქმედება წყაროდ გამოიყენა ამპელიუსმა და ე.წ. ავრელიუს ვიქტორმა (G. Wissowa 19000, col.14160). ნეპოსი იყო სვეტონიუსის ყველაზე მნიშვნელოვანი წინამორბედი, მაგრამ სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის მითითებული მისი სახელი. ჰიგინუსი, სვეტონიუსი და იერომე ხშირად ბაძავდნენ მას.

ავსონიუსმა გაუგზავნა ნეპოსის *Chronica*, გარკვეული კრიტიკული შენიშვნებით, ვინმე პრობუსს (Auson.epist.12, 238 Peiper = 16,174Schenki,10,247 Prete).

ნეპოსის *Vitae*-ს პირველი გამოცემები გამოვიდა ემილიუს პრობუსის სახელით. ხელნაწერებში აღნიშნულია, რომ „კატოს და ატიკუსის ცხოვრება" კორნელიუსის წერილებთან ერთად, გადმოწერილი იყო კორნელიუს ნეპოსისაგან. მაგრამ „მხედართმთავრების ცხოვრების" დასაწყისსა და დასასრულს აღნიშნული იყო ემილიუს პრობუსის სახელი. 1566 და 1569 წლებში, ო. გიფანიუსის და დ. ლამბინუსის წყალობით, „მხდაერთმთავრების ცხოვრებას" ნამდვილი ავტორის სახელი დაუდგინდა.

კომენიუსის (AO. Schonberger 1970, 153) და სხვათა რეკომენდაციებით, ნეპოსის შემოქმედება იშვიათად გამოიყენებოდა სკოლის სახელმძღვანელოებში. პირველი მისი თარგმანი გამოჩნდა 1550 წელს (რემიგიო ფიორენტინო). გოეთეს ახსოვდა სკოლიდან „კორნელიუს ნეპოსი, რომელიც ახალგაზრდებს ძალიან მკაცრად უყურებდა" (Dichtung und Wahrheit 1, 1; წ.ა. 1,26, 48 (22,36). მანტუანმა დაადგინა მისი დაბადების ადგილი და იქ მისი ძეგლი აღიმართა 1868 წელს.

რამდენიმე თვალსაზრისით ნეპოსი პიონერი იყო: 1. *Chronica* იყო ლათინურ ენაზე პირველი ქმნილება, რომელიც მხოლოდ რომის ისტორიით არ შემოიფარგლა; 2. კატულუსი აქებდა ნეპოსის სითამამეს (ausus es, 1.5). იგი იყო თავისუფალი ავტორი, რომელიც გრმად არ იყო მოხიბლული და აღფრთოვანებული რომაელთა ყვე-

ლა თვისებით; 3. მან დიდი ბერძენი ფიგურები გააცნო იმ ადამიანებს, რომელთაც არ იცოდნენ ბერძნული (vir.ill.praef 2: experte litterarum Graecarum); 4. ნეპოსი არ იყო ყველაფერში პირველი, მაგრამ ის იყო პირველი რომაელი ბიოგრაფოსი, რომლის ნაწარმოებები ჩვენამდე შემოინახა; 5. ნეპოსი იყო პირველი ავტორი, რომელმაც შექმნა სახელმწიფო მოღვაწეების ბიოგრაფიები, რაც თავისთავად ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტია. მისი შეფასებები იყო ობიექტური, ინფორმაცია - სანდო, წარმოდგენილი ადამიანების ცხოვრება - სამაგალითო. ამდენად, მის შრომებს ჰქონდათ ინტელექტუალურ-მორალური დატვირთვა. ნეპოსი უმნიშვნელო დეტალებით ახერხებდა მთლიანი, დასრულებული პორტრეტის შექმნას; 6. ნეპოსმა პირველმა შეაფასა ციცერონის „წერილები ატიკუსს"-ის მნიშვნელობა, ხოლო თავად ნეპოსის „ატიკუსის ცხოვრება", იმ დროის პირველი ბიოგრაფიული ნაშრომი, გვიქმნის სრულ და სწორ წარმოდგენას ნეპოსის დროინდელ რომზე. ხშირად იგი პიროვნებებს ხატავს პოლიტიკური შეფასებების გარეშე, პოლიტიკის მიღმა, მაგრამ ძალიან კარგად ხსნის დიდ ადამიანთა ბუნებას, ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს. ამდენად, მისი ნაწარმოებები კარგი წყაროა ციცერონის, სალუსტიუსის, ტაციტუსის , როგორც პიროვნებათა გასაგებად და აღსაქმელად, იმ გზის უკეთ წარმოსაჩენად, რომლითაც მათ რომაელებზე (და არა მარტო), უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს.

მიმაჩნია, რომ ნეპოსი ჯერ კიდევ დაუფასებელ ავტორთა შორისაა. მას მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ. მისი სტილი უფრო თავისუფალი და მსუბუქია, ვიდრე სალუსტიუსის, ან ტაციტუსის. ამიტომაც, შესაფერისია დამწყები მკითხველთათვის. კორნელიუს ნეპოსი იმსახურებს, რომ ჩვენს დროშიც ჰყავდეს თავისი მკითხველი.

„განმანათლებლები" რომში

რომაული ლიტერატურის მნიშვნელოვანი სფეროა ე. წ. ტექნიკური ლიტერატურა, რომელიც მიანიშნებს რომაელთა განსაკუთრებულ ინტერესზე ფაქტებისადმი და მათ დიდ სურვილზე, ამ ფაქტების შესახებ მაღალი ხელოვნების ენით მოესმინათ და წაეკითხათ რაც შეიძლება დაწვრილებითი ინფორმაცია. ამ ტიპის შრომების შინაარსი სრულიად განსხვავებული იყო ერთმანეთისაგან. განსხვავდებოდნენ ისინი ფორმითაც. განათლებული რომაელები ნაკლებად იხიბლებოდნენ დეტალებით. ისინი ინტერესდებოდნენ ამა თუ იმ სფეროზე ზოგადი, საინტერესო, მათთვის მისაწვდომ და ადვილად აღსაქმელ ენაზე შეთავაზებული ინფორმაციით. სწორედ ეს იყო ამ ტიპის ლიტერატურის დანიშნულება და ძირითადი მნიშვნელობა.

შედარებით ახალი ტიპის მოცულობითი ნაშრომი, რომელიც გამოჩნდა ამ პერიოდის რომაულ ლიტერატურაში, არის ენციკლოპედია, რომელშიც ერთად იყო თავმოყრილი სხვადასხვა დისციპლინები.

ცალკეული დისციპლინების შესახებ ნაშრომებით, ნაწილობრივ, შედარებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები დაინტერესდნენ; კანონებზე წერდნენ არისტოკრატები; ენციკლოპედიებზე, როგორც წესი, მუშაობდნენ მაღალი კლასის წარმომადგენლები.

სამეცნიერო კვლევა–ძიება, ჩვეულებრივ, ბერძენთა პრეროგატივა იყო. რომში წმინდა თეორიული მეცნიერებები იყო იმ ადგილის სიამაყის მიზეზი, სადაც ისინი გამოიყენებოდა. ეს შრომები რომში ატარებდნენ ელინისტური პერიოდის მეცნიერების დაღს, ისინიც კი, რომლებშიც შედარებით ცვლილებები შეიმჩნეოდა. უმეტესად, ლათინური ტექნიკური შრომები, ნაწარმოები იყო, თუმცა გამონაკლისებიც გვხვდებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის

სუფთა რომაული წარმოშობის იურისპრუდენცია იყო.

რომაელთა ინდივიდუალობა კარგად გამოჩნდა იმ ავტორების წიგნებშიც, რომლებიც მოგვითხრობენ სოფლის მეურნეობაზე (კატო, ვარონი, კოლუმელა და სხვები); სერვინგზე (გრამატიკოსები); არქიტექტურაზე (ვიტრუვიუსი), მინერალოგიასა და მეტალურგიაზე (პლინიუსი); აკვედუკის (ბელღარი, ხარხიდა) შენობებზე (ფრონტინუსი).

ძალიან ბევრ სფეროში ლათინური ტექსტები არის მნიშვნელოვანი წყარო ჩვენი ცოდნისათვის პოსტ–ალექსანდრიულ პერიოდში, მათი ავტორების მაღალი კომპეტენციის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ რომაული რიტორიკა და გრამატიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერძნულ მჭევრმეტყველებასთან, იგი მაინც ახერხებს საკუთარი ტრადიციის შექმნას (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვარონიდან მოყოლებული მაინც), რასაც თავის რიტორიკული ხასიათის შრომებში უდიდესი რომაელი ორატორი ციცერონი გადმოსცემს, არის იმ უდიდესი ცოდნის მონაპოვარი, რაც მან ამ სფეროში მოიპოვა თავისი აქტიური მოღვაწეობით და რომელიც გახადა მთლიანად თავისი, მისეული.

რომაული ტექნიკური ხასიათის შრომებისათვის ძალიან სპეციფიკურია ზედმიწევნითობა მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში. პირველი იყო იურისპრუდენცია. შემდეგ მალევე განვითარდა სოფლის მეურნეობა. სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, ეთარგმნათ კართაგენელი მარგოს ნაშრომი ამ სფეროში. რესპუბლიკის პერიოდიდან რომში გამოჩნდა კატოსა და ვარონის, ხოლო ძვ. წ. პირველ საუკუნეში, კოლუმელას წიგნები.

სერვინგის ხელოვნების ცოდნა მნიშვნელოვანი იყო ბანაკების აგებისთვის, სამხედრო შენაერთებისთვის, ზოგადად, მიწის ლოკალიზებისთვის. პირველად ამ საკითხებს ნაშრომი მიუძღვნა ვარონმა.

რომაული ცივილიზაციის საბაზისო ოსტატობა – არქიტექტურა გაგვაცნეს რეპუბლიკის პერიოდში ფუფიციუსმა და ვარონმა, ავ-

გუსტუსის დროს – ვირტუვიუსმა, ადრეული იმპერიის ეპოქაში – ფრონტინუსმა. ამ შრომებშივე მოექცა საათებისა და საომრო ნაგებობების შესახებ ინფორმაცია.

გეოგრაფიამი ვარონმა მშვენიერი ნაშრომი მიუძღვნა ხმელთაშუაზღვის ქვეყნებს, განსაკუთრებით, იტალიას. კატო, კეისარი და სალუსტიუსი ხშირად უთმობდნენ ადგილს თავიანთ არა გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომებში გეოგრაფიულ ინფორმაციებს. მოგზაურობაზე გაამახვილა ყურადღება სტატიუს სებოსუსმა. და მაინც, პირველი სერიოზული ნაშრომი ლათინურ ენაზე ამ სფეროში ეკუთვნის პომპონიუს მელასს (ძვ. წ. პირველი საუკუნე).

კატომ მოგვცა გარკვეული წარმოდგენა მედიცინაზე, ხოლო იმპერიის პერიოდში ბერძნულ სამედიცინო მეცნიერებას ლათინური ელფერი შესძინეს კელსუსის (ძვ. წ. პირველი საუკუნე) ენციკლოპედიამ და მოგვიანებით, სხვა ავტორების შრომებმა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერება განვითარდა რომში, რესპუბლიკის პერიოდში, ნიგიდიუს ფიგულუსის მიერ. მათემატიკისა და ასტრონომიის შესახებ ინფორმაციას ვპოულობთ ვარონთან, რომელიც ეყრდნობოდა ბერძნულ წყაროებს. მანამდე რომში იყო მოყვარული (კონსული, ძვ.წ. 166წ.) სულპიციუს გალუსი. რაც შეეხება ოპტიკასა და არითმეტიკას, იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო იგნორირებული რომაულ ლიტერატურაში. მუსიკას შრომები მიუძღვნა მხოლოდ ვიტრუვიუსმა. ამ მხრივ მდგომარეობა შეიცვალა გვიან ანტიკურობაში.

განსხვავებას ტექნიკურ და ფაქტობრივ წიგნებს შორის ქმნიდა ის, რომ ისინი სხვადასხვა აუდიტორიისთვის იყო განკუთვნილი. ფაქტობრივი წიგნების ავტორები დიდ ძალ-ღონეს ხმარობდნენ, რათა მიეღწიათ საჭირო ლიტერატურული ფორმისათვის.

სისტემური სახელმძღვანელოები გათვლილია ექსპერტებზე, ან სტუდენტებზე (Institutiones). კატოს გამოკლებით, ტექნიკური ავტორები იყენებენ შედარებით მარტივ, ადვილად მისახვედრ სტრუქტურას. ნორმადაა დადგენილი წყაროების განსაკუთრებული, პე-

დანტური სიზუსტით მითითება.

მასალის დაყოფა არის სისტემური. მოდელი სხვადასხვა დისციპლინებისთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი რიტორიკის დიდაქტიკური ჩარჩოთი (Fuhrmann, LG 184). მასალა იყოფოდა ჟანრებად, კლასებად, სახეობებად, ტიპებად, გვარებად, ქვეთავებად და ა.შ. თავიდან გაცხადებული მკაცრად იყო შემდეგ დაცული და შესრულებული. ამას განსაკუთრებით ვაწყდებით ვარონთან, ვიტრივიუსსა და კელსუსთან. ზოგჯერ ავტორები მასალას ყოფენ თემების მიხედვით (აპიკიუსი, ფრონტინუსი).

ცალკეული დისციპლინებისთვის სპეციალური სტუქტურა იყო მიღებული. მედიცინა ირჩევდა a capite ad calcem-ს (თავიდან ფეხის წვერებამდე), როგორც ეს არის კელსუსთან, სკრიბონიუს ლარგუსთან, პლინიუსის შესაბამის თავებში. გეოგრაფიაში გამოიყენებოდა ხერხი, რომელსაც ეძახდნენ „დედამიწის ირგვლივ შემოვლას". ასეთი რამ ბუნებრივი იყო იმ ხალხისათვის, რომელსაც ჰქონდა ზღვა, როგორც, მაგალითად, ბერძნებს. რომაელებმა მიბაძეს მათ. ბერძნებისაგან განსხვავებით, რომაელებმა გეოგრაფიული ტიპის შრომებში მეტი ყურადღება დაუთმეს დედამიწის ფიზიკურ შესწავლას.

წინასიტყვაობებში ავტორები ცდილობდნენ აეხსნათ თავიანთი თემის მნიშვნელობა და სირთულეები, მეთოდი, სტრუქტურა. ვარონმა თხრობისათვის აირჩია დიალოგის ფორმა მკითხველთან სასაუბროდ, კოლუმელამ - თავისუფალი საუბრის სტილი.

Institutiones -ისაგან დამოუკიდებლად უნდა გამოვყოთ სასკოლო წიგნები, კომენტარები ლიტერატურის ადრე გამოცემულ წიგნებზე და სპეციალური ტერმინოლოგიის შემცველი ლექსიკონები. ენციკლოპედია, რა თქმა უნდა, გათვლილი იყო უფრო ფართე წრისათვის.

ენა და სტილი ამ ტიპის შრომებში ექვემდებარებოდა დიდაქტიკურ მიზნებს. მთავარი მოთხოვნა იყო სიცხადე. მიუხედავად ამისა, ტექსტებში ამ მხრივ მაინც ვპოულობთ განსხვავებებს: კელსუსი წერს შესამჩნევი სითამამით, ცოცხლად, მსუბუქად, მათემატიკური

დახვეწილობითა და ელეგანტურობით; კოლუმელა არის მარჯვე, მარდი, მსუბუქი. ზოგჯერ ზედმეტადაც. ვარონის სტილი განსხვავდება შრომიდან შრომამდე. *De re rustica*-ში იგი წერს ფრთხილად, ყურადღებით, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით *De lingua latina*-ზე. აქ იგი მიჰყვება გრამატიკოსთა ტრადიციულ გამოცდილებას. პლინიუსი ნაშრომებში ოსტატურად აქსოვს მთელს თავის ერუდიციას, წერს დიდი ხელოვნებით. კატო უფროსი ხშირად აძლევს თავს „მოშვების" უფლებას და წერისას იყენებს სასაუბრო, ჩვეულებრივ მეტყველებაში მიღებულ ფრაზებსა და სიტყვებს. შესაბამისად, ამის წყალობით, მან გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა სასაუბრო, ვულგარული ლათინურის შესახებ და კარგ წყაროდ გამოდგება ამ ტიპის ლათინურის შესწავლისას.

ავტორების მიერ შემოთავაზებული ლიტერატურული განსჯა დამოკიდებულია მკითხველთა იმ წრეზე, ვისთვისაც ესა თუ ის შრომა იწერება. მაგალითად, საკითხში სრულიად გაუცნობიერებელი ადამიანებისთვის ავტორი შეგნებულად უნდა ეცადოს გათავისუფლდეს სტილისტური დეფექტებისაგან, რომელსაც გამოიწვევს მისი მასალა. მელასის აზრით (ძვ.წ. პირველი ს.) საგნის (მაგალითად, გეოგრაფიის) სიძნელის გამო ამ ტიპის შრომებში აღარ რჩება ადგილი მჭევრმეტყველებისთვის: *impeditum opus et facundiae minime capax (რთული შრომა არ ტოვებს ადგილს მჭევრმეტყველებისათვის).* აქ, შესაძლოა, იგულისხმება ის, რომ ავტორმა გეოგრაფიული ხასიათის შრომებში უნდა მოიხსენიოს უამრავი საკუთარი სახელი.

იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, ავტორმა შეიძლება აღარ იდარდოს რიტორიკის გამო. პალადიუსი (მე-5 ს.) კარგად გამოხატავს ამ ტიპის ტექნიკური ნაშრომის ხასიათს.

ზოგჯერ ავტორები აქებენ და ადიდებენ მათ მიერ შერჩეულ სფეროს. კატო *De agricultura*-ს შესავალში უფრო მეტ დროს უთმობს მიწათმოქმედების მორალურ მხარეს, ვიდრე არსებით საკითხებს.

კოლუმელა წუწუნებს იმის შესახებ, რომ ტექნიკისა და სკოლების სიმრავლის და სოფლის მეურნეობის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, არ არიან მასწავლებლები და მოსწავლეები ამ სფეროში. ფირმიკუსი ხედავს mathesis-ში (ასტროლოგია) იმ ცოდნას, რომელიც ადამიანს ხდის თავისუფალს.

ვეგეტიუსი (მე-5.ს-ის ბოლო) თვლიდა, რომ ვეტერინარული მედიცინა შესაძლო იყო ჩაეთვალათ დაქვემდებარებულად ადამიანის მედიცინისათვის. ბალბუსი, რომელიც შესაძლოა, მოღვაწეობდა ტრაიანეს დროს, აღნიშნავს ტოპოგრაფიული ხელოვნების მოკრძალებულობას, მაგრამ მოგვიანებით ამატებს, რომ საკმარისია რომაელმა ფეხი დაადგას მტრის ტერიტორიაზე, რომ ტოპოგრაფია მისთვის იძენს ფასდაუდებელ მნიშვნელობას, რათა ააგონ სამხედრო შენობები, ბანაკები, ხიდები, გაზომონ მდინარეების სიღრმე, მთების სიმაღლე. ომიდან დაბრუნების შემდეგ მან უფრო საფუძვლიანად შეისწავლა ეს დისციპლინა, რათა შეექმნა სერიოზული თეორიული ბაზა.

ზოგი ავტორი ამა თუ იმ დისციპლინას წარმოადგენდა უფრო დიდი რაკურსით, ვრცელ კონტექსტში. ციცერონი მოითხოვდა ორატორისაგან ფართო განათლებას, ვიტრუვიუსი - არქიტექტორისაგან. შესაძლოა, დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ისეთი მნიშვნელოვანი დისციპლინა, როგორიც, მაგალითად ფილოსოფიაა, უფრო დამცირებული იყო სხვა დისციპლინებთან, მაგალითად, რიტორიკასთან შედარებით, მაგრამ ექსპერტები იყვნენ საკმაოდ ჭკვიანები იმისათვის, რომ არ მოეთხოვათ ზედმიწევნითი ცოდნა, არამედ მხოლოდ საბაზისო ცოდნაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. გვიან ანტიკურობაში მოხდა მეცნიერების იერარქია. ბოეთიუსისათვის, *De institutiones arithmetica*-ს შესავალში კვადრივიუმის დარჩენილი მეცნიერებები დაქვემდებარებული არიან არითმეტიკას, და არითმეტიკა, თავის მხრივ, ექვემდებარება ფილოსოფიას.

ლუკრეციუსის და ციცერონის მოღვაწეობის ბოლოს, რომაელი ავტორები მოითხოვდნენ ეწერათ რთულ საკითხებზე (obscura) უფ-

რო ნათლად.

ვინმე აგენიუსის Commentum de agrorum qualitate-ში (შესაძლოა, მე-5 ს.) ავტორის მიზანია, რაც შეიძლება ნათლად ითქვას სათქმელი (plano sermone et lucido), უფრო დამაჯერებლად და გასაგებად, ვიდრე ამას აკეთებდნენ ადრე *(ea quae a veteribus obscuro sermone conscripta sunt apertius et intellegibilius exponere (ავხსნათ უფრო მარტივად და ნათლად, ვიდრე ამას აკეთებდნენ ძველი ავტორები, რომლებიც წერდნენ გაუგებარი და ბუნდოვანი სტილით).*

სტილში ვეგეტიუსი ეძებს შუალედს მჭევრმეტყველებასა (როგორც კოლუმელასთან) და ლიტერატურული სტილის არარსებობას (როგორც ქირონთან) შორის. მისი მიზანია სისავსისა და სიმოკლის გაერთიანება (plene ac breviter).

ვეგეტიუსი ასევე ხაზს უსვამს ტექნიკური ხასიათის შრომებზე დიდ მოთხოვნადობას, მასალის ნათლად, გამჭვირვალედ ორგანიზებისა და მიწოდების აუცილებლობას. მათთვის, ვინც არ დაინტერესდებოდა წიგნის თავიდან ბოლომდე წაკითხვით და ვისთვისაც საინტერესო მხოლო ცალკეული ადგილები იქნებოდა, პლინიუსმა დაამატა შინაარსის დეტალური სია, თან აღნიშნავდა, რომ მისმა წინამორბედმა ვალერიუს სორანუსმა (ძვ.წ.ა. 100 წ.) ეს უკვე მანამდე გააკეთა.

ბევრი ტექნიკური ნაშრომის ავტორი ამტკიცებდა სარგებლიანობის უპირატესობას სილამაზეზე: *Qui difficultatibus victis utilitatem iuvandi praetulerunt gratiae placendi (ქებას იმსახურებს ის, ვინც სიძნელეების გადალახვას ამჯობინებს სიამოვნების მიღებას,* Plin. Nat. Praef.16). საბედნიეროდ, მიუხედავად ამისა, სილამაზე ამ ავტორებთან მთლიანად უარყოფილი არ იყო.

ტექნიკურ შრომათა ავტორების მიზანია დაეხმაროს ხალხს თავიანთი წიგნებით. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ვარონი, მაგრამ შემდეგი გარემოებაც არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია: საბერძნეთში ერთი ექსპერტი ორიენტირებულია მხოლოდ ერთ გარკვეულ, ან რამდენიმე მომიჯნავე სფეროზე. ასეთი მოვლენა - ინ-

დივიდუალური ავტორი ქმნიდეს ენციკლოპედიას, არ არის ცნობილი. ცნება ***enkuklios paideia*** ბერძნულისაგან წარმოდგება, მაგრამ ენციკლოპედიის, როგორც ჟანრის განვითარება მოხდა რომში.

რომაელებმა ისესხეს ბერძნული კულტურა, როგორც თავისთავად სრულყოფილი რამ. ამან შთააგონა რომაელები შეექმნათ ამ ტიპის შრომები. რომაული ლიტერატურის საწყის ეტაპზე, პირველი ავტორების მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. ლათინური ენციკლოპედია სწორედ ასეთ ნიადაგზე აღმოცენდა. კატოს დაკარგული დიდაქტიკური შრომები მთლიანობაში ატარებდნენ ენციკლოპედიურ ხასიათს, მოიცავდნენ რა სოფლის მეურნეობას, მედიცინას, რიტორიკას, და შესაძლოა, სამხედრო მეცნიერებასაც კი.

ბალიან ცოტა რამეა ცნობილი ვარონის *Disciplinarum libri*-ს შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს იყო გარკვეული ტიპის ენციკლოპედია, რომელიც მოიცავდა მედიცინასა და არქიტექტურას. მიუხედავად ამისა, ვარონის შრომები ფასდება მაინც, როგორც ენციკლოპედიური ტიპის ქმნილებანი.

ადრეული იმპერიის ეპოქაში კელსუსმა დაწერა ენციკლოპედია. მისგან, სამწუხაროდ, მხოლოდ ის ნაწილია შემორჩენილი, რომელიც მედიცინას ეხებოდა.

გვიან ანტიკურობაში ფილოსოფოსებმა ავგუსტინემ და ბოეთიუსმა, აგრეთვე მასწავლებლებმა, როგორებიც იყვნენ მაგალითად, კასიოდორუსი და ისიდორესი, ანტიკური განსწავლულობა შუა საუკუნეებს შემოუნახეს.

რომაელი გრამატიკოსები

Grammaticus-ის სოციალური მდგომარეობა განსაზღვრული იყო სკოლების წესებით. ძვ .წ. მე-2 ს.-ის შუა რიცხვებიდან რომში სწრაფად გავრცელდა კერძო გაკვეთილები გრამატიკაში. ახალგაზრდა რომაელები სახლში მეცადინეობდნენ ე.წ. ლიტერატორების (litterator,grammatistes) დახმარებით წერა-კითხვაში. ისინი იყვნენ გრამატიკოსების წინამორბედნი არა მხოლოდ ბერძნული და ლათინური ენების გრამატიკის შესწავლაში, არამედ, აგრეთვე, პოეტური ტექსტების ახსნაში. ასე რომ, ტერმინი „გრამატიკოსი" ნიშნავს ფილოლოგს, ან კლასიკურად განსწავლულს. უმაღლესი საფეხური იყო რიტორთან სწავლება, პროზის კომპოზიციის გაცნობა, მეტყველების დახვეწა და სიტყვის წერის ოსტატობის დაუფლება.

დიონისიოს თრაქსესი (ძვ.წ. მე-2 საუკუნე) არისტარქოსის მოსწავლე, იყო გრამატიკის ავტორი, ასევე, რემიუს პალემონი (ძვ.წ. პირველი ს.), რომელიც რომში ძალიან ცნობილი იყო. დიონისიოსი მუშაობდა რომთან მჭიდრო კავშირების მქონე კუნძულ როდოსზე. თუმცა, მის წიგნებში უარყოფილი იყო სტილი და სინტაქსი. ამაში, სამწუხაროდ, მას შემდეგშიც ბევრი მიმდევარი ჰყავდა.

უძველესი რომაელი პოეტები კარგად ერკვეოდნენ გრამატიკაში და ზოგადად, ფილოლოგიაში, თუმცა, ამბობენ, რომ რეალური იმპულსები ფილოლოგიური სწავლებისადმი, როგორიც იყო, მაგალითად, რომში (*Suet.gramm.2*), მოვიდა კრატეს მალოსელისგან, როცა ის იყო დედაქალაქში ენიუსის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში. ფართე ინტელექტუალური ჰორიზონტის განვითარებამ, როგორიც ჰქონდა, მაგალითად, აქციუსს, განამტკიცა პერგამენის ზეგავლენა. ალექსანდრიელი სწავლულების ტექნიკური სიმკაცრისა და წესების ზუსტი დაცვისაგან განსხვავებით, ეს მეთოდი ხშირად

იყო რომში სიამაყის მიზეზი.

Grammatici ძალიან საჭირონი იყვნენ რომში, როგორც მასწავლებელები. უფრო მეტიც, მათ აქტივობას ჰქონდა დიდი ზეგავლენა მშობლიური ლათინური ლიტერატურის დაცვის თვალსაზრისით. დაახლოებით ძვ.წ. 100 წელს სწორედ
გრამატიკოსებმა გამოსცეს ნევიუსისა და ენიუსის ეპიკური შემოქმედება.

უძველესი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი გრამატიკოსი იყო ლ. ელიუს სტილო პრეკონინუსი (L. Aelius Stilo Praeconinus). ის იყო წარმოშობით რაინდი, ლანივიუმიდან (დაახლ. 154-90). ის თავის მეგობრებს აძლევდა რჩევებს ლათინურ ლიტერატურასა და რიტორიკაში. დაახლოებით ძვ.წ. 100 წელს იგი ახლდა ქ. მატელუს ნუმიდიკუსს გადასახლებაში, როდოსზე. შესაძლოა, ამ კუნძულზე შეხვდა კიდეც დიონისიუს თრაქსესს. სტილომ გააკეთა უძველესი რომაული ლინგვისტური ძეგლის კომენტირება (Carmen Salaire, 12 დაფის კანონი). მანვე პირველმა მიაქცია ყურადღება პლავტუსს. როგორც მოსალოდნელი იყო, მასზე ზეგავლენა მოახდინეს სტოელებმა. მან გადმოიტანა ბერძნული ლინგვისტიკის მეთოდები ლათინურად. მისი აზრით, ენის სწავლა არ შეიძლებოდა გამოყოფილი ყოფილიყო საგნებისადმი მისი მიმართებისაგან. სტილომ დიდი ზეგავლენა მოახდინა თავის მოსწავლე ვარონზე, აგრეთვე, ციცერონზე, ფლაკუსზე და პლინიუს უფროსზე.

რესპუბლიკის პერიოდის იმ ავტორთა შორის, რომლებიც შეეხნენ გრამატიკის პრობლემებს, შეიძლება დავასახელოთ: აქციუსი, ლუკილიუსი, პორციუს ლიკინუსი და ქ. ვალერიუს სორანუსი, რომელიც, ასევე, წერდა ლექსებს. ვოლკაციუს სედიგიტუსმა შექმნა ექსცენტრული კანონები კომიკოსი პოეტებისათვის. შემდგომ იყვნენ: ოქტავიუს ლამპადიო, სისენა, სევიუს ნიკანორი, ავრელიუს ოპილიუსი, მ. ანტონიუს გნიფო (კეისრისა და ციცერონის მასწავლებელი), ქ. კოსკონიუსი, სანტრა, ოქტავიუს ჰერსენუსი.

ციცერონის დროიდან, ვაროს გარდა, შეიძლება გამოვყოთ პი-

თაგორელი ნიგიდიუს ფიგულუსი, კატულუსის მეგობარი ვალერიუს კატო, ასევე, ატეიუს ფილოლოგუსი, სალუსტიუსისა და პოლიონის მრჩეველი. თავად კეისარმა დაწერა *De analogia,* მაშინ, როცა აპიუს კლავდიუსი და კეისარი მსჯელობდნენ წინასწარმეტყველებასა და წაინათგრძნობებზე. ჰორაციუსის ცნობილმა მასწავლებელმა, ორბილიუსმა, გამოაქვეყნა პომპილიუს ანდრონიკუსის *ენიუსის ანალების Elanchi,* ხოლო თავად დაწერა „მასწავლებლების გამოსაცდელად", სადაც წუწუნებდა მშობელთა ამბიციების გამო. საკლასო ოთახში ის წკეპელას გამოყენებასაც არ ერიდებოდა.

გრამატიკული ტექსტები, როგორც წესი, დამოკიდებული იყო ერთმანეთზე და ცოტათი თუ გამოირჩეოდნენ ოროგინალურობით. ისინი შეიძლება დავყოთ შემდეგ ტიპებად: სისტემური სახელმძღვანელოები, სახელმძღვანელოები, ლექსიკა, ინდივიდუალური პრობლემების მიმობილვა, კომენტარები. გრამატიკოსების წერის მანერა გამოირჩეოდა სიცხადით, სიდინჯით, ზომიერებით. ისინი თამამად იყენებდნენ ორიგინალურ ციტატებს, თუნდაც, ბერძნულ ენაზე.

გრამატიკოსებმა გადმოიღეს ბერძნების ლინგვისტური და ლიტერატურული თეორიები. მაგალითად, დიომედესმა გადმოიღო თეორია ლიტერატურული ჟანრების შესახებ. გრამატიკის სისტემატიზაცია მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში ხდებოდა. ამ სფეროში, ისე როგორც კანონის (სამართლის) შემთხვევაში, შედარებით დიდი პროგრესი მხოლოდ გვიან შუა საუკუნებში და უფრო მეტად, ჩვენს დროში მოხდა, მაგრამ გარკვეული დამოუკიდებლობა ჩანს ბერძნული კატეგორიების ლათინურ ენაში გამოყენებისას. აქ ვარონმა განსაკუთრებით ფასდაუდებელი სამუშაო გასწია. გრამატიკოსების მიერ მოყვანილი მაგალითები ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა. გრამატიკოსთა მთავარი მიღწევა არის არა იმდენად აზრების აბსტრაქტული ფორმით გადმოცემა, რამდენადაც მათი მიძღვნა თავიანთი ამოცანებისათვის. ისინი ღიად საუბრობენ რომაელთა ღირსებების შესახებ და მათთვის მთავარი რომაელთა **res publica litterarum** იყო. მათი დამსახურებაა კლასიკური განათლების შენარ-

ჩუნება. სწორედ მათი დამსახურება იყო, საუკუნეების განმავლობაში რომ შენარჩუნდა ლინვისტური წვრთნის მაღალი სტანდარტიც. უფრო მეტიც, მათ დააკავშირეს პოეტების განსწავლული კითხვა ისეთ საგნებთან, რომლებიც აუცილებელი იყო ტექსტში მოყვანილი ფაქტების გასაგებად, როგორიცაა გეოგრაფია, ისტორია, ასტრონომია და ფილოსოფია. მათ დაიმსახურეს ნდობა და მოიპოვეს კარგი რეპუტაცია ლათინური ენის აღწერილობისათვის, პოეტების ტექსტების დაცვისა და შემონახვისათვის, იმ პოეტებისიც კი, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ აღიარებული. მათი დიდი დამსახურებაა, რომ ჩვენ ანტიკური ტექსტების დიდ ნაწილს ვიცნობთ. რომ არა გრამატიკოსთა მონდომება, ტექსტების ნაწილი სამუდამოდ დაიკარგებოდა შთამომავლობისათვის. მათი ღვაწლი დევს იმაშიც, რომ ჩვენ ვიცნობთ ძველი ლათინურ ტექსტების ფრაგმენტებს. მოგვიანებით რიტორიკამ კომენტარებშიც კი შეაღწია, მაგრამ გრამატიკოსების მიერ დაჟინებით მოთხოვნილი ფაქტებისადმი დამოკიდებულება კიდევ დიდხანს ახდენდა ავტორებზე ზეგავლენას.

უცნობი ავტორის „რიტორიკა ჰერენნიუმისაგან"
(Rhetorica ad Herennium)

უცნობი ავტორის „რიტორიკა ჰერენნიუმისაგან," შესაძლოა, პირველი ნაშრომია ლათინურ ენაზე ორატორული ხელოვნების შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, დაიწერა ძვ. წ. 86–82 წლებს შორის პერიოდში. ამ ნაშრომის ავტორი რომ ციცერონი არ იყო, თავდაპირველად შენიშნა რაფაელ რეგიუსმა (Utrum ars rhetorica ad Herennium Ciceroni falso inscribatur, Venetiis 1491). მანვე ივარაუდა, რომ ამ ნაწარმოების ავტორი შეიძლებოდა ყოფილიყო კორნუტუსი (ძვ. წ. პირველი საუკუნე), მაგრამ მისი ეს ვარაუდი უარყო ფ. მარქსმა (PhW1890,1008). 1985 წელს გ. ახარდმა კვლავ ტრადიციულ დათარიღებას დაუჭირა მხარი. ვ. სტროჰი ემხრობა იმ შეხედულებას, რომ ეს ნაწარმოები უნდა შექმნილიყო ციცერონის შემდგომ პერიოდში.

უცნობი ავტორის ქმნილება ჩვენამდე შემდეგი სახითაა შემონახული: შესავლისა (1. 1) და ძირითადი ცნებების ((1.2–4) მიმოხილვის შემდეგ, მოდის inventio (1. 4-3.15), desposítio (3. 16-18), actio (3. 19-27), memoria (3. 28-40), elocutio (4. 1-69). ყველაზე დეტალური განხილვა დაცულია inventio–სა და elocutio–ში. პირველი დაყოფილია სასამართლო სიტყვებად (1. 4–2. 50), პოლიტიკურ სიტყვებად (3. 1–9) და საცერემონიალო სიტყვებად (3. 10–15). სიტყვათა თითოეული ტიპი წარმოდგენილია მისი ნაწილების შესაბამისად (exordium, divisio, narratio, argumentatio, peraratio). სასამართლო სიტყვების argumentatio–ში განვითარებულია სტატუსის დოქტრინა და ამით იგი უკავშირდება მტკიცებულების დოქტრინას.

ნაწარმოების ავტორი ცდილობს გაემიჯნოს ბერძენ წინამორბედებს, თუმცა, მაინც აშკარაა მისი დამოკიდებულება ბერძენ ავტორებზე. მისთვის ელინისტური ხანის ავტორიტეტებს შორის პირვე-

ლია ჰერმაგორასი. შესაძლოა, *Ad Herennium*–სა და ციცერონის *De inventione*-ს ერთი და იგივე პირველწყარო აქვს. არ არის გამორიცხული, ეს უკანასკნელი უკვე ლათინურ ენაზე იყო დაწერილი.

ოთხივე წიგნს აქვს შესავალი და ეპილოგი. *Ad Herennium*–ის შესავალმა დიდად განსაზღვრა ციცერონის „ორატორის" შესავლის ფორმა.

ნაწარმოების ღირებულება მასში მოყვანილ უამრავ მაგალითშია. როგორც მოსალოდნელი იყო, ისინი ამოღებულია მითიდან, ან ლიტერატურიდან. ციტირებულია ლათინური პოეზიაც. ნაწარმოები გვიქმნის სწორ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორი იყო რიტორიკის მდგომარეობა რომში ციცერონამდე.

ავტორის ენა და სტილი არის პედანტური, ალაგ–ალაგ, მოსაწყენიც კი. ციცერონისთვის დამახასიათებელი დახვეწილობა და პენი ჯერ კიდევ არ ჩანს.

ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იგი წერს არა სახელისა და დიდების მოსაპოვებლად, არამედ მისი მეგობრის, ჰერენიუსის სიყვარულით. როგორც ჩანს, რომაელ ავტორს ჯერ კიდევ სჭირდებოდა თავის მართლება, თუ რატომ მოჰკიდა კალამს ხელი და დაიწყო წერა. მისი მიზანია, წეროს უფრო ნათლად და მწყობრად, ვიდრე ამას აკეთებდნენ მისი წინამორბედები (1.1.1). ავტორი, ციცერონისაგან განსხვავებით, უფრო პრაქტიკულ რჩევებს იძლევა, ვიდრე ფილოსოფიურ საფუძველს ეძებს. ის უფრო ორიენტირებულია სასამართლო სიტყვებზე, ვიდრე პოლიტიკურზე, როგორც ამას ციცერონი აკეთებდა.

ჩვენამდე მოღწეულია ამ ტექსტის მე–9–10–12 საუკუნეების ხელნაწერები. ფ. მარქსი უფრო სანდო წყაროდ მიიჩნევდა მე–9–10 საუკუნეების ხელნაწერებს, მაგრამ დღესდღეობით მეცნიერები უპირატესობას მე–12 საუკუნის ხელნაწერს ანიჭებენ. დანარჩენებს აშკარად ეტყობა გვიანდელი ინტერპოლაციის კვალი. იერომედან მოყოლებული, *Ad Herennium*–ს აშკარად ჰყავდა თავისი მკითხველი. იმ დროისათვის ეს, უპირველესად, იყო ციცერონი. კაროლინგის პერი-

ოდიდან რენესანსამდე მას სწავლობდნენ, ციცერონის *De inventione*-სთან ერთად, როგორც ავტორიტეტულ სახელმძღვანელოს რიტორიკის სფეროში. მისი სწავლების ნათელი მეთოდი კიდევ უფრო დააფასეს მოგვიანებით. მისი კვალი აშკარად იგრძნობა ი. ს. ბახის შემოქმედებაშიც. კომპოზიტორი ამ ნაწარმოებით დაინტერესდებოდა არა მხოლოდ როგორც საკუთარი კანტატების ტექსტების ავტორი, არამედ, როგორც ლათინური ენის მასწავლებელი.

ავგუსტუსის ეპოქის მეორეხარისხოვანი ავტორები

დომიტიუს მარსუსი (Domitius Marsus). დომიტიუს მარსუსი, შესაძლოა, სწავლობდა მკაცრ გრამატიკოს ორბილიუსთან, რომლის მძიმე ხელი ეტყობოდა ასევე ჰორაციუსს (ფრგ.4Buchner). ჰორაციუსის მსგავსად, ის მიეკუთვნებოდა მეცენატის წრეს (Mart.8.55.24; 7. 29. 7-8). ოქტავიუსის რიტორიკის მასწავლებელ აპოლოდორუს პერგამუმელის მსგავსად, შესაძლოა, ისიც მისდევდა ეპისტოლარულ ჟანრს (Quint. Inst.3. 1. 18). ოვიდიუსი ამტკიცებს მის მონაწილეობას (წევრობას) ავგუსტუსის პერიოდის მწერლების უფროსი თაობის ლიტერატურულ წრეებში. ოვიდიუსი მის სახელს პირველს მოიხსენიებს თანამედროვე მწერალთა შორის (Plut. 4. 16. 5). არ არის გამორიცხული, იგი ოვიდიუსზე ახალგაზრდა ყოფილიყო.

მარსუსის მთავარი ნაწარმოებია მისი „ეპიგრამები", რომელიც, შესაძლოა, რამდენიმე წიგნისაგან შედგებოდა. სათაური Cicuta (frg.1), შესაძლოა, აღნიშავდეს ერთ გარკვეულ ნაწილს, ან მთელს კოლექციას. ამას გარდა, მან დაწერა *fabellae*-ს სულ ცოტა 9 წიგნი (frg.2), ეპიკური ჟანრის *Amazonis* (Mart. 4. 29. 7–8) და პროზაული *De urbanitate* (Quint .inst. 6. 3. 102).

როგორც ცნობილია, ეპიგრამები, ძირითადად, იყო ლექსები შეტაკებებისა და კრიტიციზმის შესახებ. გულგახსნილობა, რომლითაც თანამედროვენი, – ორბილიუსი, ქ. კეკილიუს ეპიროტა, – მოიხსენიებდნენ მას, არის კატულუსის რემინისცენცია, თუმცა, პოეტასტერების (ლექსთჩხაპნელების) მევიუსის და ბავიუსის არსებობა, რა თქმა უნდა, შესაძლოა საკამათო იყოს. ამავე დროს, უფრო შერბილებული ტონის არსებობაც არ არის გამორიცხული. დომიტიუსმა დიდებით შემოსა *fusca Melaenis*, როგორც ვერგილიუსის კორიდონმა სახელი გაუთქვა პატიოსან ალექსისს (Mart. 7. 29. 8), მაგრამ ეს არ

ამართლებს მტკიცებას ელეგიების ცალკე კოლექციის არსებობის შესახებ.

ეპიგრამატისტს შეუძლია სწორად, ზუსტად, სამართლიანად მოითხოვოს გარკვეული გავლენა გონებამახვილობისა და საზრიანობის სფეროში (თეორიაში). ამ თვალსაზრისით, ტრაქტატი *De urbanitate* შეიძლება შევადაროთ ციცერონის *De orato-re*-ს, რომელთანაც მას ასევე ამსგავსებს თემატიკა. მარსუსმა შემოგვთავაზა urbanitas–ის დეფინიცია. მან დაჰყო urbana dicta შემდეგნაირად: seria, iocosa და media; დაანაწილა seria dicta შემდეგნაირად: honorifica, contumelioa da mediä (Quint. Inst. 6- 3-104-108).

მისი ეპიგრამების მაღალი ოსტატობა დასტურდება ვერგილიუსისა და ტიბულუსის (ფრგ.7) გარდაცვალებასთან დაკავშირებით შექმნილ ეპიგრამებში. მისი ლექსიკა გვაგონებს თავად ტიბულუსის პოეზიას (1. 3. 57–58). მარსუსი აკავშირებს ორ სრულიად განსხვავებულ ლიტერატურულ ჟანრს ერთმანეთთან: „ნაზ" ელეგიას და „გმირულ" ეპოსს.

მარციალისი თავის თავს მეორე მარსუსს უწოდებს (8. 55. 24) და საკუთარ თავს ათავსებს წარმატებულებს შორის, ისე როგორც პედოსა და კატულუსს (მარტ. 5. 5. 6; 7. 99. 7). სრულიად ბუნებრივი იყო, მარციალისი აღფრთოვანებული იყო მარსუსის ეპიგრამებით და ამავე დროს, მან უარყო მისი ვრცელი ეპოსი, რომელიც ოდნავადაც ვერ მიუახლოვდებოდა პერსიუსის კონცენტრირებულ სტილს (მარტ. 4. 29. 7–8). ზედსართავი სახელი levis ხაზს უსვამს იმას, რომ ამ მძიმე ჟანრში მარსუსი მთლად კარგად ვერ გრძობდა თავს. ფაქტია, რომ პლინიუსი ასახელებს მარსუსს ხელოვნების ისტორიის წყაროდ თავის 34–ე წიგნში, რომელშიც ის მიმოიხილავს ნაშრომებს ხელოვნების შესახებ და მიაკუთვნებს მარსუსის შემოქმედებას ე. წ. ობიექტურ, აღწერილობითი ლირიკას, რომელსაც ასევე წარმოადგენენ მარციალისი და სტატიუსი.

კვინტილიანუსმა გამოიყენა *De urbanitate* თავის არა–ციცერონისეულ ნაწილში ridiculum–ის შესახებ. შესაძლოა, ჰორაციუსმაც მი-

იღო მარსუსისაგან გარკვეული კონსულტაციები, როცა *Ars poetica*–ზე მუშაობდა.

ალბინოვანუს პედო (Albinovanus Pedo). ოვიდიუსის მეგობარმა (Pont. 4. 10.), ალბინოვანუს პედომ, შექმნა მითოლოგიური ეპოსი და თანამედროვე ისტორიაში აღწერა გერმანიკუსის ლაშქრობა გერმანიაში (Quint. ინსტ. 10. 1. 90; სენ. სუას. 1.15). შესაძლოა, მან გამოიყენა საკუთარი საომარი გამოცდილება, როგორც praefectus equitum-მა (ტაც. ანნ. 1. 60. 2). მარციალისი იცნობს მას, როგორც ეპიგრამატისტს. სენეკა უმცროსი ეძახის პედოს fabulator elegantissimus-ს (epist. 122. 15), ხოლო უფროსი სენეკა აქებს მისი შემოქმედების სიცხადესა და ზემოქმედების ძალას (suas. 1. 15). გერმანიკუსის ჩრდილოეთის ზღვაში მოგზაურობის (ძვ. წ. 16) ამსახველი პასაჟი ერთ–ერთი პირველია, რომელიც ადამიანის ზღვაში მოგზაურობას ასახავს (Val. Fl. 2. 34-71). ამ თემის წაროსახვას ჭირდებოდა განსაკუთრებული მომზადება, სპეციალური ლიტერატურის გაცნობა (Vell. 2. 46. 1; Lucan 4. 143-147).

პედოს ენასა და სტილს აშკარად ეტყობა ვერგილიუსის ზეგავლენა, მაგრამ ამაღელვებელ თხრობას, რომელიც, მაგალითად, ჩანს iam–ის იშვიათ გამოყენებაში, მწერლის შემდგომ განვითარებაზე მიუთითებს. პედო უნდა იყოს შუამავალი რგოლი ვერგილიუსსა და ლუკანუსს შორის. მაგალითად, ბუნების აღწერისას მითი მისი ფანტაზიითა გადმოცემული, ხოლო სიურეალისტური ელემენტებისა და დრამის ელემენტების ჩამოშორებით, თანამედროვე ისტორია აყვანილია მითოლოგიურ დონემდე.

ოვიდიუსი აქებს მწერალს, უწოდებს მას sidereus Pedos-ს (Pont. 4. 16. 6). არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ პედოსის ზეგავლენა შეიძლება ვეძებოთ ტაციტუსსა და შემდგომი პერიოდის ეპიკოსებზე.

კორნელიუს სევერუსი (Cornelius Severus). ავგუსტუსის ეპოქის ერთ–ერთმა უკანასკნელმა წარმომადგენელმა, კორნელიუს სევერუსმა, შექმნა ისტორიული ეპოსი. მისი *carmen regale* (Ovid. Pont. 4. 16. 9) შეიძლება გავაიგივოთ მისსავე *Res Romanae*–სთან (Prob. Nom.

GL 4. 208. 16-17), მაგრამ აშკარაა, რომ *Bellum Siculum* დამოუკიდებელი ნაშრომი იყო. ოვიდიუსი მასზე მაღალი წარმოდგენის იყო. მან გაუგზავნა სევერუსს წერილი (Pont. 4. 2), თან მიაწერა, რომ ეს იყო პირველი წერილი, შესაბამისად, 1. 8–ის ადრესატი, სავარაუდოდ, სხვა სევერუსი უნდა ყოფილიყო.

შემორჩენილ პასაჟს ციცერონის სიკვდილის შესახებ პარალელები დაეძებნება პროზაში. ამ ტიპის პასაჟები ტრადიციულია ისტორიკოსების consummatio totius vitae-სთვის, რომელიმე გმირის გარდაცვალების თაობაზე. სენეკა (suas. 6. 21) ეხება სალუსტიუსსა და ლივიუსს (frg. Lib. 120) და აკავშირებს მათ laudatione funebres–სთან და ხსოვნის ადრესატებთან. სევერუსის შემდეგ იგივე თემა გამოიყენა ველეიუსმა (2. 66. 2–5). სევერიუსის დაკარგული ფრაგმენტით ეტნას აღწერის შესახებ მწერალმა დაიკავა თავისი კუთვნილი ადგილი რომაულ მწერლობაში (Sen.Epist.79.5).

სევერუსის ენა და სტილი ძალიან ჰგავს ვერგილიუსისა და ოვიდიუსისას. ოვიდიუსის მსგავსად, სევერუსი ამჯობინებს, ეპითეტი განათავსოს ძლიერი ცეზურის წინ და მას მოსდევს ხაზის ბოლოს არსებითი სახელი. პრეზენტაცია გაცოცხლებულია შეკითხვებით, აპოსტროფებით და ანტითეზისებით. შესაძლოა, სიტყვებით *versificator quam poeta melior „უკეთესი ვერსიფიკატორი (მელექსე), ვიდრე პოეტი"*, კვინტილიანუსი (inst. 10. 1. 89) ხაზს უსვამს იმას, რომ სევერუსის სტილი იყო არა იმდენად პოეტური, რამდენადაც რიტორიკული. იმავე კვინტილიანუსმა ლუკანუსზეც თქვა *magis oratoribus quam poeti imitandus" უფრო შეესაბამება ორატორის იმიტაციას, ვიდრე პოეტისას"* (10. 1. 90).

სევერუსმა, ფაქტობრივად, უარყო ლუკანუსის სტილი იმით, რომ იგი მუდმივად იყენებდა თავის ეპოსში რიტორიკულ და ლირიკულ გადახვევებს. მიხედავად ამისა, მხოლოდ ნამდვილ პოეტს შეეძლო დაეწერა: *pinea frondosi coma murmurat Appennini, მრიალებს ფოთლოვანი აპენინის ფიჭვოვანი თმები* (ფრგ. 10 Buchner).

როგორც სევერუსის მაგალითი აჩვენებს, ციცერონის გარდაც-

ვალების თემის რიტორიკული დეკლამაციები არ გამორიცხავს პიროვნულ გრძნობებს. ამ ტიპის პასაჟებში ხშირად ჩანს დიდი ადამიანური ტკივილი სამხედრო დიქტატურის დროსაც კი. კვინტილიანუსის ჩვენს მიერ მოყვანილი პასაჟით შეიძლება მკითხველს შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ სევერუსს აკლდა პოეტური ნიჭი, მაგრამ ლუკანუსთან პოეტის შედარებისას თავად კვინტილიანუსი ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

პომპეიუს ტროგუსი (Pompeius Trogus)

პომპეიუს ტროგუსი (Pompeius Trogus) გალელი წარჩინებული ოჯახიდან იყო (Vocontii). კეთილშობილ წარმოშობაზე უფრო, ვფიქრობ, მისმა ერუდიციამ განაპირობა მისი ისტორიული ფართო ჰორიზონტი. იგი არა მხოლოდ რიტორიკას სწავლობდა (Iust. Praef.1). არ არსებობდა ერთი სფერო, რომლის შესწავლითაც მწერალი დაინტერესებული იყო. იგი იყო რომაელი მოქალაქე. მისმა ერთ–ერთმა წინაპარმა გადაარჩინა პომპეუსი, როცა მამამისი კეისრის მფარველობის ქვეშ იყო. უკანასკნელი ფაქტები, რომელსაც იგი აღნიშნავს, არის პართენელების მიერ კართაგენთან დაკარგული მამულების გარშემორტყმა (ძვ.წ. 20 წ. იუსტ. 42. 5. 11) და ესპანეთის ომის დასრულება (ძვ.წ. 19 წ. იუსტ. 44. 5. 8). უფრო მეტიც, ის უკვე იცნობდა ლივიუსის *ისტორიის* მოზრდილ ნაწილს (იუსტ. 38. 3. 11). ჰიგინუსის შრომებში მოხსენიებულია ტროგუსი. დღესდღეობით უპირატესობა ენიჭება იმ თარიღს, რომელიც ტიბერიუსის პერიოდს უკავშირებს ტროგუსის მოღვაწეობას.

ტროგუსის სახელით ჩვენამდე მოღწეულია შემდეგი შრომებია: *De animalibus* (10 წიგნი); *Historiarum Philippicarum libri* XLIV). პირველი 6 წიგნი ეძღვნება ასირიელებს, სპარსელებს, სკვითებს და ბერძნებს. მე–7–40 წიგნებში წარმოდგენილია მაკედონიის მონარქია და დიადოხების სამეფო იმ დრომდე, სანამ ისინი არ დაიპყრო რომმა. 41–ე წიგნში ტროგუსი გადმოსცემს პართენელების ისტორიას, 20 წლამდე, სანამ იქ არ დაიწყო აღმშენებლობითი სამუშაოები ავგუსტუსის დროს. რეტროსპექტული ხედვით რომის წარმოდგენა წყდება ტარკვინიუს პრისკუსის მოსვლასთან ერთად. გალიისა და ესპანეთის ისტორია გადმოცემულია იმ დრომდე, სანამ ავგუსტუსმა გამარჯვება არ მოიპოვა ესპანეთზე.

ტროგუსის სამეცნიერო ნაშრომების მთავარი წყარო იყო არისტოტელეს *Historia Animalium*, თუმცა, ტროგუსი მიმართავდა სხვა ავტორებსაც, მაგალითად, თეოფრასტოსს.

მთავარი მოდელი მისი *ისტორიისათვის* იყო ტიმეგენეს ალექსანდრიელი, რომელიც რომში მოვიდა პომპეუსის დროს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ სხვა წყაროებიც აუცილებლად იქნებოდა (praef. 1. 3 quae historici Graecorum...segregatim occupaverunt *რომელსაც ბერძენი ისტორიკოსები ცალკე მიმართავდნენ).* ასე რომ, უნდა ვივარაუდოთ, შეიძლება არა პირდაპირი, მაგრამ მაინც გარკვეული ზეგავლენა მის შემოქმედებაზე ექნებოდათ ბერძენ ისტორიკოსებს ჰეროდოტოსიდან პოსიდონიოსამდე.

ისტორიოგრაფიული ტექნიკის კლასიკური ლიტერატურული მაგალითი ტროგუსთან არის მისი პროლოგი და ასევე, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული შინაარსის გადახვევები, ისე როგორც ეს გვხვდება ჰეროდოტოსთან. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხშირად მიმართავს ასევე რიტორიკულ გადახვევებს, არ უყვარს პირდაპირი სიტყვები და აკრიტიკებს მათ არსებობას სალუსტიუსთან და ლივიუსთან (Iust. 38. 3. 11). მისი თხრობა არ არის ქრონოლოგიური. ის კილოსაც კი აღწერს, რათა გააშიშვლოს მოქმედების შიდა მოტივაცია. მოქმედებაში ჩართულ მის გმირთა რიცხვი საკმაოდ შეზღუდულია. ესეც ელინისტური პერიოდის ისტორიული მწერლობისათვის არის დამახასიათებელი. მისი არაპირდაპირი დახასიათებების ოსტატობა კარგად ჩანს საკმაო სატირის შემცველ პასაჟებში.

მითრიდატეს სიტყვა (38. 4) არის ერთადერთი მაგალითი, რომელსაც შეუძლია წარმოდგენა შეგვიქმნას ტროგუსის ენის შესახებ. ეს არის ხანგრძლივი სიტყვა oratio obliqua-ში. გამოხატვის ფერები არის ბუნწი, მაგრამ მეტყველი.

ანტითეზისები და კლაუსულას რითმები ხშირადაა გამოყენებული. ალაგ-ალაგ წარმოსახვების გამოყენება აძლევს მის სტილს უფრო დიდ ინტენსიურობას. მთლიანი ეფექტი კლასიკურია და მასში ვერ ვხვდებით სალუსტიუსისეულ არქაიზმებს. მისი ენა ძალიან

ჰგავს ლივიუსის ენას, თუმცა ინდივიდუალური წინადადებები არის უფრო მოკლე და მკვეთრად ფრაზირებული. ტროგუსის მიზანი იყო წარმოედგინა არა–რომაული ისტორია, და ასე შეევსო ისეთი ავტორიტეტების თხრობა, როგორიც იყო, მაგალითად, ლივიუსი (Iust. Praef. 1.), მაგრამ მასთან არც ისე ცოტაა რომისადმი მტრული გამონათქვამები და სიტყვები (28. 2; 38.4). ტროგუსის აზრები მაინც სუფთა რომაელის აზრებია (Iust.43. 1.'10). ბევრი რომაელი ისტორიკოსის მსგავსად, ტროგუსი ხაზს უსვამს მოვლენებში მორალურ მხარეს, მაგალითების მორალურ ძალას. ძირითადად, ყურადღება გადატანილია მსოფლიო მნიშვნელობის იმპერიებზე – მაკედონიასა და რომზე, ავგუსტუსის დროს.

ტროგუსი ჩვენთვის ცნობილია მ. იუნიან(ი)უს იუსტინუსის წყალობით. ამას შეიძლება დაემატოს პროლოგები თემის მითითებით და მეორადი მტკიცებულებები, რომლებიც გვხვდება *exempla*-ს კოლექციებში. არსებობს იუსტინეს ბევრი ხელნაწერი. გადმოცემის მთავარი ხაზი, რომელიც 3 კლასად იყოფა, მე–11 საუკუნეს განეკუთვნება.

ტროგუსის სამეცნიერო ნაშრომმა მისცა მასალა პლინიუს უფროსს თავისი ქმნილებებისათვის. მისი შრომები ციტირებული იყო ისეთი ავტორების მიერ, როგორებიც იყვნენ ვალერიუს მაქსიმუსი, ველიუს პატერკულუსი, კურტიუსი, ფრონტინუსი, პოლიენუსი და სხვა გრამატიკოსები. ასევე, *Historia Augusta*-ში ისეთი ავტორების მიერ, როგორებიც იყვნენ ავგუსტინე, როსიუსი, კასიოდორუსი და შუა საუკუნეების ავტორები. ტროგუსის კონცეფცია უნივერსალური ისტორიის შესახებ აღიარებული იყო მრავალი ავტორის მიერ. ეს განსაკუთრებით ეხება მის თეორიას მსოფლიო იმპერიის შესახებ.

ავგუსტუსის ეპოქის ორატორები

ავგუსტუსის ეპოქის ორატორებს ძალიან ცოცხლად და ხატოვნად გვაცნობს სენეკა უფროსი თავისი წიგნების წინასიტყვაობებში, როცა მათ შემოქმედებას მიმოიხილავს. რიტორიკა არის ლიტერატურის სფერო, რომელშიც აისახება პოლიტიკური ცვლილებები და საზოგადოების პოლიტიკური გუნება–განწყობილებები სეისმოლოგის სიზუსტით. მაშინ, როცა პოეზიას ჰქონდა კლასიციზმის თუ გვიანი კლასიციზმის პერიოდი, რიტორიკა განიცდიდა მტკივნეულ ცვლილებებს. ეს იყო ნაბიჯი მოდერნიზმისაკენ. მჭევრმეტყველების ზოგიერთმა კატეგორიამ აზრი დაკარგა, ზოგი, პირიქით, წინა პლანზე წამოიწია. ისეთი ორატორები, როგორიც იყო, მაგალითად, კასიუს სევერუსი, რომელმაც მარცხი განიცადა, როგორც პოლიტიკურმა ორატორმა - ჰქონოდა საკუთარი პოზიცია, განწირული იყვნენ იმისათვის, რომ განედევნათ გადასახლებაში და შეეძლოთ ეწუწუნათ კუნძულებზე მარტოდმყოფებს დროის ცვლილებების გამო (Tac. Annal. 1. 72; 4. 21). იმავე სევერუსს, საკუთარი სტილის მქონე მორალისტ კრიტიკოსს, შესაძლოა, გაელიზიანებინა სენატორები დამატებით თავისი კრიტიკული გამოსვლებით. იგი საკმაოდ ჭკვიანი იყო იმისათვის, რომ საზოგადოების მგრძნობელობაზე ეთამაშა, მაგრამ არისტოკრატი ლაბიენუსიც კი არ იყო უკეთესად. მას შემდეგ, რაც სენატმა მისი წიგნების დაწვის განაჩენი გამოიტანა, მან თავი მოიკლა.

ავგუსტუსის პერიოდის ორატორთა უფრო ძველი თაობა, ძირითადად, წარმოდგენილია კ. ასინიუს პოლიონის და მ. ვალერიუს მეზალას სახით. ისინი მორალურად დამოუკიდებლები იყვნენ ავგუსტუსისაგან და მათ აგრეთვე მოიხვეჭეს ლიტერატურაზე მზრუნველის სახელი.

უფრო ახალგაზრდა თაობას ეკუთვნიან: მეზალას ვაჟიშვილი, მესალინუსი და კოტა, აგრეთვე პაულუს ფაბიუს მაქსიმუსი. ისინი იყვნენ ოვიდიუსის წერილების ადრესატები მისი გადასახლების დროს.

რესპუბლიკის პერიოდის ორატორის დანიშნულება იყო გამოჩენილი პოეტის დაცვა. ავგუსტუსის დროს ეს შეუძლებელი იყო. ასეთ საქციელს მოჰყვებოდა უფრო მეტი ზიანი, ვიდრე სიკეთე. არსებობას განაგრძობდა როგორც სასამართლო, ისე პოლიტიკური ხასიათის სიტყვები, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა, მიუხედავად სენატის ზოგიერთი წევრის მცდელობისა, შეენარჩუნებინათ მისთვის ოდინდელი ფუნქცია. ახლა მნიშვნელოვანი საკითხები დახურულ კარს მიღმა წყდებოდა.

დეკლამაციის ვირტუოზები იძულებული გახდნენ, გამოყოფოდნენ სენატისა და ფორუმის ორატორებს. მაშინ, როცა სახალხო გამოსვლებმა დაკარგეს ძალა და მნიშვნელობა, სააუდიტორიო გამოსვლებმა და ლექციებმა ოთახებში შეიძინეს სიმწვავე. აქ კი სენატორების გარდა სხვებსაც შეეძლოთ ებრწყინათ თავიანთი ორატორული ხელოვნებით, ეხებოდნენ რა ფანტასტიურ თემებს, რომელთა რეალურ ცხოვრებასთან თანხვედრა ყოველთვის შეეძლოთ შემთხვევითობით აეხსნათ.

ორატორული ხელოვნების მასწავლებელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ასიანისტ არელიუს ფუსკუსი და მ. პორციუს ლატრო, სენეკა უფროსის მეგობარი. ისინი იყვნენ ოვიდიუსის მასწავლებლები და თავიანთი შრომებით რიტორიკის შესახებ თანამედროვე ლიტერატურაზე აშკარა ზეგავლენა მოახდინეს.

ავგუსტუსის პერიოდის სასკოლო დეკლამაცია იყო ჟანრი, რომელიც სავსე იყო მომავლისადმი პასუხისმგებლობით. თანამედროვე პროზა მიაღწევს დიდ წარმატებებს სენეკა უმცროსის ფილოსოფიურ ნაწერებში. აღნიშნულმა სტილმა, რომელიც ციცერონისეულისაგან სრულიად განსხვავებულ იყო, დიდი ზეგავლენა იქონია იმპერიის დროინდელ პოეზიაზე. ოვიდიუსისა და ლუკანუსის მეშ-

ვეობით მან შეაღწია ეპოსში, სენეკას შემწეობით – ტრაგედიაში.

დამოუკიდებელ ცალკე ჯგუფს განეკუთვნება *Laudatio Turiae*, რომელიც თარიღდება ძვ. წ. პირველი საუკუნის უკანასკნელი ათწლეულით და შემონახულია ერთ–ერთ წარწერაში. ეს არის სამგლოვიარო სიტყვა, რომელსაც ქმარი წარმოთქვამს გარდაცვლილი ცოლის დაკრძალვის ცერემონიალზე. იმ ფაქტის გამო, რომ პერსონაჟთა იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, სიტყვა იძენს ზოგად სიმბოლურ მნიშვნელობას (მაგალითად, *ქება უცნობ ცოლს*). ძველი რომაული ჟანრი Laudatio funebris დიდი ხნის განმავლობაში ტრანსფორმირდებოდა ლიტერატურაში.

ტექნიკური და განმანათლებელი ავტორები
(ავგუსტუსის ეპოქა)

ავგუსტუსის პერიოდის ე.წ. ტექნიკურ ავტორთა შორის უნდა მოვიხსენიოთ კ. იულიუს ჰიგინუსი, აგრიპა და ვიტრუვიუსი.

კ. იულიუს ჰიგინუსი (C .Julius Higinus). ჰიგინუსი დაიბადა ალექსანდრიაში, ან ესპანეთში, მიიღო თავისუფლება ავგუსტუსისაგან და ძვ. წ. 28 წ. დაიწყო ზრუნვა პალატინის ბიბლიოთეკაზე. ის ასევე აქტიურობდა, როგორც მასწავლებელი. ჰიგინუსი თავისი პატრონისგან დიდ დახმარებას იღებდა, მაგრამ მაინც სიღარიბეში გარდაიცვალა. იგი იყო ოვიდიუსის tristia 3.14.–ის ადრესატი.

ჰიგინუსის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწია. მითოლოგიური და მიწისმზომელობაზე ნაშრომები, რომელსაც მის სახელს მიაწერენ, გვიანი პერიოდის უნდა იყოს, ასევე, ნაშრომს ასტრონომიაზე ბევრი სწავლული მისეულად მიიჩნევს.

ვერიუს ფლაკუსი (Verrius Flacus). ცნობილი გრამატიკოსი ვერიუს ფლაკუსი ნასწავლი გათავისუფლებული მონა იყო. იგი იყო ავგუსტუსის შვილიშვილების ტუტორი. გარდაიცვალა ტიბერიუსის დროს, მოწიფულობის ასაკში.

მის ნაწარმოებებს შორის, შესაძლოა, ყველაზე ცნობილი იყო *De verborum significatu.* ეს არის ტიპური ლათინური ლექსიკონი, საფუძვლიანი ლინგვისტური და ანტიკვარული ახსნებით. ლექსიკონის ფართო დიაპაზონი (და არა მხოლოდ ეს) ხდის ამ ნაშრომს ფასდაუდებელს. ეს არის საუკეთესო წიგნი–სინთეზი, რაც კი შეიძლებოდა ავგუსტუსის დროს შექმნილიყო. ვერიუს ფლაკუსი გვხვდება მხოლოდ ერთადერთ, ს. პომპეუს ფესტუსისა (შესაძლოა, გვიანი მე–

2 საუკუნე) და პაულუს დიაკონუსის მიერ შემოკლებულ ვარიანტში.

ძირითადად, სათაურები ალფაბეტის მიხედვითაა დალაგებული. თითოეული წერილის შიგნით შეიძლება აშკარად გამოიყოს ორი სეგმენტი. უფრო ვრცელში საკვანძო სიტყვებია დალაგებული პირველი, ორი, ან სამი ასოს მიხედვით. მეორეში, შედარებით მცირე სეგმენტში, მხოლოდ პირველი სიტყვები იყო გათვალისწინებული. სიტყვები დაჯგუფებული იყო უფრო შინაარსის, ან წყაროების მიხედვით. ის მწერლები, რომლებიც ვერ მოხვდნენ პირველ სეგმენტში, მეორეში არიან მოხსენიებული.

ცნობილია, რომ ვერიუსი აპირებდა გაეცნო ეს დამატებები დასრულებულ „პირველ ნაწილებში", მაგრამ ვერ განახორციელა განზრახული. 9 ასოზე კი არის უკვე მოყვანილი წიგნებიდან დამატებები. ასო A-მ მოიცვა მთელი ოთხი წიგნი.

ბველი რომაელი ავტორები ლექსიკონში დამოწმებული არიან ფიქსირებული თანმიმდევრობით, ისე როგორც ეს არის ნონიუსთან. ვერიუსი არ არის დამოკიდებული ვაროზე, მაგრამ იღებს მისი წიგნებიდან საკმაოდ ვრცელ მასალას. ფლაკუსის დამსახურებაცაა, რომ ჩვენ ვიცნობთ იმდროინდელ ლათინურ ენას, ლიტერატურას და რელიგიას.

ვერიუსი ხშირად იყო ციტირებული სხვა ავტორების მიერ. მან განსაზღვრა ის ტრადიცია, რომელსაც ვპოულობთ გრამატიკოსებთან და ლექსიკოგრაფოსებთან. ოვოდიუსი ენდობა მას თავის Fastiში, ისე როგორც პლინიუსი თავის Naturalis Historia–ში და პლუტარქოსი თავის Quaesriones Romanae–ში.

აგრიპას რუკა. ეს ნაშრომი აშკარად ავგუსტუსის ეპოქას განეკუთვნება. საინტერესო ფაქტია, რომ გეოგრაფიაში ნაშრომი არ მოიცვა ლიტერატურამ. იმპერიის რუკაზე დატანას ავგუსტუსის კომანდორმა აგრიპინამ 20 წელი მოანდომა. რუკაზე მუშაობა დასრულდა აგრიპას გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ. რუკამ მოიცვა ტერიტორიები ინგლისადან ჩინეთამდე. სამწუხაროდ, დაიკარგა რუკის ის საკმაოდ

მოზრდილი ნაწილი, სადაც ინგლისი და ესპანეთი იყო ასახული. ვერ ვიტყვით, რომ ავგუსტუსის ეპოქის ამ მიღწევამ დიდად აღაფრთოვანა ვერცხლის საუკუნის ლათინური ენის პერიოდის გეოგრაფოსი მწერლები.

ვიტრუვიუსი (Vitruvius). ვიტრუვიუსის Praenomen უცნობია, ხოლო მისი Cognomen Polio არც თუ მთლად უნდა შეესაბამოდეს სინამდვილეს. იგი არქიტექტორი (ინჟინერი) იყო. ჯერ კეისრის, ხოლო შემდეგ ავგუსტუსის დროს განაგებდა სამხედრო იარაღების მშენებლობას, მაგრამ შეიძლება სულაც არ იყო დაკავებული რაინზე კეისრის ხიდის მშენებლობაზე. ვიტრუვიუსმა ააგო ფანოში ბაზილიკა და ასევე, აკვედუკი (ღარ–ხიდა) ძვ. წ. 33 წელს. ავგუსტუსის დის, ოქტავიას რეკომენდაციით, მან ხანდაზმულ ასაკში პრინცეპსისაგან მიიღო პენსია (დახმარება).

პენსიაზე გასვლის შემდეგ ვიტრუვიუსმა დაწერა *De architectura* (2 praef. 4). წერა მან დაიწყო ძვ. წ. 33 წელს და ქმნიდა თითქმის 20–იან წლებამდე. *De architectura* ამ თემაზე ანტიკურობიდან ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნაწარმოებია, რომელიც მიეძღვნა ავგუსტუსს. პირველი წიგნი გვაწვდის ინფორმაციას არქიტექტურული განათლების, მისი წარმოშობის, ესთეტიკური პრინციპების, მისი შემადგენელი ნაწილების და ქალაქების კონსტრუირების შესახებ. მეორე წიგნი ეძღვნება სამშენებლო მასალებს. მესამე და მე–4 – ტაძრების მშენებლობას, მე–5 წიგნი – სახელწიფოებრივ მშენებლობებს, მე–6 და მე–7 – კერძო სახლების მშენებლობას და მათი ინტერიერების მორთვას; მე–8 წიგნი – ღარ–ხიდებს, მე–9 – ასტრონომიას და საათებს, ხოლო მე–10 – ხელსაწყოებს.

1–7 წიგნები მოგვითხრობს არქიტექტურაზე, 8–10 – ინჟინრებზე. თავად ვიტრუვიუსი (1. 3. 1) ჰყოფს არქიტექტურას შემდეგ ნაწილებად: aedificatio (1–8 წიგნები), gnomonice (მე–9 წიგნი), machinatio (მე–10 წიგნი). aedificatio ეხება საჯარო შენობებს (defensioni:1; religionis:3-4); opportunitatis - კერძო სახლების მშენებლობას (6-7). ამ

სქემაში გამოტოვებულია მე–2 წიგნი, რომელიც ეძღვნება სამშენებლო მასალებს და მე–8 წიგნი ღარ–ხიდებზე. ვიტრუვიუსმა მოიპოვა ცოდნა საკუთარი გამოცდილებით (10. 11. 2; 8. 3. 27) და მასწავლებლების წყალობით, რომელთაც ვიტრუვიუსი არ ასახელებს (4. 3. 3).

იგი, საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალში, მოიხსენიებს ბერძენ ე.წ. ტექნიკურ მწერლებს, როგორებიც იყვნენ: პიტეოსი, არისტოქსენოსი, ცესიბიოსი, დიადესი. სტილისა და პროპორციების მისეული თეორია ეყრდნობა ჰერმოგენესის გამოცდილებას (დაახლ. ძვ. წ. მე–2 საუკუნე). ნატურფილოსოფიაში მასზე ზეგავლენა მოახდინა ლუკრეციუსმა, ჰიდროლოგიაში - პოსიდონიუსმა; დიდაქტიკოს პოეტ არატუსისაგან მიიღო ინფორმაცია ასტრონომიაზე. იგივე გამოიყენა ვარომ თავის ნამრომზე მუშაობისას არქიტექტურის ისტორიაში.

როგორც ჩანს, ვიტრუვიუსი პირველი ავტორი იყო, ვინც თავისი დარგი წარმოადგინა დაწვრილებით, ღრმად და ამომწურავად. მაგრამ ნაწარმოები ისეა დაწერილი, რომ მას სიამოვნებით წაიკითხავდა მკითხველთა ფართო წრე და არა მხოლოდ ამ საგნით დაინტერესებული სპეციალისტები.

პროემები წარმოდგენილია იმ წიგნებისაგან დამოუკიდებლად, რომლებსაც ისინი გვაცნობენ. მათში ვიტრუვიუსი საკუთარ თავს წარმოაჩენს, მიუხედავად მისი სხვაგვარი განცხადებებისა (1. 1. 18), როგორც რიტორიკაში კარგად გაცნობიერებულს. საკმაოდ გაჯერებული ლიტერატურული ხერხებითა და სხვადასხვა ამბების თხრობისას ჩართვით იგი ადვილად იგებს მკითხველის გულს (4. 1. 9). და მაინც, მისი მთავარი დამსახურებაა მასალის მეთოდურად დაყოფა (2. 1. 8), სიმოკლე და სიცხადე (5 praef. 2).

ვიტრუვიუსის ენა უარყოფს ყველა მოხერხებულ სათაურსა და რუბრიკას. მასთან შეიძლება ვნახოთ როგორც სახალხო, ისე არქაული ფორმები (მაგალითად, როგორიცაა ასეთი ნათესაობითი: materies, 2. 9. 13). ტექნიკური ტერმინები გადმოცემულია ბერძნული დაბოლოებებით. სინონიმების სიმრავლე მოწმობს სხვადასხვაობის სურვილს. იგი არც პოეტურ სიტყვებზე ამბობს მთლიანად უარს.

შესავალი გამოირჩევა ზომიერებით (1. 1. 18) და გვიჩვენებს ვიტრუვიუსის, როგორც რიტორისა და არქიტექტურის თეორეტიკოსის ოსტატობას. მისი ტექსტები გამოირჩევა სიცხადით და სიმწყობრით, მაგრამ მთავარი სირთულე გამოწვეულია იმითი, რომ დაკარგულია სქემები, რომელიც ყველა ტექსტს თან ახლდა.

მისი მიზანი იყო, მიეცა ავგუსტუსისა და ყველა განათლებული მკითხველისათვის (1. 1, 18) დირექტივები მათი სამშენებლო წამოწყებებისათვის. ის წერდა, როგორც სპეციალისტი და თავისი საქმის ექსპერტი, მაგრამ არა იმდენად პრაქტიკოსის, რამდენადაც თეორეტიკოსის თვალთახედვით. ვიტრუვიუსი ხსნის არა იმას, როგორი იყო ესა თუ ის შენობა სინამდვილეში, ყველა ცალკეულ შემთხვევაში, არამედ იმას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო იგი.

ვიტრუვიუსს აჰყავს არქიტექტურა ხელოვნების რანგში. ორივე შემთხვევაში – ტექნიკურსა და ხელოვნებაში – ვიტრუვიუსი მისდევს მისი დროისათვის აღიარებულ ტრადიციულ სტანდარტებს, რომლებიც კონსერვატიულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი უარს ამბობს იმ დროისათვის მოდურ კედლის მხატვრობაზე და აკრიტიკებს ყველა ტექნიკურ ინოვაციას.

ვიტრუვიუსი აფუძნებს თავის კრიტიციზმს უფრო ტექნიკურ და ეკონომიკურ პრინციპებზე, ვიდრე მორალურზე, იმიტომ რომ იმედოვნებდა, თუ მკითხველს სხვა ვერაფრით მოხიბლავდა, ეკონომიკისაკენ ყურადღების მიქცევით მაინც დააინტერესებდა, მაგრამ მისი რეალური მოტივაცია მაინც უფრო ეშმაკური იყო: მასალის ეკონომიური გამოყენება არქიტექტურაში არის პროფესიონალური ეთიკის საკითხი. ვიტრუვიუსის მიზანი იყო იმ ტენდენციებთან ჰარმონიული თანაარსებობა, რომლებიც ავგუსტუსის ეპოქაში შეიმჩნეოდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მას სურდა საზოგადოების გემოვნების ჩამოყალიბება.

ვიტრუვიუსისეული პროპორციების დოქტრინა, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა რენესანსის ეპოქაში, დებს ხიდს სხვა ხელოვნებისაკენ. ასე მაგალითად, როცა იგი მსჯელობს თეატრის

აკუსტიკის შესახებ (პ(5.4), ამავე დროს, აწვდის თავის მკითხველს ინფორმაციას ანტიკური მუსიკის შესახებ.

როცა ვიტრუვიუსი ლაპარაკობს არქიტექტურის ფორმირებაზე (1.1), აშკარად ემხრობა ციცერონის იდეალს მრავალმხრივი განათლების შესახებ. თავად იგი ავლენს დიდ ცოდნას როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის სფეროში. ყველა ინდივიდუალური დისციპლინა [გრამატიკა, მუსიკა (თეატრის კონსტრუირებისთვის), ფიზიკა (ხელსაწყოებისა და მანქანებისათვის), ასტრონომია (მზის საათისათვის), მხატვრობა, სკულპტურა, მედიცინა (ჰიგიენისა და კლიმატოლოგიისათვის), მათემატიკა, ფილოსოფია, არქიტექტურული სტილის დოქტრინები, ისტორია, მითოლოგია, სამართალი] ორიგინალურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან თავიანთი თეორიებით (ratiocinatio; 1. 1. 12). მართალია, არქიტექტორს არ სჭირდება ყველა ეს დისციპლინა, მაგრამ მას სჭირდება იცნობდეს ყველა თეორიას იქ, სადაც ისინი კვეთენ არქიტექტურას. ამავე დროს, ავტორი უნდა იყოს ფილოსოფოსი და თანდათან თავისი ცოდნით უნდა ავიდეს ისეთ უმაღლეს ტაძრამდე, როგორიცაა არქიტექტურა (1. 1. 11). ციცერონისა და ვარონის მსგავსად, ვიტრივიუსსაც სურს მეტი humanitas და ცივილიზაციის მეტი პროგრესი.

ბოლო ანალიზებში მისი მოდულები წარმოებულია ადამიანისაგან, მისი საჭიროებისა და ფორმისაგან. მისი ძირითადი იდეებია: ordinatio, dispositio, eurhythmia, symmetria, decor, distrubutio (1. 2).

თანამედროვე სწავლულები იყენებენ ვიტრუვიუსის შემდეგ ხელნაწერებს: Harleianus Mus. Brit. 2767 (H; მე-9 საუკუნე), Guelferbytanus Gudianus 132 epitomatus (E; მე–10 საუკუნე), Guelferbytanus Gudianus 69 (G; ადრე მე–11 საუკუნე), Selestatensis 1153, 17 (S; მე–10 საუკუნე, Vaticanus Reginensis 1328 (V; მე–15 საუკუნე), Vaticanus Reginensis 2079 (W; მე12–13 საუკუნე).

გამართლდა ვიტრუვიუსის იმედები სიკვილისშემდგომი დიდების შესახებ. პლინიუს უფროსმა და ფრონტინუსმა გამოიყენეს მასალები მისი ნაშრომისაგან. დოუგაში, კაპიტოლიუმი და ბუსოლი

ააგეს მისი დოქტრინების მიხედვით (შესაძლოა, მე–3 საუკუნე). მ. კეტიუს ფავენტინუსმა გამოიყენა ვიტრივიუსის ნაწარმოებიდან ექსტრატი, რომელიც შემდეგ გვხვდება პალადიუსთან (მე–5 საუკუნე). სიდონიუს აპოლონარისმა (მე–5 საუკუნე) განადიდა ვიტრუვიუსი არქიტექტურის ვითომ მითიური ასპექტით *წარმოსახვისათვის: Tenere...cum Orpheo plectrum, cum Aesculapio baculum, cum Archimede radium, cum Euphrate horoscopum, cum Perdice circinum, cum Vitruvio perpendiculum* (epist. 4. 3. 5Mohr).

ბიზანტიელები მის მითითებებს იყენებდნენ ქრისტიანული ბაზილიკის მშენებლობისას (5. 1. 6–10). მე–6 საუკუნეში მისი ე.წ. ქარების თეორია ლექსად გადააკეთეს, ასევე მოიქცა მოგვიანებით წმ. ტრონდის თეოდორიკი (დაახლ. 1100).

ვიტრივიუსის შრომებს იცნობდნენ: კასიოდორუსი, ბენედიქტე, ისიდორე სევილიელი (d. 636), ალკუინი (d. 804), ეინჰარტი (d. 840), ცეცე (d. 1180). მე–12 საუკუნიდან მოყოლებული, ვიტრივიუსის ციტირებას ახდენს პეტრუს დიაკონუსი. 70–ზე მეტი ხელნაწერით მტკიცდება მისი პოპულარობა შუა საუკუნეებში. ვიტრივიუსის მნიშვნელობა გაიზარდა პოგიოს მიერ ჰარლეიანუს 2767 –ის წმ. გალთან, 1415 წელს აღმოჩენის შემდეგ.

რენესანსიდან მოყოლებული, ვიტრივიუსს ხშირად მიმართავდნენ სხვადასხვა ავტორები სხვადასხვა მიზნებისათვის. მაგალითად, ფილიპო ვილიანი (დაახლ. 1405 წ.) მის ავტორიტეტს, ვაროსთან ერთად, იყენებდა იმისათვის, რომ ზოგადი განათლების აუცილებლობა ეჩვენებინა. ბევრმა არქიტექტორმა იპოვა მის *De architectura–ში* არქიტექტურის იდეალური სტილი. განსაკუთრებით პოპულარული იყო პროპორციების შესახებ მისი დოქტრინა. ვიტრივიუსს ხშირად მიმართავდა არქიტექტურის დიდი თეოროტიკოსი ლ. ბ. ალბერტი (1472 წ.). მისი აზრით, განსაკუთრებით საინტერესო იყო ვიტრივიუსის პარალელები მუსიკალურ და არქიტექტურულ ჰარმონიებს შორის.

პირველი ბეჭდური გამოცემა გამოჩნდა, სავარაუდოდ, 1487

წელს. სხვადასხვა სკოლის ოსტატები სწავლობდნენ ვიტრუვიუსის შემოქმედებას. მათ შორის იყვნენ: ბრამანტე (1514), ლეონარდო (1519), მიქელანჯელო (1564), ვიგნოლა (1573), პალადიო (1580), ალბრეხტ დიურერი (1528).

ნაწარმოები ითარგმნა მრავალ ენაზე. მე–16 საუკუნეში იგი ითარგმნა იტალიურად, ფრანგულად, და გერმანულად.

ლუის მე–14–ს დროს დიდი იყო ვიტრუვიუსის ზეგავლენა. დაარსდა მისი სახელობის არქიტექტურის აკადემია. ვიტრივიუსის პოპულარობა დაასამარა ვინკელმანმა, რომელმაც გააკრიტიკა ვიტრივიუსი, უწოდა რა მას „მჯღაბნელი და მწერლუკა". ცივილიზებული ევროპა ვიტრივიუსს არ აღიარებდა. იტალიაში ვიზიტისას გოეთემ წაიკითხა ვიტრუვიუსი, უფრო წუხილის განსაქარვებლად, ვიდრე ინსტრუქციებისათვის. დღეისათვის გარკვეული მზადყოფნა შეიძლება იყოს, რათა კვლავ დაუბრუნდნენ მწერალს, რომელიც არქიტექტურაში მუსიკას უსმენდა და ადამიანებში ზრდიდა გემოვნებასა და ადამიანურობას.

სოფლის მეურნეობა

ლ. იუნიუს მოდერატუს კოლუმელა (L. Junius Moderatus Columella), გადესიდან, სენეკას თანამედროვე იყო. იგი იტალიაში დიდ საკუთრებას ფლობდა.

მისი სასოფლო–სამეურნეო ხასიათის ნაწარმოები შედგება 12 წიგნისაგან:

პირველი წიგნი ეხება ზოგად შენიშვნებს, მე- 2 - სოფლის მეურნეობას, მე- 3–5 - მევენახეობასა და ხეების დარგვას, მე-6–9 - ცხოველთა მოშენებას - მე-10 - მებაღეობას. ნაშრომი ჰექზამეტრითაა გამართული. მას დასკვნის სახით ახლავს პროზაული ტრაქტატი მებაღეობაზე, vilicus-ისა (11) და vili ca–ს (12) მოვალეობებზე.

მეორე წიგნის შემდეგ მოდის *Liber de arboribus*, რომელიც შეც-

დომითაა აქ შეტანილი. იგი შეიძლება იყოს ჩვენი ავტორის სხვა ნაშრომის მეორე ნაწილი, რომელიც, შესაძლოა, უფრო ადრეც კი დაიწერა.

კოლუმელა თავად ასახელებს თავის წინამორბედებს. ესენი არიან: კატო, ვარო, ვერგილიუსი. ბოლო ორ წიგნში ის აგრეთვე ახსენებს ქსენოფონის *Oeconomicus*-ის ციცერონისეულ თარგმანს. მისი მთავარი წყარო არის კელსუსის ენციკლოპედია. ამავე დროს, იგი ეყრდნობა თავის საკუთარ გამოცდილებას. ამ გარემოებას იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს. მისი ენა და სტილი გულმოდგინედ დამუშავებული, სრულყოფილი და რაფინირებულია; სიზუსტე და გარკვეულობა დომინირებს ძირითად ნაწილებში, მჭევრმეტყველება – შესავლებში. კატო უფროსის მსგავსად, კოლუმელა ღრმად არის დარწმუნებული სოფლის მეურნეობის მორალურ ფასეულობებში, მაგრამ მას ისიც კარგად ესმის, რომ ამ ტიპის აზროვნება მეტად აღარ ფუნქციონირებს, აღარ არის თანამედროვე და მოდური.

გეოგრაფია

ცნობილია, რომ პლინიუსი იყენებდა აგრიპას რუკისაგან იმ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებული იყო მანძილთან, მაგრამ საერთოდ რჩებოდა periplus-ის ძველი მოდელის ერთგული. მიუხედავად თავისი საკუთარი გამოცდილებისა, მაგალითად, გერმანიაში, იგი მაინც თავის ელინისტურ მოდელს იყო ჩაბღაუჭებული. პომპონიუს მელას *De chorographia* პირველი ნაშრომია გეოგრაფიაში ლათინურ ენაზე, რომელიც დაიწერა კლავდიუსის დროს. პროემიუმისა და ზოგად გეოგრაფიული შესავლის შემდეგ, ნაშრომი შეიცავს პერიეგეტიკულ მიმოხილვას, რომელიც ხშირად ჰგავს periplus–ს. დასავლეთისა და ჩრდილოეთისათვის გამოყენებული წყაროები უფრო გვიანდელია, ვიდრე აღმოსავლეთისათვის გამოყენებული. მელა აცოცხლებს თავის ნაშრომს მითოლოგიის, ისტორიის, ეთნოგრაფი-

ის და ბუნების ისტორიის ელემენტებით (გადახვევებით) და რთავს მას ბერძნული და რომაული ლიტერატურის საგანძურებით. მისი სტილი რიტორიკულია და მოიცავს რითმულ კლაუზულებს. მელას ნაშრომი, შესაძლოა, წაიკითხა პლინიუს უფროსმა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მის ნაშრომს იცნობდნენ სოლინუსი, აინჰარტი, ჰაირიკ აუქსერელი (4929) და ბოკაჩო. პეტრარკამ ხელი შეუწყო მის გავრცელებას რენესანსის დროს.

ფილოლოგია

ფილოლოგიამ რომში შეიძინა ახალი ბიძგი და მამოძრავებელი ძალა.

ქ. ასკონიუს პედიანუსი (Q. Asconius Pedianus) (დაახლოებით ძვ. წ. 9–ა.წ. 76 წ.). ჩვენამდე მოვიდა მისი 5 კომენტარი ციცერონის სიტყვაზე. ისინი დიდ სამსახურს უწევს მეცნიერებს ციცერონის ტექსტების აღდგენის საქმეში, რადგანაც ფაქტების წარმოდგენისას ამ კომენტარების ავტორი ეყრდნობა საიმედო წყაროებს (მაგალითად, როგორიცაა *Acta populi Romani*); ამდენად, მისი ნაწერები ძვირფასი ისტორიული მტკიცებულებებია. ის ფაქტი, რომ ასკონიუსმა დაწერა თავისი კომენტარები, როგორც დიდიმუსის კომენტარების თანმხლები, დემოსთენეზე, იმას მოწმობს, რომ გაიზარდა რომაული ლიტერატურის და ლიტერატურული კრიტიკის თვითრწმენა.

მ. ვალერიუს პრობუსი (M. Valerius Probus) იყო ბერიტუსიდან (ბეირუთი). იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პირველი საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც პროფესიონალი ჯარისკაცი, იგი ტყუილუბრალოდ ცდილობდა დაეკავებინა სახელმწიფო მოხელის თანამდებობა. მან ლიტერატურას დაუკავშირა საბოლოოდ და მთლიანად თავისი ცხოვრება შუა ხნის, საკმაოდ შეძლებული მამაკაცი როცა იყო და კარგი რეპუტაციაც მოიპოვა.

სკოლა, რომელშიც იგი დადიოდა, მოძველებულ პროგრამებს იყენებდა. თუმცა, მან რომში ჩაიტანა რესპუბლიკის ეპოქის ავტორების (რომლებიც იმ დროისათვის უკვე დავიწყებას იყვნენ მიცემული) საფუძვლიანი ცოდნა. ამით პრობუსმა საფუძველი მოამზადა მე–2 საუკუნის არქაისტებისთვის.

პრობუსს ბევრი რამ არ გამოუქვეყნებია. მისი მონოგრაფიები დეტალების შესახებ, უმეტესწილად, დაკარგულია. რესპუბლიკის პერიოდის ავტორთა (ტერენციუსის, ლუკრეციუსის, ჰორაციუსის, ვერგილიუსის, და შესაძლოა, პლავტუსისა და სალუსტიუსის) კომენტარები დაფუძნებული იყო მის საკუთარ შედარება–შეჯერებებზე და შეიცავდა მისსავე კრიტიკულ–ეგზეგეტიკურ მოსაზრებებს. ჩვენ მაინც აქ არ ვისაუბრებდით კრიტიკაზე, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ფაქტია, რომ მან ზეგავლენა მოახდინა ვერგიულისისა და ტერენციუსის სქოლიოებზე, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მას ეკუთვნოდეს კომენტარები კლასიკური ავტორების შემოქმედებაზე. უამრავი შრომა ვალერიუს პრობუსს ტყუილად მიეწერა, რაც, თავის მხრივ, მოწმობს ამ ავტორის სახელგანთქმულობას გვიან ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში.

რიტორიკა

რუტილიუს ლუპუსი (Rutilius Lupus) იყო იმ ავტორთა შორის, რომელსაც ხშირად იყენებდა კვინტილიანუსი. მან ლათინურად გადმოიტანა ციცერონის მასწავლებლის, გორგიასის (I ს. ახ.წ.) შრომა რიტორთა შესახებ. მისი თარგმანები ატიკ ორატორთა შესახებ მოგვითხრობს. სამწუხაროდ, მის თარგმანებს აკლიათ ტერმინოლოგიური სიზუსტე.

ს. იულიუს ფრონტინუსი (S. Julius Frontinus) იყო praetor urbanus ახ.წ. 70 წელს და მესამედ გახდა კონსული 100 წელს. მისი ავტორობით ჩვენთვის სამი ნაშრომია ცნობილი: წიგნი ომის ხელოვნების შესახებ შეიცავს 3 თავს სამხედრო მოხერხებულობაზე (Strategamata) იგი ისტორიიაზე დაყრდნობითაა შექმნილი და დაჯგუფებულია მათი გამოყენების მიხედვით: ბრძოლამდე, ბრძოლის დროს და ბრძოლის შემდეგ). მეოთხე თავში აღწერილია სტრატეგიები (strategica), რომლებიც დაჯგუფებულია ღირსებების მიხედვით (disciplina, continentia, iustitia, constantia). ყველა ესენი გაერთიანებულია სახელწოდებით Exempla. მისი ადრე დაწერილი სახელმძღვანელო *De re military* დაკარგულია (Frontin. Strat.1 praef.; Veg. Mil. 1.8; 2.3.).

ფრონტინუსი ყველაზე ადრეულია ჩვენთვის ცნობილ რომაელ ავტორთა შორის ტოპოგრაფიული აგეგმვის შესახებ ნაწარმოებით. შემორჩენილია ნაწყვეტები მისი ტრაქტატიდან, რომელიც დომიციანეს დროს უნდა იყოს დაწერილი.

ტრაიანეს დროს სხვა ავტორებმაც შექმნეს ნაწარმოებები ტოპოგრაფიული აგეგმვის შესახებ. ესენი იყვნენ: ჰიგინუსი, ბალბუსი, სიკილუს ფლაკუსი, მ. იუნიუს ნიპსუსი და სხვები.

სილიუს იტალიკუსი (Silius Italikus)

ტიბერიუს კატიუს სილიუს იტალიკუსი (Silius Italikus) არის იტალიკუსის სრული სახელი, რომელიც ნაპოვნი იქნა აფროდისიასში 1934 წელს აღმოჩენილ წარწერაზე. იგი კეთილშობილი წარმომობისა იყო, ჩრდილოეთ იტალიიდან. დაბადებული უნდა ყოფილიყო 23–35 წლებში. 68 წელს გახდა კონსული ნერონის დროს და როგორც ჩანს, ასრულებდა მბრალდებლის როლს. ის მალე გახდა ვიტელიუსის მეგობარი და შესაძლოა, 77 წელს – აზიაში პროკონსული. შემდეგ მან მიატოვა პოლიტიკა და რიტორიკა და თავისი ცხოვრების ბოლო წლები გაატარა კამპანიაში, თავის ვილებში, რომლებიც ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებად ითვლებოდა, რადგან აგებული იყო დიდი ოსტატობით და გემოვნებით. მან მოიპოვა ავტორთა აღფრთოვანება იმით, რომ იყიდა სხვადასხვა ცნობილი ადამიანების ქონება. მაგალითად, ციცერონის ვილა, ვერგილიუსის საფლავი (Mart. 11. 48. 2). მან ასევე ვერგილიუსი მოხიბლა რელიგიური მოშიშეობით. როცა არ იყო ხანდაზმულ ასაკში დაკავებული თავისი ნაშრომით *Punica*, ესაუბრებოდა თავის მეგობრებს ფილოსოფიასა და ლიტერატურაზე. მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, საკმაოდ დიდხანს იცოცხლა და როცა განუკურნებელი სენი შეეყარა, მან, როგორც ნამდვილმა სტოიკოსმა, თავი მოიკლა (შესაძლოა, 101 წელს).

Punica შედგება 17 წიგნისაგან და აღწერს მეორე პუნიკურ ომს.

წიგნი პირველი. ომი იწყება იუნოს სიტყვებით, ჰანიბალის ბუნებისა და რომაელებისადმი სიძულვილის შესახებ (1–143). მთავარი მოქმედება იწყება ესპანეთში: ჰანიბალი თავს ესხმის საგუნტინელებს, რომლებიც შიკრიკებს აგზავნიან რომში და დახმარებას ითხოვენ. რომაელები, თავის მხრივ, ელჩობას უგზავნიან ჰანიბალს და იმ შემთხვევაში, თუ საგუნტუსში ბრძოლებს თავს არ დაანებებს,

ომის გამოცხადებით ემუქრებიან.

წიგნი მეორე. ჰანიბალმა რომაელთა ელჩობა უკან უარით გამოისტუმრა. ისინი წავიდნენ კართაგენში, სადაც ფაბიუსმა პუნიკელ სენატორთა წინაშე ომის დაწყება გამოაცხადა (270–390: აქ საინტერესოა ორატორული დუელი ჰანოსა და გესტარს შორის).

წიგნი მესამე. ნაშრომის ეს ნაწილი ეძღვნება კართაგენელთა და მათი მოკავშირეების ჯარების აღწერას (კატალოგი 222–414); ამის შემდეგ საუბარია რომაელთა მტრის რაოდენობაზე, რომლის შემდეგ სილიუსი დაუყონებლივ გვიჩვენებს პუნიკური საფრთხის საშიშროებას: ჰანიბალმა წარმატებებს მიაღწია –პირინეი და ალპები გადალახა. ვენუსის თხოვნით, იუპიტერი ამჟღავნებს თავის ნამდვილ მიზანს: *hac ego Martis/ mole viros spectare paro atque expendere bello ამ დიდი კონფლიქტით მსურს გამოვცადო მათი ვაჟკაცობა და ომში გაწაფულობა* (573–574).

წიგნები მეოთხე–მეხუთე. მოთხრობილია რომაელთა სამი დამარცხების (ტიკინუსთან, ტრებიასთან და ტრასიმენეს ტბასთან) შესახებ.

წიგნები მეექვსე და მეშვიდე. გარდატეხა ხდება ომის მსვლელობაში რომაელთა სასარგებლოდ, ფაბიუსის სწორი სტრატეგიის წყალობით.

წიგნები მერვე, მეცხრე, მეათე. რომაელები კვლავ მარცხდებიან კანესთან (609–640).

წიგნი მეთერთმეტე. ჰანიბალი შეიჭრება თავის საყვარელ კაპუაში. ვენუსი მას უგზავნის კუპიდონს, რათა თავს დაესხას კართაგენს.

წიგნი მეთორმეტე. მოთხრობილია რომაელთა პირველი დიდი წარმატების შესახებ. ნოლა მარკელუსთან ბრძოლაში ჰანიბალი მარცხდება, მაგრამ იგი ცდილობს რომში შეჭრას.

წიგნი მეცამეტე. გრძელდება ომის ბედის რომაელთა სასარგებლოდ შემობრუნება. ისე, რომ მიზანს ვერ მიაღწია, ჰანიბალი ტოვებს რომის მიმდებარე ტერიტორიას. იგი კარგავს კაპუასაც. მეორეს

მხრივ, ესპანეთში ორი სციპიონი შეიჭრება.

წიგნები მეთოთხმეტე–მეჩვიდმეტე. ეს წიგნები ეძღვნება რომაელთა 4 არნახულ წარმატებას და ამით ქარწყლდება ჰანიბალის 4 დიდი წარმატება, რომელზეც ავტორი მოგვითხრობა ნაშრომის საწყის თავებში (4). სანამ მარსელუსი იბრძვის სირაკუზაში (წიგნი 14), ახალგაზრდა სციპიონი წარმატებებს აღწევს ესპანეთში (წიგნი15); სულის მოთქმის შემდეგ (წიგნი16. სამხედროიარო თამაშებით), რომაელები საბოლოოდ იმარჯვებენ ზამასთან და სციპიონის ტრიუმფი კულმინაციას აღწევს.

სილიუსის მთავარი წყარო არის ლივიუსი, მაგრამ სხვა ავტორების ზეგავლენაც აშკარად იგრძნობა. მართალია, *Punica* ხშირად მისდევს ლივიუსის შრომებს, მაგრამ ეს მაინც სხვაა. ეს არ არის ლივიუსი, ლექსად გადაწყობილი. სილიუსი ფაქტებსა და მოვლენებს სხვა შეფასებას აძლევს. მაგალითად, თუ ლივიუსს მოსწონს სციპიონის ღვთისმოსაობა, სილიუსი არ თვლის ამას ჰკვიანურ პოლიტიკურ მოქმედებად.

სილიუსზე იგრძნობა შემდეგი ავტორების ზეგავლენა: ვერგილიუსის (8. 593–594), ენიუსის (12. 387–419), ჰომეროსის (13. 778–797). ჰომეროსის იმიტაცია ყველაგან შეიძლება დავიძიოთ. ლივიუსმა ის სცენებიც კი გააცოცხლა „ილიადიდან", რომელიც ვერგილიუსმა გამოტოვა (3. 61–157); 20,5). აშკარაა აქილევსსა და სციპიონს შორის, დასაკრძალი თამაშების სცენებს შორის პარალელები. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ჰომეროსის სცენებს იყენებს, ხშირად მისი მიმართება ამ ნაწარმოებისადმი ვერგილიუსისეულ („ენეიდა") პრიზმაშია გარდატეხილი. მაგალითად, ეს კარგად ჩანს პასაჟში *Nekyia*, რომელშიც ჰომეროსისა და ვერგილიუსის ელემენტებია კომბინირებული.

გარდა ამისა, იგრძნობა ელინისტური ეპოქის მწერალთა ზეგავლენა. ძნელი სათქმელია, სილიუსმა გამოიყენა თუ არა ენიუსი, რომელიც იმავე თემას ეხება, რასაც სილიუსის *Punica*, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მას შეეძლო ამ ავტორის შესასწავლად მიემართა ციცე-

რონისა და ვერგილიუსის კომენტარებისთვის.

სამაგიეროდ, აშკარაა ნაწარმოების სტრუქტურაზე ვერგილიუსის პოემის ზეგავლენა. ამის დასტურია: პროემი, იუნოს სიტყვა პირველ წიგნში, დიალოგი იუპიტერსა და იუნოს შორის, რომელიც ომის დასასრულს ამზადებს ბოლო წიგნში (17.341–384). ჰანიბალი აშკარად ტურნუსს ემსგავსება და სხვა.

სილიუსი არ მიმართავს მითოლოგიურ მოვლენებს, ენიუსის მსგავსად, მაგრამ ცდილობს ეს მოვლენები გარკვეულ ბექგრაუნდად გამოიყენოს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სილიუსის *Punica* ვერგილიუსის „ენეიდას" გაგრძელებაა სუფთა ისტორიულ ასპექტში. ამის გამო უკვე „იმიტაცია" აუცილებელი ხდება.

გარკვეული როლი უნდა მივაკუთვნოთ ლუკანუსსაც. სილიუსისათვის ჰომეროსი მისაბაძი იყო, როგორც „კოსმიური პოეზიის" შემქმნელი (13. 788). ამიტომ იგი ცდილობს ამ ასპექტშიც მას დაემსგავსოს და ნაწარმოებში შემოაქვს გეოგრაფიული ელემენტები ლუკანუსის სტილში. ასე რომ, *Punica*–ს შეიძლება ვუწოდოთ cum grano salis - პროექტი, რომელიც აერთიანებს ვერგილიუსის ხარისხს, ენიუსის თემას ლუკანუსის სტილში, სილიუსის ნიჭით ხორცშესხმულს.

მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ სილიუსის ნაწარმოები საკმაოდ ორიგინალურადაა აგებულ 3 ჰეგზადად: პირველში ჰანიბალი დომინირებს, მეორეში – ფაბიუსი და პაულუსი, მესამეში – მარცელუსი და სციპიონი.

სილიუსის თხრობის მანერა არ ჰგავს ვერგილიუსისას. ენიუსის მსგავსად, იგი ირჩევს ერთ ელემენტს და მრავალ გმირს. მისი სტოიკური მიდგომა ჰგავს ლუკანუსისას; ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა ახალი, პირველი საუკუნის გემოვნება. სტრუქტურა ისეა წარმოდგენილი, რომ ავტორს შეუძლია მასში მორალური საკითხების ჩართვაც. ასე მივიღეთ ამბავი ამბავში, თხრობა – თხრობაში. მაგალითად, ტრასიმენესის ტბასთან დამარცხების შემდეგ სერანუსს ამხნევებენ მამის, რეგულუსის ამბით (6.117–551); კანეს ბრძოლების შემდეგ

კლელიას მონათხრობი რომაელებს სძენს საოცარ თვისებას ჰანიბალის თვალში (10. 449–502).

სილიუსის თხრობის მანერა უფრო სტატიკურია, ვიდრე დინამიკური. იგი უფრო დიდი ოსტატობით ქმნის მინიატურულ პორტრეტებს, „აუჩქარებელ" სცენებს და მიუხედავად ბატალური ბრძოლებისა, ნაწარმოები მთლიანობაში საოცარი სიმშვიდის განცდას ტოვებს. ინდივიდუალურ სცენებს აქვთ დაბალანსებული სტრუქტურა.

Punica–ს ყველაზე ძველი ხელნაწერი განეკუთვნება წმ. გალისას. ფლორენტინელი ჰუმანისტი პოგიო აღმოაჩენს მას 1416 ან 1417 წელს. და მაინც, შედარებით უკეთესად ტექსტი იკითხება მე–15 საუკუნის ხელნაწერში, რომელსაც თან სილიუსის ბიოგრაფია ახლავს (Laurentianus, Aed.196,F). ტექსტში ბევრი შესწორება შეიტანეს ჰუმანისტებმა (პეტრუს ოდუსი, დომიტიუს კალდერინუსი, პომპონიუს ლეტუსი, ბართოლემეოს ფონტიუსი, პეტრუს მარსუსი).

ანტიკურ ეპოქაში მხოლოდ პლინიუსმა, მარციალისმა და სიდონიუსმა მოიხსენიეს სილიუსის სახელი. მაინც ჩანს, რომ შუა საუკუნეებში კარგად იცოდნენ მისი სახელი და მისი *Punica*, რადგან, გარკვეულ პარალელებს ავლებენ სილიუსსა და ვალთარიუსს შორის. მისი ხელახალი აღმოჩენის შემდეგ სილიუსს შედარებით მეტი მკითხველი და იმიტატორი გამოუჩნდა, განსაკუთრებით, ინგლისში. მოგვიანებით, იულიუს კეისრის სკალიგერის (1558) და მისი მიმდევრების მძაფრი კრიტიკა საკმაოდ ავნებს ჩვენი პოეტის რეპუტაციას. გერმანელმა პოეტმა ლუდვიგ უჰლანდმა (1862) სილიუსის ზეგავლენით დაწერა „ სციპიონის არჩევანი". იგივე სცენაა გამოსახული რაფაელის ერთ–ერთ ცნობილ სურათზეც.

მანილიუსი (Manilius)

ხელნაწერები შეიცავენ ინფორმაციას დიდაქტიკური პოემის შესახებ, სახელწოდებით, *Astronomica,* რომლის ავტორია ვინმე მ. მანილიუსი, ან მანლიუსი.

შესაძლოა, მანილიუსი დაიბადა გემინის მხარეს, რომელიც, მისივე თქმით, იყო პოეტთა და ასტროლოგთა მხარე (4. 152–159). პირველი წიგნი, უდავოდ, დაიწერებოდა ვარუსის დამარცხების შემდეგ (ძვ. წ. 9; 1. 898–903). კეისრის ხსენება, ნაწილობრივ, მიმართულია ავგუსტუსისაკენ (2. 509), ნაწილობრივ – ტებირიუსისაკენ (4. 764). ამ უკანასკნელი იმპერატორის განსაკუთრებულ ინტერესს ასტროლოგიაში მივყავართ იქითკენ, რომ შესაძლოა, სწორედ ის იყო მანილიუსის ადრესატი თავიდანვე, მაგრამ ტიბერიუსი ოფიციალურად არასოდეს გამოიყენებდა ტიტულს pater patriae (1. 7. და 1. 925). გარდა ამისა, ავგუსტუსის გიგანტური მზის საათი მიგვანიშნებს იმაზე, რომ არც ის უნდა ყოფილიყო გულგრილი ასტროლოგიის მიმართ. ყველა შემთხვევაში, პირველი და მეორე წიგნი უნდა დაწერილიყო ავგუსტუსის დროს, ხოლო მეოთხე წიგნი – ტიბერიუსის დროს.

პირველი წიგნი გვაწვდის ინფორმაციას ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროს შესახებ, წარმოგვიდგენს პლანეტებს და კომეტებს.

მეორე წიგნი ეხება ზოდიაქოს ნიშნებს და მათ მიმართებას ღმერთებთან და ადამიანის სხეულის გარკვეულ ნაწილებთან. თითოეული ნიშანი, თავის მხრივ, იყოფა 12 ნაწილად (dodecatemoria). შემდეგ მანილიუსი მსჯელობს loca–ს (სახლების) შესახებ.

მესამე წიგნი ავლენს 12 „ნაწილს"(athla, sortes, „ადამიანის ცხოვრების განყოფილებებს), გვასწავლის, როგორ განვსაზღვროთ ჰოროსკოპი, და თვლის, რომ ზეციური ზეგავლენები მართავენ ადა-

მიანის ცხოვრებას (chronocrators) და წელიწადის დროებს.

მეოთხე წიგნი გვიხსნის ადამიანზე ზოდიაქოს ნიშნების ზეგავლენას. თითოეული ნიშანი დაყოფილია სამ ნაწილად, რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრული იყო სხვადასხვა ზოდიაქოს ნიშნებით. შემდეგ მანილიუსი გვაცნობს ეკლიპტიკის „მავნე" სახეებს (partes damnandae). სამყაროს ასტროლოგიური აღწერა და ადამიანის წარმოსახვა მიკროკოსმოსის ნაწილად მის რელაქსაციას უწყობდა ხელს.

მეხუთე წიგნი ეძღვნება paranatellonta–ს. მანილიუსი მსჯელობს ზოდიაქალური სარტყლის გარეთა თანავარსკვლავედებზე და მათ გავლენებზე ადამიანზე. ისინი დალაგებული არიან ამოსვლის მიხედვით. მისი მოძღვრება მოიცავს აგრეთვე იმ თანავარსკვლავედებს, რომლებიც არ ხვდებიან ჩვენს თვალთახედვაში. დასასრულს, იგი ახდენს ვარსკვლავთა კლასიფიკაციას მათი მაგნიტუდისა და სიკაშკაშის მიხედვით.

ნამრომის დასაწყისში მანილიუსი გვპირდება, რომ შეეხებოდა პლანეტებს, თანავარსკვლავედთა გარემოცვასა და განლაგებას და კიდევ რამდენიმე საკითხს, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერში ეს პრობლემები არ არის მიმოხილული. როგორც ჩანს, ეს ნაწილი დაიკარგა, ან უბრალოდ, ნაშრომზე მუშაობისას მკვეთრად შეიცვალა ავტორის გეგმები.

დიდი ხნის განმავლობაში მანილიუსი ითვლებოდა ასტროლოგიაში ყველაზე ადრეულ ავტორად კლასიკური ანტიკურობიდან; დღეისათვის უფრო ძველი წყაროებიცაა ცნობილი. თავად მანილიუსი ახდენს მერკურიუსის ციტირებას, როგორც ასტროლოგიაში მისი ავტორიტეტისას, რომელმაც ასტროლოგიური საკითხები პოეზიად გააწყო. იგრძნობა ეგვიპტური ნაწარმოების, რომელიც მან ბერძნულად წაიკითხა, ზეგავლენებიც და ხშირად წუწუნებს თარგმანის სიძნელეების გამო. ჩანს სტოელ ფილოსოფოსთა გავლენაც.

ვფიქრობ, მანილიუსს არ უნდა სცოდნოდა ნიგიდიუს ფიგულუსის *Sphaera Graecanica et barbarica,* არც ვარონის *Disciplinae*–ს მე–

6 წიგნი, მაგრამ უნდა გამოეყენებია არატუსის (ძვ.წ. მე–3 საუკუნის პირველი ნახევარი) *Phaenomena*. მანილიუსი არ იცნობს ამ ნაშრომის ციცერონისეულ თარგმანს და არც გერმანიკუსს იცნობს. ის ამტკიცებს, რომ პირველი დიდაქტიკოსი პოეტია (რომაელი).

Astronomica არ განეკუთვნება დიდაქტიკური პოეზიის ე.წ. „ფაქტობრივ" ტიპს. ვერგილიუსის „გეორგიკა" (1. 24–42), შესაძლოა, მანილიუსის პოემის პროტოტიპი იყო (1. 7–10). ვერგილიუსისს მსგავსად, მანილიუსი ამდიდრებს თავის ნაშრომს პოლიტიკური და ზოგადადამიანური საკითხებით, რითაც აძლევს წიგნს მეტ მნიშვნელობას, სიღრმეს და რეზონანსს. ვერგილიუსის *გეორგიკას* გამოძახილი უნდა ვეძებოთ განსაკუთრებით წიგნის დასასრულსა და დასაწყისში. წიგნის სახელწოდებაც *Astronomicon* ისე არის აგებული, როგორც *Georgicon*, ბერძნული ენის ნათესაობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის გენეტივუსის მიხედვით. როგორც ვერგილიუსთან და არატუსთან, მანილიუსის ბოლო წიგნიც შეიცავს მითოლოგიური თხრობის ჩანართს (5. 538–618). კოსმიური სულის დოქტრინა (1. 247–254) და გმირთა პანორამა (1. 750–804) „ენეიდას" შესაბამის მომენტებს ძალიან ჰგავს.

სტილითა და დროით მანილიუსი ჰგავს ოვიდიუსს. მისი მესამე წიგნის დასაწყისში ის ბაძავს „მეტემორფოზების" პროემს, ხოლო ანდრომედას ამბავში მეტოქეობას უწევს ოვიდიუსს (5. 540–618) კონტრასტული ორეულის შექმნით. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ მისი რამდენიმე განცხადება კოსმოლოგიურ და ანთროპოლოგიურ თემებზე ოვიდიუსისას ეხმიანება (1. 18–214; 4. 866–935). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მანილიუსისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საზომი არის სივრცე, ხოლო ოვიდიუსისათვის – დრო. მაგრამ მანილიუსი მიიჩნევს ვარსკვლავთა მოძრაობას ადამიანთა ცხოვრების „საათად" (3.510–559). და მაინც, ვერ დავაშორიშორებთ მანილიუსის დროსა და სივრცეს ერთმანეთს. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ სამყაროში მუდმივი მოძრაობის და წელიწადის დროთა თანმიმდევრობის მისეული მონახაზი (4. 818–865) ძალიან მოგვაგო-

ნებს ოვიდიუსისას (met.15.176-478).

როგორც მოსალოდნელია დიდაქტიკური ხასიათის პოემისათვის, წიგნები გვეცნობა ხანგრძლივი და სოფისტიკური პროემებით (მხოლოდ მეხუთე წიგნის შესავალია შედარებით მოკლე). შესავლები უხვად შეიცავენ ფილოსოფიურ იდეებს და ლიტერატურულ კრიტიკას.

დიდაქტიკური პოემების გამოყენების შესაბამისად, წიგნების დასასრულს (მეორე წიგნის გარდა), ჭარბობს ტექნიკური საკითხები. მაგალითად, პირველი წიგნი მთავრდება კომეტებზე მსჯელობით, რომელიც, თავის მხრივ, საბაბია იმისათვის, რომ ავტორმა ილაპარაკოს ეპიდემიაზე, ომზე, ვარუსის კატასტროფაზე, სამოქალაქო ომებზე და მსოფლიო მშვიდობაზე. მესამე წიგნი აღწერს წელიწადის 4 დროის მიმზიდველობას და სრულდება საუბრით ზოდიაქოს ნიშნებზე, რომლებიც იწვევენ მათ ცვლილებებს. მე–5 წიგნში ავტორი საუბრობს ვარსკვლავთა მაგნიტუდაზე და ბოლოს მას ადარებს ადამიანთა საზოგადოების იერარქიულ წყობას. ამგვარად, მანილიუსის წიგნების ყველა დასასრული ერთი დასკვნისაკენ არის მიმართული: მოახდინოს მაკრო და მიკრო კოსმოსს შორის კავშირის ილუსტრირება.

ნაშრომში იგრძნობა ლუკრეციუსის, ვერგილიუსის და ოვიდიუსის ზეგავლენა, მაგრამ ამავე დროს, მის მორალურ და ფილოსოფიურ აზროვნებაში სატირის დიდი დოზაა. აქ იუვენალისის აშკარა მიბაძვაა. ასე რომ, მანილიუსის დიდი დამსახურებაა ამ ორი ჟანრის – ეპოსისა და სატირის შერყმა, ხოლო მისი *Astronomica* მათ შორის (ეპოსსა და სატირას) ჯერ კიდევ აუღიარებელი და შეუფასებელი რგოლია.

ნაწარმოებში ბევრია ჩანართი, რომლებიც, ნაწილობრივ, პუნქტის მესიჯია მკითხველისადმი (მაგალითად, 1. 474–531 ღმერთის არსებობას ამტკიცებს), ნაწილობრივ მის მეთოდს ხსნის, ნაწილობრივ კი მათ „შესვენების" ფუნქცია აქვთ და ყველა მათგანს ერთი დანიშნულება აქვს – მიიქციოს მკითხველის ყურადღება. ზოგი

მათგანი ხიდია ავტორსა და მკითხველს შორის. მაგალითად, ასეთია გმირთა კატალოგი, რომელიც ჩართულია პროემის ისტორიულ გადახვევაში (4. 23–68). ასეთივე ფუნქციები აქვს რუკას, რომელიც პრელუდიაა მანილიუსის ასტროლოგიურ გეოგრაფიაში, მითს პერსევსისა და ანდრომედას შესახებ (5. 538–618), რომელშიც კომბინირებულია ეპოსისა და ელეგიის ელემენტები.

დიდაქტიკურ პოემაში შედარების ფუნქცია არის აჩვენოს ავტორის აზრები მსჯელობასა და კამათში. მანილიუსი, რომელსაც ნაკლებ უყვარს არგუმენტები, ვიდრე ლუკრეციუსს, უფრო ნაკლებ იყენებს შედარებებს. სამაგიეროდ, ის ახდენს მათ აკუმულირებას შესაბამის პასაჟებში, მაგალითად, როცა თავის მეთოდს გადმოგვცემს (2.751–787).

ნაშრომში ბევრი ფილოსოფიური აზრი და ლიტერატურული კრიტიკაა. ამასთანავე, მანილიუსის ნაშრომს ბევრი გმირი ჰყავს და პოეტი პორტრეტების ხატვის დიდოსტატად გვევლინება.

ენობრივი თვალსაზრისით შეიმჩნევა გარკვეული ხარვეზები, გამოყენებულია ბევრი ბერძნული კონსტრუქცია და მანილიუსი ხშირად წუწუნებს თარგმანის სიძნელეზე, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის საკმარისი ვამტკიცოთ, რომ იგი არ იყო რომაელი. იგი ხშირად იყენებს რიტორიკის ხერხებს, რათა ხაზი გაუსვას იმას, რასაც ამბობს და რისი მიტანაც მკითხველამდე სურს. მაგალითად, ხშირად იმეორებს მთავარ, ამოსავალ სიტყვებს. ხშირად იგი აზრს გამოთქვამს ძალზედ დაწურულად და რაციონალურად, ორიოდე სიტყვის გამოყენებით. ამის კლასიკური მაგალითია: ***ratio omnia vincit*** *„გონებით ყველაფერს გადალახავ“* (4. 932).

ეს ყველაფერი აძლევს მის წიგნს სიმსუბუქესა და სიცხადეს, მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ ზოგჯერ ნაშრომის კითხვა საკმაოდ მომაბეზრებელი და მოსაწყენი ხდება.

როგორც წესი, დიდაქტიკური ხასიათის ნაშრომებში ავტორის ენა და ლიტერატურა მისი მსახურები არიან, როგორც მისი აზრის და სათქმელის გამომხატველები. უნივერსალურის სიდიადეს არც

ჭირდება და არც ნებას დაგრთავს, რომ მშვენიერ ზმნათა სიუხვით მორთო მასზე სათქმელი (4.440). ბოლოსდაბოლოს, შესაბამისი და სწორი სიტყვა ყველაზე საუკეთესოა (3. 40–42). ყველა შემთხვევაში, სწავლება ვერ იქნება იმაზე მეტი ვიდრე გადაკრული სიტყვა: *ostendisse deum nimis est „ღვთის ჩვენება საკმარისზე მეტია "* (4. 439).

როგორც თავად მანილიუსი ამბობს, იგი, როგორც დიდაქტიკოსი პოეტი, ვალდებულია ორ ბატონს ემსახუროს: carmen–ს და res–ს (1. 22).

მანილიუსის დიდაქტიკურ მეთოდს შეიძლება, გარკვეული თვლსაზრისით, „მეცნიერული" ვუწოდოთ. იგი ჯერ მკითხველს აწვდის საბაზისო ელემენტებს, მოხაზავს კოორდინატებს და ბოლოს „თვალს სწრაფად გადაავლებს" მთელს ინფორმაციას. ეს თითქოს გარკვეულად აზრობრივი რუკაა, რომელშიც ფაქტები შემოტანილია საკმაო წარმატებით, მუდმივად მზარდი რაფინირებითა და დახვეწილობით. შედეგად, მკითხველი ავტორს მიჰყვება და ენდობა, მიუხედავად იმისა, რომ მანილიუსის კომპეტენცია ასტროლოგიაში საკმაოდ შეზღუდულია, ზოგჯერ, მისი წიგნების გამომცემლებთან შედარებითაც.

ჩვენი ტრადიცია მანილიუსის გამოცემებთან დაკავშირებით საკმაოდ ღარიბია. გ. პ. გულდი ასახელებს 6 codices primarii–სა და 26 codices secundarii–სს. ერთ–ერთი ყველაზე სამწუხარო შეცდომა, რომელიც ყველა ხელნაწერს აქვს ზოგადად, არის ის, რომ 5. 709–ის შემდეგ ხარვეზია. მისი სიდიდე და შინაარსი სადავოა.

მთელი ჩვენი ტრადიცია თვალს ადევნებს სპირენსისის დაკარგულ კოდექსს (მე–10 საუკუნე), რომელიც პოგიომ ჩაიტანა იტალიაში. შემდეგი ხელნაწერები პირდაპირი ასლია: Matrisensis (M. 31, Bibl. Nat. 3678, მე-15 საუკუნე) და Londiniesnis, რომელიც ახლახანს აღმოაჩინა მ. რიივმა (N; Bibl. Brit. ADD. 22 808; მე-15 საუკუნე).

უფრო ძველი ხელნაწერები ერთიდაიმავე არქეტიპიდან წარმოიშვა: Lipipsiensis (L.; bibl.Univ.1465, ადრე მე–11 საუკუნე), Gemblacensis (ახლა Bruxellensis, Bibl. Reg. 10 012, მე–11 საუკუნე),

Venetus (V; მე–11საუკუნე, რომელიც შესაძლოა დაიწვა 1687 წელს). ბენტლიმ ხელახლა წაიკითხა ეს ხელნაწერები იმ შედარებების გათვალისწინებით, რომლებიც გააკეთა ჯ. ფ. გრონოვიუსმა (1671 წ.); ესენი ხელახლა აღმოაჩინა მ. რიივმა ლაიდენში. ამ ჯგუფში მე–4. 10–313 ხაზები გადანაცვლებულია (3.399–ის შემდეგ) და ორი ხაზი (3. 188; 4. 731) და ორი ნახევარხაზი (5.12–13) გამოტოვებულია.

მანილიუსი არასდროს ფიქრობდა, რომ დიდი აუდიტორია ეყოლებოდა (2. 138). ანტიკურობაში იგი არასდროს აღუნიშნავთ სახელით, მაგრამ მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ მისი *Astronomica* იყო სახელმძღვანელო. მისი აქტიური მკითხველები იყვნენ გერმანიკუსი, ლუკანუსი და იუვენალისი. ბოლო ორი მათგანი მის დიდ დამსახურებად თვლიდა ეპოსისა და სატირის ჟანრთა ორიგინალურ შერწყმას და ახალი სიცოცხლის შთაბერვას. ორი მისი გამონათქვამი იქცა საოჯახო სიტყვებად: ***nascentes morimur*** (4. 16; CE 2, 1489 Bucheler) და ***fata regunt orbem*** (4.14;).

მე–4 საუკუნეში ფირმიკუს მატერნუსმა თავის მე–8 წიგნში მოახდინა პერიფრაზირება მანულიუსის სწავლებისა paranatellonta-ზე. შუა საუკუნეებში მას თითქმის არ იცნობენ.

პოგიომ ხელახლა აღმოაჩინა ჩვენი ავტორი 1417 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპელი მკითხველისათვის ასტრონომიის ძირითად წყაროდ რჩებოდნენ პტოლემაეუსი, ფირმიკუსი და არაბი ავტორები, რენესანსმა აღიარა მანილიუსის ზეგავლენა. ის იყო ლუკრეციუსის ალტერნატივა, რომელიც იმავე პერიოდში „აღმოაჩინეს“, მაგრამ რომლის ფილოსოფია იყო მათთვის საკმაოდ „საშიში“ მანილიუსის პოეზიას მაშინვე გამოუჩნდნენ მიმბაძველები ლ. ბონინკონტრისა და გ. პონტანოს სახით, რომლებიც მისი მონათესავე სულისკვეთებისა იყვნენ საგნებისადმი თავიანთი უნივერსალური მიდგომებით. დიდი მათემატიკოსი რეგიომონტანუსი იყო მანილიუსის პირველი გამომცემელი. შემდგომ მისი საქმე გააგრძელეს სახელგანთქმულმა ფილოლოგებმა, რომელთა შორის იყვნენ: სკალიგერი, ბენტლი, ჰაუსმანი. სკალიგერმა მანილიუსი ოვიდიუსს ამჯო-

ბინა, უწოდა რა მას: *Ovidio suavitate par, maiestate superior „ოვიდიუსზე მომხიბვლელი და მასზე ოსტატობით ამაღლებული“*. ვილამოვიცმა ხოტბა შეასხა მას, როგორც *„პოეტს და ბამდვილ პოეტს“*. 1784 წლის 2 სექტემბერს გოეთემ მანილიუსზე დაწერა: *Quis caelum possit nisi caeli munere nosse,/et reperire deum, nisi qui pars ipse deorum est? "ვის შეეძლო ზეცა ცოდნოდა ციურთა ნიჭით შენახული და აღმოჩინა ღმერთი შენახული იმის მიერ, ვინც იყოფს მისგან ღვთიურობას?"* (2. 115–16; Mount Brocken). დიდი პოლონელი მწერალი, მიცკევიჩი (1855) კარგად იცნობდა მანილიუსის შემოქმედებას. ფრანკლინის წარწერის ნახევარზე მეტი მანილიუსისაგან არის აღებული, მაგალითად, როგორიცაა: *eripuit caelo fulmen, mox sceptra tyrannis "მან წაიღო ზეციდან მბათობელი ელვა, და შემდეგ, სკიპტრა – ტირანებიდან"* (1. 104).

გერმანიკუსი (Germanicus)

გერმანიკუს იულიუს კეისარი დაიბადა ძვ. წ. ა. 15 წელს, 24 მაისს. მისი მშობლები იყვნენ ნერონი კლავდიუს დრუზუსი და ანტონია. ის იყო ტიბერიუსის ძმისშვილი, ხოლო ავგუსტუსი მას დიდ ბიძად ეკუთვნოდა. მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო მან აგნომენად გერმანიკუსი. ავგუსტუსის თხოვნით, ტიბერიუსმა იშვილა იგი და გერმანიკუსმა შეირთო ცოლად აგრიპინა, ავგუსტუსის შვილიშვილი. გერმანიკუსმა ჩაახშო აჯანყება პანონიაში(ძვ. წ. 7–8 წლებში). იგი მონაწილეობდა დალმატიას ლაშქრობაში (ძვ. წ. 9 წელი) და დიდი ტრიუმფით დააგვირგვინა თავისი წარმატებები გერმანიაში (ძვ. წ. 17 წელი). ის იყო კონსული (ძვ. წ. 12 წლამდე). ცოტა ხანი რომში დაჰყო და შემდეგ უბრძანეს, გადასულიყო აღმოსავლეთით. იგი გარდაიცვალა ძვ. წ. 19 წელს, 10 ოქტომბერს, ანტიოქიში, ბურუსით მოცულ გარემოებაში.

შესაძლოა, გერმანიკუსი იყო ყველაზე საუკეთესო და პოპულარული შთამომავალი იულიუს–კლავდიანუსების ოჯახში. იგი იყო ინტელიგენტი, ზრდილი, განათლებული ადამიანი და წარმატებული თავისი სამხედრო საქმიანობით, ორატორული და პოეტური ნიჭით. მის პოემათაგან (Plin. Nat. 8. 155) არატუსის *Phaenomena*–ს ლათინური ადაპტაციაა ჩვენამდე მოღწეული.

გერმანიკუსის შრომები შექმნილია ა. წ. 14 წლის შემდეგ: ავგუსტუსი უკვე იყო გაღმერთებული (558) და გერმანიკუსი ხშირად მიმართავს მანილიუსს. მისი მიმართვის ობიექტი არის ასევე ტიბერიუსი, ან უკვდავი ავგუსტუსი, თუმცა გერმანიკუსი მას ვერასოდეს ვერ უწოდებდა „მამას" (pater). მეორეს მხრივ, თავის ერთ–ერთ გამოცემაში გერმანიკუსი აღნიშნავს, რომ ხოტბის ღირსია არა თავად იგი, არამედ ტიბერიუსი. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ გერმანიკუსი

სწორედ მას მიმართავდა თავის *Phaenomena*–ში.

რასაც ჩვენ გერმანიკუსის სახელით ვფლობთ, არათუსის სრული ადაპტაციაა: პროემი იწყება ციის ჩრდილოეთ და სამხრეთ თანავარსკვლავედებზე, მათი ამოსვლისა და ჩასვლის სინქრონიზმზე საუბრით. ამასთან, ჩვენამდე მოღწეულია ფრაგმენტები, რომლებიც ეხებიან პლანეტებს და ამინდის ნიშნებს; შესაძლოა, ეს იყოს ნარჩენები, ან მონახაზები გერმანიკუსის სხვა ნაშრომისა, რომელიც არ არის *Phaenomena*–ს იდენტური.

ნაშრომის 1–725 სტრიქონები არათუსის *Phaenomena*–ს (ძვ.წ. მე–3 საუკუნის პირველი ნახევარი) თავისუფალი ადაპტაციაა; ციცერონისაგან განსხვავებით, გერმანიკუსი ასწორებს ბერძენი პოეტის ინფორმაციას ჰიპარქუსის (მე–2 საუკუნის შუა ხანა) კომენტარის დახმარებით არათუსის ნაშრომზე. გერმანიკუსი ბაძავს სხვა ავტორებსაც. შესაძლოა, მისი წყაროები პროზით იყო შექმნილი. მასზე განსაკუთრებით მანილიუსის ზეგავლენა იგრძნობა.

ლიტერატურის სფეროში გერმანიკუსის ნაშრომი ავგუსტუსის შემდგომი პერიოდის სტანდარტებს სრულიად შეესაბამება. ის ბრმად არ მისდევს თავის მოდელს. ახალი იყო მის ნაწარმოებში ზოგი აღწერა და ვარსკვლავური მითები, მუზად ვირგო ასტრაეას (96–98) მოხმობა და ზოდიაქოს ნიშნების აღწერა (351–564). პროემშიც საკმაო ცვლილებები შეინიშნება. მთელი პოემა შედგება უამრავი განყოფილებისაგან, რომლებიც ცალკეც აღიქმება და მთელის ნაწილიცაა წრიული კომპოზიციისა და მსგავსი მექანიზმის (გეგმის) წყალობით. მთლიანობაში ლათინური ტექსტი უფრო ემოციურია და ნაკლებად გრაფიკული, ვიდრე მისი ბერძნული მოდელი.

ნაწარმოების ენა და საზომი ავგუსტუსის პოეზიის საზომებს ექვემდებარება; ასე თუ ისე, რომაელი კლასიკოსების პირდაპირი იმიტაცია შედარებით იშვიათია. შესაძლოა, ეს გერმანიკუსის შესასწავლი საგნის არსიდან გამომდინარეობდეს. გერმანიკუსის *Phaenomena*–ს უპირატესობა მის სიმოკლეშია. მიუხედავად უამრავი დამატებისა, მისი ტექსტი გაცილებით უფრო მოკლეა და კომპაქტუ-

რი, ვიდრე ორიგინალი.

გერმანიკუსი, მთელი თავისი არსითა და მოწოდებით, მასწავლებელია. მასთან დიდაქტიკური ტონი სჭარბობს. სტოელთა მსგავსად, გერმანიკუსი ითხოვს, თანავარსკვლავედები ღმერთებად ჩაითვალოს. ეს მისი დროისათვის საკმაოდ მიღებული აზრი იყო. გერმანიკუსი ვარსკვლავებს სერიოზულად იღებს; fides და iustitia მეფობს მათ შორის. გერმანიკუსს უკვირს ის ეჭვი, რომელსაც ამ თვალსაზრისით იგი არათუსთან აწყდება. მისი მითები დაფუძნებულია მსოფლიოს „მორალურ" ხედვაზე.

გერმანიკუსის დიდი გამოცემები დაკავშირებულია ორ ჯგუფთან (O,Z). O, რომელიც იყოფა ორ განშტოებად. იგი დაზიანებულია, მაგრამ იგი შეიცავს სქოლიოებს. Z, რომელიც შეიცავს მეტ ჩანართებს, მაგრამ ის ყოველთვის არ ექვემდებარება O–ს. ორივე კლასის ხელნაწერებში არის ილუსტრაციები, რომლებიც მომდინარეობს არათუსის ილუსტრირებული ხელნაწერებიდან. საუკეთესო გამოცემა განეკუთვნება მე–9 საუკუნეს (ლეიდენისის).

ლაქტანციუსმა გამოიყენა გერმანიკუსის ქმნილება. უფრო მეტიც, იგი იცნობს გერმანიკუსის სქოლიოებს, რომლებიც ეყრდნობოდა არათუსის კომენტარებს (გამოსცა ა. ბრეიზიგმა, ბერლინი 1867, 1899). პრისციანემ მოახდინა გერმანიკუსის ერთი ხაზის ციტირება. აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი ტექსტში გამოტოვებულია (ფრგ. 6). შუა საუკუნეებში ასტრონომია ისწავლეს გერმანიკუსის წყალობით. მე–17 საუკუნეში მას აღფრთოვანებით მოიხსენიებს ჰუგო გროტიუსი (*Syntogma Arateorum*, 1600).

კალპურნიუსი (Calpurnius)

კალპურნიუსი (Calpurnius) ნერონის დროს ცხოვრობდა. შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ კოგნომენი *სიკულუსი* ნამდვილად მას მიემართება, თუ თეოკრიტეს სიცილიელ მუზას, ვისი მიმდევარიც იგი არის. თავის პოემებში პოეტი კორიდონის ნიღბით იმალება. იგი არ დაუშვეს მაღალ წრეებში და ამფითეატრშიც ბოლო რიგებში, ღარიბთა შორის მიუჩინეს ადგილი (7. 26–27;79–82). იმის საშიშროებაც კი ჰქონდა, რომ განედევნათ ესპანეთში, სანამ მისმა პატრონმა, მელიბეუსმა, რომელიც საიმპერატორო სასამართლოს წევრი იყო, არ გამოთქვა მწუხარება ამის გამო (4. 29–49). მელიბეუსისაგან ჩვენი პოეტი სახლის მიღებასაც ელოდებოდა (4. 152–159). თუ მელიბეუსი იგივე პიზონია, კალპურნიუსი შეიძლებოდა ყოფილიყო *Laus Pisonis*–ის ავტორი.

მისი პირველი ეკლოგი 54 ან 55 წლებით თარიღდება. თავის პოემაში პოეტი ხოტბას ასხამს ახალგაზრდა ნერონის, რომელიც დედის მხრიდან იულიუსის შთამომავალი იყო, ტახტზე ასვლას (1. 45). კალპურნიუსი ამ ფაქტს ოქროს ხანის დაბრუნების გარანტად აღიქვამს (1. 77–78). ბევრი აზრი ნერონის ინაუგურაციაზე წარმოთქმული სიტყვის გამოძახილია (1. 69–73). კალპურნიუსი ნერონს აპოლონს ადარებს, როგორც ამას თავად იმპერატორი ხშირად აკეთებდა (4. 87; 159; 7. 84). მეშვიდე ეკლოგაში გვაქვს terminus post quem: კორიდონი იმპერატორს თან ახლავს ხის ამფითეატრში, რომელიც 57 წელს აიგო.

პირველი ეკლოგი. მწყემსები, კორიდონი და ორნიტუსი აღმოაჩენენ ფაუნუსის წინასწარმეტყველებას, რომელიც ამოკვეთილია ხის ტოტზე. მასში ნათქვამია, რომ ახალ იმპერატორთან ერთად ახალი ერა დაიწყება. კორიდონი თხოვს მელიბეუსს ეს ამბავი როგორმე

იმპერატორის ყურამდე მიიტანოს.

მეორე ეკლოგი. მებაღე ასტაკუსი და მწყემსი იდასი, ორივენი უიმედოდ შეყვარებული კროკალეზე, ერთამანეთს სიმღერაში ეჯიბრებიან. თითოეული მათგანი აქებს თავის პროფესიას და თავის სიყვარულს. ბოლოს, შუამავალი ტიტირუსი ცდილობს ორთავე დაარწმუნოს, რომ თანაბრად კარგი არიან და უნდა შერიგდნენ.

მესამე ეკლოგი. იოლასი, რომელიც დაკარგულ ძროხას ეძებს, ხვდება ლიკიდასს. ეს უკანასკნელი დიდ სტრესშია, რადგან მისი გოგონა მას გაუბრაზდა და მიატოვა. იოლასი ურჩევს, პირველმა გადადგას ნაბიჯი შერიგებისაკენ და ასწავლის მობოდიშების სიმღერას. ამასობაში, ტიტირუსი, რომელიც გაგზავნილი იყო სხვაგან, პოულობს ძროხას, რაც კარგ ნიშნად ითვლებოდა.

მეოთხე ეკლოგი. მალიბეუსთან შესავალი საუბრის შემდეგ, კორიდონი და მისი ძმა ხოტბას ასხამენ ახალ, ოქროს ხანას და მის „ღმერთს". მალიბეუსი სიმღერასაც და მის შემსრულებელ პოეტსაც იმპერატორს წარუდგენს.

მეხუთე ეკლოგი. მოხუცი მიკონი ასწავლის კანთუსს, როგორ მოუაროს თხებს და ცხვრებს.

მეექვსე ეკლოგი. ასტილუსი და ლიკიდასი ჩხუბობენ. მნასილუსი, როგორც შუამავალი, ცდილობს მათ დაშოშმინებას.

მეშვიდე ეკლოგი. რომიდან დაბრუნებული კორიდონი აღუწერს ლუკოტასს თამაშებს, რომელიც მან ნახა ხის ამფითეატრში და წუხს იმის გამო, რომ მან იმპერატორი მხოლოდ შორიდან დაინახა.

ყველა შემთხვევაში, ხის თეატრის აღწერა საკუთარი თვალით ნანახს ეყრდნობა. როგორც პასტორალი პოეტი, კალპურნიუსი მისდევს თეოკრიტესს და ვერგილიუსს, რომელსაც იგი ღმერთად შერაცხს (4. 70). პირველი პოემა, რომელიც წინასწარმეტყველებას შეიცავს, არის ვერგილიუსის მეოთხე ეკლოგის რემინისცენცია. კალპურნიუსის მეოთხე იდილია აერთიანებს ვერგილიუსის პირველი, მეოთხე და მეხუთე ეკლოგების ელემენტებს: ახალი ოქროს ერის გამოცხადება, აპოთეოზი... უფრო მეტიც, მე–7 ეკლოგთაგან სწორედ

მეოთხე ქმნის ცენტრალურ ნაწილს. ბოლოს (კალპ. 7) პოეტის რომიდან დაბრუნება ეხმიანება ვერგილიუსის პირველ ეკლოგს. მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, კალპურნიუსი ცდილობს დაამატოს ის ეკლოგები, რომლებიც ვერგილიუსთან გამოტოვებულია. მაგალითად, რჩევები იმის შესახებ, თუ როგორ მოუარონ თხებს და ცხვრებს (5). მესამე იდილიაში ვპოულობთ სასიყვარულო ბარათს, რაც არ არის ვერგილიუსთან და ბოლოს, კალპურნიუსი აღწერს ხის ამფითეატრს და მის თამაშებს, მწყემსის თვალით დანახულს.

კალპურნიუსი აფართოებს ბუკოლიკურ ჟანრს, მისთვის დადგენილი საზღვრების გადაკვეთის გარეშე. ყველა შემთხვევაში მას შეგნებული აქვს მომღერალი მწყემსის მნიშვნელობა მის მიერ არჩეული ჟანრის დეფინიციაში.

წიგნი სიმღერათა ციკლს წარმოადგენს და კოლექციის ბოლო მიმართეულია იმპერატორისადმი (1; 4; 7). მეორე და ბოლოს წინა პოემა აგონის ხასიათს ატარებს. მესამე და მეხუთე – დიდაქტიკური ხასიათისაა, სასიყვარული ელემენტებით და საქონლის მოვლის რჩევებით. ყველაზე დიდი პოემა ცენტრალურია. კენტ რიცხვებზე დიალოგებია, ლუწზე – უფრო მოზრდილი მონოლოგები.

კალპურნიუსი თითოეული პოემის ჩარჩოს განსაკუთრებული სისათუთით ავარაყებს. იგი დიდი ოსტატობით ხატავს პორტრეტებს და არც თავად მალავს, რომ მისთვის ნაზი, სატრფილო გრძნობების გამოხატვა უფრო ადვილი და მისეულია.

კალპურნიუსის ენა ყურადღებითაა შერჩეული, ფაქიზია და დახვეწილი, მაგრამ არც ზედმეტად ხელოვნური და მოგონილი. აქაც ვერგილიუსი „აყალიბებს" მის გემოვნებას. მაქსიმების გამოყენება მასთან საკმაოდ მოზომილად ხდება. მაგალითად, *mobilior ventis, o femina* "ოჰ, ქალი, უფრო ცვალებადია, ვიდრე ქარი" (3. 10.). რიტორიკას იყენებს, მაგრამ არა ყველგან. პასტორალური პოეზიის ტრადიციის მიხედვით, კალპურნიუსი ხშირად იშველიებს ნაზ, „ტკბილ" ელემენტებს, რომელსაც თითქმის დღემდე ვხვდებით შესაბამის ჟანრში. ხშირად იყენებს ელიზიებს. სულ 758 ჰექსამეტრში

11 ელიზიაა.

კალპურნიუსის ავტოპორტრეტი ნაკლებ თავისუფალია, ვიდრე ვერგილიუსისა და ჰორაციუსის. მას, როგორც ღარიბ პოეტს, დაცვა ჭირდება და შემოჰყავს უფრო ღარიბი პოეტი, მარციალისი.

მეოთხე პოემაში იმპერატორის აპოთეოზს (84–146) წინ უსწრებს ვერგილიუსის აპოთეოზი (4. 70). ვერგილიუსი ჩნდება, როგორც ახალი ორფევსი (4. 64–69). კორიდონის განზრახვა, დაუკრას ინსტრუმენტზე, რომელსაც მანამდე ტიტირუსი იყენებდა (4. 58–63), გულისხმობს მაღალ მოთხოვნებს. პოეტი თვითკრიტიკულად შენიშნავს: *magna petis, Corydon, si Tityrus esse laboras* " *შენ მაღალ მიზნებს ემსახურები, კორიდონ, თუ ცდილობ იყო ტიტირუსი*" (4.64). უფრო მეტიც, კალპურნიუსი ცდილობს, სტილისტურად ეკლოგები იყოს განსხვავებული მათში წარმოდგენილი თემის მიხედვით. მაგალითად, ეკლოგები იმპერატორზე არ შეიძლება იყოს ისე ნაზი, როგორც ვერგილიუსის პოემა ალექსისზე (ეკლ. 2); ისინი უფრო უნდა შეესაბამებოდეს ვერგილიუსის მე–4 ეკლოგს. კალპურნიუსს, უდავოდ, აქვს სტილის განცდის ძალიან ფაქიზი გრძნობა.

კალპურნიუსისათვის ტიპურია ჰუმანიზმის მენანდრესეული რემინისცენცია. მეორე ეკლოგში შუამავალი ურჩევს ორ მომღერალს, ჩათვალონ თავიანთი შეჯიბრი უბრალო თამაშად და არ გამოიყენონ ისეთი ძალადობრივი ობიექტები, როგორიცაა სარი. ის აცხადებს, რომ ორივენი კარგები არიან და თხოვს მათ, მშვიდობიანად მოიქცნენ. მესამე პოემა რეკომენდაციას იძლევა, მოჩხუბართა შორის ერთ–ერთმა პირველმა გადადგას ნაბიჯი შერიგებისაკენ (3. 36–41). ზოგჯერ, სადაც კომპრომისი შეუძლებელია, პატიოსანი შუამავალი ინიშნება.

რაც შეეხება იმპერატორის პორტრეტს, პირველი ეკლოგი ხაზს უსვამს მის მშვიდობიან მისწრაფებებს და გულმოწყალებას (1. 54 და 59); ადარებს იმპერატორს აპოლონსა და იუპიტერს (7. 84), ხოლო ერთ ადგილზე – აპოლონსა და მარსს (7.84). დისტანციაზე მასა და მის ღმერთს შორის კორიდონს სურს ხიდი გადოს მელიბეუსის სა-

შუალებით (7.79–84). როგორც ვერგილიუსი პირველ ეკლოგში, კალპურნიუსიც აღნიშნავს, რომ ახალი რეჟიმი ვერ გადაწყვეტს ყველა პრობლემას: კორიდონი ისეთივე ღარიბია, როგორც დაიბადა და იაფფასიანი ტანსაცმლით შემოსილ ადამიანებს იმპერატორთან ხელი არ მიუწვდებათ.

ყველა ხელნაწერს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ერთი და იგივე ხარვეზი აქვს (4. 116–ისა და 152–ის შემდეგ). ისინი წარმოდგება ერთიდაიმავე არქეტიპიდან. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა პირველ კლასში, რომელიც წარმოდგენილია ნეაპოლიტანუსის V A 8 (N; მე–15 საუკუნე) და გადიანუს ლაურენტიანუსის (plut. 90. 12(g; მე–15 საუკუნე) მიერ. მეორე კლასი (V) შედგება deteriores-ისაგან; 1. 1–4. 12 პარისინუს 80. 49 (P; მე–11 ან მე–12 საუკუნე).

კალპურნიუსის შემოქმედება ბევრი ავტორისათვის აღმოჩნდა საინტერესო. მათ შორის იყვნენ: ნემესიანუსი (მე–3 ს.), მოდოინუსი, მარკუს ვალერიუსი (მე–12 ს.), პეტრარკა (მე–14ს.), რონსარდი (მე–16 ს.). მან შთააგონა ნეოლათინურ ენოვანი პოეტები, სანაზაროსი და გუარინისი (1612). ფონტენელას (1757) მიაჩნდა, რომ კალპურნიუსის პირველი ეკლოგი ჯობდა ვერგილიუსის მე–4 ეკლოგს. გესნერმა (1778) მოახდინა მისი მეორე და მეხუთე ეკლოგების იმიტაცია თავის ნაწარმოებებში *Lycas und Milan* და *Tityrus, Menalcas.*

დამატება. ორი ანონიმური პასტორალური პოემა კოდექს 266–დან, ეინსიედელნის მონასტრიდან (მე–10 ს.), როგორც ჩანს, დაიწერა რომის დაწვის შემდეგ (ძვ.წ. 64 წელს), სავარაუდოდ, ორი სხვადასხვა ავტორის მიერ. ნერონის ხოტბა გადაკეთებულია. არც ის არის გასაკვირი, რომ აქ ზოგიერთი მეცნიერი პაროდიის კვალს პოულობს (რაც, ვფიქრობ, არასწორია, მაგრამ არც თუ არაზუსტი).

პერსიუსი (Persius)

პოეტი-სატირიკოსი აპულეუს პერსიუს ფლაკუსი (Persius)(ძვ. წ. 34–62 წწ.) დაიბადა ეტრურიაში, ვოლატერასთან ახლოს. 6 წლის ასაკში დაკარგა მამა, კეთილშობილი წარმოშობის რაინდი. მალე მამინაცვალიც გარდაიცვალა. პერსიუსი იზრდებოდა თავის დედასთან, დეიდასთან და დასთან ერთად. ყველა მათგანის მიმართ პერსიუსმა სათუთი გრძნობები სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. როცა 12 წლის იყო, რომში წავიდა, რათა ესწავლა ცნობილ გრამატიკოს რემიუს პალემონთან და ორატორ ვერგინიუს ფლავუსთან. 16 წლისა გახდა მოსწავლე სტოიკოსი ფილოსოფოსის, ანეუს კორნუტუსისა, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მის ინტელექტუალურ განვითარებაზე. პაეტუს თრასეა იყო მისი მეგობარი, რომელიც მასთან ერთად იზრდებოდა და იღებდა განათლებას. მის მეგობართა და მკითხველთა შორის იყვნენ აგრეთვე პოეტი კესიუს ბასუსი, კალპურნიუს სტატურა, ორატორი სერვილიუს ნონიანუსი, სწავლულები კლავდიუს აგათინუსი და პატრონიუს არისტოკრატესი. ფლაკუსი იცნობდა ფილოსოფოს სენეკას, მაგრამ მასთან არ ჰქონდა განსაკუთრებული ურთიერთობები. სამაგიეროდ, სენეკას დისშვილთან, ახალგაზრდა პოეტ ლუკანუსთან მეგობრობდა. იგი, სრულიად ახლაგაზრდა, 28 წლისა გარდაიცვალა, გასტრიტით. კორნუტუსმა და კესიუს ბასუმმა იზრუნეს მის ნაშრომთა გამოცემაზე. პერსიუსის სატირა გამართულია ჰექსამეტრით. პატარა პოემა, როგორ ჩანს, გარკვეული შესავლის ფუნქციას ასრულებდა.

პროემი. პერსიუსი საკუთარ თავს ნახევრად პოეტს უწოდებს. მკითხველთა სამსჯავროზე მას გამოაქვს საკუთარი, როგორც თავად უწოდებს, „სახლში დამზადებული“ პროდუქცია (Carmen... nostrum).

პირველი სატირა. პერსიუსი საკუთარ თავს აცხადებს დიდი

რომაული სატირისა და ბველი კომედიის მიმდევრად.

მეორე სატირა. ღმერთებს ვერ მოქრთამავ საჩუქრებით. ისინი ითხოვენ თაყვანისმცემელთა გულებს.

მესამე სატირა. გადალახე შენი შიდა ინერცია და მიუძღვენი საკუთარი თავი ფილოსოფიას. ეს არის ყველაზე სწორი ბილიკი რკინისებური ჯანმრთელობისაკენ.

მეოთხე სატირა. პოლიტიკოსები რომ არ იყვნენ გაცნობიერებული პოლიტიკაში და არ ეწეოდნენ თავაშვებულ ცხოვრებას, შეიცნობდნენ საკუთარ თავს.

მეხუთე სატირა. პერსიუსი მადლობას უხდის კორნუტუსს, თავის მასწავლებელს. მისი აზრით, მხოლოდ ბრძენია თავისუფალი.

მეექვსე სატირა. გამოიყენე შენი სიმდიდრე, იმის ნაცვლად, რომ იგი შენი მემკვიდრეებისათვის დააგროვო.

პირველი და მეხუთე სატირა ყველაზე გრძელია, მეექვსე დაუმთავრებელი.

პერსიუსის მთავარი ფილოსოფიური წყარო მისი მასწავლებელი კორნუტუსია, რომელმაც გაუზიარა მას ის ცოდნა, რომელიც მომავალ პოეტს ესაჭიროებოდა. რაც ყველაზე მთავარია, საკუთარ მაგალითზე აღზარდა და გაანათლა იგი. გარდა იმისა, რომ კორნუტუსმა კარგად იცოდა სტოელთა ფილოსოფია (5. 64), თავად იყო მათი დოქტრინების ცხოვრებაში გატარების საუკეთესო მაგალითი.

სოკრატესი მოხსენიებულია პლატონის დიალოგში, მაგრამ, ფაქტობრივად, პერსიუსი (4) მიმართავს ფსევდო–პლატონის „ალკიბიადესს.“ ამას მივყავართ მისი წყაროებიდან მისსავე მოდელებამდე. სატირებში აშკარად იგრძნობა გენიალური სოკრატესის გავლენა. იგრძნობა მიმების, ბველი ათენური კომედიის (123–124) და რა თქმა უნდა, სტოიციზმის ზეგავლენა. ბველი კომედიისაგან განსხვავებით, პერსიუსი არ ეხება მის თანამედროვე პოლიტიკას, უფრო უნივერსალურ განცხადებებს აკეთებს, რომელიც ყველა დროისა და სივრცისათვისაა მისაღები.

რომაული სატირა, რა თქმა უნდა, ძლიერ ბექგრაუნდს იღებს

ლუკილიუსისაგან (პერს. 1. 114–15), როგორც მისი დამაარსებლისაგან და ჰორაციუსისაგან, როგორც ჩვენი პოეტის კლასიკოსი წინაპრისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ლუკილიუსი პერსიუსის წყაროდ დავასახელეთ, ეს უკანასკნელი მასავით არ ესხმის თავს ცოცხალ პერსონებს. როგორც ოსტატი, მისთვის ჰორაციუსი უფრო მნიშვნელოვანია. თავის თეორიაში ჰორაციუსმა არ განსაზღვრა სატირა, როგორც პოეზია, მაგრამ პრაქტიკული რჩევებისას მან იგი დაასახელა პოეზიის სპეციალურ, განსაკუთრებულ ტიპად, რომელშიც „სიტყვები უნდა შეხვედროდა სიმართლის უფრო მაღალ მოთხოვნებს". იგივე შეიძლება ითქვას პერსიუსიხ შესახებ, რომელმაც დახატა თავისი სიცოცხლით სავსე სურათები მოდური მითოლოგიური პოეზიის საწინააღმდეგოდ, რომელშიც, მისი აზრით, სიმართლის მარცვალი ნაკლები იყო. იმის მაგივრად, რომ შეექო ფულის დონორები, პერსიუსი აქებდა მათ, ვინც მას მისცა საზრდო ფიქრისათვის.

დეტალებში კარგად ჩანს ჰორაციუსისაგან ნასესხობების კვალი. უფრო ახლოს გაცნობისას აღმოვაჩენთ, რომ ეს დეტალები ჯგუფდება მთავარი თემის ირგვლივ და უხვად შეიცავს მეტაფორებს. პერსიუსი ფიქრობს, რომ მკითხველი თავად მოახდენს მთავარი თემის სინთეზირებას აკუმულირებული დეტალებიდან. აქ არც აზრის სისტემური განვითარება ხდება. პერსიუსი განამტკიცებს თავის შეხედულებებს მაგალითებით, მუდმივად დასკვნების გაკეთების გარეშე.

რიტორიკული დევიზები ეხმარებიან ავტორს სათქმელი უკეთ წარმოაჩინოს. მაგალითად: *დრო გადის, ახლაც კი, როცა მე თქვენ გესაუბრებით"* (5. 153). მოსაუბრეთა და სცენების ხშირი ცვლა და უკიდურესად ხატოვანი სტილი მსმენელს ინტელექტუალურ სტიმულს აძლევს. იგივე შეიძლება ითქვას ციტირების მისეულ ტექნიკაზე: პერსიუსი მსუბუქად ცვლის წინამორბედის სიტყვებს, რათა მკითხველს არ გაუჭირდეს ორიგინალური ტექსტის ამოცნობა (1. 116). ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ იგი მიმართავს განათლებულ საზოგადოებას, ფხიზელი აზრით.

პერსიუსის ლიტერატურული ტექნიკა ემყარება მკითხველთან ურთიერთობას. ის წააქეზებს მათი ინტელექტუალური აქტივობის ყველა შესაძლებლობას.

პერსიუსი სათუთად ეპყრობა genus tenue-ს: „დაე, ნება მიეცით მას, ვისაც სურს ბევრი ლაპარაკი, წავიდეს და შეკრიბოს ნისლი ჰელიკონის მთაზე" (5.7). იგი იბრძვის აბსოლუტური პატიოსნებისათვის და ცდილობს, შეუსაბამოს მისი სიტყვები მისივე საქმის არსს. ლუკანუსის აზრით, პერსიუსის შრომებს პოეტური თვისება აქვთ. ამ თვალსაზრისით პოემები შეიძლება გამოიცადოს კედლების მსგავსად: *დააკაკუნეთ მათზე და თქვენ გაიგონებთ, თუ ისინი ჟღერენ სიცარიელით* (5. 24–25). პერსიუსთან სიტყვები ან ინარჩუნებენ თავიანთ კარგ და სავსე მნიშვნელობას, ან ხელახლა იძენენ მათ. ხშირად, ჩვენთვის უცნობი სიტყვები ყოველდღიური სამეტყველო ფრაზებიდან მოდის (verbae togae 5. 14): ჩვენი ავტორის ლექსიკა მხოლოდ დღევანდელი მკითხველისათვის არის რთული, არა მისი თანამედროვეებისათვის, მაგრამ ხშირად რომაელთა ყურსაც უცნაურად ხვდებოდა ზოგი მისი სიტყვა. ფაქტობრივად, პერსიუსი თავის სიტყვებთან ერთად ხუმრობს, რათა მოულოდნელი ფორმები შექმნას: ***verbae togae sequeris, iunctura callidus acri,/ore teres modico შენ მისდევ ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულ ენას, მარჯვე სიმშვენიერით შენს კომბინაციაში და ლოყების ზომიერი დამრგვალებით*** (5. 14–15). ასეთი „ *მასტიმულირებელი თანხმობა ნიშნავს იმას, რომ მკითხველი გამოიწვიო და აიძულო, იფიქროს.*"

პერსიუსის სტილისათვის დამახასიათებელი სიცხოველეცა და სიძნელეც კარგად ჩანს შემდეგ პასაჟში: *Disce, sed ira cadat naso rugosaque sanna,/dum vetere avias ribi de pulmone revello ყურადღება მიაქციე, მაგრამ გადააგდე ეგ სიბრაზისაგან დანაოჭებული სახე შენი ნესტოებიდან, სანამ მე გადავაგდებ შენს მობუც ბებიებს შენი ფილტვებიდან.* მას, როგორც ჭეშმარიტ პოეტს, შეუძლია აიღოს ლიტერატურული მეტაფორები და ასე შთაბეროს ახალი სიცოცხლე ლათინურ ენას (5.91–92). პერსიუსს ეკუთვნის აფორიზმები: *o curas*

hominum, o quantum est in rebus inane! ო, ადამიანთა ზრუნვის ამაოებავ (არარაობავ), ო, რამოდენა სიცარიელეს უშვებს ადამიანთა ბუნება! (1. 1); o curvae in terries animae, o caelestium inanes! ო, სულებო, რომლებიც იხრებით დედამიწისაკენ, არაფერია თქვენში ზეციური (2. 61).

პერსიუსი აღიარებს სტოიციზმის იდეებს, როგორიცაა, მაგალითად: *tecum habita, "იცხოვრე სახლში, ანუ დარჩი შენს საკუთარ თავთან (4. 52); quis leget haec? ვინ წაიკითხავს ამას? (1. 2); vel duo, vel nemo ერთი თუ ორი, რომელია არაფერსავით კარგი?; vive memor leti: fugit hora: hoc, quod loquor, inde est ყოველთვის გახსოვდეს სიკვდილი. საათები გარბიან. ახლაც კი, როცა მე თქვენ გელაპარაკებით* (5. 153).

ჟანრის კანონებიდან გამომდინარე, პერსიუსის ლიტერატურული ტექნიკა ჰორაციუსის „სატირების" მსგავსია. მაგალითად, ისიც უშვებს, წინამორბედის მსგავსად, მონოსილაბუსს ჰექსამეტრის ბოლოს. პერსიუსის აზრით, პოეტი საზოგადოების მასწავლებელია. მისი დამოკიდებულება ენისა და ლიტერატურის მიმართ არ შეიძლება გამოვაცალკავოთ მისივე მორალური დამოკიდებებულებისაგან.

პერსიუსი თავისი დროის შვილი იყო და არ ცხოვრობდა რკინის კოშკში, არამედ განათლებულ ადამიანთა წრეში ტრიალებდა. მათ შორის იყვნენ ოპოზიციონერი სენატორებიც. როცა იგი გადაჰკრავს სიტყვას მიდასზე, რომლის წვერი ინახავს მის საიდუმლოს ვირის მსგავს ყურებზე (1. 121), პერსიუსი უნდა გულისხმობდეს ნერონს, რომელსაც აქებდნენ, როგორც ახალ მიდასს. უფრო მეტიც, შესაძლოა, ალკიბიადესისაკენ მიმართული სიმღერის ნამდვილი ადრესატი სწორედ ნერონი იყო (4).

ჩვენი პოეტის ფილოსოფია საკმაოდ რელიგიურია. ამ თვალსაზრისით იგი მოგვაგონებს მარკუს ავრელიუსს და ეპიქტეტუსს. მისი სითბო, ხშირად, ძალიან ღრმად დევს: *quod latet arcane, non enarrabile fibra, უთქმელი გრძნობები ღრმად დევს ჩემი გულის სი-*

მებს შორის (5. 29).

პერსიუსი დიდ პატივს სცემს თავის მასწავლებელ კორნუტუსს, უფრო მეტს, ვიდრე ალკიბიადესი – თავი მასწავლებელ სოკრატესს. პერსიუსი ისე წარმოსახავს ძველ ბერძენ ბრძენს, თითქოს იგი ცოცხალი იყოს: *დამიჯერე, სოკრატესი ამბობს ამას.*

მოგვეპოვება პერსიუსის შრომის ბევრი და კარგი ხელნაწერი. ტექსტები დაცულია გვიანდელი ჩარევებისაგან. ერთ–ერთი ფრაგმენტი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი სიძველის გამო: Vaticanus Latinus 5750 (მე–7 ს.). სწავლულები ეყრდნობიან სამ მშვენიერ ხელნაწერს: Montepessulanus A; bibl. Med. 212(მე–10 ს.); Montepessulanus Pithoeanus, bibl. Med. 125(P; მე–9 ს.); Vaticanus tabularii basdilicae H36 (B; მე–10ს.).

პერსიუსის შრომას მაშინვე ჰქონდა რეზონანსი. ლუკანუსი, მარციალისი (4.29. 7–8), კვინტილიანუსი (10. 1. 94) იზიარებდნენ მის აზრებს. როგორც ანტიკურობაში, ისე შუა საუკუნეებში, მასწავლებლები შეისწავლიდნენ დიდი მონდომებით მის პედაგოგიურ პოტენციალს (მაგალითად, იერომე). ეკლესიის მამები უპირატესობას მის შრომას ანიჭებდნენ. მან ადრევე მიიქცია გამომცემელთა (პრობუსი, საბინუსი - 402 წ.) და კომენტატორების (ლიდუსი 1.41) ყურადღება. ხელნაწერებზე თანდართული კომენტარები სწორედ ანტიკურობას განეკუთვნება. უფრო მეტიც, კომენტარების წერა იწყეს მე–9 საუკუნიდან მოყოლებულიც [ჰიერიკი, რემიგნუსი (მე–10ს.); პაოლო და პერუგია (მე–14 ს.)]. პერსიუსის გამონათქვამები ნაპოვნია ჰრაბანუს მაურუსთან, რათასთან, გენზოსთან, ჯონთან. პერსიუსის აფორიზმებს ზეპირად ასწავლიდნენ სკოლაში და იგი ითვლებოდა aureus auctor-ად. როცა ბერნარდ კლირაუქსს სურდა კაცობრიობის ყურადღება მორალური საკითხებისათვის მიექცია, პერსიუსს მიმართავდა (2.69): *Dicite, pontifices: in sancto quid facit?* (de mor. Etoff. 2.7=PL182,col. 815 D). ჯონ აუვილე (მე–12ს.) ეყრდნობოდა პერსიუსს, როგორც ჰორაციუსის საუკეთესო იმიტატორს.

ლუთერი, რომელსაც სურდა სატირიკოსები სკოლიდან განე-

დევნა, აკეთებს პერსიუსის ციტირებას სულის შესახებ, რომელიც დედამიწისაკენ არის დახრილი (2. 61). კალვინი ახდენს მისი სტრიქონის ციტირებას (2. 69–70). პერსიუსს იცნობდნენ პეტრარკა, სკელტონი, შესაძლოა, სპენსერიც. პოლიტიანემ აღიარა იგი, როგორც ფილოსოფოსი. თომას ვიატი (1542) თავისი სატირების წერისას ეცნობოდა პერსიუსის სატირებს. შექსპირის „ჰამლეტში" ოფელიას გარდაცვალებისას წარმოთქმული სიტყვები: ***Lay her I the earth,/And from her fair and unpolluted flesh/ May violets spring*** შეიცავს პერსიუსის რემინისცენციას (1. 38–39). მიშელ მონტენმა პერსიუსის ციტირება 23–ჯერ მოახდინა.

რადგან პერსიუსის თარგმნა არც ისე ადვილი იყო, სულ რამდენიმე მთარგმნელი ჰკიდებს ხელს ამ საქმეს: ფრანგები აბელ ფულონი (1544), გუილაუმე დურანდი (1575) და იტალიელი ჯოვანი ანტონიო ვალონე (1576). მათ მოგვიანებით მიბაძა ინგლისელმა ბარტენ ჰოლიდიმ (1616). გერმანელები შედარებით გვიან დაინტერესდნენ ამ ავტორით. პერსიუსის შესავალი თარგმნა ცნობილმა მარტინ ოპიცმა (1639) და მან შრომას ახალი სიცოცხლე შთაჰბერა. ჯოაქ სამუელ ადამმა (1674) გამოაქვეყნა პირველად გერმანულად პერსიუსის სატირების სრული თარგმანი, რასაც მოჰყვა 1738 წელს ჯოან დანიელ ჰეიდესეული თარგმანი.

ჯ.ს. სკალიგერმა გააფრთხილა მომავალი პოეტები, რომ პერსიუსის ძნელად გასაგები ერუდიციის იმიტაციით კი არ ეტრაბახათ, არამედ საკუთარი თავი შეეცნოთ. მას დაუპირისპირდა ისააკ კასაუბონუსი, რომელიც სადისერტაციო ნაშრომში შეეხო პერსიუსის სატირების ეპოქალურ გამოცემას (1605) და შედარებით შესაძლებელად ჩათვალა პერსიუსისა და საერთოდ, სატირის ინტერპრეტაცია. პერსიუსმა ახალი სიცოცხლე ჰპოვა ახალგაზრდა პოეტთა ტრიადაში: ჯონ დონე (1613), იოსიფ ჰოლი (1656) და ჯონ მარსტონი (1634). მისი ხატოვანი ენა აღიარეს და ბაროკოს სატირის მიბაძვის ენად იქცა (ბოილეაუ, პოპე).

პრიაპეა(Priapea)

კრებულს „პრიაპეა" (Priapea) პრიაპუსს, ღმერთს, რომელიც ბაღებს ქურდებისაგან იცავს, უძღვნის ანონიმური ავტორი. მისი ქანდაკებების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ისინი სულ ტყითაა უხეშად დაფარული (10. 4); უზარმაზარი საიდუმლო ნაწილია წითლად დახატული (26. 9; 36. 10–11) და მარჯვენა ხელში უპყრია ნამგალი (30. 1). ჩვენამდე ამ კრებულიდან მოაღწია 80-მა პოემამ. 38 მათგანი გამართულია ათმარცვლოვანი საზომით, 34 – დისტიქებით, ხოლო 8 – ქოლიამბებით.

დღეისათვის ეს ნაწარმოები მიეწერება ერთ ავტორს და თარიღდება მარციალისის შემდგომი პერიოდით. ჯერ კიდევ რჩება ერთი სირთულე: სენეკა უფროსს მოჰყავს ციტატა პრიაპეადან და მიაწერს მას ოვიდიუსს (კონტრ. 1. 2. 22). ჩვენ იძულებული ვართ ოვიდიუსის დაკარგული ნამრომი, უბრალოდ, უცნობი ავტორისათვის წყაროდ ჩავთვალოთ.

ნაწარმოებში თემები და საზომები დიდი სიფრთხილითა და მოზომილობითაა შერჩეული. ისე როგორც მარციალუსთან, აქაც სამ საზომზე მეტი არ არის გამოყენებული. უმეტესად, დისტიქები და ათმარცვლოვანი საზომები ენაცვლებიან ერთმანეთს. ზედიზედ ორი, ან სამი პოემა დაწერილია ერთი და იმავე საზომით. მეზობელი ეპიგრამები, თემაში გაერთიანებული, შეიძლება გამართული იყოს სხვადასხვა საზომით (24–25; 30–31; 51–52).

პრიაპეუმი არის ეპიგრამის ნაირსახეობა. ალექსანდრიაში გრამატიკოსმა ევფრონიუსმა (მე.წ. მე–3 საუკუნე) დაწერა „პრიაპეა" (სტრაბ. 8. 382). ოცდამეოთხე ეპიგრამა ბერძნული ანთოლოგიის ერთ–ერთი ეპიგრამის იმიტაციაა. როგორც წესი, ასე თუ ისე, ბერძენმა ეპიგრამატისტებმა სერიოზულად მოუხმეს პრიაპუსს, როგორც მე-

ურვეობის დამცველ ღმერთს, განსაკუთრებით, მეთევზეებისა და მეზღვაურების შემწეს, მაშინ, როცა მან რომში დაკარგა ეს ფუნქცია.

ლათინური პრიაპეები თემატიკის მიხედვით უფრო მრავალფეროვანია და ფორმით – უფრო მახვილგონივრული. პოემები 4 და 63. 17 ეყრდნობა პორნოგრაფიულ წყაროებს.

თავდაპირველად, რომაელთა შორის ამ ჟანრს ჰქონდა ეპიგრაფიკული ხასიათი. იგი თითქოს არის ფრესკა, კედლის ფერწერა პრიაპუსის პატარა ტაძარში (2. 9–10). შესაძლოა, თანდათან ლექსები ქვაზე გადაიწერა. როგორც ჩანს, აქ აღნიშნული კრებული იყო ნიშანსვეტი, რადგანაც მან ეს ჟანრი ლიტერატურის რანგში აიყვანა. მასში გვხვდება ძალიან ბევრი პარალელი კატულუსთან, ოვიდიუსთან და მარციალისთან. კრებულის ავტორი უნდა ყოფილიყო საკმაოდ კომპეტენტური, რომ ამ გენიოს ავტორებს გაჯიბრებოდა და მათთვის მეტოქეობა გაეწია.

ავტორი ადარებს პრიაპუსს სხვა ღმერთებს და სწავლობს ხან მათ საყვარელ ადგილებს (70), ხან მათ მკლავებს (20), მათი სხეულის ტიპიურ ნაწილებს, თავისებურებებს (36). მითი მისთვის ორნამენტია (16, 68) და ავტორი მისგან იღებს *ჭიის თვალის სანახაობას.* აქ არის სკაბრეზული თამაში ბგერებისა და სიტყვების (7; 54), შარადები (67) და ბერძნული სიტყვების ფსევდო–მიამიტური ინტერპრეტაციები იმის შესაბამისად, თუ როგორ ჟღერენ ისინი რომაელის ყურისათვის (68).

თითოეული ეპიგრამა წარმოადგენს კარგად გათვლილ სტუქტურას. ავტორი ბრწყინვალედ იყენებს დაძაბულობას „ლოდინს, იმედსა" და „ახსნას" შორის. მაგალითად, იგი ექსპრესიულად მიმართავს „გაურკვევლობის" რიტორიკულ კატეგორიას პირველ ნაწილში, რომელიც მთლიანად მისტერიულია (obscure 3.1), ხოლო ამის საპირისპიროდ, მეორე ნაწილი განსაკუთრებით ნათელი, სადა, მარტივი და ცხადია (simplicius multo est 3.9). ასეთი ტერმინოლოგიური სიზუსტე მის ლექსებს ინტელექტუალურ ხიბლს მატებს. თავისი საგნის შესაბამისად, *Priapea* იყენებს ვულგარულ ლექსიკას,

მაგრამ მათი სტილი ცხოვრებაში გამოცდილია. ეს კონტრასტი არის სატირიკოს პერსიუსის ხელოვნების რემინისცენცია, თუმცა *Priapea*-ს ავტორი ცდილობს გამოიყენოს მშვიდი და არა უხეში კომპოზიცია. უხვადაა სინონიმები, პერიფრაზები და ეს ყველაფერი მოწმობს მწერლის ლინგვისტურ ოსტატობას. ავტორი, დიდ ხელოვანთა მსგავსად, ძალიან ფრთხილად ეპყრობა ბგერებს. ომონიმების არაჩვეულებრივი თამაშია ბევრ ადგილას. რითმი და საზომი ყოველთვის ზუსტადაა შერჩეული. პირველი ორი ლექსი მკითხველს აცნობს *Priapea*-ს საგნის არსს. რომაული სიმკაცრე გარეთ რჩება და მკითხველი წარსდგება პირისპირ სიმართლის წინაშე (1). შემდეგი ლექსი გაფრთხილებაა დახვეწილი ქალბატონებისათვის (8). საერთოდ, თემების მხრივ, ეს ნაწარმოები უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ბერძნული ეპიგრამები, მაგრამ ესეც გარკვეულად შეზღუდულია: ღმერთ პრიაპუსის მიმზიდველობა, ქურდების დასჯა, ღმერთისათვის მირთმეული საჩუქრები, რომაელთა მორალი, ფარისევლობისათვის დაუნდობლად ნიღბის ჩამოხსნა, რომაული საზოგადოების ბურჟუაზიული ძალადობისაგან გათავისუფლება. ყველაფერი ეს და კიდევ მრავალი ასპექტი ხდის ამ კრებულს მკითხველისათვის ღირებულს კულტურის ისტორიისა და ფსიქოლოგიის შესწავლის თვალსაზრისითაც.

იმ პერიოდში ამ ჟანრის განსაკუთრებით განვითარება იმპერიის პერიოდის ჩარჩოებში ექცევა. პოლიტიკური ცხოვრების და „მაღალი" ლიტერატურული ჟანრების თავისუფლების შეზღუდვამ არაპირდაპირ მისცა განვითარების საშუალება ისეთ ჟანრებს, როგორიც იყო იგავი, ეპიგრამა, რომანი და შემთხვევითი პოეზია.

ამჟამად ნაპოვნია 75 ხელნაწერი. ერთის მხრივ (A), არის ლაურენტიანუსის 33, 31 (მე–14ს.), დაწერილი ბოკაჩოს მიერ. მეორეს მხრივ, იყო დამოუკიდებელი ასლი (ამჟამად დაკარგული), რომლისგანაც წარმოიშვა შემდეგი ხელნაწერები: Guelferbytamus 373 (Helmst. 338), Laurentianus 39, 34, Vossianus Latinus O. 81 (მე–15 ს.).

Priapea-ს შუა საუკუნეებში დიდი აღიარება ჰქონდა. შემდგომ

მათ ჰპოვეს ენთუზიასტი მკითხველები ბოკაჩოსა და სხვათა სახით. ლესინგი, რომელიც თავად წერდა ლათინურ და გერმანულ ეპიგრამებს, ახდენდა რამდენიმე ეპიგრამის კრიტიკულ ანალიზს და განიხილავდა მათ ტექსტუალურ პრობლემებს. გოეთეს მესამე და მეოთხე ელეგია პრიაპეასეულია.

ველეიუს პატერკულუსი (Velleius paterculus)

ველეიუს პატერკულუსი (Velleius paterculus) იმ არისტოკრატიულ ფენას განეკუთვნებოდა, რომელიც რომში ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის განსაკუთრებით მომძლავრდა და მნიშვნელობა შეიძინა. იგი ტიბერიუსის ერთგული ვასალი იყო. დაიბადა ძვ. წ. 20 ან 19 წელს, მსახურობდა მაკედონიასა და თრაკიაში, როგორც სამხედრო ტრიბუნა, ახლდა ტიბერიუსს რაინზე, როგორც praefectus equitum. 6 წელს კვესტორი გახდა, მოგვიანებით – legatus Augusti (2. 11. 4). 9-11 წლებში ტიბერიუსის ბრძოლებში მონაწილეობდა გერმანიაში და იყო მისი ტრიუმფის თვითმხილველი 12 წელს, რომში (2. 121. 3). 15 წელს გახდა პრეტორი (2. 124. 4). ძნელი სათქმელია, ტაციტუსის მიერ მოხსენიებული პ. ველეიუსი და ჩვენი ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა თუ არა (ანნ. 3. 39. 1–2). მასზე აღარაფერი ვიცით 30 წლის შემდეგ, ვიცით მხოლოდ, რომ სწორედ ამ წელს გამოაქვეყნა მან თავისი ნაშრომი. არც მისი ისტორიული ნაშრომის ზუსტი სახელწოდებაა ჩვენთვის ცნობილი. ვიცით, რომ ეს ნაწარმოები მწერალმა მიუძღვნა თავის მფარველს, მ. ვინიკიუსს. ველეიუსი ხშირად წუწუნებს სივრცისა და დროის უქონლობის გამო, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას ჩაფიქრებული ჰქონდა შეექმნა უფრო დიდი ნაშრომი, რომელიც მოიცავდა პერიოდს სამოქალაქო ომიდან კეისარსა და პომპეუსს შორის ეპოქიდან, მის თანამედროვეობამდე. ცნობილია, რომ რომაელი ავტორები ხშირად ასხამდნენ ხოტბას ცოცხალ მმართველთა საგმირო საქმეებს.

ველეიუსის წარმომავლობამ და ბიოგრაფიამ კვალი დატოვა მის ნაშრომში. ხშირად ვხვდებით ახალი ადამიანის - homo novus-ის თემას, ადამიანისა, რომელიც ტიბერიუსის ერთგულია, ვინიკიუსის ლიტერატული წრის წევრია და რომელმაც კარგად იცის ის ახალი

მოთხოვნები, რომლებიც დრომ, ეპოქამ და მთავრობამ წაუყენა ისტორიულ ჟანრში მოღვაწე ავტორებს.

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ველეიუსის მცდელობა, იყოს რაც შეიძლება მოკლე და დაწურული, აშკარად შეესატყვისება ტიბერიუსის დროინდელ ლიტერატურულ ტენდენციას.

ველეიუსის ნაშრომი ორი წიგნისგან შედგება. პირველი წიგნი დასაწყისში დაზიანებულია და ხარვეზი აქვს 8/9 თავებში. მასში მოთხრობილია ტროას ომის დასასრულიდან ძვ. წ. 146 წლის მთავარი მოვლენები 18 თავში. მეორე წიგნი პირველისაგან გამოყოფილია. იგი შედგება 131 თავისაგან. მათში განხილულია პერიოდი ძვ. წ. 146 წლიდან ველეიუსის დრომდე. იგი სრულდება პანეგირიკით ტიბერიუსზე. ნაშრომის სტრუქტურა ძალიან მოგვაგონებს პირამიდას (1. 14. 1 და ა. 16. 1). ეს უჩვეულო ფორმა, ვფიქრობ, განგებაა შერჩეული.

შესაძლო წყაროებს შორის, პირველ რიგში, უნდა ვივარაუდოთ კორნელიუს ნეპოსი. გარდა ამისა, კიდევ ბევრი წყარო უნდა გამოეყენებინა ავტორს, რაც კარგად ჩანს ქრონოლოგიიდან, მასალის შერჩევიდან, მისი სიმპათიებიდან. ასე მაგალითად, რომის დაარსების თარიღი ველეიუსთან იგივეა, რაც ატიკუსის *Annalis liber*-ში, მაგრამ ატიკუსი, ველეიუსისა და ნეპოსისაგან განსხვავებით, არ აღნიშნავს ბერძნულ ლიტერატურას. მეცნიერები შესაძლო წყაროებში ასახელებენ პომპეიუს ტროგუსსაც, მაგრამ პარალელები საკმაოდ ტრივიალურად გვეჩვენება. მისი ინფორმაცია ვარუსის ბრძოლაზე, შესაძლოა, ლივიუსიდან მომდინარეობს. მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ველეიუსი ბიოგრაფოსებსაც ხშირად მიმართავდა.

ველეიუსის აზრები ლიტერატურის შესახებ ნაწილობრივ ემთხვევა ციცერონისას *Brutus*-ში და კვინტილიანუსისას *Institutio*-ში გამოთქმულ მოსაზრებებს. მას უნდა გამოეყენებინა წყარო რიტორიკული ტრადიციებით. აშკარაა სალუსტიუსის და ციცერონის კვალი. იგი ხშირად მიმართავს თავისი კლასის წარმომადგენლების ციტირებას, რაც მოწმობს იმას, რომ ეს სოციალური ფენა ლიტერატურაში საკმაოდ მყარად იყო ფეხმოკიდებული.

ითვლება, რომ მისი ნაშრომი არის რომის ისტორია, ყოველ შემთხვევაში, ასე მონათლა იგი ბეატუს რენანუსმა, მაგრამ ნაშრომში იმდენი სიახლე და უჩვეულო რამ არის წარმოდგენილი, რომ ძნელია მას ისტორიული ნაშრომი უწოდო ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. ვფიქრობ, ველეიუსმა რაღაც ახალ ჟანრს მისცა დასაბამი.

ნაშრომი, შესაძლოა, იწყებოდა მიძღვნით ვინიკიუსისადმი. ასეთი მიძღვნები დიდი ისტორიკოსებისათვის უცხო იყო, თუმცა გვხვდება კელიუსთან, ლუტატიუსთან, კატულუსთან, კორნელიუს სულასთან, აულუს ჰირტიუსთან, რომელიც ჩვენი ავტორის სულიერ ნათესავად ითვლება.

ველეიუსი იცავს მოვლენათა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. გზადაგზა იგი ახდენს იტალიისა და უცხო ქვეყნის საქმეთა მიმოხილვას. მისთვის დეტალებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამდენად, იგი ლიტერატურული ტექნიკის თვალსაზრისით, ბიოგრაფოსებთან სიახლოვეს აშკარად ამჟღავნებს. ასევე, ბიოგრაფოსთა სტილი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ველეიუსი მოვლენებს აჯგუფებს ინდივიდუალური გმირებისა და ხასიათების ირგვლივ. ტიბერიუსისა (2. 94–99) და სეიანუსის (2. 127. 3–4) მისეული პორტრეტები (ანტითეზისებით, ვარიაციებით, სინკრესისებით...) ველეიუსს მიაკუთვნებს ადგილს სალუსტიუსსა და ტაციტუსს შორისს. ბევრი მინიპორტრეტიც (მაგალითად, კატო უმცროსის, სატურნიუსის, ლ. პისოსის და კურიოსის) საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. საინტერესო ქალთა პორტრეტები, როგორებიც არიან – კალპურნია, ფულვია, ლივია, სერვილია, იულია – ასრულებენ ველეიუსის პორტრეტთა გალერეას.

მაგალითთა დიდი რაოდენობა გვიდასტურებს, რომ ველეიუსს კარგი რიტორიკული წვრთნა ჰქონდა მიღებული. ამის საუკეთესო ნიმუშია 1. 16. 2. ზოგადად, ველეიუსის *რიტორიკული ისტორია* არ შეიძლება დაყვანილ იქნას სტანდარტულ მოდელამდე. როგორც ტიბერიუსის მასწავლებელი თეოდორუსი ამბობს, რიტორიკამ არ უნდა მისდიოს მექანიკურ წესებს. ჩვენ ეს თეორია ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, როცა ტიბერიუსის ეპოქის მრავალფეროვანი ლიტერა-

ტურის შესახებ ვსაუბრობთ.

ტიბერიუსის დროინდელი ლიტერატურის ე. წ. „ნასწავლი დაუდევრობა“ ველეიუსთანაც იგრძნობა. იგი წარმატებით ქმნის დიდებულ ისტორიულ სტილს. მაგალითად, სალუსტიუსის მსგავსად, ისიც იყენებს აბსტაქტულ სახელებს მოქმედი ქვემდებარის ნაცვლად: D.*Brutum Antonii invteremit crudelitas ანტონიუსის მზაკვრობამ დაასრულა დ. ბრუტუსის სიცოცხლე* (2. 87. 2). ამ გზით ავტორი აღწევს ინტენსიურობას და სიმოკლეს. მისი ვერდიქტი რომისა და კართაგენის ურთიერთობის შესახებ სალუსტიუსის ოსტატობის ტოლია: *aut bellum...aut belli praeparatio aut infida pax, ან ომი, ან ომისათვის მზადება, ან მუხანათური მშვიდობა* (1. 12. 7).

მკითხველს ახსოვს ანტითეზა, პომპეუსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით თქმული: *ადამიანს სჭირდება ბევრი მიწა? Ut cui modo ad victoriam terra defuerat, deesset ad sepulturam, მან, ვინც ცოტა ხნის წინ მიწა ვეღარ ჰპოვა დასაპყრობი (ყველა დაიპყრო), ახლა ვერცერთი ვეღარ ნახა დასაკრძალად* (2. 53. 3). ველეიუსი ასევე პარალელიზმების, მეტაფორებისა და პროზაული რითმების დიდოსტატია.

ზოგადად, ველეიუსის ენას და სტილს უკავია შუალედური ადგილი ძვ. წ. პირველი საუკუნის კლასიკური ეპოქისა და ნერონის ეპოქებს შორის, სენეკა უმცროსთან ერთად. მასთან სოფისტიკა და გულგრილობა, თუ დაუდევრობა მშვიდობიანად თანაარსებობენ მის თანამედროვე რიტორიკასთან ჰარმონიაში. ზოგჯერ გეჩვენება, რომ ველეიუსი პირდაპირ ესაუბრება თავის მკითხველს. სამწუხაროდ, ნაწარმოების დასასრულს, ავტორი ბიზანტიელი პანაგირისტის ნიღბის ქვეშ იმალება, მაგრამ სწორედ ეს ფაქტი უნდა იყოს ნებისმიერი ეპოქისა და ავტორის ნამდვილი პორტრეტის ინტეგრალური, განუყოფელი ნაწილი.

ველეიუსი იმ ისტორიკოსთა მცირე რაოდენობას განეკუთვნება, რომლებიც ზოგად ისტორიულ ჩარჩოებში ახერხებენ ლიტერატურის განვითარებას. იგი მსჯელობს ჰომეროსსა და ჰესიოდეზე (1. 5 და 1. 7), ადარებს ერთმანეთს ბერძნულ და რომაულ ლიტერატურას

(1. 16–18), გადმოგვცემს რომაული ლიტერატურის ისტორიას სულას ეპოქამდე (2.9) და ბოლოს ჩერდება კეისრისა და ავგუსტუსის ეპოქების ლიტერატურის „ოქროს ხანაზე" (2. 36). ის, როგორც ვინიკიუსის წრის წევრი, კარგად ერკვევა თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში, აქებს ოვიდიუსს და რაბირიუსს (2. 36. 3). ის ფაქტი, რომ ველეიუსი არაფერს ამბობს ენიუსისა და პლავტუსის შესახებ, შეიძლება აიხსნას იმით, რომ თავად ეპოქა იყო დარწმუნებული, რომ მას შეეძლო დაეჩრდილა შორეული წარსულის ეს მნათობები.

მიუხედავად იმისა, რომ ველეიუსი ემორჩილება ტრადიციული ავტორების მიერ დაკანონებულს, მისი მთავარი პრინციპი მაინც იყო ისტორიული განვითარების ინოვაციებისაკენ ლტოლვა: ფაქტობრივად, მისი კრედო არის, განაახლოს ლიტერატურა per genera. იგი იწყებს იმის აღმოჩენით, რომ ყველა ლიტერატურული ჟანრი განვითარდა და სრულყოფილებას აღწევს საკმაოდ მცირე დროში *(eminentia cuiusque operis artissimis temporum claustris circumdata, ცნობილი შრომები ხელოვნების ყველა სახეობაში იშვა უმოკლეს დროში* (1. 17. 4). ეს ფენომენი, ველეიუსის მიხედვით, გამორჩეულია ფსიქოლოგიური კანონით: მეტოქეობას მალე მივყავართ სრულყოფილებამდე, რომელსაც მოჰყვება დაცემა. ეპიგონები, რომლებიც აღარ არიან წინამორბედთა შესაბამისი, ეძებს მოქმედების სხვა სფეროს (1. 17. 6–7). იმით, რომ ველეიუსი გამოდის უბრალო imitatio-ს წინააღმდეგ და ცდილობს თანამედროვე ლიტერატურის განვითარებას, ველეიუსმა, გარკვეულწილად, მოამზადა საფუძველი პირველი საუკუნის ე. წ. „ახალი სტილისათვის".

ველეიუსმა ვერ შენიშნა, რომ დიდი პოეტები იბადებიან კონკრეტული ეპოქებისაგან დამოუკიდებლად. ეს, ასე თუ ისე, ის ასპექტია, რომელიც უარყოფს ისტორიულ ძიებებს. მეორეს მხრივ, იგი დაბეჯითებით ანიჭებს დიდ მნიშვნელობას გარკვეულ გარემოებებს, მაგალითად, როგორიცაა aemulatio, როგორც ისტორიისათვის ფორმის მიცემის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ჩვენი ავტორის ინტელექტუალური ჰორიზონტი, იქნებ, არც

თუ ორიგინალური, მაგრამ მაინც, გვეხმარება თვალი გადავავლოთ მისი კლასის მენტალიტეტს და ისტორიოგრაფიის მდგომარეობას მის დროში. უნდა ვაღიაროთ, რომ ის გადმოგვცემს რომის ისტორიას არა როგორც დანარჩენი სამყაროსაგან იზოლირებულს, არამედ, სწორედ როგორც ამ უნივერსალური სამყაროს ნაწილს. მის არეალში შემოდის საბერძნეთი და კართაგენი. იგი საუბრობს პართენელებისა და ტეუტოელებისაგან მომდინარე საფრთხეებზე. მასთანაც ისტორია ორ ნაწილად იყოფა. ისე როგორც სალუსტიუსთან, კართაგენის დანგრევა მისთვისაც არის გარდამტები მომენტი (2. 1). ამის შემდეგ განვითარებული მოვლენები მოიცავს რამდენიმე ეპოქას. მთავარი მათგან არის სამოქალაქო იმის დაწყება კეისარსა და პომპეუსს შორის, სახელმწიფოს აღდგენა ოქტავიანეს მიერ და ტიბერიუსის ტახტზე ასვლა.

მთავარი ტექსტი, რომელიც ჩვენამდე მოვიდა, ეფუძნება დაკარგულ მურბახენსისს (M; მე–8 საუკუნე), რომელიც დაწერილია კაროლინგურ–ნუსხური ასოებით. 1515 წელს ბეატუს რენანუსმა აღმოაჩინა ეს ხელნაწერი მურბახაში, აბატ ბენედიქტესთან, ალსატიაში. ჰუმანისტს ჰქონდა გაკეთებული ასლი, რომელიც საკმაოდ დაზიანებული აღმოჩნდა(R); პირველი გამოცემა (P) გამოქვეყნდა მისი მითითებებით. გამოცემას თან დართული ჰქონდა საკითხავი მასალა, დაფუძნებული ჯ. ა. ბურერის შედარებებზე. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ბეატუს რენანუსის მიერ *Germani*–ს გამოცემაში მოყვანილი ველეიუსისეული ციტატები და მისივე ველეიუსის გამოცემის წიგნის კიდეზე გაკეთებული შენიშვნები.

მართალია, მურბახენსისი დაიკარგა, მაგრამ გვაქვს კიდევ ერთი ასლი (A), რომელიც დაწერილია ზონიფაზ ამერბახით (უნივ.ბიბლ.ბასელ. AN II 8). ეს იყო სწორედ ის ხელნაწერი, რომელსაც ეფუძნება ჯ. გ. ორელის გამოცემა (ლაიფციგი 1835). ჯერ კიდევ საკამათოა, ამერბახის წყარო M იყო თუ R. პირველ 8 თავს აკლია A. მათთვის editio princeps ერთთადერთი მტკიცებულებაა.

ტაციტუსი დიდად არ ცნობს ველეიუსს, მაგრამ ნამდვილად

იყენებს მას. მე–4 საუკუნეში სულპიკიუს სევერუსმა აღიარა მისი ნაშრომის საჭიროება და გამოიყენა იგი, როგორც წყარო. ველეიუსს ენდობოდნენ და აღიარებდნენ კლასიკურ ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში.

როჯერ ბეკონი (მე–13 ს.) თავის წიგნში *De argumentis scientiarum* აქებს ველეიუსს თავის ზოგად–ისტორიული ხასიათის ნაშრომში ლიტერატურის ისტორიის ჩართვისათვის და განაცხადა, რომ ისტორიული ნაშრომი, რომელშიც არ არის ლიტერატურა გათვალისწინებული, ცალთვალა პოლიფემოსს ჰგავს, რომელსაც იმ თვალსაც ამოაცლიან. ველეიუსის შრომათა ბეჭდური გამოცემების დიდი რაოდენობა გვიჩვენებს, რომ მისი ნაწარმოები არ აღიქმებოდა რიგით „ნაჩხაპნად“ , მას აღიარებდნენ და ინტერესით კითხულობდნენ, განსაკუთრებით, მე–17–18 საუკუნეებში. ინგლისელი მკითხველისათვის ის იმ ავტორთაგანი იყო, რომელმაც აღადგინა სუფთა ლათინური ენა და სტილი. სტუდენტებს უყვარდათ მისი კითხვა. მის ნაშრომს უფრო კითხულობდნენ, ვიდრე მის ციტირებას ახდენდნენ. ველეიუსით დაინტერესდა ჰენაულტი, პოლიტიკოსი და მწერალი (1770). ველეიუსისეული ტიბერიუსის პორტრეტი მან და მისმა მიმდევრება ტაციტუსისეულ პორტრეტზე უკეთესად ჩათვალეს.

როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ველეიუსის *ისტორია* მისი ეპოქის ტიპური ნაშრომია: რადგანაც ველეიუსი ტიბერიუსის დროინდელი მოვლენების თვითმხილველია, მისი ნაწარმოები ფასდაუდებელი ისტორიული მტკიცებულებაა მაშინდელი ეპოქის შესასწავლად. როგორც ისტორიაზე, ისე რიტორიკაზე უარის თქმა იმ პოლიტიკური ცვლილებების სიმპტომებია, რომლებიც ადრეული იმპერიის ეპოქაში შეიმჩნეოდა, მაგრამ ჩვენთვის ველეიუსი საინტერესოა არა მხოლოდ ისტორიის პოლიტიკური ანალიზის გამო, არამედ, და უფრო მეტადაც, როგორც მისი კლასის ტიპიური წარმომადგენელი, განათლებული მუნიციპალური არისტოკრატიის, რომელიც თანდათან ხდება ისტორიული პროცესების დასაყრდენი, ტიპური წარმომადგენელი.

ველეიუსის ნაწარმოების სიმოკლე, ლივიუსისაგან განსხვავებით, ტიბერიუსის ეპოქის ერთ–ერთი სტილია. იგივე ითქმის მის რიტორიკისაკენ მისწრაფებაზე. ამასვე მეტყველებს ისიც, რომ ნაწარმოები ერთდროულად წერის წესების მკაცრად დაცვის სანიმუშო მაგალითიცაა და სპონტანურობისიც.

ველეიუსი არც ფილოსოფოსია და არც ხელოვანი. იგი ტიბერიუსის ეპოქის ერთ–ერთი წამყვანი პროზაიკოსია, შუამდგომი ავგუსტუსის დროინდელ კლასიციზმსა და ნერონის დროინდელ ბაროკოს შორის. მისი მთავარი დამსახურება მაინც ის არის, რაზეც უკვე ვთქით – ისტორიულ ნაშრომში დიდი დოზით ლიტერატურის ისტორიის ჩართვა. მან ისე ოსტატურად შეკრა უნივერსალური, ლიტერატურული და თანამედროვე ისტორია ერთ ოპუსად, რომ მისი შესატყვისი ძნელად შეიძლება დაიძებნოს.

ვალერიუს მაქსიმუსი (Valerius Maximus)

ვალერიუს მაქსიმუსი (Valerius Maximus) ტიბერიუსის დროინდელი მწერალია, რომელმაც თავის ნაშრომი ტიბერიუსს მიუძღვნა. თუ ვალერიუსს ვენდობით, მას შერყეული ჯანმრთელობა ჰქონდა. იგი წავიდა აზიაში თავის პროტექტორ ს. პომპეუსთან ერთად (2. 6. 8; 4. 7), რომელიც, შესაძლოა, კონსული იყო (ოვიდ. პონტ. 4. 1; 4; 5; 15). ისინი იყვნენ კეოსში, და შესაძლოა, ათენში (8.1,3).

მისი კრებული *Exempla* დაიწერა 28–32 წლებში: წიგნი 2, 27 წლის შემდეგ (2. 6. 8); წიგნი 4, 29 წლამდე, რადგან მასში იულია ჯერ კიდევ ცოცხალია (6. 1); სეიანუსზე თავდასხმა მიგვანიშნებს, რომ წიგნი 9 დაიწერა 31 წლის 31 ოქტომბრის შემდეგ.

თავების სახლწოდებები და სარჩევი ნაშრომის დასაწყისში მიგვანიშნებს, რომ ისინი არ არის ავთენტური. ფაქტობრივად, ვალერიუსმა თავისი სათქმელი შეარჩია თემების მიხედვით. თითოეულ განყოფილებაში რომაული და უცხოური მაგალითები ცალ–ცალკეა მოტანილი.

პირველ თავში საუბარია ღმერთისადმი ჩვენს მოვალეობებზე; მეორე თავში – ადამიანის პირად და საზოგადო ცხოვრებაზე; მე–3–ში – virtutes–ზე, რომელიც გვეხმარება დავიცვათ ჩვენი მიწა; მე–4 და მე–5 თავები გვასწავლიან, ვიცოდეთ ჩვენი ადგილი; მე–6 წიგნიდან უკვე ძნელდება მოკლე შინაარსის გადმოცემა. აქ გვხვდება ავტორის საუბრები სიმამაცეზე, განათლებაზე, კანონშესაბამისობაზე, კურიოზებზე და სხვა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ მე–10 წიგნი, *De praenominibus*, რომელიც ხელნაწერებში ფიქსირდება, არ უნდა ეკუთვნოდეს ვალერიუს მაქსიმუსს.

ვალერიუსმა საფუძვლიანად შეისწავლა ციცერონი, განსაკუთრებით, მისი *De divinatione* და *Tusculanae disputationes*. მის მიერ გა-

მოყენებულ წყაროებში უთუოდ უნდა იყოს სალუსტიუსის, პომპეიუს ტროგუსის, ვარონის და შესაძლოა, ლივიუსის ზეგავლენა. ფაქტობრივად, რომაული და უცხოური **exempla**–ს ერთად მოთავსება სწორედ ვარონის და ნეპოტის *ბიოგრაფიების* რემინისცენციაა. დღეისათვის ბევრი მეცნიერი თვლის, რომ მან უშუალოდ გამოიყენა (ორიგინალი) ვაროც და ვალერიუს ანტიასიც. თუმცა, ბევრი რამე საპირისპიროს მოწმობს. მაგალითად, კელიუს ანტიპატერი (1. 7. 6) მას უნდა წაეკითხა ციცერონთან (**div.** 1. 26); ამის გამო მისი ნაწარმოები ხშირად არ არის დაცული შეცდომებისაგან.

შუალედური უნდა ყოფილიყვნენ ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ვერიუს ფლაკუსი და ჰიგინუსი. სამწუხაროდ, შეუძლებელია აღვადგინოთ ***Exempla***–ს ყველაზე ბველი ვარიანტი, როგორიცაა ნეპოსის ***Exempla***, ატიკუსის ***Exempla***, ან ჰიგინუსის ***Exempla***. ვალერიუსი არ არის ისტორიკოსი. ლივიუსთან დეტალური შედარება გვიჩვენებს, რომ მას სხვა მიზანი აქვს დასახული. მოგვიანებით ვნახავთ, რომ გარკვეულ ფილოსოფიურ ზეგავლენებზე შეიძლება ვისაუბროთ, როგორიცაა, მაგალითად, დიატრიბა, საკმაოდ გესლიანი კრიტიკა. და მაინც, ვალერიუსის ნაშრომი რიტორიკის სკოლის პროდუქტია, რომელიც არ არის გამიზნული მხოლოდ ორატორებისათვის. ამის პარალელურად შეიძლება სენეკა უფროსის ნაწერები დავასახელოთ.

ვალერიუს მაქსიმუსი არ კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რომ მოგვაწოდოს ორატორებისათვის საჭირო მასალა. მას გადაჰყავს **exemplum** ლიტერატურის რეგისტრში, აქსოვს რა მასში თავის ლიტერატურულ ოსტატობას და მორალურ გაკვეთილებს.

თითოეული **exemplum** შედგება შესავლის, საკუთრივ თხრობითი და დასკვნითი ნაწილებისაგან. ეს არის იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება **res gesta** გადაიქცეს **exemplum**–ად.

exemplum, რომელიც სულაც არ მიისწრაფის ისტორიული სიზუსტისაკენ, მკითხველს იწვევს, რომ თავისი თავი გააიგივოს დიდ პიროვნებებთან, აღფრთოვანების, ან სიმპატიზირების გზით. ემოცი-

ური ფონი ზრდის დრამატულ ეფექტს. მაყურებლის შესაძლო ალტერნატივა, ან მოლოდინი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც კონტრასტული ორნამენტი, რომელსაც შემოაქვს მოულოდნელი დასასრული (4.1.8).

ვალერიუსამდე **exempla**-ს იყენებდა სასამართლო რიტორიკა, აძლევდა რა თითოეულ მათგანს ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას, მოცემული კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად. მის შემდეგ, იმპერიის დროს, მისი გამოყენება უფრო სტერეოტიპული გახდა.

ადრეული რიტორიკული **repertoria**-საგან განსხვავებით, ვალერიუსის კრებული იყო პირველი, რომელიც განზრახული იყო მომთხოვნი მკითხველის სიამოვნებისათვის და არა უბრალოდ წასაკითხად. თითოეული თავი წაკითხული უნდა იქნეს უწყვეტად. ავტორი არჩევს თავის მაგალითებს, რათა შექმნას კლიმაქსი (კულმინაცია), ან ანტიკლიმაქსი, **admiratio**-ს შესაბამისად. როცა ავტორი ერთი ამბიდან მეორეზე გადადის, ერთმანეთს ადარებს მათ. ეს, ნაწილობრივ, ოვიდიუსიუსეული ხერხია, რომელიც მან „მეტამორფოზებში" გამოიყენა. ყველაფერი ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ვალერიუსმა უბრალო ჭკუის დარიგება ლიტერატურულ რელსებზე გადაიყვანა.

ვალერიუსის ლიტერატურული ამბიცია არ შემოიფარგლება **delectatio** ან **voluptas**-ით. მას სურს გამოიწვიოს თავის მკითხველში აღფრთოვანება. ვალერიუს მაქსიმუსი მეორე სოფისტური მოძრაობის დასაწყისის მაუწყებელია.

ნეპოტიანუსი ეკამათება ჩვენს ავტორს მოსაწყენობის, ენამახვილობით ზედმეტად გატაცების, უხვსიტყვაობის გამო (თუმცა ის შემოკლებულ ვერსიას გვაძლევს). ედუარდ ნორდენის აზრით, ვალერიუსი განეკუთვნება იმ „აუტანელ ლათინ ავტორთა რიგს, რომლებსაც სასოწარკვეთილებისაკენ მივყევართ თავიანთი არაბუნებრივი სტილით". რასაც სენეკა უფროსი ამბობს მისი თანამედროვე ორატორების შესახებ, ვალერიუსსაც განეკუთვნება: ***cupit enim se approbare, non causam,*** *მისი მიზანია უფრო მოწონება მოიპოვოს თა-*

ვისი თავისთვის, ვიდრე თავისი საქმისთვის. ნეპოტიანუსი ამბობს: *se ostental sententiis, locis iactat, fundit excessibus, ის აკეთებს აფორიზმების შოუს, ამაყობს და ტრაბახობს „ჩვეულებრივი ადგილებით", მასთან უამრავი გადახვევაა.* ამ ტენდენციათაგან იგულისხმება: ანტითეზისები, სენტენციები, პერსონიფიკაციები, აპოსტროფები, რიტორიკული შეკითხვები, აბსტრაქტული სახელების გამოყენება, წამოძახილები (6. 3; 8. 7).

ვალერიუსმა ხელი შეუწყო დეკლამაციური სტილის განვითარებას, სენეკა უფროსის მსგავსად. ვალერიუსი თვლის, რომ ანტიკური პოეზიის მუზა არის იმპერატორი [შდრ. ვერგილიუსის „გეორგიკა; მანილიუსი (1. 7–10), გერმანიკუსი (1–16), ლუკანუსი (1. 45–66), სტატიუსი (თებ. 1. 22–31)]; რომ მისი შთაგონები წყარო შეიძლება გახდეს ტიბერიუსის რეფორმები. მისი მიზანი იყო არა მხოლოდ, როგორც დღეს ასკვნიან, დახმარებოდა რიტორიკის მასწავლებლებს, არამედ, როგორც თავად ამბობს: *ut documenta sumere volentibus longae inquisitionis labor absit, დაენდო ისინი, ვინც ისტორიის მაგალითების მოსაძებნად მომქანცველ სამუშაოს სწევს.* მისი შრომის ხანგრძლივი დროით აღიარება მოწმობს, რომ მისმა მონდომებამ გაამართლა და მიზანს მიაღწია.

როგორც ისტორიკოსი, ვალერიუსი არასანდოა, თუმცა, ზოგჯერ, უფრო მეტადაც სანდო, ვიდრე ოდესმე ვინმე. მაგალითად, ანგარიში, რომელსაც ის იძლევა მარიუსზე, მიუკერძოებელი და სამართლიანია; იგივე შეიძლება, ნაწილობრივ, ითქვას ციცერონის შესახებაც.

მართალია, მისი შრომა რიტორიკულ და პატრიოტულ მიზნებს ემსახურება, მაგრამ ყველაფერთან ერთად, იგი მორალისტია. როცა იგი შესავალში აცხადებს, რომ შეკრებდა *facta simul ac dicta memoratu digna სამახსოვრო გარდაცვლილებს და გამონათქვამებს,* ის თავიდან იცილებს exemplum–ის გაცვეთილ ტერმინს, მაგრამ მოგვიანებით თავადვე იყენებს მას (7.1). უპირველესად, ვალერიუსს სურს აღწეროს და გადმოსცეს ადამიანთა ღირსება, სათნოება და ნაკლი. რო-

გორც მორალისტი, მაგალითების საშუალებით იგი სამყაროს პანორამას ქმნის. ადამიანის მოვალეობები შერჩეულია ტრადიციული სქემით (მაგალითად, მოვალეობები ღმერთების მიმართ ჩნდება უფრო ადრე, ვიდრე მოვალეობები ადამიანთა მიმართ). მოვალეობათა დოქტრინების გამოყოფა (1–2 წიგნები) ღირსებათა დოქტრინებისაგან (მე–3 და მომდევნო წიგნები) გვიან სტოიციზმზეა დამყარებული.

ვალერიუსი ყველაფერს გვასწავლის მხოლოდ მაგალითებით. მართალია, მისი შთაგონების წყარო ტიბერიუსია, მაგრამ მის სიქველესაც ზოგჯერ ეჭვქვეშ აყენებს. პირდაპირი მიმართებაა ვალერიუსის exemplum–სა და ტიბერიუსის რეფორმებს შორის. ავტორი ისე არჩევს მასალას, რომ აშკარად იგრძნობა, იგი თავისი დროის შვილია. ფუფუნების კრიტიკა (2. 9. 4; 3. 7. 3); ტიბერიუსის კანონები ფუფუნებისა და მევახშეობის წინააღმდეგ (16 წელს; 4. 8. 3), მისი თანამედროვე დროის მნიშვნელობისაა კანონები მორალზე. 4. 1. 10–ში ვალერიუსი აცხადებს, რომ ტიბერიუსმა უარი თქვა ექსპანსიონიზმზე. უდავოა, რომ მწერალს სურდა შეევსო თავისი დიდაქტიკური მიზნები იმითი, რომ ყოფილიყო ერთდროულად „სასარგებლოცა" და „გასართობიც" (prodesse, delectare).

მას ბევრი საინტერესო გამონათქვამი ეკუთვნის, როგორიცაა, მაგალითად, გამონათქვამი ეკონომიური, დოვლათიანი Curio–სა და მისი ექსრავაგანტული ვაჟის შესახებ: : *ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე სახლში, ორი საუკუნე ცხოვრობდა. ერთი უფრო თავმდაბალი და მოკრძალებული, მეორე – ყველაფრისთვის უმაქნისი* (9. 1.6).

ვალერიუსი ცდილობს, საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოს თავისი ეპოქაცა და თავისი ხალხის მორალური უპირატესობაც, თუმცა, მან კარგად იცის ბერძნული კულტურის ფასიცა და მისი დამსახურებაც რომაული კულტურის წინაშე. ის ამაყობს განათლებით. მის *sapienter dicta aut facta*–ში უფრო ბერძნული მაგალითებია თავმოყრილი, ვიდრე რომაული. ყველა რომაელთაგან მსახიობი როსკი-

უსი შერჩეულია industria\მოდელად (8. 7). ამასთან ერთად, ვალერიუსი იცავს ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა, მაგალითად, humanitas (5. 1) და clementia. ხშირად ვალერიუსი მომხრეა, გადახედოს მორალურ ფასეულობებს და შეცვალოს ისინი. ამის დასტურია, მაგალითად, მისი მცდელობა, გაამართლოს ადრეული რომაელის severitas (6. 3). უფრო მეტიც, ვალერიუსი ერთი და იმავე პეროვნების ხასიათში ხშირად აღმოაჩენს ხოლმე წინააღმდეგობებს: *duos in uno homine Sullas fuisse, ორი სულა თანაარსებობდა ერთ კაცში* (6. 9. 6). ასეთ შემთხვევაში, აზრის რიტორიკული „მოკაზმულობა" ხელს უწყობს ფაქტების უკეთ დემონსტრირებას.

ჩვენამდე ბევრი ხელნაწერია მოსული, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია Codex Bernensis 366 და Laurentianus Ashburnhamensis 1899. ორთავე ხელნაწერი შესრულებულია მე–9 საუკუნეში და ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს. რაც შეეხება არაპირდაპირ გადმოცემებს, ეპიტომატორებიც ხელს უწყობენ მკვლევარებს ტექსტის დადგენაში. ისინი ავსებენ ხარვეზებს, რომლებიც ხელნაწერებს ამახინჯებენ.

ანტიკურობაში ვალერიუსს უფრო კითხულობდნენ, ვიდრე მის ციტირებას ახდენდნენ. პლინიუს უფროსმა დაასახელა იგი, როგორც თავისი მე–7 და 33–ე წიგნების წყარო. უფრო მეტიც, გელიუსმა (12. 7) და ლაქტანციუსმა მასთან სულიერ სიახლოვეზე თავადვე განაცხადეს. გვიან ანტიკურობაში იულიუს პარისმა და ნეპოტიანუსმა შექმნეს ვალერიუსის ნაშრომის შემოკლებული ვერსიები.

შუა საუკუნეებში ვალერიუს მაქსიმუსის შრომა იყო ძალიან გავრცელებული. ჩვენამდე მოაღწია ხელნაწერმა, რომელიც პერსონალურად შეასწორა ლუპუს ფერიერესელმა (862 წლის შემდეგ), კაროლინგელმა ჰუმანისტმა. მისმა სტუდენტმა, ჰეირიკ აუქსერელმა (დაახლოებით 876 წელი) შეკრიბა ამონაწერები ველეიუსის წიგნიდან, დაფიქსირებული სხვათა შრომებში. მისმა მოსწავლემ, რემიგიუსმა (908 წელი) შეადგინა მისი წიგნისათვის ინდექსი. უილიამ მალმესბურმა (1142) მოიხსენია ვალერიუსი თავისი ნაშრომის

Polyhistor-ის შესავალში; ჯონ სელისბარი (1180) რომელიც ხშირად აკეთებს ვალერიუსის ციტირებას თავის *Polycraticus*–ში, პოლიტიკის სახელმძღვანელოში, იყო მე–12 საუკუნის ბოლოდან ჩრდ. ევროპაში გავრცელებული ვალერიუსისეული ტექსტის პასუხისმგებელი რედაქტორი. უილიამის *Gesta regum და Gesta Pontificum* განიცდიდა როგორც სვეტონიუსის, ისე ვალერიუსის ზეგავლენას. ვალერიუსის ნაშრომი იყო მთავარი წყარო ვინსენტ ბეაუვაისისათვის (1264; Speculum Maius). ყველაზე ადრეული კომენტარი ვალერიუსის ნაშრომზე გაკეთდა პეტრარკას მეგობრის და მრჩევლის, დიონიგი და ბორგო სან სეპოლკროს მიერ, რომელიც ასევე გახლდათ რენესანსის ეპოქის გავლენიანი წინამორბედი.

აღორძინების ეპოქაში ხელნაწერები, კომენტარები და ამონაწერები თუ ციტატები კიდევ უფრო ხშირად კეთდებოდა. პეტრარკამ (1374) მიანიჭა მას პირველი ადგილი თავის საყვარელ ისტორიკოსებს შორის და გამოიყენა იგი თავის *De viris illustribus*–ში. მე–14 საუკუნეში ვალერიუსი თარგმნეს გერმანულად, ფრანგულად და კატალონიურად.

არსებობს მისი უამრავი ინკუნაბულა (პირველნაბეჭდი წიგნები). პირველი მათგანი გამოქვეყნდა მენტელინის (1470 წელი) და პეტერ სხოიფერის (1471) მიერ. მე–16 საუკუნეში ვალერიუსი ოქსფორდის კორპუს კრისტი კოლეჯის სტუდენტების სამაგიდო წიგნი იყო. მის გამომცემელთა შორის არის ისეთი ცნობილი სახელები, როგორებიც იყვნენ ალდუს მანუტიუსი (1534), პიგიუსი (1567) და იუსტუს ლიპსიუსი(1585).

რენესანსის განმავლობაში მაქსიმუსი ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ანტიკურობის შესასწავლად. 1523 წელს პერუგინოსის ცნობილი ფრესკა ჩვენი ავტორის შთაგონებით შეიქმნა. აქ შეიძლება ვნახოთ იმ რომაელთა და უცხოელთა სახეები, რომლებიც ვალერიუსთან გვხვდებიან; თანაფარდობაც ზუსტად ისეთივეა (2: 1). ეს შედევრი არ არის ერთადერთი, რომელიც ვალერიუს მაქსიმუსის ზეგავლენით შეიქმნა.

ვალერიუსის პოპულარობამ გასტანა მე–17 საუკუნის შუა ხანებამდე; მონტენმა (1592) ადრევე წაიკითხა მისი ნაშრომი. მალე ის ჩაანაცვლეს ახლად აღმოჩენილმა კლასიკოსებმა: ციცერონმა, ლივიუსმა და განსაკუთრებით, ბერძნებმა.

ვალერიუსი თანამედროვე ისტორიკოსებს წარმოადგენს უკრიტიკოდ, რა თქმა უნდა, ზღვა მასალის საფუძველზე, რომელიც მის გარეშე არ გვეცოდინებოდა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მთლიანად უარვყოთ იგი, მიუხედავად მისი, როგორც ისტორიული წყაროს, ბევრი ნაკლისა.

ვალერიუსი არც ფილოსოფოსია, არც ისტორიკოსი, არც ეპისტოლოგრაფი. იგი იყო რიტორიკის მასწავლებელი, მაგრამ მას არ სურს შექმნას უბრალოდ მასალა ორატორებისათვის. იგი ცდილობს შექმნას ისტორია წამიერი ხედვით, რომელიც შემდგომ საშუალებას მოგვცემს, შევისწავლოთ ადამიანის ბუნება, ყველა მისი ღირსებითა და ნაკლით. როგორც მორალისტი, იგი გვიშლის ადამიანის უზარმაზარ პანორამას. გარდა რომაელებისა, მწერალი ყურადღებას აქცევს უცხოელებს, მონებსაც კი (6. 8), ქალებს (6. 7. 3) და ბავშვებს (3. 1. 2;). მან აიყვანა **exempla** დამოუკიდებელი ფორმის მქონე ლიტერატურის სიმაღლემდე. მისი კრებული დიდად არის დავალებული ოვიდიუსის „მეტემორფოზებისაგან." ვალერიუსის „ეპიდიქტიკული" სტილი, ასეთი არა კლასიკური და ბარაქიანი, მეორე საუკუნის პროდუქტია. მისი თანამედროვე კომენტატორები და მთარგმნელები არიან **desiderata**. ვფიქრობ, ვალერიუს მაქსიმუსი ჯერ კიდევ აღმოსაჩენია.

კურტიუს რუფუსი (Curtius Rufus)

კურტიუს რუფუსის მოღვაწეობასთან დაკავშირებით შემოთავაზებული თარიღები ავგუსტუსიდან თეოდოსიუსამდე პერიოდებს შორის სახელდება. ბევრი მომხრე ჰყავს თარიღს კლავდიუსის დროს, მაგრამ უფრო შესაძლო ვესპასიანეს დრო გვეჩვენება. შთამბეჭდავი მსგავსება იმპერატორისა მზესთან, რომელიც თავს ატყდება ღამისა და ნისლიდან, არის რიტორიკული ტოპოსი და არც მთლად შესაბამისი ქრონოლოგიური მიზნებისათვის, მაგრამ ვესპასიანეს რომში აღმოსავლეთიდან მოსვლა ძალიან ჰგავს „მზის ამოსვლას". უფრო აშკარა დასტურია პასაჟი, რომელიც სამოქალაქო ომის პერიოდზე მიგვანიშნებს, თუმცა კურტიუსი მხოლოდ ამბობს, რომ ეს იყო „4 იმპერატორის წელიწადი". იგივე ალუზიაა დიადოხოსების ბრძოლებთან დაკავშირებით პლუტარქეს „გალბას ცხოვრებაში". კიდევ ერთი ნართაული ნათქვამი მიგვანიშნებს ვესპასიანეს დროზე: ეს არის ახალი დინასტიის (domus) ხსენება.

რომაელები ფიქრობდნენ, რომ მშვიდობა იყო მათი საჩუქარი. ლეგენდებს ვესპასიანეს მონეტებზე, რომლებიც იწვევდნენ securitas-ს და fecilitas-ს, ჰგავს კურტიუსის პასაჟი 10. 9. მსგავსი ასოციაცია ვესპასიანეს ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით აქვს როსიუსს (7. 9. 1): *turbida tyrannorum tempestate discussa tranquilla sub Vespsiano duce serenitas rediit, mSvidi uSfoTveloba da siwynare dabrunda vespasianes samefoSi. ერთხელ, როცა ტირანთა შტორმი გაირყვნა, მშვიდი უმფოთველობა და სიწყნარე დაბრუნდა ვესპასიანეს სამეფოში.* იგივე გვახსენებს პარალელებს ნერონისა და ალექსანდრეს სიკვდილთან დაკავშირებით.

შესაძლოა, კურტიუსმა ნაშრომზე მუშაობა დაიწყო ნერონის დროს და დაასრულა ვესპასიანეს დროს. მისი კლასიცისტური სტი-

ლი ყველაზე მეტად ფლავიანუსის ეპოქას შეესაბამება. ამავე დროზე მიგვანიშნებს კურტიუსის ენის სიახლოვე პლინიუსთან და ტაციტუსთან. ძნელი დასადგენია მისი იდენტურობა კურტიუს რუფუსთან, რომელიც იყო პროკონსული აფრიკაში (ტაც. ანნ. 11. 20–21; პლინ. ეპისტ. 7. 27), ან ორატორ ქ. კურტიუს რუფუსთან (სვეტ. რეტ. 33). თუმცა, მისი დიქციის ჟღერადობა და საომარ საქმეებში კომპეტენციის ნაკლებობა სრულიად შესაბამისი იქნებოდა რიტორისათვის.

კურტიუსს საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება აქვს თავისი გმირის მიმართ. მისი მკითხველის მახსოვრობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველ რომაელთა ცრურწმენები ბერძნებისა და მეფეების წინააღმდეგ. მეორე საუკუნეში ეს შეიცვლება. საკმარისია აღინიშნოს პლუტარქე და არიანე.

კურტიუსს ეკუთვნის ნაშრომი სახელწოდებით *Historiae Alexandri Magni regis Macedonum*. ნაშრომი 10 წიგნისაგან შედგება და საკმაოდ მოზრდილი ნაწილები აკლია: პირველი და მეორე წიგნები, მესამე წიგნის დასაწყისი, მე–5 წიგნის დასასრული, მე–6 წიგნის დასაწყისი და მე–10 წიგნის ნაწილი. წარმოვადგენთ ნაშრომს მესამედან მეათე წიგნებამდე:

წიგნი 3: ალექსანდრე ჭრის გორდიას კვანძს, ხდება ავად ილიასუსში ბანაობის შემდეგ, ამარცხებს დარიუსს ისუსთან ბრძოლაში (ძვ. წ. ა. 333).

წიგნი 4: ალექსანდრე ანგრევს ტირუსს და იპყრობს გაზას (332). ის აარსებს ალექსანდრიას და ამარცხებს დარიოსს არბელას ბრძოლებში (331).

წიგნი 5: ალექსანდრე იღებს ბაბილონს (331) და პერსეპოლისს. დარიუსი მისმა საკუთარმა ხალხმა განდევნა (330).

წიგნი 6: პანთიენებში ალექსანდრე ფუფუნებაში ცურავს. იგი მეგობრულად იღებს არტაბაზუსს. სამხედრო ექსპედიციებით იგი აიძულებს თავის ჯარისკაცებს, დაივიწყონ თავიანთი უკმაყოფილება. პარმენიუსის ვაჟს, ფილოტასს ქვები დაუშინეს, როგორც შეთქმუ-

ლების მონაწილეს.

წიგნი 7: დასაწყისი რა სხვა შეთქმულებიც, ალექსანდრე ლაშქრავს კავკასიას და აღწევს ბაქტრას (330). ის კვეთს ოქსუსს და ტანაისს, ამარცხებს სკვითებს, და ბოლოს, სწყვეტს ბესუსს (329) და არიმაზესს (328).

წიგნი 8: მთელი რიგი გამარჯვებების შემდეგ, ალექსანდრე თხოულობს როქსანეს; მან მოკლა ფილოსოფოსი კალისთენე და შეთქმული ჰერმოლაუსი (327). იგი მიდის ინდოეთში (327) და იპყრობს პორუსს (326).

წიგნი 9: ჯარისკაცების გამოფიტვამ და ძალის გამოცლამ, მეფის დაჭრამ, შიმშილმა და შავმა ჭირმა დაჩრდილა ალექსანდრეს გამარჯვებები ინდოეთში.

წიგნი 10: ნეარქუსმა და ონესიკრიტუსმა გამოიკვლიეს ოკეანის სანაპირო (9325). ალექსანრდემ სიკვდილით დასაჯა უდანაშაულო ორსინესი. იგი ახშობს მაკედონელების ამბოხებას და ეძებს თავშესაფარს სპარსელ მცველებთან (324). ამას მოსდევს მეფის ავადმყოფობა და დავა მისი მემკვიდრეობის შესახებ.

თუ სწორად განვსაზღვრეთ კურტიუსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანა, არიანე ვერ იქნებოდა მისი წყარო. მრავალრიცხოვან წყაროებს შორის შეიძლება დავასახელოთ არისტობულუსი, ალექსანდრეს მეგობარი და პტოლემოსი (ძვ. წ. 367–283), რომელიც მოხსენიებულია კურტიუსის მიერ (9. 5. 21). კურტიუსი არა მხოლოდ აქებს თავის გმირს, არამედ ხშირად აკრიტიკებს კიდეც, რომაული ისტორიოგრაფიისა და რიტორიკული სკოლების ტრადიციისაგან განსხვავებით.

წყაროების კიდევ ერთ ჯგუფს წარმოადგენენ დიოდორუსი და იუსტინე, რომლებიც ახდენს პომპეიუს ტროგუსის კოპირებას. კურტიუსსა და იუსტინეს შორის დიდი მსგავსებაა. ჯგუფის შიგნით კურტიუსსა და დიოდორუსს შორის მიწერ-მოწერის კვალი კლიტარხუსამდე მიდის (კურტიუსი აღნიშნავს მას 9. 8 15–ში). თუ კურტიუსი და ტროგუსი უპირისპირდებოდნენ ხოლმე დიოდორუსს,

ისინი მიჰყვებოდნენ ტიმაგენესს (მვ. წ. პირველი საუკუნე). თავის ბოლო 6 წიგნში კურტიუსსს არ შეუძლია დაეყრდნოს ალექსანდრეს ისტორიკოსს კალისთენესს, რომელიც გადაასახლეს 327 წელს. ბოლო წლებისათვის მთავარი წყარო მაინც კლიტარხუსი რჩება. საერთოდ, სპეციალისტთა წრეებში თვლიან, რომ ეს უკანასკნელი იყო ალექსანდრეს ისტორიისათვის მთავარი ავტორიტეტი.

იუსტინესეული კრიტიკა მისი გმირისა არის ზომიერი. არ სჩანს „წარმატებული განუსჯელი გამბედაობის" კვალის თემა. ამ ავტორებთან შედარებით, კურტიუსს უნდა ჰქონდეს თავისი დამსახურება, თუნდაც უფრო სევდიანი პორტრეტის შექმნისას. ამის აღდგენას ცდილობს ანონიმური ავტორი, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ალექსანდრეს მიმართ, რომელიც იყენებდა მარტივ ფაქტებს, რათა წარმოესახა, როგორ განიცადა მეფემ თანდათან დეგენერაცია ტირანად; ასეთი რეკონსტუქცია გაზრდიდა კურტიუსის, როგორც ისტორიული წყაროს ფასს. ფაქტობრივად, პარალელები კურტიუსსა და პლუტარქეს შორის, რომელმაც არ გამოიყენა კლიტარხუსმა, მხოლოდ უფრო ძველი მტკიცებულებები, გვიჩვენებს, რომ კურტიუსიც, ასევე, შესაძლოა, უახლოვდებოდა უფრო ადრეულ მასალებს.

„ალექსანდრე დიდის ისტორიები" შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც „ტრაგიკული ისტორიოგრაფია," ან როგორც „ ისტორიული რომანი". წინამორბედის გაკრიტიკება ისტორიის საქმეა: *tanta componentium vetusta rerum monimenta vel securitas vel...credulitas fuit, ასეთი იყო იმათი გულგრილობა, რომლებმაც შექმნეს ძველი ჩანაწერები* (9. 5. 1), მაგრამ გვხვდება ამის საწინააღმდეგოც: *ego quidem plura transcribe quam credo, რაც შემეხება მე, უფრო მეტს ვყვები, ვიდრე მჯერა* (9. 1. 34). მომდევნო ციტატები მიგვანიშნებს, რომ ჰეროდოტოსი და ლივიუსი მის მოდელთა შორის უნდა განვიხილოთ. კურტიუსი ემხრობა ლივიუსს ბევრ რამეში, დეტალებსა თუ მსჯელობებში. ხოლო კურტიუსისეული ალექსანდრეს რომაული ინტერპრეტაცია ძალიან გვაგონებს ვალერიუს ფლაკუსისეული ია-

სონის რომაულ ინტერპრეტაციას.

ჰომეროსი და ჰეროდოტოსი ამ ავტორთან გვხვდებიან, მაგრამ ძნელი სათქმელია, ორიგინალებს უშუალოდ გაეცნო, თუ სხვა ავტორის, მაგალითად, კლიტარხუსის, მეშვეობით. კურტიუსის ლექსიკას ეტყობა ვერგილიუსის ზეგავლენა, მაგრამ შესაძლოა, ის სიტყვები, რომლებიც გვხვდება კურტიუსთან, თავად ვერგილიუსმა გადმოიტანა ან „აღმოსავლური ცხოვრებიდან", ან ალექსანდრეზე არსებული ტრადიციიდან, ან რიტორიკული სკოლიდან.

სენეკა და ლუკანუსი ალექსანდრეს მიიჩნევდნენ ყაჩაღად ფართო მასშტაბით (3. 5; 10. 21). ელინისტური ეპოქის ავტორთა მიერ წამოწყებული ალექსანდრეს კრიტიკის გაგრძელებაა რომაელთა მიერ დიდი მეფის ტირანად წარმოსახვა. ალექსნდრეს თემის პოპულარობა აშკარაა რიტორიკის სკოლებში, ხოლო ჩვენი ავტორი ლათინური რიტორიკის ნაწილია. ძნელი სათქმელია, განიცადა თუ არა მან ამ თვალსაზრისით პერიპათეტიკოსთა ზეგავლენა.

კურტიუს რუფუსი თავის ნარატივს აძლევს შთამბეჭდავ სტრუქტურას. თითოეულ წიგნში ის განაბნევს მნიშვნელოვან ეპიზოდებს, ზოგჯერ მაღალი კულმინაციის მქონე დრამატულ სცენებში. თავისი მასალის ორგანიზებისას ოსტატური წყობა ხშირად ლაგდება ქრონოლოგიის დარღვევის ხარჯზე. ასეთი ტექნიკა, ნაწილობრივ, ეპოსიდან მომდინარეობს. სცენათა შეთანხმება შეიძლება დაიყოს მოქმედებებად, დრამის მსგავსად. ტრაგედია და ტრაგიკული ისტორია თავის დაღს ასვამს კურტიუსის *Historiae Alexandri*-ს.

კულმინაციურ ადგილზე კურტიუსი ჩაურთავს თავისი დროის დამოწმებას (10. 9), საკუთარ განცხადებას, იშვიათად დამახასიათებელს ჩვენი ავტორისათვის.

იგი დამოუკიდებლად თხზავს სიტყვებს თავისი გმირებისათვის, რიტორიკის წესების შესაბამისად. საერთოდ, კურტიუსის ლიტერატურული ტექნიკა საკმაოდ მრავალფეროვანია, და ყველა მათგანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჰეროდოტეს, სალუსტიუსის, ლივიუსის და ვერგილიუსის „მფარველობის ქვეშ იმყოფება".

კურტიუსის ენა და სტილი კლასიკურად სუფთა და ელეგენტურია. ის ბაძავს ლივიუსს (ლექსიკაში), ვერგილიუსს (ისეთი სიტყვების გამოყენებაში, როგორიცაა ariatare, debellare, dedignari, inerritus, protendere, canities). მას მოსწონს აბსტრაქტული ცნებების პერსონიფიცირება. ხოლო არქაიზმების სიმცირე მიგვანიშნებს, რომ იგი უფრო მეორე საუკუნის ავტორი უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, ჩვენი ავტორი ახდენს ბერძნული სახელების (ღმერთების, პოლიტიკოსთა) ლათინიზირებას. იგი ერთმანეთს უთახნმებს, ბერძნულისაგან განსხვავებით, ისეთ სიტყვებს, როგორიცაა imperium და auspicium (6. 3. 2) და იყენებს ტიპურ რომაულ ვარიანტს, როგორიცაა in fidem accipere (3. 10. 7), opium belli decus (3. 11. 7), penates (3. 6. 9) , vota pro salute (3. 7. 3). ყველა მოვლენა მასთან დანახულია რომაელის თვალით და შეფასებულია მისი დროის რომაელის გადასახედიდან.

ავტორის უაღრესად მეგობრული დამოკიდებულება თავისი მკითხველისადმი განპირობებულია მწერლის რიტორიკული განათლებით. იგი ხშირად ჩაურთავს ისეთ ფრაზებს, რომლებიც თხრობას ალამაზებენ და აღქმას აძლიერებენ.

კურტიუსი არასაიმედო წყაროა, როგორც ისტორიკოსი და გეოგრაფოსი. განსაკუთრებით შეცდომაში შემყვანია მის მიერ ასახული ბრძოლები. როდესაც მწერალი საუბრობს ალექსანდრეს აპოთეოზზე (8. 5. 8; 8. 5. 11), აშკარაა ჰორაციუსის ზეგავლენა (ეპისტ. 2. 1. 5–12).

ჩვენამდე მოღწეული მისი ნაშრომის ერთადერთი ხელნაწერი მე–5 საუკუნეს განეკუთვნება და ძალიან დაზიანებულია. მისი აღგენა მხოლოდ ვარაუდითაა შესაძლებელი. ეს ერთადერთი ვარიანტია შუა საუკუნეებიდან შემონახული. მე–8 საუკუნის ბოლოსათვის ის, სავარაუდოდ, გადაიწერა კაროლინგური ნუსხური ასოებით. ყველა ხელნაწერი უნდა იყოს წარმოშობილი ამ ასლის დაკარგული ასლისაგან. ყველა შუალედური ვარიანტი დაკარგულია.

არსებობს ორი ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისაგან ოდნავ გან-

სხვავდება: ერთის მხრივ, არის განსაკუთრებით საიმედო Parisinus 5716 (P; მე–9 ს.), მეორეს მხრივ, შემდეგი ჯგუფი: Bernensis 451 (B; მე–9 ს.), Florentinus Laurentianus 64, 35 (F; 9 ს.), Leidenis 137 (L; მე–9 ს.), Vossianus Q 20 (V; მე–9 ს.). პარისინუსს მიეწერება ძველი ფრაგმენტები (მე–9/10 სს.), რომლებიც დაცულია ვურზბურგში, დარმშტადში და ვიენში. რაინაუს ფრაგმენტები (მე–9/10 სს.) ახლა ინახება ციურიხში. ბევრი შედარებით ახალი ხელნაწერი (მე–12–15 სს.) ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გამოკვლეული.

როგორც ავტორს, ალექსანდრეს ისტორიკოსს, კურტიუსს აშკარად უპირატესობა უნდა მივანიჭოთ სხვა ავტორებთან შედარებით (მაგალითად, როგორებიც არიან არიანე და დიოდორუსი). რომაულ ლიტერატურაში ის არის პირველი, ვინც გააერთიანა ალექსანდრეს სრული ბიოგრაფია და ისტორია. ეს არის წყარო, რომელიც ყველაზე დეტალურად გადმოსცემს ალექსანდრესთან დაკავშირებულ მოვლენებს. ასე რომ, იგი შეიძლება ტაციტუსის *Agricola*-ს წინამორბედად ჩავთვალოთ. ვერ გამოვრიცხავთ, რომ მან პირდაპირ მოახდინა ზეგავლენა დიდ რომაელ ისტორიკოსზე. ბევრი რამ მიგვანიშნებს ამაზე, მაგალითად, ერთ–ერთი მათგანია გმირების მიერ წარმოთქმულ სიტყვათა ანალოგიები. სენჯანუსის დაცემის შემდეგ ტერენციუსის დასაცავად წარმოთმული სიტყვა (ტაც. ან. 6. 8) ძალიან ჰგავს ამინტასის სიტყვას, წარმოთქმულს ფილოტასის დაპყრობის შემდეგ (კურტ. 7. 1. 26–31). უფრო მეტიც, ტაციტუსის გერმანიკუსი ფეხდაფეხ მიჰყვება ალექსანდრეს. კალგაკუსის კრიტიკული გამოსვლები რომთან დაკავშირებით (ტაც. აგრ. 30.4) ძალიან ჰგავს სკვითიელთა მაცნეს სიტყვებს (კურტ. 7. 8. 12); ტაციტუსისეული გამოთქმა *solitudinem facere* ალექსანდრეს ზოგიერთ გამოთქმას გვაგონებს (kurt. 8. 8. 10 და 9._2. 24). კურტიუსმაც გამოიყენა ცნობილი გამოთქმისათვის ***sine ira et studio***, მაგრამ სხვა კონტექსტში (6. 9. 6). პარალელები იძებნება პასაჟში 10. 9. ამას გარდაც შეიძლება ვილაპარაკოთ კურტიუსის ზეგავლენებზე ანტიკურობაში.

მე–9 საუკუნემდე კურტიუსის კვალი აშკარად ჩანს ნაწარმოებ-

ში *Liber monstorum de diversis generibus*. კაროლინგის ეპოქაში აინჰარტი (840) იყენებს გამოთქმებს, რომლებიც ძალიან ჰგავს კურტიუსისეულს. მნიშვნელოვანი ხელნაწერები თარიღდება მე–9/10 საუკუნეებით. ციტატები მოწმობენ, რომ კურტიუსს კითხულობდნენ საკლასო ოთახებში. მე–10 საუკუნის ბოლოს ეგბერტ ლიეგემ გამოიყენა კურტიუსის ნაშრომი თავისი ნაწარმოებისათვის *Fecunda ratis*. დანიელმა ისტორიკოსმა საქსო გრამატიკოსმა (მე–11 ს.) აღიარა კურტიუსის სტილის მომხიბვლელობა. საერთოდ, შუა საუკუნეების მკითხველი უპირატესობას ანიჭებდა იულიუს ვალერიუსის ფსევდო–კალისთენეს ლათინურ ვერსიას და ალექსანდრეს არისტოტელესადმი მიწერილ აპოკრიფულ (არასანდო) წერილს, რომელშიც აზიის საოცრებებზე იყო საუბარი.

მე–12 საუკუნის პირველ ნახევარში ალბერიკ ბესანჩონმა დაწერა „რომანი ალექსანდრეზე", რომლის 150 ვერსია დაცულია კურტიუსის ხელნაწერებში, ლაურენტიანაში, მაგრამ მათ არ ეტყობათ კურტიუსის ცოდნის კვალი. მოგვიანებით ჯონ სალისბარიმ სვეტონიუსთან, ტაციტუსთან და ლივიუსთან ერთად კურტიუსის წაკითხვა ურჩია თანამედროვეებს (Policr. 8. 18).

მე–13 საუკუნეში კურტიუსის სახელი გამოჩნდა მაშინდელი ბიბლიოთეკის კატალოგებში, ხოლო მე–14 საუკუნეში მისი „ალექსანდრე" ფრანგულად ითარგმნა. პეტრარკამ კურტიუსის შემონახულ ტექსტს გაუკეთა მნიშვნელოვანი შენიშვნები და შეიტანა იგი თავის ლათინურენოვან ნაწარმოებებში.

მე–15 საუკუნეში კურტიუსის ხელნაწერები გავრცელდა მთელს ევროპაში. ლორენცო ვალა ხშირად ახდენდა მისი, როგორც კარგი ლათინურის საუკეთესო ნიმუშის ციტირებას. სტუდენტები და მეცნიერები ბაძავდნენ მას. 1438 წელს პიერ კანდიდო დეკემბრიომ თარგმნა კურტიუსის შრომა იტალიურად; 20 წლის შემდეგ პორტუგალიელმა ვასკვეზ დე ლუჩენესმა დაწერა მისი ფრანგული ვერსია, რომელიც აიტაცა მაშინდელმა მკითხველმა. ესპანური ვარიანტი გამოჩნდა 1481 წელს (ლუის დე ფენოლეტი).

პირველი ბეჭდური გამოცემა გამოვიდა 1470 წელს, ვენდელინუს სპეიერის მიერ და ამის შემდეგ ერთიორად გაიზარდა კურტიუსის პოპულარობა. გამოცემათა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო მე–15-17 საუკუნეებში, ოდნავ დაეცა მე–18 ს.–ში და ზენიტს მიაღწია მე–19 ს.–ში. პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოსამსახურეები, სწავლულები და პოეტები განათლდნენ კურტიუსის კითხვით. მას თვლიდნენ სანიმუშო ლათინურის მცოდნედ რიჩელიეუ, ტურენე, მენაჟი, ჟან დე ლა ტაილე. მასზე ამბობდნენ: *il est facile, clair et intelligible.*

ისტორიული კრიტიციზმის განვითარებასთან ერთად შესუსტდა კურტიუსის დიდება. და მაინც, იგი აღიარეს, როგორც საკმაოდ სანდო ისტორიული წყარო. როგორც მწერალს, მას მძიმე ხვედრი ერგო: თავდაპირველად მას აბუჩად იგდებდნენ, როგორც სკოლის ავტორს; შემდეგ კი იგი აღარ მეიტანეს სკოლაში წასაკითხ ავტორთა შორის, რადგან არ აღიარებდნენ მისი *ისტორიის* სანდოობას. დროა დასრულდეს circulus vitiosus (მოჯადოებული წრე).

POETAE NOVELLI

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების რომაულ მწერლობას კეისრების ხანის მწერლობას ეძახიან, რადგანაც ამა თუ იმ კეისრის ხასიათმა და მმართველობის სტილმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ზოგადად იმპერიის და კერძოდ, კულტურის განვითარება. მართალია, ამ პერიოდში შეინიშნება დაღმა სვლის გარკვეული ტენდენციები, მაგრამ, ამის პარალერულად, რომის იმპერია მაინც ახერხებს თავისი პოზიციების გამყარებას.

მეორე საუკუნე რომის ისტორიაში შედარებით სტაბილურობითა და სიმშვიდით ხასიათდება, რაც, რა თქმა უნდა, მწერლობის რაფინირებულობაშიც აისახება; თუმცა, არა ყოველთვის. ამ პერიოდის რომაულ ლიტერატურაში აშკარად იგრძნობა მცირე ფორმების პოეზიის დეფიციტი, რის გამოსწორებასაც შეეცადნენ ე.წ. „ახალი პოეტები" (Poetae Novelli), რომელთა შემოქმედება ჩვენამდე საკმაოდ ცუდადაა მოღწეული და შესაბამისად, ნაკლებად შესწავლილი ლიტერატურის ისტორიაში.

მოღვაწეობის ხანა. პოეტთა ის ჟგუფი, რომელსაც ტერენციანუს მაურუსმა (დაახლოებით 2–ე საუკუნის დასასრული) Poetae Novelli უწოდა, ხოლო დიომედესმა (მე–4 საუკუნის 2–ე ნახევარი) ნეოკრიტიკოსებად მონათლა, მოღვაწეობდა ჰადრიანუსის დროს. ტერენციანუსი სამ მათგანს ასახელებს: ალფოეს ვიტუსს, ანიანუსს და სეპტიმიუს სერენიუსს, რომელთა შემოქმედებიდან მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული. სხვათა მხოლოდ სახელებია ცნობილი (მაგალითად, მარიანუსი). ბევრი მათგანი კი უცნობი დარჩა (მიმოხილვისთვის იხ. 2). ნიშანდობლივია, რომ ამ მიმართულების მრავალრიცხოვან პოეტთა შორის თავისი ადგილი დაიმკვიდრა ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდმა ქომაგმა, იმპერატორმა ჰადრიანუსმაც,

რომლის ლექსების მცირე ფრაგმენტებმა ჩვენამდეც მოაღწია (5, ფრ. 1,45).

მოგვიანებით, მცირე პოეტური ფორმების შექმნა ძალზე პოპულარული გახდა. ამ პროცესში სხვადასხვა ჟანრში მოღვაწე პოეტები ჩაერთნენ და მესამე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა მცირე ზომის პოეტური ნაწარმოებები, ეპიგრამები, რომელთაც თავი მოუყარეს კრებულში *Anthologia Palatina*. ამ პერიოდში შექმნილი „ვენუსის ღამის დღესასწაული", 93 კატალექტური ტროქეული ტეტრამეტრის შემცველი პოეტური ქმნილებაა, რომელშიც ავტორი გადმოგვცემს ღამის რიტუალს, მიძღვნილს გაზაფხულის დაწყებისა და სიყვარულის ქალღმერთის დაბადებისადმი. მიუხედავად ამისა, სავარაუდოდ, ეს არ არის რელიგიური საკულტო დანიშნულების ლექსი, ან ჰიმნი. ეს უფრო პოეტური ნაწარმოებია, რომელიც უმღერის სიყვარულს გაზაფხულის ღამეს.

ძნელი სათქმელია, მცირე ფორმების პოეზიის მიმდევარნი თავიდანვე ერთი სახელწოდებით (Poetae Novelli) გაერთიანდნენ, თუ მოგვიანებით ლიტერატურის კრიტიკოსებმა გააერთიანეს მათი შემოქმედება გარკვეულ მსგავსებათა გამო, ერთი სახელის ქვეშ (3).

შემოქმედება. ალფიუს ავიუტუსმა დაწერა libri rerum excellentium იამბური დიმეტრებით. მან გამოიყენა ანეგდოტები, ან მცირე ზომის მოთხრობები ლივიუსის ნაწარმოებიდან „რომაელთა ისტორია". ანიუნისის საქორწინო სიმღერების (fescenina) მხოლოდ სათაურია ცნობილი, ხოლო მის falisca-ს ფოლკლორული ძირები უნდა ჰქონდეს (*Uva, uva sumet uva falerna – მე ვარ ყურძენი, ყურძენი ფალერინისა*). შედარებით მეტი ფრაგმენტია ჩვენამდე მოღწეული სერენუსის ქმნილებიდან *Oposcula ruralia*, რომელიც ეხება სოფლის ყოფას და რა თქმა უნდა, სიყვარულს (4,375–420).

წინამორბედნი. Poetae Novelli-ს წარმომადგენლებმა მისაბაძ მაგალითად მიიჩნიეს ალექსანდრიული პოეზია, რომელშიც ჭარბობდა მცირე ლიტერატურული ფორმის ნაწარმოებები – ეპიგრამა, ელეგია, ეპილიონი. ყველაზე მისაღები მათთვის ალექსანდრიული ხა-

ნის პოეტთაგან აღმოჩნდნენ კატულლუსი და მისი თანამედროვენი. კიდევ უფრო ადრინდელ ავტორთაგან „ახალთა“ ყურადღება ლივიუსმა მიიპყრო თავისი მეტრული და ლინგვისტური მრავალფეროვნებით.

არც ნერონის ხანის მცირე ფორმის პოეზია, ე.წ. Appendix Vergilian უნდა დაგვავიწყდეს და პლინიუს უმცროსის მცდელობა – აღედგინა გვიანი რესპუბლიკის ლიტერატურული წრეების პოეტური ატმოსფერო (5, 127–175).

ალფიუსი პირველწყაროდ იყენებდა ლივიუსის ნოველებს, რომელთაც განაწყობდა ლირიკული მეტრებითა და დრამატული ეფექტებით.

ნოვაროტობა. ჩვენი აზრით, უმჯობესია დავადგინოთ ყველა ცალკეულ შემთხვევაში რა ჟანრია გამოყენებული, ვიდრე Poetae Novelli–ს პოეზიას ვუწოდებთ. „პოეზიის განსაზღვრული სტატუსის მინიჭება სულაც არ იყო ახალი. სიახლე იყო ის, რომ ამ ტიპის პოეზია „ახლების“ წყალობით გახდა მთელი საუკუნის მწერლობისათვის ტონის მიმცემი. ნეოტერიკოსებს დიდი წვლილი მიუძღვით არა მხოლოდ რომაული, არამედ მსოფლიო პოეზიის განვითარებაში. ისინი პირველები იყვნენ პოეტთა შორის, რომლებმაც გააცნობიერეს ლიტერატურა, როგორც ხელოვნება და მიაგნეს ინტიმურ განცდათა წარმოსახვის შესაბამის, დახვეწილ ფორმებს. სრულყოფილად ფლობდნენ რა ენასა და პოეტურ ტექნიკას, მათ პოეტური ხელოვნების უმაღლესი კრიტერიუმები დაამკვიდრეს (შდრ. 6,3–12).

მემკვიდრენი. Poetae Novelli–ს პოეზიას აკლდა გარკვეული სიღრმე, მაგრამ ამ ჯგუფის წარმომადგენელთა ზეგავლენა მომდევნო თაობის პოეტებზე არცთუ უმნიშვნელო იყო. ნიშანდობლივია თავად ფაქტი, რომ ისინი პოპულარულნი იყვნენ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში. მათ ბაძავდნენ: ფლორუსი, ჰადრიანუსი, გელიუსი, ტერენციანუსი, დიამედისი, ავსონიუსი. ამ უკანასკნელმა მცირე ლიტერატურულ ფორმებში უხვად შემოიტანა ეროტიკული ელემენტები და სიტყვათა თამაში, რომელიც პირველად „ახლებმა“

გამოიყენეს თავიანთ შემოქმედებაში.

საკითხის დასმის სახით. ვფიქრობ, გარკვეული მიმართულება არსებობს ქართველ ცისფერყანწლებსა და რომაელ ნეოტერიკოსებს შორის. მსგავსია: 1. მცირე ზომის ნაწარმოებები; 2. ახალი ლიტერატურული ფორმების ძიება; 3. სიტყვათა თამაში; 4. სიღრმეს მოკლებული პოეზია, რომელშიც მსუბუქად ხდება პრობლემათა მოწოდება და რომელიც სწორედ ამ სიმსუბუქით გვხიბლავს; 5. ხშირად გარეგნულ ბრწყინვალებას შეწირული შინაგანი განცდები. თუმცა, ეს სხვა თემაა და შემდგომი კვლევის საგნად შეიძლება იქცეს.

ავსონიუსი (Ausonius)

დ. მაგნუს ავსონიუსი (D. Magnus Ausonius) იყო ფიზიკოსი ბორდეაუქსიდან, დაახლოებით, 310 წელს. ის იყო პირველი ფრანგი წარმომადგენელი მსოფლიო ლიტერატურაში. მშობლიურ ქალაქსა და ტულუზაში განათლების მიღების შემდეგ იგი ასწავლიდა ბორდეაუქსის ცნობილ სკოლაში, თავდაპირველად, გრამატიკას, შემდეგ – რიტორიკას. ჰყავდა საყვარელი მეუღლე, საბინა და სამი შვილი. მეუღლე გარდაეცვალა 28 წლის ასაკში. იმპერატორმა ვალენტინიან პირველმა დანიშნა იგი ტუტორად ბრიტანეთში (365 წ.). მოგვიანებით, მანვე განაწესა იგი questor sacri palatii-დ (375). იქ თავისი ცნობილი ნაწარმოებით *Mosella* (369-375 წლებს შორის), რომელიც ეძღვნება მდინარე მოზელას ლანდშაფტს და 483 ჰექსამეტრისაგან შედგება, პირველ პოეტად იქცა გერმანული ლანდშაფტის შესახებ, ხოლო ნაწარმოებით *Bisulla* ცნობილი გახდა, როგორც სუევიელი გოგონას აღმომჩენი.

ცისფერთვალება, ქერათმიანი ქალიშვილი ავსონიუსს წილად ერგო, როგორც ნადავლი, ვალენტინიანთან ალამანის წინააღმდეგ ბრძოლების შემდეგ. გრაციანეს დროს იგი იყო praefectus praetorio trium Galliarum (378) და კონსული (379). აღიარებული პოეტი მოუწოდებდა მმართველს, გაეძლიერებინა სენატის პოზიცია და ჩაენაცვლებინა გულჩვილობის პოლიტიკა ფრთხილი და აწონ–დაწონილი დამოკიდებულებით ვალენტინიანელების მიმართ. გრაციანეს ძალადობრივი სიკვდილის შემდეგ (383) ავსონიუსი დაბრუნდა თავის ნაკვეთში, რათა ეცხოვრა სიმშვიდეში, ლიტერატურის გარემოცვაში, ლიტერატურისა და მეგობრებისათვის. მისი სიცოცხლის ბოლო წლების შემოქმედება დაიჩრდილა მისივე მოსწავლის, პაულინუსის რელიგიური ფანატიზმით.

შრომები. *პოეტური შესავლები* (წიგნი პირველი) მიმართულია მკითხველისადმი, სიაგრიუსისა და იმპერატორ თეოდოსიუსის მიმართ, რომლისგანაც არის ჩართული *წერილი ავსონიუსს.*

ავსონიუსის სახელით ჩვენთვის ცნობილი ნაწარმოებებია: ***Prefaces*** (წიგნი 1), რომელიც მიმართულია მკითხველისა და იმპერატორ თეოდოსიუსისაკენ. აქვეა ჩართული ამ უკანასკნელის წერილი ავსონიუსისადმი; ***Ephemeris*** (წიგნი 2) აღწერს პოეტის ერთ ტიპურ დღეს; *ლექსები* (წიგნი 3), რომლებიც ეხება ავსონიუსის ცხოვრების მნიშვნელოვან პუნქტებს; ***Parantalia*** (წიგნი 4) აღწერს პოეტის ნათესავებს; ***Professores Burdigalenses***–ში (წიგნი 5) პოეტი ქმნის თავისი კოლეგების პორტრეტებს; ეპიტაფიები (წიგნი 6), ძირითადად, ეძღვნება ტროას ომის გმირებს; ეკლოგები (წიგნი 7) მოიცავს რამდენიმე დიდაქტიკური ხასიათის ჰექსამეტრებით და დისტიქებით გამართულ ფრაგმენტს; ***Martyred Cupid*** (წიგნი 8) ეძღვნება შეყვარებულ ქალებს მიწისქვეშეთში; ***Bissula*** (წიგნი 9) სატრფიალო ლექსების მოკლე ციკლია; ***Mosella*** (წიგნი 10) ავსონიუსის ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანი შრომაა; ***Ordo urbium nobelium*** (წიგნი 11) გვიყვება ქალაქებზე, დაწყებული რომიდან, რომელიც მას აღაფრთოვანებს, დამთავრებული ბორდეაუქსით, რომელიც მას უყვარს; ***Technopaegnion*** (წიგნი 12) ჰექსამეტრით გამართული ლექსთა კრებულია; *7 ბრძენის თამაში* (წიგნი13) იამბური საზომითაა გამართული. თითოეული ბრძენი მკითხველს საკუთარ თავს აცნობს და საკუთარ სიბრძნეს ბერძნულ ენაზე წარმოთქვამს; *12 კეისარი* (წიგნი 14) მბრძანებელთა ცხოვრებაზე ჰექსამეტრითა და დისტიქებით გამართული ლექსით მოგვითხრობს, ხოლო *15 კონსულის შესახებ* ავსონიუსი მე–15 წიგნში გვიყვება.

ავსონიუსს პოეტთაგან განსაკუთრებით უყვარდა კატულუსი და ჰორაციუსი, ასევე, პლავტუსი, ტერენციუსი, ლუკრეციუსი, ვერგილიუსი, ტიბულუსი, ოვიდიუსი, ლუკანუსი, სტატიუსი, იუვენალისი და სეპტიმუს სერენუსი, ხოლო პროზაიკოსთაგან – ციცერონი და პლინიუსი, აგრეთვე ვარო, სვეტონიუსი, ფლორუსი, და შესაძ-

ლოა, მარიუს მაქსიმუსი. იგი ხშირად იშველიებს აფრანიუსის, ენიუსის და ლუკილიუსის ციტატებს. ხშირად მისი ეპიგრამები დაფუძნებულია ბერძნულ მოდელებზე. საოცარია, მაგრამ იგი ნაკლებად ბაძავს მარციალუსს, თუმცა საეჭვოა, რომ მას თავისი ეპიგრამები ბერძნული მოდელების გათვალისწინებისა და დეტალური შესწავლის გარეშე დაეწერა.

ავსონიუსმა შექმნა სრულიად ახალი ტიპის ლექსი: commeratio. იგი შეიცავს laudatio-სა და epicedium–ის, ელეგიისა და ეპიგრამის ელემენტებს. ასეთივე ახალი ფორმაა Ordo urbium nobelium, სადაც ბერძნული ეპიგრამის ელემენტები დაკავშირებულია რომაულ descriptions-თან. რაც შეეხება სატირულ ეპიგრამას, აქ ავსონიუსი სტერეოტიპის ერთგული დარჩა და არც ფორმა შეუცვლია და არც შინაარსი, ხოლო თავისი *წერილით ვაჟიშვილისადმი* მან დაამტკიცა, რომ რიტორიკული ლირიკის დიდოსტატი იყო.

ლუკილიუსის მსგავსად, ავსონიუსმა შეაერთა ლათინური და ბერძნული ელემენტები და შექმნა ნაკვარი (ჰიბრიდული) პოეზია. ეს მეთოდი მსგავსი ეპოქებისათვის დამახასიათებელია. რადგანაც მას არასოდეს დაუტოვებია გალი, მისი ლათინური ამ დროისა და რეგიონის ლათინურზე გვიქმნის წარმოდგენას.

ლიტერატურისადმი ავსონიუსის დამოკიდებულებას დიდად განსაზღვრავს მისი პედაგოგიური საქმიანობა, თუმცა მისი მთავარი დამსახურება, როგორც ავტორის, არის ლექსების კრებულების ყოვლისმომცველი ხასითი. ამ ავტორისათვის ყველაფერი უკვდავების ღირსი ჩანს: მისი ოჯახი, პროფესორები ბორდეაუქსში და კიდევ უამრავი რამ. როგორც ამბობდნენ, ბველი ჯენტლმენის ცხოვრება დევს ჩვენს წინაშე, როგორც დაპირებისამებრ შესრულებულ ფირფიტაზე. ავსონიუსი ტოვებს მკითხველს იმ შთაბეჭდილებებთან, რომ ავტორის პერსონა უფრო მრავლის მთქმელი და მეტყველია, ვიდრე მისი თავმდაბალი, მოკრძალებული და ხშირად შემთხვევითი, უმნიშვნელო ლექსი. იგი ცდილობს, იყოს მსოფლიოს სარკე.

ავსონიუსის სასიყვარულო ლექსები, რომლის ადრესატი იყო

სუევიელი გოგონა ბისულა, არის პირადული პოეზიისაკენ პირველი ნაბიჯი. შესავალ ნაწილში ავსონიუსი საჭიროდ თვლის, მოიბოდიშოს საკუთარი პოეზიის პირადული ხასიათის გამო. მასში მოულოდნელად წამოიჭრება რაღაც საკითხი, რომელიც რომაულ ლიტერატურაში ამოტივტივდება ხოლმე კვლავ და კვლავ, მაგრამ ხშირად იგი მიჩქმალულია ლიტერატურული და სოციალური საკითხების ფონზე.

თავად ავსონიუსი აშკარად გრძნობდა, რომ მას ყველაფერი არ გამოუხატავს თავის ლექსებში, ამიტომ ის ხშირად თავს უყრიდა დარჩენილ სათქმელს შესავლებში, ახსნა–განმარტებით ჩანართებში და დასკვნით შენიშვნებში პროზაულად. იგი იყო ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა იმ დროში, რომლის მთავარი მოთხოვნა ყველაფრის წერილობით გამოხატვა იყო.

ვსონიუსის ძირითადი თემები დაკავშირებული იყო იმასთან, რაც მან ყველაზე კარგად იცოდა – საკუთარ სამშობლოსთან და რიტორიკასთან, რომელნიც თავისთავად შეიძლება უმნიშვნელო იყოს, მაგრამ მათ პოეტის გულში მყარად აქვთ ფესვები გადგმული. ამ თვალსაზრისით ავსონიუსი ჰეშმარიტი რომაელია. მართალია *Mosella*-ში დიდი დოზითაა რიტორიკა, მაგრამ აქვეა ბევრი ისეთი პასაჟი, რომელიც სწორ წარმოდგენას გვიქმნის მოსელასა და სხვა ქალაქების ცხოვრების შესახებ ავსონიუსის დროს. არ იყო ჩვეულებრივი ამბავი, ამაღლებული პოეზიის ენით შეექმნათ რეალობაზე სწორი წარმოდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ბორდეუქსის პროფესორები მასთან დიდი სიყვარულითაა დახატული, არ არიან გაღმერთებული ზედმეტი ქება–დიდებით. შეიძლება ითქვას, რომ ავსონიუსის ინდივიდუალობა და რეალურობა ათავსებს მას ახალი დროის ზღურბლზე. მეორე მხრივ, მისი რიტორიკა და სიტყვათა ზოგჯერ გადამეტებული თამაში არის ნამდვილად რომაული და ზოგად რომანული შტრიხი. როგორც ჰეშმარიტ პედაგოგებს ჩვევიათ, ისიც იქ, სადაც არ ყოფნიდა გემოვნება, ივსებდა განათლებით. ის ერთობოდა რიტორიკით და ქმნიდა მოულოდნელად სერიოზულ პოეზიას. მისი

მოსწავლე პაულინუსის გარდაქცევა უკომპრომისო ქრისტიანად მისთვის ღალატის ტოლფასი იყო. ახალმოქცეულის სიტყვები (პაულინ.კარმ. 10. 39–40) ორატორების წინააღმდეგ, რომლებმაც გული ტყვილებით და არაღირებულ საგნებზე მსჯელობით აავსეს და მხოლოდ ენას იქავებდნენ (*qui corda falsis atque vanis imbuunt/tantumque linguas instruunt, ვინც აზრებს ტყვილებით და უსარგებლო რამეებზე მსჯელობით იტენის, მხოლოდ ენას იქავებს)*, ავსონიუსს გულს ძალიან სტკენდა.

ავსონიუსის შრომების გადმოცემის საკითხი კლასიკურ ფილოლოგიაში ერთ–ერთი ყველაზე რთული საკითხია. აქ რამდენიმე შენიშვნა უნდა გავაკეთოთ. ავსონიუსი საკუთარ ლექსებს გამოქვეყნებამდე უგზავნიდა თავის მეგობრებს. ამას თან ახლდა წერილი თხოვნით – შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში, ჩაესწორებინათ ლექსი. ჩვენამდე 2 ასეთი წერილი მოვიდა. მიუხედავად ამისა, ეს ლექსები ორჯერ გამოიცა.

ცნობილია ავსონიუსის შრომების სამი გამოცემის შესახებ: X: ჩვენამდე მოვიდა ესპანეთიდან და მისი პირველ–წარმომდგენია ლეიდენსის ვოსიანუსი (მე–9 ს.). ეს არის ყველაზე ამომწურავი კოლექცია; Y: შესაძლოა ეკუთვნის ბობიენისს (მე–14 ს. პარიზი). ეს პირველზე გაცილებით მოკლეა; Z: ყველაზე მოკლეა გამოცემაში (მე–14 ან მე–15 ს.) გამოტოვებულია ავტობიოგრაფიული და ისტორიული ნაწილები, მაგრამ შეიცავს სამადლობელ სიტყვებს და ეროტიკულ ლექსებს. თუმცა, ბევრი მათ გვიანდელი ინტერპოლაციის შედეგად მიიჩნევს.

ავსონიუსს ინტერესით კითხულობდნენ: ენდელეხიუსი, პრუდენტიუსი, პაულინუსი, სიდონიუსი, ენოდიუსი და ვენანტიუს ფორტუნატუსი. მისი გავლენა აშკარად იგრძნობა *Epigramata Bobiensia*-ზე. ბევრი ასპექტით, მისმა მსუყე, მოკლე საუბრებმა გარკვეული ტონი შეიტანა გვიანი ანტიკურობის ლიტერატურაში.

განახლებული *Mosella* გავრცელდა შუა საუკუნეებში. მისი კვალი იგრძნობა ვალაჰფრიდ სტრაბონისა და ერმენრიკის (ორთავე

მე–9 ს.) შემოქმედებაში და *Gesta Trevorerum*-ში (მე–12 ს.). მისი აფორიზმები ისწავლებოდა სკოლებში, მაგრამ მოგვიანებით ინტერესი მისადმი დაიკარგა (და არა მარტო იმიტომ, რომ მისი პოეზია ჩანაცვლდა პაულინუსის წერილებით). ადრეული რენესანსის დროს კვლავ გაიზარდა მისადმი ინტერესი, განსაკუთრებით დაინტერესდნენ ბენცო და პეტრარკა. ბოკაჩოს ჰქონდა ავსონიუსის ყველა შრომა. მონტენი კითხულობდა ჩვენს პოეტს, რადგან „ის მოვიდა ბორდეუქსიდან". ერაზმუსს უყვარდა მისი ციტირება თავის *Adagorium Collectanea*-ში. ჯ. გ. სკალიგერი ბევრჯერ იყენებს მის ფრაზებს თავის „პოეტიკაში." გ. კელტისა და მ. ოპიცის შრომები ნათელყოფენ, რომ ავსონიუსი ცნობილი იყო გერმანიაშიც. მართალია, როგორც ეპიგრამის ავტორი, იგი მოექცა მარციალუსისა და ბერძნული ანთოლოგიის ჩრდილქვეშ, მაგრამ ბ. გრაციანემ გაწადიდა ავსონიუსი (1658); პოპისათვის (1744) და რიჩარდსონისათვის (1761) ავსონიუსი კარგად იყო ცნობილი. მან ასევე მიიქცია ლესინგის ყურადრება (1781). გოეთე დაინტერესდა ავსონიუსის მეათე ეპიგრამით. 1812 წელს მან თხოვა კნებელს, ეთარგმნა ეს ეპიგრამა, ხოლო ჯ. ვ. დობერეინერს დაავალა, დაედგინა ამ ეპიფრამაში მოხსენიებული შხამის იდენტურობა. ვერ ვიტყვით, რომ გოეთე მხოლოდ ამ ფაქტით დაინტერესდა და ავსონიუსს პოეტური ინტერესის გარეშე კითხულობდა. ჰერდემა (1803) გამოიკვლია რომაელის გავლენა შთამომავლებზე, ხოლო ფელიქს დაანმა (1912) წარმოაჩინა იგი თავის რომანში, რომელიც ბისულას მიუძღვნა.

ავიანუსი (Avianus)

ავიანუსი (ან –იუსი და არა ავიენუსი) (Avianus), შესაძლოა, ცხოვრობდა არა მე–2 საუკუნეში, როგორც დღემდე მიიჩნევდნენ, არამედ მე–5 საუკუნეში. მან დაწერა იგავები ელეგიური სტროფებით და ისინი მიუძღვნა თეოდოსიუსს (ან მაკრობიუსს). მისი იდენტურობა მაკრობიუსის *Saturnalia*–ში მოხსენიებულ არისტოკრატ ავიენუსთან (1. 4) ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული. საეჭვოა 42 იგავიდან რამდენიმეს ავთენტურობა (23; 35; 38). ასევე, საეჭვო წარმოშობისაა *promythia* და *epimythia,* რომლებიც გამოტოვებულია ზოგიერთ ხელნაწერში. თუმცა, დღესდღეობით მკვლევართა უმრავლესობა ამ უკანასკნელთა ავთენტურობის საკითხს ეჭვქვეშ არ აყენებს. რაც შეეხება სათაურებს, რომლებიც სხვადასხვა ვარიანტებში სხვადასხვაგვარია, ავიანუსს, როგორც ჩანს, ისინი არ ეკუთვნის.

იგავთაგან 31 ჰგავს ბერძენი მეიგავის, ბაბრიუსის ვერსიებს. შესავლიდან მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ავიანუსს მანამდე შეუქმნია ბაბრიუსის იგავების პერიფრაზი, ზოგი კი ამტკიცებს, რომ მან ბაბრიუსი ზედმიწევნით ზუსტად გამოიყენა. მეორე მხრივ, ფედრუსის ზეგავლენა უმნიშვნელოა. ხუთი იგავი არ არის წინასწარ დამოწმებული (22; 25; 28; 30; 38), 4 ავგუსტანას კოლექციიდანაა წარმომდგარი (9; 12; 26; 42), ერთიც – ფს. დოსიტეუსისაგან (27) და ერთიც - უცნობი წყაროსაგან (5).

როგორც ავტორი, ავიანუსი ნაკლებ საინტერესოა, ვიდრე ფედრუსი. ელეგიური სტროფები არც თუ მთლად შესატყვისია თხრობის ობიექტისა და მანერისათვის. თრთოლული დისტიქი ქმნის ერთ დასრულებულ აზრს; ასე რომ, თხრობის განვითარება იგავთა უმრავლესობაში ანტითეტიკურია.

ავიანუსის ენისა და სტილის შეფასება დამოკიდებულია ტექ-

სტუალურ კრიტიციზმზე, რომელსაც აკლია განმსაზღვრელი საფუძველი. ვფიქრობთ, ის თვლიდა თავის თავს განათლებულ ავტორად და ზრუნავდა ლიტერატურულ დახვეწილობაზე. მისი ენა არის გამრავალფეროვნებული გვიანი ლათინური ენის ელემენტებით. სულ ჩვენამდე ავიანუსის იგავების 160 ხელნაწერია მოღწეული.

ავიანუსი იყო ერთადერთი ცნობილი ვერსიფიკატორი მე–16 საუკუნემდე. მისი იგავები წარმატებით ისწავლებოდა სკოლებში შუა საუკუნეებში. ხშირად ხდებოდა მისი იგავების პერიფრაზირება. ალექსანდრე ნეკამმა (1227) ავიანუსის ზეგავლენით შექმნა *Novus Avianus*.

რუტილიუს ნამატიანუსი (Rutilius Namatianus)

რუტილიუს კლაუდიუს ნამატიანუსი (Rutilius Namatianus), კეთილშობილური წარმოშობის ავტორი გალიდან, იყო ქალაქ რომის პრეფექტი 414 წელს. მანამდე ეს ადგილი მამამისს ეკავა. მან იმოგზაურა რომიდან გალში 417 წელს, რათა დაეთვალიერებინა საკუთარი მამულები, რომლებიც გოთებმა გაანადგურეს. მისი „მგზავრის წერილები" (გზამკვლევი) სწორედ გალში ყოფნის დროს შეიქმნა. რუტილიუსის სახელით ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოების პირველი თავი დაკარგულია, მაგრამ პირველი თავის (1.1) მიხედვით აღებული სახელწოდება *De raditu suo* არ არის ავთენტური. პირველი ჩვენამდე მოღწეული 68 სტრიქონი მეორე თავს ეკუთვნის, მას მოჰყვება ძალიან დაზიანებული ტექსტის 38 სტრიქონი.

მოგზაურობასთან დაკავშირებული ტექსტი მოიცავს რომაელთა ხოტბა–დიდებას (1. 1–34); შემდგომი სტრიქონები (35–164) ასევე რომისადმი აღვლენილ ლოცვასა და მშვიდობიანი მოგზაურობის სურვილის გამოხატვას ეთმობა. ამას მოსდევს (165–178) მეგობრებისადმი გამომშვიდობების სიტყვები, რომელთაგან ბოლო სტრიქონები აღწერს რუტილიუსის ოსტიაში დარჩენას (179–216). Portus Romae-დან Portua Pisanus–ამდე საზღვაო ვოიაჟის მონოტონურობას (217–644) არღვევს ღირსშესანიშნაობებისა და საინტერესო ხედების აღწერა. ასეთებია: გოგირდის წყაროები (1. 249–276); მარილის საბადოები (1. 457–490); პიზაში მამის ქანდაკება (1. 574–590) და სტუმრობა მეგობრებთან (1. 541–558).

შესავლის (2. 1–10), გეოგრაფიული მიმოხილვა–ექსკურსიების და იტალიის მოსიყვარულების (17–60) შემდეგ მეორე წიგნი იწყება მთვარის ამოსვლის აღწერით (61–68). ახლახანს ბობიენსისში აღმოჩენილი A და B ფრაგმენტები აჩვენებს, რომ მოგზაურობა გაგრძელ-

და გალში.

უფრო დარწმუნებული რომ ყოფილიყო, რუტილიუსი ადარებდა თავის დაკვირვებებს უკვე არსებულ გზამკვლევებს. როგორც დაოსტატებული ორატორი, იგი კარგად ერკვეოდა რომის ისტორიაში, იცოდა რომაული პოეზია და ხშირად იყენებდა თავის წინამორბედ ავტორებს: ვერგილიუსს, ოვიდიუსს და განსაკუთრებით, თავის საყვარელ ჟანრში (Itineraries -გზის მაჩვენებელი) მოღვაწე ავტორების ქმნილებებს, როგორებიცაა, მაგალითად, ჰორაციუსის *Iter Brundisimum* (სატ. 1. 5), ოვიდიუსის *tristia* (1.10), სტაციუსის *Propemticon* (silv. 3.2) და ავსონიუსის *Mosella.* ასევე, ხშირად ახდენს ჰომეროსის ციტირებას. მისი შრომა არის სხვადასხვა ჟანრების შეერთების წარმატებული ცდა.

რუტილიუსის ნაშრომი არ არის უბრალოდ დოკუმენტური ჟურნალი, არამედ ეს არის გაცილებით უფრო დახვეწილი, რიტორიკული კაზმულსიტყვაობით შელამაზებული საუცხოო პოეზია. ძირითადად, ნაშრომი შედგება ექსკურსისაგან, რომელიც მოგზაურობისას სხვადასხვა სადგურებზე ხდება და მოიცავს ეტიოლოგიას, აღწერებს და მორალურ კომენტარებს (საინტერესოა, ილია ჭავჭავაძე იცნობდა თუ არა მის „მგზავრის წერილებს").

რუტილიუსის ენა და სტილი წმინდაა და კარგ მოდელებს ეყრდნობა. ნამყო დროის აქტიური გამოყენება არის უკვე ამ დროისათვის მოძველებული და ვულგარული: decessis umbris (1. 313); quisque-მ ჩაანაცვლა quiquis (1. 276). ვერსიფიკაცია კულტივირებულია, მაგრამ ჯერ კიდევ ნახევარ მარცვლოვანი სიტყვები არ დაიშვება ლექსის ბოლოს. საზომი შესაბამება რიტორიკულ ეპიგრამას: რომის მიღწევა აისახა ანტითეზისით (*urbes fecisti grandia fata tuis შენ შექმენი ქალაქი, რომლისგანაც შეიქმნა მსოფლიო* 1. 66; *excedis factis grandia fata tuis შენი საქმეებით შენ აჭობე შენს დიდებულ ბედს* 1. 92) და პარადოქსებით (profuit iniustis te dominante capi, *აღმოჩნდა დიდებული უსამართლობა – დაპყრობილი ყოფნა შენი მმართველობის ქვეშ* 1.64).

არქაული სტილის შემდეგ რუტილიუსმა მიაქცია ყურაღება არა თავის პოეტურ გამომსახველობას, არამედ პოლიტიკურ მიღწევებს, რამაც ხალხი განადიდა. რომს ჭირდებოდა ამ საქმეების შეხსენება (1. 155–164). ახლახანს აღმოჩენილ ფრაგმენტში (B15–19) ჩანს, რომ ავტორი სიტყვას გადაუკრავს იმაზე, რომ მას განუზრახავს კონსტანტიუსის (კონსული 414, 417, 420 წლებში, მოგვიანებით, კონსტანტიუს მესამე) განდიდება მისი უსაზღვრო ნიჭისა და შესაძლებლობების გამო.

მისი *კონსტანტიუსის ქება* (ფრგ. B) და *შეტევა სტილიბოზე* (2. 41–60) გვეხმარება გადავამოწმოთ კლაუდიანუსის გადაჭარბებები. მიუხედავად იმისა, რომ რუტილიუსის ნაწარმოები ითვლება კარგ ისტორიულ და გეოგრაფიულ წყაროდ, მხოლოდ რამდენიმე პასაჟი ასახავს მისი ეპოქის ფაქტობრივ რეალობას. თუმცა, ჩვენ მაინც ვიღებთ გარკვეულ შთაბეჭდილებას გადაჭარბებული ზრდილობისაგან, რომელიც შემდეგ ჩვეულებრივი გახდა მეგობრებსა და ნაცნობებს შორის.

რუტილიუსი, შესაძლოა, წარმართია, მაგრამ მისი შენიშვნები მიმართული იყო ბერ–მონაზვნებისკენ (1. 439–452) და ქრისტესადმი (1. 381–389). ეს რემარკები აშკარად სტერეოტიპულია და გვხვდება ქრისტიან ავტორებთან.

ერთი დაზიანებული ხელნაწერი, რომელიც იპოვეს ბობიოში, 1493 წელს, მოგვიანებით დაიკარგა. 38 დამატებითი სტრიქონი, სამწუხაროდ, საკმაოდ დაზიანებული, ახლახან იპოვეს პერგამენზე (მე–7 ან მე–8 საუკუნე). მეცნიერები შეეცადნენ, მასზე დაყრდნობით აღედგინათ *Bobiensis* (Tauriencsis F IV 25), რომლის ფრაგმენტებია ჩვენამდე მხოლოდ მოღწეული.

რუტილიუსს მისი თანამედროვენი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. სამაგიეროდ, რუტილიუსით საკმაოდ დაინტერესდნენ კლასიცისტები.

კლაუდიანუსი (Claudianus)

რომაული პოეზიის პიონერების მსგავსად, მისი უკანასკნელი დიდი წარმომადგენლის, **კლაუდიუს კლაუდიანუსის** მშობლიური ენაც არ იყო ლათინური. თავის მშობლიურ ქალაქ ალექსანდრიაში, სადაც არასდროს იყო გრამატიკოსთა (რომლებიც, ამავდროულად, პოეტები იყვნენ) ნაკლებობა, კლაუდიუს კლაუდიანუსმა მიიღო ორენოვანი განათლება და თავი გამოიჩინა ბერძნულ ენაზე შექმნილი ნაწარმოებებით *გიგანტომახია, ეპიგრამები* და სხვა შრომებით. მაშინ არცთუ უჩვეულო იყო ეგვიპტური წარმოშობის ავტორისათვის, დაეტოვებინა მშობლიური მხარე იმის იმედით, რომ სადმე, როგორმე, მოეპოვებინა გავლენიან პირთა ნაცნობობა და დაემყარებინა მათთან კონტაქტები. რომში პირველად საზოგადოების წინაშე წარსდგა ლათინურ ენაზე შექმნილი პოემით *პანეგირიკი* (395), მაგრამ მისი ნიჭიერება აღმოაჩინეს სენატორებმა. მან მათი მენტალიტეტი გაითავისა და მისი კარიერაც აღმავლობის გზით წავიდა, განსაკუთრებით, 395–400 წლებში.

კლაუდიანუსი გახდა *vir clarissimus, tribunes, notaries*. საინტერესოა, ჰქონდა თუ არა არისტოკრატიას გაცნობიერებული, რა გააკეთა მან გვიანი რომის თვითდამკვიდრებისთვის, თუ მხოლოდ რამდენიმე სენატორი სცემდა მას პატივს? კლადიანუსის ქორწინება და თაფლობისთვე ლიბიაში მისი ცხოვრების ბოლო წლებში მოხდა. როგორც ჩანს, 404 წელს ის უკვე ცოცხალი აღარ იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად შეასხამდა ხოტბა–დიდებას თავისი საყვარელი სტილიქუსის მეორედ კონსულად არჩევას (405) და მის გამარჯვებას რადაგაისზე (406).

სტილიქუსისადმი მიძღვნილი კლაუდიანუსის ლექსები შეკრიბეს და ერთად გამოსცეს 408 წელს; carmina minora-ს შეკრება და და-

თარიღება ბევრჯერ სცადეს, მაგრამ ეს საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა.

კლაუდიანუსის სახელით ჩვენამდე მოღწეული შრომებია:

Panegyricus dictus Probino et Olybrio: მზის ღმერთის მოხსენიებას მოჰყვება წინაპრების გახსენება. ქალღმერთი რომა, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი, რეკომენდაციას აძლევს ახალგაზრდებს იმპერატორ თეოდოსიუსთან. დედა პრობა აცმევს მათ. მდინარე ტიბერიუსის ღმერთი გამოხატავს სიამაყეს მათ მიმართ და პოეტი ლოცავს მათ მომავალს.

Rufuum 1: რუტინუსის გარდაცვალებასთან ერთად, დასრულდა კლაუდიანუსის ეჭვები ბედისწერასთან დაკავშირებით. სამართლიანობის უზენაესობით გაგიჟებული ალექტო იწვევს ფურიების საშინელ კონსილიუმს. მეგერა აგზავნის თავის ვაჟიშვილს, რუფინუსს, ბიზანტიაში. მან შეუთვალა სამართლიანობას, კვლავ დატოვოს დედამიწა.

Rufuum 2: რუფინუსი უბრძანებს სტილიხოს, გააგზავნოს რომაელთა ჯარი უკან, კონსტანტინოპოლში. უკან დაბრუნებული ჯარი აკუწავენ რუფინუსს და სამართლიანობა ჩააგდებს მას დედამიწის ყველაზე ღრმა და ბნელ რეგიონში.

Panegyricus dictus Honorio Augusto tertium consuli; Panegyricus dictus Honorio Augusto quartum consuli: კლაუდიანუსი გამოხატავს სიხარულს ჰონორიუსის კონსულად არჩევასთან დაკავშირებით, აქებს მის მამას, ბაბუას, რომელთაგან იმემკვიდრა მან სიმამაცე, ლიდერის ფუნქციები, პატიოსნება, ხალხის სიყვარული.

Epithalamium dictum Honorio Augusto et Mariae; Fescennina: ამური შეიტყობს ჰონორიუსის მარიასადმი სიყვარულის ამბავს. იგი გაფრინდება კვიპროსზე, თავის დედა ვენუსთან. აღწერილია მისი სასახლე. ასევე, აღწერილია ვენუსის საზღვაო მოგზაურობა ლიგურიის ნაპირზე. ქალღმერთი აკვირვებს პატარძალს, რადგან ის კითხულობს კლასიკას და რთავს პატარძალს. ჯარისკაცთა გუნდი ხოტბა–დიდებას ასხამს პატარძლის მამას, სტილიხოს.

De bello Gildonacio: ევტროპიუსი, ძლიერი აღმოსავლელი კაცი, სტილიხოს გამოაცხადებს სახელმწიფოს მტრად (397). მას ამარცხებს (398) მისი ძმა.

Panegyricus dictus Mallio Theodoro consuli: თეოდორუსს, ფილოსოფიის შესწავლის შემდეგ, სამართლიანობამ მისი სამსახური ითხოვა, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი უარს იტყოდა თავისი საყვარელი ცხოვრების სტილზე.

Eutropium 1: აღმოსავლეთ რომის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი, ევტროპიუსი, ხდება კონსული. მან, როგორც მონამ, გაიარა სხვადასხვა საფეხურები, სხვადასხვა ხელობებით იყო დაკავებული. იგი სძულდათ ადამიანებს, ეს კი მას აძლევდა თავისუფლებას ის ეკეთებინა, რაც სურდა. ქალღმერთი რომა ურჩევს ჰონორიუსს და სტილიხოს, თავი აარიდონ ამ არასასიამოვნო არსებას.

Eutropium2: განვითარება გაგრძელდა. ბეგლები დაუდგეს ევტროპიუსს, ის უბძვება ანკირას, ღმრთების დედის ქალაქის ქალმიმდევრების პროცესს. მარსი თხოვს ბელონას, დაიწყოს გოთების ომი. თავდაპირველად ევტროპიუსს მოეწონა ეს იდეა, მაგრამ მოგვიანებით განზე გადგა. იგი გააბევეს კვიპროსზე.

De Consulato Stilichonis 1,2,3: ნაშრომი აღწერს სტილიხოს ქმედებებს ომისა და მშვიდობიანობის დროს, მის მიერ ორგანიზებულ ნადირობის ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობას დიანა იღებს. მას მსოფლიოს სხვადასხვა ადგილიდან ჩამოჰყავს ცხოველები.

De bello Getico: ნაშრომი მოგვითხრობს 401 წელს, გეთიკების ომში სტილიხოს გმირობების შესახებ.

De raptu Proserpinae1,2,3: ეს დაუსრულებელი ნაშრომი მოგვითხრობს ამბებს იმის შესახებ, თუ როგორ გახდა პროზერპინა, იუპიტერის, დიანასა და ვენუსის დახმარებით, პლუტოს ცოლი.

როგორც ვნახეთ, კლაუდიანუსის ნაწარმოებები აგებულია როგორც ისტორიულ, ასევე მითოლოგიურ სიუჟეტებზე. და მაინც, ლიტერატურის ისტორიაში იგი შევიდა, როგორც პანეგირიკის, ხოტბის ოსტატი. ამის პარალელურად, მასთანვე ვხვდებით ე.წ. ლანძღვით

პოეზიას, რომელსაც საფუძველი ბერძნულ პოეზიაში ჩაეყარა და კიდევ უფრო განვითარდა რომაულ ლიტერატურაში. მის წინამორბედად ამ თვალსაზრისით ოვიდიუსი შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, საკუთარი მოდელების შექმნისას კლაუდიანუსი არის თავისუფალი, ორიგინალური, გულღია და უბრალო.

ჩვენამდე მოაღწია კლაუდიანუსის შრომების დაახლოებით 300–მდე ხელნაწერმა, რომელთა უმეტესი ნაწილი შუა საუკუნეებს განეკუთვნება. მათში შრომები დაჯგუფებულია შემდეგნაირად: პოლიტიკური და არა პოლიტიკური ხასიათის დიდი და მცირე პოემები. მათი მთავარი ნიმუშებია: ბრუქსელენის (5381 მე–11 საუკუნე), ვატიკანუს 2809 (მე–12 საუკუნე) და პარისინუსი18 552 (მე–12–13 ს.)

აგრეთვე, ნაპოვნია „მცირე სიმღერების“ უძველესი გრაგნილები, რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ვერონენსის 163 (მე–18 საუკუნე). მოიპოვება უფრო ადრინდელი (მე–15 საუკუნის) ეპიგრამების ხელნაწერები, მაშინ როცა „ბერძნული ეპიგრამების“ ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები, ნაპოვნი ჰაიდელბერგ პალატინუს 23–ში, განეკუთვნება მე–11 საუკუნეს.

ჩვენი პოეტის პოპულარობის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა მის ნაშრომთა ხელნაწერების რაოდენობა. უმეტესი მათგანი მე–12, 13, 15 საუკუნეებს განეკუთვნება.

კლაუდიანუსის ზეგავლენა ხელოვნებასა და ლიტერატურაზე ძალიან დიდია, როგორც 1. ვერსიფიკატორის; 2. პოეტის, რომლის მითოლოგიურ სიუჟეტებში ბევრი ალეგორიული გმირის დაძებნა შეიძლება; 3. წყაროსი, მხატვრებისა და მოქანდაკეებისათვის; 4. ნატურფილოსოფოსის, პოლიტიკური ფილოსოფოსის და მორალისტის.

კლაუდიანუსისა და პრუდენტიუსის ურთიერთმიმართების საკითხი ჯერ კიდევ საკამათო თემაა. მისი ზეგავლენა აშკარაა აფრიკული, გალური და იტალიური წარმოშობის ლათინ პოეტებზე. მას გაბავდნენ ვენანტიუს ფორტუნატუსი (ნ. 1) და სიდონიუს აპოლინარისი (10–11). შედარებით გვიანი დროის პოეტები აშკარად ცდი-

ლობდნენ მეორე კლაუდიანუსი გამხდარიყვნენ. მის მკითხველებს შორის იყვნენ ნონუსი (მე–5 ს.), პრისკიანუსი და იოანეს ლიდუსი კონსტანტინოპოლიდან (მე–6 ს.).

მე–12 საუკუნიდან ჩვენი პოეტი ხელახლა აღმოაჩინეს. კლაუდიანუსის ვარაუდი ვენუსის ადგილსამყოფელის შესახებ, შესაძლოა, საფუძვლად დაედო „ვენუსის მთას." ალექსანდრე ნეკამმა (1217) დააფიქსირა კლაუდიანუსის 53 ციტატა(1. 35); კლაუდიანუსთან აშკარა მიმართებას გვიჩვენებს ალანუს აბ ინსული (1202), რომელმაც დაწერა *Anticlaudianus de Antirufino*. კლაუდიანუსისეული თემა ჯოჯოხეთის მრჩევლის შესახებ გამოიყენეს ვიდამ, ალანუსმა, ანგლურიამ და მილტონმა.

ჩოსერმა (1400) ისესხა რამდენიმე ნიუანსი კლაუდიუსის ნაწარმოებებიდან, რომელთაც იგი, სავარაუდოდ, სკოლაში გაეცნო. მასთან განსაკუთრებით პოპულარული პროზერპინას თემა და კლაუდიუსის ნატურფილოსოფიური შეხედულებები იქცა. წარმატებით და პოპულარობით კლაუდიუსი მე–14–15 საუკუნეებში ავგუსტუსის ეპოქის პოეტებსაც (ვერგილიუსი, ოვიდიუსი) კი აღემატებოდა. აღორძინების ხანის პოეტები (მაგალითად, პეტრარკა) მას კარგად იცნობდნენ.

სახოტბო პოეზიის მიმდევრებმა, მე–14 საუკუნის პანეგირიკებმა, კლაუდიანუსის შემოქმედება თავიანთ ეტალონად გაიხადეს. ბოკაჩომ (1375) შექმნა ვენუსის ბიოგრაფია, სადაც მან რამდენჯერმე მოახდიან კლაუდიანუსის ციტირება.

თომას ელიოტი (1531) დაინტერესდა კლაუდიანუსის პოლიტიკური პოემებით. მე–18 საუკუნეში კლაუდიანუსს ბაძავდა ისეთი დიდ ოსტატიც კი, როგორიც იყო კოლრიჯი (1834), რომელიც რეკომენდაციას აძლევდა ახალგაზდებს, წაეკითხათ კლაუდიანუსი და არ წაეკითხათ სილიუსი. კლაუდიანუსის მიერ დიდი ოსტატობით შემოტანილი თემა ვენუსის ზღვაში მოგზაურობის შესახებ ფასდაუდებელია ზღვის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის. მოგვიანებით ეს თემა დაამუშავა პავსინუსმა (1665) *(Venus marine)*. მას, რო-

გორც კლასიკური მითის კარგ მცოდნეს, ენდობოდნენ და წყაროდ იყენებდნენ მე–18 საუკუნის ავტორები.

მე–9 საუკუნიდან მკითხველთა ფართო წრეში განსაკუთრებით პოპულარული გახდა და დღემდე ცნობილია მისი აფორიზმები: *mobile vulgus, numquam libertas gratior extat/quam subrege pio; asperius nihil est humili cum surgit in altum; tolluntur in altum, ut lapsu graviore ruant* და სხვა.

კოლრიჯმა უწოდა კლაუდიუსს „პირველი თანამედროვეთა შორის". ამით მან ხაზი გაუსვა მასში ორ კონტრასტულ დამოკიდებულებას (კლასიკურ–ობიექტურსა და თანამედროვე–სუბიექტურს). იორის კარლ ჰაუსმანმა (1907) მიუძღვნა მას ერთი პასაჟი. 1966 წელს ჰელა ს. ჰაასმა გამოიყენა ჩვენი ავტორის შრომები თავის რომანში *Een nieuwer testament,* ხოლო ჰერმან შუდერმანმა უწოდა მას „ღმერთების ნებიერა, ვისი ფრთებისგან მონათლული წყალიც კი ვერ ჩარეცხავს ოლიმპოსის დიდებას".

იუვენკუსი (Juvencus)

იუვენკუსი (G.Vettius Aquilinus Juvencus) დაიბადა ესპანეთში. ის იყო მღვდელი. მან დაწერა თავისი *სახარების ჰარმონია (Evangeliorum libriIV)* კონსტანტინეს დროს, შესაძლოა, 329-330 წლებში.

როგორც ჟანრი, „ბიბლიური ეპოსი" შედგება, ერთი მხრივ, სასკოლო სავარჯიშოებიდან პოეტური პერიფრაზირების, ხოლო მეორე მხრივ, განათლებული მსმენელებისაგან, რომელთაც სურთ ბიბლიური ახსნა–განმარტებების სტილისტურად გამართული და მისაღები ვერსიები. იუვენკუსმა, შესაძლოა, მოახდინა სახარების ჰარმონიზაცია დამოუკიდებლად; მან გამოიყენა ბერძნული ორიგინალი, ლათინურ ტექსტთან ერთად. ნაშრომი აგრეთვე წარმოადგენს ლიტერატურულ თარგმანს, რადგან პოეტი ვალდებულად თვლიდა თავს, ყოფილიყო წმინდა ტექსტის ერთგული. მიუხედავად ამისა, მისი ყველაზე დიდი დამსახურება არის *Ornatus* (4. 408). მხოლოდ უმაღლესი ლიტერატურული ფორმა, ეპოსი, არის საკმაოდ კარგი ასეთი დიდებული და ამაღლებული თემისათვის. იუვენკუსის მეთოდი შეიძლება აღიწეროს შემდეგი სათაურებით: პერიფრაზი, შემოკლება, ექსპანსია, ისტორიული ფაქტების მიჩქმალვა, ებრაელთა თემის ამოღება, რომანიზაცია.

როგორც მოსალოდნელი იყო კლასიკური სტილის მქონე ავტორისაგან, ენა და მეტრი ყოველთვის სწორად და კორექტულად არის მასთან გამოყენებული.

დასაწყისში იუვენკუსი გადმოსცემს თავის შეხედულებებს ლიტერატურაზე და ხსნის მისი, როგორც პოეტის დანიშნულებას: არაფერია უკვდავი ამქვეყნად, რომიც კი. მიუხედავად ამისა, ადამიანთა საგმირო საქმეების და ღვაწლის დიდება შენარჩუნდება დიდხანს, თუ მას უმღერებს ჰომეროსი, ან ვერგილიუსი; ასეთივე ხანგრძლი-

ვია პოეტის სახელი და დიდება.

შემორჩენილია 6 ხელნაწერი. მათი უმრავლესობა (30) განეკუთვნება მე–9–10 საუკუნეებს. ტექსტის ისტორია ჯერ კიდევ არ დაწერილა.

იუვენკუსი თავიდანვე აღიარეს, როგორც ქრისტიანული პოეზიის ერთ–ერთი წარმატებული პოეტი. პრობა და პაულინუსი იცნობდნენ მის შემოქმედებას. იერომმა მიანიჭა მას გამორჩეული ადგილი თავის ლიტერატურის ისტორიაში. გვიანი ანტიკურობის დროს იუვენკუსი იყო ყველაზე უფრო ციტირებული ავტორი. მის შემოქმედებას ასწავლიდნენ სკოლაში მე–11 საუკუნემდე და შემდეგ, რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლებ ასკეტური და მკაცრი სედილიუსი უფრო პოპულარული იყო.

სედულიუსი (Sedulius)

სედულიუსის ***Caarmen Paschale*** მე–5 საუკუნის მეორე მეოთხედში უნდა შექმნილიყო. იგი ბიბლიური ეპოსის შესანიშნავი ნიმუშია. შესაძლოა, მისი ავტორი წარმოშობით იტალიიდან იყო, მაგრამ მოგვიანებით გადავიდა საბერძნეთში. ნაწარმოები 5 წიგნისაგან შედგება. აქვეა რიტორიკული პროზით გამართული ვარიანტი (*Opus Paschale*). ქრისტესადმი მიძღვნილი ცნობილი მეოთხე ჰიმნი *A solis cardine* ანბანურ რიგზეა განლაგებული.

როგორც ბიბლიური ეპოსის ავტორი, სედულიუსი ბაძავს იუვენკუსს, მაგრამ გაცილებით შორს წავიდა იგი ვერგილიუსის მიმდევრობაში, ვიდრე მისი წინამორბედი. ზოგჯერ იგი მთელ სტრიქონებს უცვლელად იღებს კლასიკოსი პოეტისაგან.

ნიჭიერი სედულიუსი მასალას თავად არჩევს. განსაკუთრებით წინ წამოსწია მან აღდგომის თემატიკა. მეორე წიგნის დასაწყისში ქრისტეს ინკარნაცია დაპირისპირებულია ადამის დაცემასთან. ქალის ფიგურები, ევა და მერი,შეფასებულია პოეტური ოსტატობით. ქრისტეს ქმედებებზე კონცენტრაცია გვთავაზობს მშვენიერ თავგადასავალს, რომელშიც ნაკლებია დოქტრინული ინსტრუქცია–მითითებები და მეტია მოქმედებები; უფრო მეტიც, ჩვენი ავტორი (ლუკანოსის მსგავსად, დახელოვნებული ორატორი) გვთავაზობს ცხოვრებისეულ ამბებს ლოცვით, ხოტბით, პოლემიკით, ქადაგებებით, შეგონებებით, მოწოდებებით. ამიტომაც ნაწარმოები პოეტურად გაწყობილი იკონოსტატის (ხატწერის) შთაბეჭდილებას ტოვებს.

ავტორის მაღალმხატვრული ენა გაცილებით უფრო შთამბეჭდავია მის პოეზიაში, ვიდრე მისსავე პროზაში.

სედულიუსმა, ისევე როგორც თავის დროზე მისმა წინამორბედმა იუვენკუსმა, შემოგვთავაზა ქრისტეს სახელთან დაკავშირე-

ბული სასწაულებისა და საოცრებების დღესასწაულით აღნიშვნა და ამით იგი გაემიჯნა სხვა წარმართ ავტორებს. მან თავისი ლექსი განათლებულ მკითხველზე ააგო; ლუკრეციუსის მსგავსად, ის წარმოადგენს პოეტიკის თანამედროვე ფორმებს, რაც აძლიერებს მისი ნაწარმოებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას.

ავტორი იძულებული იყო, თავისი ნიჭიერებისათვის ხარკი გადაეხადა: ბიბლიური თემებისადმი თავისუფლად დამოკიდებულებას მოჰყვა გარკვეული სიძნელეები.

სედულიუსის შრომები გამოქვეყნდა 495 წელს. ყველა ხელნაწერი ერთსა და იმავე არქეტიპს მიემართება. მათ შორის ყველაზე ძველია Amrosianus E IV 44 (მე-7 ს.), და Basileensis O IV 17 (მე-8 ს.). ბევრია მე–9 საუკუნის ხელნაწერები. რამდენიმე ცნობილი ბიბლიოთეკა სედულიუსის ნაწარმოების ორ ასლსაც კი ფლობს.

სედულიუსს აქტიურად კითხულობდნენ, ხოტბას ასხამდნენ, მისდევდენ. არატორმა (544) ისესხა სედულიუსის სტილიცა და ალეგორიული მეთოდიც; ავიტუსმა (მე–6 ს.) ბევრი რამ იმემკვიდრა სედულიუსისაგან. დაახლოებით 900 წელს, რემიგიუსმა დაწერა სედულიუსზე კომენტარები. სედულიუსის სტრიქონების ბევრი ლუთერისეული თარგმანი მოხვდა პროტესტანტული ჰიმნების წიგნებში.

ნაკლებად ცნობილი რომაელი ისტორიკოსები

ევტროპიუსმა მონაწილეობა მიიღო იულიანუს აპოსტატესის სპარსელთა ლაშქრობაში (363). როგორც განათლებული იმპერატორის, ვალენსიუსის პირად ასისტენტს (magister memoriae), მას დაევალა რომის ისტორიის დაწერა. სავარაუდოდ, სწორედ იმ სენატორი ევტროპიუსისა, რომელიც საკონსულოს მეთაურობდა ვალენტინიანუსთან ერთად 387 წელს.

მისი *Ab urbe condita* შედგება 10 მოკლე წიგნისაგან და ეძღვნება იმპერატორს. პირველი წიგნი მოიცავს ამბებს რომულუსიდან კამილიუსის გამარჯვებამდე გალებზე. მეორე წიგნი მთავრდება პირველი პუნიკური ომით, მესამე – მეორე პუნიკურ ომს ეხება. შემდეგ ტომებში აღწერილია: იუგურთას გამარჯვება (წიგნი მეოთხე), მარიუსსა და სულას შორის სამოქალაქო ომის დასრულება (წიგნი 5), კეისრის სიკვდილი (წიგნი 6), დომიციანეს მმართველობის დასასრული (წიგნი 7), ალექსანდრე სევერუსი (წიგნი 8), დიოკლეტიანე (წიგნი 9) და იოვიანე (წიგნი 10). ამგვარად, 364 წლით სრულდება აქ აღწერილი მოვლენები. ევტროპიუსის დანაპირები – წარმოედგინა თანამედროვეობა, დანაპირებად დარჩა.

რესპუბლიკის პერიოდის ამბების აღწერისას ევტროპიუსი ლივიუსს ეყრდნობა, სვეტონიუსს, როგორც წყაროს, იყენებს 12 კეისრის ამბებზე საუბრისას. დანარჩენი მოვლენების აღწერისას ევტროპიუსი ეყრდნობა უცნობი ავტორის „იმპერატორთა ისტორიას". მან იულიანეს და იოანეს დრო საკუთარი გამოცდილებით აღწერა. სახელმძღვანელო შეიძლება გამოყენებულ იქნას გეოგრაფიული და ქრონოლოგიური დროის დადგენის თვალსაზრისით. ამ კუთხით ეს ნაწარმოები ყველაზე სანდო წყაროა. უპირველესად, ევტროპიუსი დეტალურად აღწერს ომებს; იმპერიის პერიოდში მასთან ინდივიდი

მოდის წინა პლანზე. აქვე იგი გვაცნობს ანეგდოტებს (7. 18). როცა საკუთარ დროს აღწევს, პორტრეტების გალერეა და ხასიათები მასთან უფრო სოფისტური ხდება. მისი თხრობა უფრო განგრძობითი და ნაკლებ დაულაგებელია, ვიდრე ავრელიუსის. ენა და სტილი არის თავისუფალი, მშვიდი, მარტივი და ნათელი. უდავოა, რომ თავისი დროისათვის ევტროპიუსი იყო შესანიშნავი ავტორი.

კარგად იყო რა სენატის საქმეებში ჩახედული, ევტროპიუსი (6. 25) თვლის კეისარს ტირანად (მაშინ როცა ავრელიუსი აღფრთოვანებული იყო მისით). ის ხედავს იმედის ნაპერწკალს რომის ისტორიაში: უხეში ჯარისკაცის, მაქსიმუსის ბატონობამ (235) დაასრულა თანამშრომლობა იმპერატორსა და სენატს შორის, რომელსაც ევტროპიუსი თვლის გადამწყვეტ მომენტად სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. ქრისტიანობის მიმართ მისი დამოკიდებულება რჩება ნეიტრალური. იგი არ ეხმიანება კონსტანტინეს ცვლილებებს , მაგრამ სამარცხვინო ზომზე აკრავს იულიანეს, როგორც nimius religioni Christianae insectator-ს (10. 16. 3).

ევტროპიუსის შრომის უძველესი ხელნაწერი არის Gothanus I 101 (მე–9 ს.); Bertianus Audomarensis 697 (მე–11ს.); Leidensis B. P. L. 141 (მე–10ს.). ტექსტი, რომელიც გამოიყენა ევტროპიუსის თანამედროვე ბერძენმა მთარგმნელმა პენიუსმა, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, თუმცა მისი სანდოობა შესუსტებულია იმ ფაქტით, რომ ის თარგმნიდა თავისუფლად და აკეთებდა დამატებებს დიოს კასიუსიგან, საკუთარი შეხედულებების მიხედვით.

ევტროპიუსის *ისტორიას* კითხულობდნენ საბერძნეთში, სადაც იგი ორჯერ თარგმნეს. მას კითხულობდა არა მხოლოდ რომის ელიტა, რომელიც დაინტერესებული იყო თავისი ქმედებების ისტორიულად გამართლებაში, არამედ კონსტანტინოპოლის სენატორთა კლასი და ზედა ფენები. მისი კვალი ჩანს იერომის, როსიუსის და ფსევდო–ავრელიუსის შრომებში. ევტროპიუსი პოპულარული იყო შუა საუკუნეებში. პაულ დეკონი (720–799) ეყრდნობოდა მას და განავრცო მისი *ისტორია* ექვს წიგნად, 553 წლამდე. დაახლოებით 1000

წელს ლენდოფუს საგაქსმა დაამატა კიდევ რამდენიმე თავი. Editio princeps გამოჩნდა 1471 წელს. თანამედროვე ეპოქა არ აღიარებს ევტროპიუსს სანდო ისტორიკოსად, მაგრამ დროდადრო მაინც შეაქვთ ხოლმე მისი *ისტორია* სკოლის სახელმძღვანელოებში.

ფესტუსს, ევტროპიუსის მსგავსად, იმპერატორმა ვალენსმა (364–378) შთააგონა, შეექმნა თავისი ნაწარმოები *Breviarium*. ისტორია მას მოიხსენიებს, როგორც vir clarissimus და magister memoriae-ს. ნაშრომი შეიქმნა 369 წლის შემდეგ. მისი იდენტიფიკაცია სხვა პერსონებთან ამავე სახელით (ფესტუსი), არ არის დადგენილი.

ნაშრომში რომის იმპერიის აღმავლობას თანამედროვე ეპოქაში მოყვება რომაელთა ჯარის ლაშქრობები აღმოსავლეთში, იოვიანეს დრომდე (15–29). ნაშრომის სტრუქტურა მოუწესრიგებელი და უთავბოლოა, მაგრამ ნაწილობრივ იგი შეიძლება ასახავდეს პოლიტიკურ დაღმართს.

ავტორს წყაროდ გამოყენებული აქვს *Epitome Liviana*, ფლორუსი, სვეტონიუსი, ისევე როგორც იმპერიის ისტორია, რაც დადგენილია რამდენიმე კვლევით.

ძნელია ამ ავტორთან ილაპარაკო ლიტერატურულ ტექნიკაზე, რადგან შრომა არის ძალიან მოკლე და ევტროპიუსის ფრაზებიც არც თუ მთლად ნათელი და დალაგებულია. არ არის ერთიანი განგრძობითი ისტორიული თხრობა. ყოველივე ამის, გამო ნაწარმოები დაიყო ორ ნაწილად, რათა რომის ადრეული გამარჯვებები დაპირისპირებოდა ნაკლებად წარმატებულ აღმოსავლურ ლაშქრობებს. რომის იმპერიის ზრდა–განვითარება წარმოსახულია რეგიონალური თვალსაზრისით.

ძნელია ასევე ფესტუსის სტილის შედარება ევტროპიუსის სტილთან. შესავალ ნაწილში ფესტუსი ამბობს, რომ იმპერატორმა მას უბრძანა, შეექმნა ისტორიის მოკლე კურსი, ამიტომ მან ვეღარ შეასრულა თავისი სურვილი – ყოფილიყო მჭევრმეტყველი და ვრცლად გადმოეცა მოვლენები. პრაქტიკულად, ის მაინც როგორღაც

ცდილობს მოახდინოს შედარებით ღარიბული შინაარსის კომპენსაცია საკუთარი თავის უფრო ელეგანტურად მოწოდებით და წარმოჩენით. ლაიტმოტივად მთელს ნაწარმოებს გასდევს მცდელობა – ნებისმიერი გზით ახსნას და უკეთესად წარმოსახოს აღმოსავლეთ რეგიონებში რომის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციები, გამარჯვების შემთხვევაში იმპერატორის წარმატებების აქცენტირება და დამარცხებების შეძლებისდაგვარად მიფუჩეჩება.

ფესტუსის *ისტორია* ფასდაუდებელია იმპერატორ ვალენსის დროინდელი ეპარქიებისა და პროვინციების სრულყოფილი ჩამონათვლის, აგრეთვე, ავრელიანუსისა და დიოკლეტიანეს აღმოსავლეთში ომების აღწერისას რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის გადმოცემის გამო. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები იყოფა ორ ჯგუფად. პირველში უფრო მნიშვნელოვანია Gothanus 101 (მე–9 ს.) და Bambergensis E III,22(მე–9ს).

ფესტუსს ბაძავდნენ ამიანუსი, იორდანეს და ისიდორესი. იორდანესის (მე–6 ს.) შენიშვნები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფესტუსის ტექსტის დადგენის თვალსაზრისით.

იულიუს ობსეკვენსის *Liber prodigiorum* გვიყვება იმ სასწაულების შესახებ, რომლებსაც ძვ.წ. 190–111 წლებში ჰქონდა ადგილი. ევტროპიუსის მსგავსად, იულიუს ობსეკვენსი ეყრდნობა *Chronicon*-ს, რომელიც, თავის მხრივ, ლივიუსის ეპიტომებზეა დაფუძნებული.

ავტორი წარმართია, რომელსაც ჯერა სასწაულების. მას სინანული და მონანიება მიაჩნია წარმატებისათვის აუცილებელ პირობად. ეს დამოკიდებულება შენარჩუნებული იყო წარმართული რელიგიის ნაწილში მე–4 საუკუნეში. მომსენის განაცხადი, რომ იულიუს ობსეკვენსი ქრისტიანი იყო, დღეისათვის უარყოფილია.

მისი ნაშრომის არცერთი ხელნაწერი არ არის ჩვენამდე მოღწეული. Aldina 1508 არის ის საფუძველი, რაც, გარკვეულწილად, წარმოდგენას გვიქმნის ტექსტის შესახებ. ამასთან ერთად, ტექსტის დადგენაში მნიშვნელობა ენიჭება რამდენიმე ავტორის მიერ დაფიქ-

სირებულ პარალელური პასაჟებს.

ლ. სეპტიმიუსი იყო გრამატიკოსი, რომელმაც თარგმნა დიქტუსის *Ephemeris belli Troiani* ბერძნულიდან ლათინურად. იგი მეოთხე საუკუნის ავტორია. მიმოხილვითი წერილი ქ. არადიუს რუფინუსისადმი გვატყობინებს, რას ეხება თვითმხილველის მიერ ტროას ომზე დაწერილი ნაშრომის თარგმანი. ამბობენ, რომ კრეტელმა დიქტუსმა ლითონზე ამოკვეთა და კალის კუბოში მოათავსა ისინი, რათა მასთან ერთად დაემარხა, მაგრამ საბედნიეროდ, ჟურნალები ნერონის დროს აღმოაჩინეს. იგი წარუდგინეს იმპერატორს, რომელმაც ისინი თარგმნა. ჩვენი ლათინი მთარგმნელი ხსნის, რომ მან წარმოადგინა პირველი 5 წიგნი, რომელიც აღწერს ტროას ომს, იმავე რაოდენობით და ბოლო 4 წიგნი, რომლებიც ეხება გმირებს, ერთ წიგნად.

ფიქტიური უნდა იყოს ორიგინალის აღმოჩენა; ასეა თუ ისე, ბერძნული პაპირუსი ამტკიცებს, რომ ბერძნული ვერსია ნამდვილად არსებობს. სალუსტიუსი არის მის მნიშვნელოვან მოდელებს შორის.

ნაშრომი ეხმიანება იმ ძველ ლეგენდებს, რომლებიც თავმოყრილი იყო რომში. იქ, სადაც საშუალება არსებობს, თარგმანი ბერძნულ ორიგინალს შევადაროთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ თარგმნის სტილი არის თავისუფალი და ნაკლებ მშრალი, ვიდრე ორიგინალი. სეპტიმიუსის თხრობის ტექნიკა ატარებს როგორც ისტორიოგრაფიის, ასევე, რომანისათვის დამახასიათებელი სტილის ხასიათს. ანტიკური რომანისაგან განსხვავებით, ნაშრომს არა ჰყავს მთავარი გმირი. სიყვარული აქ მთავარ როლს ასრულებს, ზუსტად ისეთსავეს, როგორც რომანში, მაგრამ აქ იგი გაცილებით უფრო დამანგრეველი ძალის ფუნქციას ასრულებს. ეს ხედვა ტრაგედიის რემინისცენცია უნდა იყოს.

როგორც ჩანს, ლ. სეპტიმიუსი ენისა და სტილის მანერით იყო თავისი ეპოქის ნამდვილი შვილი. იგი აღზრდილი იყო სალუსტიუსისა და ვერგილიუსის შრომებზე. ლიტერატურული კონსტრუქციე-

ბი გაცილებით უფრო დახვეწილია ლათინურ თარგმანში, ვიდრე ეს ბერძნულ ორიგინალშია.

განსხვავებით ვერგილიუსია და ჰომეროსისგანაც კი, ავტორი განწყობილია ტროას საწინააღმდეგოდ. ორიგინალური ვერსიის ავტორმა, დიქტუსმა (შესაძლოა, მე–2 საუკუნე), იყო რა ბერძენი, შეითვისა რომაელებისადმი თავშეკავებული, ზომიერი დამოკიდებულება. ტროას ომმა აჩვენა სულ ცოტა, მორალური უარყოფა ბერძნების, რომლებიც ბარბაროსებმა აიძულეს, შეიარაღებულიყვნენ და ომი წამოეწყოთ, მაგრამ არსებობს სხვა ახსნაც ავტორის ანტიტროაული განწყობილებისათვის: დიქტუსი იყენებდა ტროას ომს, როგორც მოდელს, ბრძოლისათვის ანტიკურ კულტურულ სამყაროში სპარსელების წინააღმდეგ, რომლებიც კიდევ უფრო ძლიერი გახდნენ მესამე საუკუნის მეორე მეოთხედში. ხომ არ თვლიდა ავტორი აქილევსს პარადიგმად ახალი ალექსანდრესათვის? სეპტიმიუსის ნაშრომის საუკეთესო ხელნაწერი არის Sangallensis 205 (მე–9–10 სს.). იესიში 1902 წელს ნაპოვნი ხელნაწერი ასევე ლათინურ დიქტუსს (ნაწილობრივ მე–10 და ნაწილობრივ მე–15 სს.) მოიცავს.

შუა საუკუნეებში ლათინური დიქტუსი ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც ჰომეროსის პოემების ალტერნატივა.

ვირიუს ნიკომაქუს ფლავიანუსმა თეოდოსიუსის დროს მიიღო quaestrura sacri palatii. მან თავისი ნაშრომი *ანალები* მიუძღვნა იმპერატორს; ევგენიუსის დროს იგი გახდა კონსული (394), მაგრამ მოგვიანებით, იმავე წელს, იგი გარდაიცვალა. მისმა ვაჟიშვილმა და შვილიშვილმა იზრუნეს მისი ტექსტის გადარჩენისათვის. ისტორიკოსმა ნიკომაქუსმა ასევე თარგმნა „აპოლონიოს ტიანელის ცხოვრება"

უცნობი ვალესიანი (Anonymi Valesiani).ლათინურ ენაზე არსებობს რომის იმპერიის მოკლე ისტორია (*Excertum Valesianum I).* ნაშრომი არის მარტივი და პრეციოზული; ავტორი, რომელმაც მოკლედ დაწე-

რა კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ (337), აშკარად წარმართია. ქრისტიანობისადმი რამდენიმე რეფერენსი აღებულია ოროსიუსიდან. ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტი გვიჩვენებს, გვიანი ანტიკურობის ისტორიოგრაფიიდან რა ცოტა რამ გადარჩა და როგორი ფრთხილები უნდა ვიყოთ იმ ეპოქის შეფასების დროს. არსებობს აგრეთვე ***Excertum Valesianum II***, რომელიც ეხება ოდოაკერისა და თეოდერიკის დროს (შესაძლოა, მე–6 საუკუნე).

ტირანიუს რუფინუსი იყო თავდაპირველად იერომეს მეგობარი, მოგვიანებით კი, მისივე მტერი. იგი 371 წელს ეგვიპტეში წავიდა, გახდა დიდიმუსის სტუდენტი და ცხოვრობდა იერუსალიმში, როგორც ბერი (378). ცხოვრების ბოლო წლები თავის სამშობლოში გაატარა (კონკორდიაში) და თარგმნა ორიგენესის, ბაზილის და გრეგორი ნაზიანზუსის შრომები ლათინურ ენაზე.

ხრომატიუსმა შეუკვეთა მას ევსებიუსის *ეკლესიის ისტორია*. მან თარგმნა და ამავე დროს დაამატა ორი წიგნი, რომლებიც აღწერენ 324–295 წლების ისტორიას. ეს არის სრულიად ახალი ჟანრი რომაულ ლიტერატურაში. ევსებიუსის გარდა, რუფინუსი ეყრდნობოდა საკუთარ მახსოვრობას და მე–4 საუკუნის საეკლესიო მამების მოგონებებს. მისი ენა და სტილი არის სადა, ზედმეტი მჭევრმეტყველების გარეშე. კრიტიკული შესაძლებლობებით რუფინუსი ჩამოუვარდება ევსებიუსს.

სულპიკიუს სევერუსი (363-400), გალის განათლებულ კეთილშობილთა წევრი, სწავლობდა ბორდეაუქსში და იყო პაულინუსის მეგობარი. როგორც ასკეტმა ქრისტიანმა, მან მეტოქეობა გაუწია მარტინუსს, რომელსაც მან ასევე გაუსწრო ლიტერატურული დიდებით. ჩვენამდე მოღწეულია მისი *ქრონიკების* ორი წიგნი. ისინი მოიცავს პერიოდს შექმნიდან ძვ.წ. 400 წლამდე. ავტორი აქ კონცენტრაციას ახდენს, ძირითადად, ბიბლიურ მასალაზე და ეკლესიის ისტორიაზე. მიღებული ფართო განათლების გამო, სულპიკიუსი ყველა თა-

ვის მოსაზრებას არგუმენტებზე დაყრდნობით წარმოაჩენს. იგი ეყრდნობა ევსებიუსს, ამავე დროს, წარმართ ისტორიკოსებს, მაგალითად, ტაციტუსს. სხვებთან ერთად, სულპიკიუსი აღიზარდა სალუსტიუსის შრომებზე, ამიტომ მისი სტილი არის სწორი, მაგრამ იგი ვერ აღწევს იერომეს ელეგანტურობას. განსაკუთრებულად ძვირფასია მისი ინფორმაცია მისივე თანამედროვე ეპოქის შესახებ. ოროსიუსი, შესაძლოა, ბაკარადან იყო (პორტუგალია), მაგრამ ყველაზე კარგად თავს ტარაკოში გრძნობდა (ისტ. 7. 22. 8). მან საფუძვლიანი განათლება მიიღო რიტორიკასა და თეოლოგიაში და წავიდა აფრიკაში, სადაც იგი გაეცნო ავგუსტინეს, რომელმაც ოროსიუსი გააგზავნა იერომთან ბეთლემში (ავგ. ეპისტ. 166. 2). აქ, ავგუსტინეს შთაგონებით, მან დაასრულა თავისი ისტორიული ხასიათის ნაშრომი 418 წელს (ისტ. 1 პროლ.1–8;7.43.20).

ოროსიუსმა დაწერა:

1. *Commonitiorum de errore Priscillianistarum et Origenistrarum,* რომელიც შეიქმნა ავგუსტინესათვის.
2. *Liber apologeticus contra Pelagianos,* რომელშიც ოროსიუსი ისე შორს წავიდა, რომ განაცხადა, ღმერთის დახმარების დროსაც კი ადამიანი ვერ იცხოვრებს უცოდველად (7. 2), ამავე დროს, იძულებულია თავი იმართლოს პაპის (მღდვლის) წინაშე.
3. განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის *Historiarum adversarum paganos libri VII,* რომელიც დასრულდა 417 წელს (7. 43. 19). პირველი წიგნი მიზნად ისახავს ამბების თხრობას სამყაროს შექმნიდან რომის დაარსებამდე, მეორე – ქალაქის გალების მიერ დაპყრობამდე, მესამე – ძვ. წ. 280 წლის ფარგლებში მომხდარ ამბებს ეხმიანება, მეოთხე მოიცავს ომებს პირუსის და კართაგენის წინააღმდეგ, მეხუთე – კორინთოს დანგრევიდან (146) მონების აჯანყებამდე პერიოდს (ძვ.წ. 73-71), მე–6 წიგნი მოიცავს ეპოქის შეცვლის პერიოდს, ხოლო მე–7 აღწერს 417 წლამდე მომხდარ მოვლენებს. ოროსიუსი პარალელურად წარმოადგენს ბერძნულ და რომაულ ისტორიებს. ავტორი, როგორც ჩანს, ეყრდნობოდა

ფლორუსის, ევტროპიუსის, იუსტინეს და ლივიუსის ნაწარმოებებს. მან კარგად იცის სვეტონიუსის შემოქმედება, იცნობს კეისრის კომენტარებს (6. 7–11), გამოყენებული აქვს ტაციტუსის *ისტორია*, უფრო ახლოს იყო სალუსტიუსის *ისტორიასთან*. უნდა აღინიშნოს, რომ იგი საკმაოდ ფრთხილია წყაროების შერჩევისა და გამოყენების დროს. როგორც ორატორი, ოროსიუსი განიზრახავს დაამტკიცოს, რომ ადამიანების ტანჯვა წარსულში ზუსტად იმდენივე იყო, რამდენიც ახლაა (1, პროლ., 13–14). მთელი მისი ისტორია ამის ჩვენებას ისახავს მიზნად. ნაშრომს თან ახლავს ავტორის საინტერესო კომენტარები. მისი წერის მანერა მშრალია, გამონაკლისია გეოგრაფიული ნაწილი, სადაც მისი თხრობა სავსეა აფორიზმებით და ანტითეზებით, ეფექტურია და მომხიბვლელი, თუმცა, საკმაოდ რთული.

ჩვენამდე მოღწეულია ოროსიუსის *ისტორიის* თითქმის 200-მდე ხელნაწერი, რომელთაგან ყველაზე ძველი მე–6 საუკუნეს განეკუთვნება. (Laurentianus 65. 1).

მისი *ქრონოგრაფია* გამოიყენეს ეთიკუსმა და ისიდორემ (636). განსაკუთრებით აქტიურად მას კითხულობდნენ შუა საუკუნეებში. ოროსიუსის ზეგავლენა შეიძლება შევნიშნოთ განსაკუთრებით ოტო ფრეისინგის *ქრონიკებში* 1158). მე–9 ს.–ში მეფე ალფრედმა შექმნა მსგავსი ტიპის ნაწარმოებთა თარგმანების კრებული. ოროსიუსი ასევე ითარგმნა არაბულ ენაზე. პირველი გამოცემა გამოჩნდა აუგსბურგში, 1471 წელს. ამას მოჰყვა კიდევ 24 გამოცემა მე–17 საუკუნის ბოლომდე. ამის შემდეგ ოროსიუსის პოპულარობა დაეცა, შესაბამისად, საბოლოოდ გაქრა აზრი მსოფლიოს ოთხი იმპერიის შესახებ.

უცნობი რომაელი ორატორები და ეპისტოლეგრაფოსები

მ. კორნელიუს ფრონტო კირტადან (აფრიკა) იყო შესანიშნავი მოსამართლე, ორატორი და ავტორი. ადრიანეს მეფობის დროს იგი იყო სენატის წევრი; ანტონიუს პიუსის დროს – კონსული (143) და ტუტორად დაინიშნა პრინც მარკუსთან და ვერუსთან. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ვერ მიიღო შეთავაზებული პროკუნსულის თანამდებობა. მას ჰყავდა მეუღლე, 5 ქალიშვილი და ერთი შვილიშვილი და ყველა მათგანზე დიდხანს იცოცხლა. ფრონტოს *წერილების* კორპუსი შედგება ტექსტების სხვადასხვა ჰატარა ჯგუფებისაგან და დანართებისაგან. მისი კორესპონდენცია იმპერატორებთან – მარკუსთან, ვეწუსთან და ანტონიუსთან ნაშრომის გულია; დამატებით ნაპოვნია რამდენიმე წერილი სხვა მეგობრებისადმი. აქვეა სულისშემძვრელი ლიტერატურული ავტოპორტრეტი მისი შვილიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (235). გულმოდგინედ დამუშავებული წერილები ეხება რიტორიკულ (135 V. D. H.) და ისტორიულ საკითხებს (*De bello Parthico* 202 V. D. H.). Parerga მოიცავს, მაგალითად, *Principia Historiae-ს* (202 V. H. D.) და იუმორისტულ ნაკვეთებს, როგორიცაა *Laudes funi et pulveris* (215 V. D. H) და *Laudes neglegentiae* (218 V. H. D.); ნაშრომში შესულია აგრეთვე არიონის მითის თარგმანი (241 V. D. H) და არაკი ძილის შექმნის შესახებ (231 V. D. H). რამდენიმე წერილი ბერძნულადაა დაწერილი. დაკარგული სიტყვებიდან ერთ–ერთი ყველაზე ცნობილი უნდა ყოფილიყო *ქრისტიანების წინააღმდეგ.*

იმ დროისათვის მოსწავლეები და მასწავლებლები ხშირად სტუმრობდნენ ბიბლიოთეკებს, სადაც მათ შეეძლოთ წაეკითხათ კატო უფროსის შრომები, მაგრამ ისინი ასევე იყენებდნენ რვეულებს, რომლებიც შეიცავდნენ ფრაზებს ადრეული ლათინი ავტორების ნა-

წარმოებებისაგან (34; 253). ბერძნული ამბების ხელახალი გადმოცემა შესაძლებელი იყო ლათინურ ენაზე (მაგალითად, ჰეროდოტოსის *ისტორია* არის არიონისათვის წყარო).

გამოხატვის რაფინირებულობა გახდა ჩვენი ავტორის ფიქრისა და ცხოვრების სტილი. საყოველთაოდ მიღებულმა წარმოდგენებმა, მაგალითად, როგორიცაა prooemium და narratio, შეიძინა შინაგანი, ჩვეულებრივი ფასი და ინდივიდის აზრი შთაგონებული და შთამაგონებელი მასწავლებლისათვის (როგორ ახერხებდნენ მისი მოსწავლეები ბავშვური „პრობლემების" შესახებ ორატორულად გამართული სიტყვებით ელაპარაკათ). კულტივირებული იქნა სხვადასხვაგვარი სტილი და ლიტერატურული ფორმები. ფრონტოს დიქცია იყო მშვენიერი, ემოციური და ცოცხალი. მისი სამწერლობო პრაქტიკა უნდა იქნას დეტალურად გამოკვლეული. მისი შრომები მისივე პედაგოგიური მოღვაწეობის ნათელი გამოხატულებაა.

ფრონტოს არქაიზმები ბერძნული ატიციზმების მსგავსი მოვლენაა. ჩვენი ავტორი, ფაქტობრივად, წერს ატიცისტის მსგავსად, როცა ის წერს ბერძნულად. სხვადასხვა თემებზე საუბრისას ფრონტოს სტილი სრულიად განსხვავებულია: სასამართლო სიტყვებში მისი ტონი გულწრფელი და უშუალოა; ეპიდეიქტიკებში – პომპეზური; ხოლო ისტორიის წერისას – სალუსტიუსისებური (207– 210 V. D. H).

ფრონტოს პედაგოგიურ საქმიანობას რეფრენად გასდევს ფილოსოფიისა და არქაიზმებისადმი ანტიპატია. ეს აიხსნება რომაელთა მისწრაფებით ცხოვრების მშვენიერების წარმოჩენისა და ყოველივე აბსტრაქციულის იგნორირებისაკენ.

ფრონტო გვირჩევს - colorem vetusculum appingere „დავამატოთ ეპოქის პატინა" (150 V. D. H). იგი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ციცერონთან ვერ იპოვა არქაული სიტყვები (57 V. D. H) და რომ სენეკას თანამედროვე სტილი არ შეესატყვისება მისსავე გემოვნებას (153 V. D. H). ფრონტოს ეს შეხედულებები კარგადაა ცნობილი და ხშირად იქცა კარიკატურის ობიექტად.

ნაკლებადაა ცნობილი, რომ ფრონტო აქებდა თავის მოსწავლეს,

თუ იგი არ გამოიყენებდა არქაიზმებს თავის პოლიტიკური ხასიათის სიტყვებში. არქაიზმები თავისთავად, მიზანი არ არის, არამედ იგი არის შედეგი ყოვლისმომცველი პრიციპისა: delectus verborum; ენის სიწმინდის თვალსაზრისით, ფრონტოს განსაკუთრებით მაღალი წარმოდგენა ჰქონდა ციცერონის *წერილებზე ატიკუსისადმი*. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ყველა შემთხვევისათვის ზუსტი და ერთადერთი სწორი შესატყვისი სიტყვის მოძებნა (verba propria 159 V. D. H). ის, ამავე დროს, არის ზომიერი ატიციზმის დამცველი.

მიუხედავად მისი ნაწერების ზოგჯერ სასაცილო და მსუბუქო ტონისა, იგი იმის მომხრეა, რომ რიტორიკა განათლებულობის ერთ–ერთი აუცილებელი სფეროა. რიტორიკა მისთვის არის paideia-ს აუცილებელი ფორმა (171 V. D. H). მისი აზრით, თუ ფილოსოფია ღვთიურია, დე, დავუტოვოთ ის ღმერთებს. მისი მოსწავლის, მარკუს ავრელიუსის ფილოსოფიისადმი დამოკიდებულება მისთვის სრულიად მიუღებელია. მშვენიერი სიტყვებისადმი თავისი დამოკიდებულებით ფრონტო აგრძელებს კლასიკურ რომაულ ტრადიციებს, მაშინ როცა იმპერატორი მარკუს ავრელიუსი იმ ეპოქას იწყებს, როცა სიმართლე მშვენიერებაზე მაღლა დგება.

ფრონტოს წერილების და ჩანაწერების ფრაგმენტები აღმოაჩინა ა. მარინმა 1815 წელს. ეს იგივე პალიმფსესტი იყო (მე–6 ს.), რომელიც შეიცავდა ციცერონის ფრაგმენტებს *De re publica*-დან. მისი ფრაგმენტები ნაპოვნია მილანში და ვატიკანში.

საოცარია ის ცნობადობა, რითაც ფრონტო სარგებლობდა თავის თანამედროვეებში და შემდგომ თაობებში. ეს დიდად იყო განსაზღვრული მისი პედაგოგიური საქმიანობით. ამბობდნენ, რომ ფრონტო მხოლოდ ციცერონის სადარი იყო, მისი მსგავსი, როგორც alter, non secundus (პანეგ. 8 [= V] 14. 2). მინუკიუს ფელიქსის *ოქტავიუსი*, სავარაუდოდ, შეიცავს მასალას ფრონტოს წიგნიდან *ქრისტიანების წინააღმდეგ*, რომელიც, ჩემი აზრით, ერთადერთი ამ ტიპის ნაწარმოებია ლათინურ ენაზე.

უცნობი ლათინი მეხოტბეები

ლათინი პანეგირიკები 289–389 წლების რომაული საზოგადოების ტიპური წარმომადგენლები არიან, განსაკუთრებით, 289–321 წლების პერიოდის რომში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გადაჭარბებულ ხოტბას და ვინმეს ქების, თუ უკეთესად წარმოჩენის მიზნით სიმართლის შეფერადების მცდელობას, ეს ტექსტები მათი ეპოქის მნიშვნელოვანი დოკუმეტებია, თუმცა, კრებული მოგვიანებით შეიკრა. ავტორები იყვნენ მაღალი თანამდებობის მქონე, განათლებული (განსაკუთრებით, რიტორიკაში) პირები. ფაქტობრივად, რიტორიკის მასწავლებლები ახლოს იყვნენ სასამართლოსთან და ჰქონდათ ხელმისაწვდომობა ოფიციოზთან, მაგალითად, როგორც magister memoriae. მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად ბრუნდებოდნენ თავიანთ სკოლებში და უხვად ჩაქონდათ საჩუქრები.

ტრაიანეს შესახებ თავისი ცნობილი სიტყვით, კეთილშობილი სენატორი პლინიუსი პირველია ამ ავტორებს შორის. მას მოჰყვება პაკატუსი (თოედოსიუსის შესახებ: 389), მამერტინუსი (იულიანეზე: 362) და ნაზარიუსი (კონსტანტინეს შესახებ: 321). შემდეგ მოდის 8 ანონიმი ავტორი–პანეგირიკი. შესაძლოა, მეორე კრებული გვიან ანტიკურობაში შეიქმნა. ამ ჯგუფის სიტყვები მერჩეულია ქრონოლოგიის მიხედვით (ძვ.წ. 311–289).

პლინიუს უმცროსთან ერთად პანეგირიკის კლასიკოსები ეყრდნობიან ციცერონს და ფრონტოს. ჟანრი განსაზღვრულია logos basilikos-ით.

პანეგირიკების inventio ეფუძნება იმ კატეგორიებს, რომლებიც დაარსდა მეფეებზე კლასიკური სიტყვებით: წარმომავლობა, განათლება, ადრეული ღვაწლი და საგმირო საქმეები, სამეფო ქველმოქმედებანი. ასეთი დაყოფა არის ბიოგრაფიის რემინისცენცია, რომელიც,

ასე თუ ისე, შედარებით უფრო ახალია, როგორც ჟანრი და სიკეთეებთან ერთად პიროვნების ნაკლზეც ამახვილებს ყურადღებას.

დღეისათვის პანეგირიკთა ლიტერატურული დახვეწილობა აღიარებულია. ასეთი წინამორბედების გარეშე კლავდიანუსი ვერ შეძლებდა დაეწერა თავისი მშვენიერი პოეტური *panegyrici*. თუმცა, მან ეს ორატორები ჩამოიტოვა თავისი წარმატებით. მიუხედავად ამისა, ძველი რომაელი მეხოტბეების შემოქმედება რომაული ლიტერატურის ისტორიაში პროზისა და პოეზიის გადაკვეთის ტიპური მოვლენაა.

მეხოტბეთა ლათინური დახვეწილი და ლამაზია, როგორც მაგალითად: ***maiestas tua, mdiocritas mea*** (პანეგ. 6 [VII] 1. 1); აქ არის პროზაში გაბნეული რითმები და პოეზიის სხვა ელემენტები, რომლებიც ნელ–ნელა პოეზიად ყალიბდებიან.

თავდაპირველად მეხოტბეებმა განიზრახეს სანიმუშო სიტყვების შექმნა. მათ სურდათ იმპერატორებზე არა მხოლოდ საქებარი სიტყვები დაეწერათ, არამედ, აგრეთვე, სტუდენტებისათვის გადაეცათ და შემოენახათ პატრიოტული დამოკიდებულებები. ესეც რომ არ იყოს, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ამ ტექსტებს ჰქონდა პროპაგანდისტული ხასიათი. ევმენიუსის (298) სიტყვა (9, V) გვიჩვენებს ორატორის ხედვას თავის ფუნქციაზე და კულტურულ მისიაზე: იმპერიის სასამართლოსთან ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდეგ ის გახდა სკოლის დირექტორი. ახლა იგი განიზრახავს საკუთარი დანაზოგი გამოიყენოს სკოლის რეკონსტრუქციისათვის. იმ ეპოქაში სკოლის მნიშვნელობა შეიძლება გაიზომოს რომაულ ლიტერატურაზე მისი ზეგავლენით, რადგან ირიბად სკოლები სარგებლობას ნახულობდნენ იმ იმპერატორთა ამბიციებიდან, რომლებიც ლიტერატურითა და ლიტერატორებით იყვნენ გარშემორტყმული.

პანეგირიკთა შემოქმედება საინტერესოა როგორც ისტორიული წყარო და როგორც რიტორიკული არტეფაქტები. სიტყვაში შეიძლება ასახული იყოს მოცემული გარემოებები, მაგრამ, ამასთან, გათვალისწინებული იყოს მათში ნართაულად, მაგრამ მაინც, ხალხის

შეკვეთა, ანუ ის, რაც ხალხს სურს. მათში ყურადღება მახვილდება ისეთ ფასეულობებზე, როგორიცაა რომის მნიშვნელობა, სამშობლოსადმი დამოკიდებულება, რელიგიური შეხედულებები, დამოკიდებულება უცხოელებთან, სასამართლოსთან და სხვა. ამასთან, მეხოტბეთა სიტყვები საშუალებას გვაძლევს კვლავდაკვლავ თვალი გადავავლოთ მაშინდელ დროს, ცხოვრების პირობებს, ფასეულობებს. რა თქმა უნდა, მომდევნო თაობები ნაკლებ ინტერესს იჩენენ ამ ეფემერული პროდუქციის მიმართ, რომელიც უფრო გათვლილია მათი ადრესატებისადმი პირფერობაზე და თავად ავტორებს მეორეხარისხოვანი როლი აქვთ.

აქ სამი დამოუკიდებელი ტრადიცია გაერთიანებულია ერთ არქეტიპად. შუა საუკუნეებში პანეგირიკებს უბრალოდ ბრმად მისდევდნენ. რენესანსის შემდეგ კი მათი ბრწყინვალება კლავდიანუსმა დაჩრდილა.

ქ. ავრელიუს სიმახუსი (Symmachus) (345–402) წარმოსდგება ცნობილი, მდიდარი ოჯახიდან. კარგი რიტორიკული განათლების მიღების შემდეგ, მას მნიშვნელოვანი თანამდებობები ეჭირა. იყო: pontidex maior, proconsul, praefectus urbi (384-385), consul (391). იგი იყო თავისი დროის ყველაზე დახელოვნებული ორატორი რომში და მალე გახდა დამცველი სენატისა, რომლის ბევრი წევრი აღმერთებდა წარმართობას, რაც მიმართული იყო ქრისტიანი იმპერატორების წინააღმდეგ. 382 წელს იმპერატორმა გრაციანემ გააძევა იგი რომიდან, რადგან გამარჯვების ქანდაკების ალტარის გადატანის წინააღმდეგი იყო. ეს იმპერატორი მოულოდნელად გარდაიცვალა და სიმახუსმა 383 წელს მხარი დაუჭირა წარმართთა ოპოზიციას, რომელიც ჯერ კიდევ ძლიერი იყო. 384 წელს სიმახუსმა თხოვა იმპერატორ ვალენტინიანეს მეორეს, აღედგინა ალტარი და განეახლებინა წარმართ ქურუმთა პრივილეგიები. 391 წელს იგი გახდა კონსული.

სიმახუსის სახელით ჩვენამდე შემორჩენილია *8 სიტყვა*, რომელთაგანაც ორი ეძღვნება იმპერატორ ვალენტინიანეს პირველს და

ერთი – გრაციანეს ახალგაზრდობაში. მასვე ეკუთვნის *ეპისტოლეები* (9 წიგნი) და *ურთიერთობები*, რომლებსაც praefectus urbi უგზავნის იმპერატორს. სავსებით შესაძლებელია, ეს უკანასკნელი ჩაითვალოს ეპისტოლეების მე–10 წიგნად.

სიმახუსის ცოდნა ბერძენი ავტორების ნაწარმოებებისა საკმაოდ მწირია. რომაელ ავტორთაგან იგი, უპირატესად, ეყრდნობა იმათ, რომლებსაც სკოლაში ასწავლიდნენ (ტერენციუსი, ვერგილიუსი, სალუსტიუსი, ციცერონი, შედარებით ნაკლებად, ჰორაციუსი და ლუკანუსი). ისტორიული მაგალითები, ძირითადად, მოჰყავს ვალერიუს მაქსიმუსისაგან. ის იცნობს ოვიდიუსს, ტაციტუსს, იუვენალისს, ფრონტოს და შესაძლოა, გელიუსს. მის წერილებს ამკარად ეტყობა, აგრეთვე, პლინიუს უმცროსის ზეგავლენა. თავის წერილებში სიმახუსი ხოტბას ასხამს სიმამაცეს; მათში არ არის ტანჯვა, მისი წერილები ნაკლებ ფერადოვანი და პერსონალურია, ვიდრე ციცერონის და პლინიუსის. მას განსაკუთრებით აინტერესებს ქალიშვილის კეთილდღეობისა და ვაჟიშვილის კარიერის თემები. ასევე, აინტერესებს პოლიტიკა და პირადი ურთიერთობები. წერილები დალაგებულია არა ქრონოლოგიურად, არამედ ადრესატების მიხედვით, განსაკუთრებით, 1–7 წიგნებში.

Relatio–ში სიმახუსის ლიტერატურული ხელოვნება გაცილებით მაღალია. აქ განსაკუთრებით საინტერესოა ის პასაჟები, რომლებიც ტოლერანტობას ეხება: *„ჩვენ ერთსადაიმავე ვარსკვლავებს ვუყურებთ, ერთი ცა გვაქვს, ერთი სამყარო. რა გზას ირჩევს თითოეული ჩვენთაგანი სიმართლის საპოვნელად? ძალიან დიდი მისტერიაა, რომ ერთადერთი ბილიკი მიგვიყვანს მასთან“* (Rel. 3. 10). საკმაოდ შეზღუდულია წერილებში გამოყენებული ლექსიკური მარაგი. მიუხედავად იმისა, რომ სიმახუსი იყენებს არქაულ და თანამედროვე ელემენტებს, იგი ცდილობს წეროს კლასიკური ლათინურით. მოჩვენებითი სიმარტივისა თუ ფამილარობის მიუხედავად, მისი წერილები საკმაოდ დახვეწილია. მაკრობიუსი განსაზღვრავს მას, როგორც pingue et floridum-ს.

ჩვენამდე შემორჩენილია: *Orationes:* რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც დაფიქსირებულია მე–6 საუკუნის ხელნაწერებში (Ambrosianus E147; Vaticanus Lat. 5750); *Epistolae: Parisinus* 8623 (მე-9 ს.) შეიცავს დასრულებულ სათაურებს და წიგნების დაყოფის სახელწოდებებს; *Palatinus* 1576 (მე–11 საუკუნე) ცალკე დგას. *Relationes*: აქ სამი მოწმობა გვაქვს: Tegurinus Monacensis 18 787 (მე–11 ს.), Mettensis 500 (მე–11 ს.) და Basilae 1549). Relatio-ს ფრაგმენტები ასევე შემორჩენილია ამბროსის ხელნაწერებში.

Relatio-ს ზეგავლენა განსაკუთრებით გაიზარდა ამბროსის პასუხის შემდეგ მისადმი მიძღვნილ სიტყვაზე. სიმახუსმა, როგორც ბრწყინვალე ორატორმა, რომლის წერილები თანამედროვეების მიერ აქტიურად იბეჭდებოდა, აღიარება მოიპოვა ქრისტიან ავტორთა შორისაც კი. ამის მაგალითია მისი პოეტური ოპონენტები, პრუდენციუსი და სიდონიუსი, რომლებიც ბაძავდნენ მას თავის კორესპოდენციებში.

რომაელი მთარგმნელები

რომაელი მთარგმნელები ავტორთა თავმდაბალი, მორიდებული, მოკრძალებული და ხშირად, დაუფასებელი ჯგუფია, რომელთა ზეგავლენა იყო უფრო დიდი, ვიდრე დიდება. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ როგორც ლათინური ლიტერატურის ადრეულ პერიოდში, ისე მისი აღორძინების დროს, გვიანი ანტიკურობისას, თუმცა, სხვადასხვანაირად.

ამ დროისათვის მთარგმნელებმა დააკმაყოფილეს დასავლელი მკითხველის მოთხოვნილება ბერ–მონაზონთა ცხოვრების ნირის შესახებ, რომელიც წარმოიშვა აღმოსავლეთში; უფრო მეტიც, აქ შეიმჩნევა გაზრდილი ინტერესი ბერძნული ფილოსოფიის და მისი ქრისტიანული მეტამორფოზის, ორიგენის ბიბლიური ექსეგეზისის (კრიტიკა) მიმართ. მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში და მე–5 საუკუნის დასაწყისში რომაული ლიტერატურის აღმავლობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ასეთი თარგმანების წყალობით.

კარგა ხნის განმავლობაში, ბერძნული ენიდან თარგმნილი ეს ნაწარმოებები ახდენდნენ დიდ ზეგავლენას შუა საუკუნეების ფილოსოფიასა და მეცნიერებაზე.

დასავლეთში ვიქტორინუს პიქტავიენსისი (მე–3ს.) იყო ბიბლიის კრიტიკოსი ბერძენ მამათა სტილში. შესაძლოა, ის თავად იყო ბერძენი. ასევე თარგმნიდნენ მარიუს ვიქტორინუსი, ჰილარი, ამბროსი და იერომე. განსაკუთრებით ცნობილი იყვნენ რუფინუსი და ქალკიდიუსი. ტირანიუს რუფინუსი იყო იერომეს მეგობარი და მოგვიანებით, მისი მოწინააღმდეგე. მან თარგმნა ორიგინეს, ბასილის, გრეგორი ნაზიანზუსის ბერ–მონაზონთა ლიტერატურა და ევხებიუსის *ქრონიკები*. ბევრი ტექსტი ჩვენამდე სწორედ რუფინუსის წყალობით მოვიდა.

წმინდა ანტონიუსის ცხოვრება მეოთხე საუკუნეში ლათინურად ორჯერ თარგმნეს. პირველი ვარიანტი ეკუთვნოდა ანონიმ ავტორს და საკმაოდ უხეში სტილით იყო შესრულებული; მეორე ეკუთვნოდა ევაგრიუსს (მე–4 ს.–ის მეორე ნახევარი) და უფრო დახვეწილი სტილით იყო შესრულებული. ამ ნაწარმოებმა დიდი ზეგავლენა იქონია ქრისტიანთა ცხოვრების სტილზე, ბიოგრაფიისა და ავტობიოგრაფიის ლიტერატურულ ჟანრზე. ქალკიდიუსმა ძალიან კარგად თაგრმნა პლატონის *ტიმეოსი (400)* და კომენტარებიც დაურთო. მის თარგმანს აშკარად ეტყობა ადრასტუსისა და ნუმენიუსის ზეგავლენა. დღესდღეობით მეცნიერებს მიაჩნით, რომ ქალკიდიუსზე ზეგავლენა მოახდინა ნეოპლატონიზმმა, თუმცა, ბევრი ამ მოსაზრებას არ იზიარებს. მე–12 საუკუნემდე ქალკიდიუსი რჩებოდა პლატონის შემოქმედების გასაცნობად ერთადერთ სანდო ავტორად.

დანართი. სენეკა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე

სიკვდილი სიცოცხლის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა ფორმით. არ არსებობს ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრების მანძილზე რამდენჯერმე არ დაფიქრებულა ამაზე და არ დაბადებია კითხვები: რა ხდება, როდესაც მოვკვდები? სად მოვხვდები? არსებობს სამოთხე, ან ჯოჯოხეთი? მაგრამ მანამდე როგორ უნდა ვიცხოვრო? ეს ის კითხვებია, რომელზეც პასუხს მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაიგებ. ამ პასუხს, ადრე თუ გვიან, ყველა ეზიარება, მაგრამ ცნობისმოყვარეობის გამო ყველას სიცოცხლეშივე სურს იცოდეს, რა იქნება გარდაცვალების შემდეგ და ამის გამო მზად არიან ეძებონ პასუხი ყველგან და ყველაფერში, რაც მიუწვდომელია, ან რთულად მისაწვდომი. ეს ფენომენი, *სიკვდილი*, ფიზიკური და ქიმიური კუთხით მეცნიერებმა კარგა ხანია ამოხსნეს, თუმცა სულიერად ეს საიდუმლოდ რჩება, საიდუმლოდ, რომელიც, ალბათ, სიკვდილის შემდეგ ხდება ადამიანისათვის მისაწვდომი.

კითხვა, რომელიც ხშირად შეიძლება გაიგონოთ სხვადასხვა ადამიანთან ამ თემაზე საუბრის დროს არის: გეშინია სიკვდილის? და მიუხედავად იმისა, გეშინია თუ არა, იცი თუ არა, გარდაცვალების მერე რა იქნება, გარდაცვალებამდე როგორღა ვიცხოვროთ? ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმდენი სიხარულის და ბედნიერების გამზიარებელია, რომ ძნელია იფიქრო იმაზე, თუ როგორ მთავრდება ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი და ყველაზე ცუდია, რომ არ იცი, რა იწყება ამის მერე. ზუსტად ეს "არცოდნა" და მასზე ფიქრი ადამიანს სულიერად ანადგურებს. ადამიანი მაშინ არის მშვიდად, როდესაც იცის, რა ხდება; როგორც კი მომავალზე იწყებს ფიქრს და სვამს კითხვებს: რა იქნება? როგორ იქნება? როდის იქნება? ზუსტად ამ დროს იწყება სულიერი არეულობა და გამძაფრე-

ბული ცნობისმოყვარეობა. ასეა სიკვდილზე ფიქრის შემთხვევაშიც - ტოვებ ამ წუთისოფელს და არ იცი, საით მიდიხარ. ეს უფროა ადამიანის შიშის მიზეზი, ვიდრე თავად სიკვდილი. არ ვიცი, ეს ინსტიქტია თუ სხვა რამ, მაგრამ სანამ ცოცხლები ვართ, სანამ გვიცემს გული და შეგვიძლია გავიზიაროთ ბედნიერი წუთები, სხვა დანარჩენ გრძნობებთან ერთად, ნუ ვიფიქრებთ იმაზე, თუ რა იქნება ხვალ, ზეგ ან მერე... მთავარია, ახლა შეგვიძლია შევიგრძნოთ ყველა საუკეთესო მომენტი ამ ცხოვრების და დავტკბეთ ამით, სჯობს ნუ ვიფიქრებთ სიკვდილზე, რამეთუ აღსასრული ერთხელ დგება, ჩვენ კი მთელი სიცოცხლე ველით მას. ამბობენ, რომ სიკვდილის შიში უფრო საზარელია, ვიდრე თვით სიკვდილი.

სიცოცხლისა და სიკვდილის არსის საკითხი ოდითგანვე აინტერესებდა კაცობრიობას და იგი დღესაც ძალიან აქტუალურია. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ანტიკური ლიტერატურა, კონკრეტულად, რომაული მწერლობა ყოფილა. *Non vitae, sed scholae discimus - არა ცხოვრებისათვის, არამედ სკოლისათვის ვსწავლობთ* - საყვედურობდა სენეკა კაბინეტის ფილოსოფოსებს, რომელთათვისაც სამეცნიერო მოღვაწეობის მიზანი მხოლოდ თავიანთი კონკრეტული ფილოსოფიური სკოლის დაცვა იყო და სიცოცხლის უფრო ეფექტურად გამოყენებისაკენ მოუწოდებდა.

Mors dolorum et est finis, ultra quaam mala nostra non excant - სიკვდილი გამოსავალია და ყველა ტკივილის დასასრული, საზღვარი, რომელსაც ჩვენი ტანჯვა ვერ გადააბიჯებს (სენეკა1932:11,5) - წერდა სენეკა და თავად გამოსავალი თვითმკვლელობაში იპოვა.

ანტიკური ტრადიცია ამბობს, რომ ფილოსოფია, ძირითადად, დაკავშირებულია სიკვდილთან - მის გაგებასთან, მასთან შერიგებასთან, მისი გარდაუვალი გამოჩენისათვის მომზადებასთან, რომ სიცოცხლე, გარკვეულწილად, სიკვდილისათვის მზადებაა. მეჩვენება, რომ ბუნებაზე და სიკვდილის მნიშვნელობაზე ფილოსოფიურ მსჯელობას მივყავართ ეთიკისა და მეტაფიზიკის ძირითადი და ცენტრალური საკითხების განხილვამდე [შდრ.მ.დ.კოგანი2001: 123-145].

სიკვდილზე საუბარი მიგვიყვანს საკითხამდე - რას ნიშნავს, იცხოვრო ცხოვრება, ხოლო მსჯელობა - სიკვდილი შესაძლოა თუ არა იყოს საშიში, მოიცავს საკითხს, როგორ ვიცხოვროთ კარგად [მ.მორფორდი2002:67-70]. თუ რაიმე საკითხი ღირს დაფიქრებად, ალბათ, სწორედ ესენია. ანტიკური ეპოქის (და არა მარტო) ავტორთაგან, თუ ვინმე გასცემს ამ შეკითხვებზე ამომწურავ პასუხს, ერთ-ერთი სენეკაცაა.

ლუციუს ანეუს სენეკა (ძვ.წ.4-ახ.წ.65) მამისაგან, ორატორ სენეკა უფროსისაგან განსხვავებით, ცნობილია, როგორც ფილოსოფოსი და დრამატურგი. მან განათლება მიიღო რომის ორატორულ სკოლებში იმ მიზნით, რომ გაიკეთებდა პოლიტიკურ და ფილოსოფიურ კარიერას. მოგვიანებით დაიწყო იურისპრუდენციაში მოღვაწეობა და გააგრძელა პოლიტიური კარიერის შექმნაზე ზრუნვა. როგორც ჩანს, მას ჰქონდა დიდი წარმატებები, რადგან მისი დიდების გამო ეჭვით შეპყრობილმა კალიგულამ (37-41) მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა არ მოხდა, რადგანაც იმპერატორის საყვარელმა დაიხსნა ახალგაზრდა სენეკა. მოგვიანებით მას ახალი სასჯელი განუწესა იმპერატორმა კლავდიუსმა. სენეკას ბრალი დასდეს გერმანიკუსის უმცროსი ქალიშვილისა და კალიგულას დის, იულია ლივილასთან კავშირში. ამასთან, იგი იყო პოლიტიკური ოპოზიციის წევრი [ა.პოტკეი 2000:123-127]. სენეკა გადაასახლეს კორსიკაზე. კლავდიუსის მეორე ცოლმა, აგრიპინამ მიაღწია მის განთავისუფლებას 49 წელს და სენეკას დაევალა მომავალი იმპერატორის, ნერონის აღზრდა. 54 წელს სენეკამ მონაწილეობა მიიღო ნერონის ტახტზე ასვლაში და ჩაერთო სახელმწიფო მართვაში. ეს იყო ნერონის მმართველობის საუკეთესო წლები. მას შემდეგ, რაც მან გავლენა დაკარგა ნერონზე, სახელმწიფო საქმეებს ჩამოშორდა და ხელი მიჰყო ფილოსოფიას. 65 წელს სენეკას ბრალად დასდეს პიზონის შეთქმულებაში მონაწილეობა. ნერონმა მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა [ა.ბარეტი 1999:34-57]. ვერც ამჯერად იქნა მოყვანილი კი-

დევ ერთი იმპერატორის განაჩენი მისი სიკვდილის შესახებ სისრულეში, რადგან ფილოსოფოსმა იმავე წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე (სენეკას სიკვდილის შესახებ ყვებიან ტაციტუსი (15.62-64), დიო კასიუსი და სვეტონიუსი).

საინტერესოა, რომ კაცს, რომელიც მთელი ცხოვრება სიცოცხლის მსწრაფმავლობაზე, მის საინტერესოდ გატარებაზე მოუწოდებდა ადამიანებს, იკვლევდა სიკვდილის არსს, ორჯერ გამოუტანეს სიკდილის განაჩენი, და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა [ს.კ.დრამონდი1994:201-105].

თავისი ცხოვრებისეული მრწამსით სენეკა იყო მწერალი და რომაელი, და ეს უმნიშვნელოვანესია. პირველი გულისხმობს ცხოვრებისადმი დაჟინებულ, შეუნელებელ ინტერესს, ბოლო მეორე ნორმის განცდას, რაც, თავისთავად, გაცილებით უფრო ფასეულია, ვიდრე ცხოვრებისეული პრაგმატიზმი [ა.შაროკი 2002:78-82]. როგორც მწერალი, სენეკა იყო დაკვირვებული ცხოვრების მიმართ, გარკვეულწილად, გროტესკული (გავიხსენოთ „წერილებში ლუცილიუსის მიმართ" წერილები XXVII, XCV...). იგი, როგორც მწერალი, სკურპულოზურად აღწერდა ინდივიდის ფსიქოლოგიას, პირველ რიგში, საკუთარს [თ.ჰაბინეკი1998:65-75].

ცხოვრებისეული ნორმის აღქმა, წინაპართა ჩვეულებების დაცვა, იყო რომაელისათვის აუცილებელი. ეს ნორმის განცდა კი ყოველთვის დამახასიათებელი იყო რომაული ლიტერატურისთვისაც [გ. ინვუდი 2003:58-70]. ეს იგრძნობა კატულუსთან, პეტრონიუსთან, მარციალუსთან. მით უმეტეს, სენეკასთან, სადაც ამ ნორმის განცდით განისაზღვრება მისი შეხედულებები ცხოვრებაზე. მისთვის მწერლობა ხდება საშუალება - ადამიანებს დაუდგინოს ნორმა და აღზარდოს ისინი [ა.ჰუფი1990:301-210]. თუმცა, სენეკას არ შეეძლო მექანიკურად ეღიარებინა მამებისა და ბაბუებისაგან მიღებული თავად ეს ნორმა [გ. ნიულენდსი 2002:123-134].

რომაული ტრადიციისათვის ყველა ფასეულობის საფუძველი, მით უმეტეს, ზნეობრივის, იყო სახელმწიფო, უფრო ზუსტად, მოქა-

ლაქეთა გაერთიანება. არც ბერძნები და არც რომაელები არ აღიარებდნენ სახელმწიფოს, როგორც ადამიანისაგან გაუცხოებულ აბსტრაქტულ ძალას. ციცერონი წერდა: „არსად ადამიანის კეთილქმედება არ უახლოვდება ღვთიურ შესაძლებლობებს ისე, როგორც ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას და ძველის შენარჩუნებისას“ (ციცერონი "სახელმწიფოს შესახებ", 1, 7, 12). მოქალაქის მოვალეობა განუყოფელია ზნეობრივი მოვალეობისაგან. ორივე ეს ცნება შერწყმულია ტერმინში: „officium“, რომლითაც განისაზღვრებოდა ადამიანის, მოქალაქის მოვალეობების ერთობლიობა. კეთილშემოქმედი მეღვაწეობა გმირობებში (virtus -სიმამაცე), რომელიც სრულდება რესპუბლიკის საკეთილდღეოდ; ეს უკანასკნელი კი მას უხდის საერთო აღიარებით, „ქებით და დიდებით“. ანდერძად აქვს ყველას წინაპართაგან მიღებული რესპუბლიკის მსახურება და მისი შემსრულებელი სახელდება, როგორც vir bonus - კეთილსინდისიერი მამაკაცი, იდეალური მოქალაქე და ადამიანი.

ერთმმართველობა სენეკასათვის არის არა მხოლოდ გარდაუვალი, არამედ, სახელმწიფოს მმართველობის საუკეთესო ფორმა. აქედან გამომდინარე, მისთვის პრინცეპსის მსახურება ძალიან კარგად ესადაგება მორალს, მაგრამ რადგან ყველაფერი, მათ შორის სახელმწიფოებრივი ფორმა წარმავალია, მასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული მუდმივი და ტრადიციული მორალური ფასეულობანი [ჯ. დომინიკი 1997:301].

თავისი ფილოსოფიური შეხედულებებით სენეკა იყო სტოიკოსი. ამ მიმდინარეობის განვითარებაზე საუბარი არც ისე ადვილია, რადგან თავისი არსით, მისი საფუძველი არ იცვლებოდა. სენეკა ერთნაირ დებულებებს ახმოვანებდა ადრე დაწერილ ნაწარმოებებშიც და შედარებით გვიან შექმნილ „მორალურ წერილებში ლუცილიუსს“ [ა.სჩაფრსტეინი1998:221].

სენეკას ფილოსოფიური ბიოგრაფიის შექმნას ართულებს მისი წიგნების დათარიღების ზუსტი დროის არ ცოდნა. ჩვენ ვეყრდნობით ზოგადად მიღებულ ჰიპოთეზებს. სამაგიეროდ, კარგადაა ცნო-

ბილი სენეკას შინაგანი ბიოგრაფია: მისი სახელი ხშირად გვხვდება ისტორიკოსებთან, სადაც ის გამოდის არა მოწმედ, არამედ ეპოქის ყველაზე საინტერესო მოვლენების აქტიურ მონაწილედ. პირველი მოხსენიებისთანავე. ტაციტუსიც და სვეტონიუსიც ამბობენ, რომ სენეკამ მოასწრო თავი გამოეჩინა სამეცნიერო გამოსვლებით და მოღვაწეობით. ამ მიზეზის გამო მასზე წარმოდგენა გაორდა [ე. ჩემპლინი 2003:117-118].

სენეკას ცხოვრება სავსე იყო აღმაფრენებითა და დაცემით, რაც განსაზღვრული იყო დედაქალაქის პოლიტიკის პერიპეტიებით. ეს კი ძნელია შეუთავსო ფილოსოფოს-მორალისტის სახეს და მის ნაწერებს. უსარგებლოა იმსჯელო იმაზე, თუ რამ უბიძგა სენეკას აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისაკენ: პატივმოყვარეობამ და კარიერისტულმა ზრახვებმა (რაშიც მას ხშირად ადანაშაულებდნენ თანამედროვენი და როგორც ჩანს, ზემოხსენებული თვისებები მას მართლაც ახასიათებდა), თუ დოქტრინულმა რწმენამ, რომ ფილოსოფოსს, დგება რა მმართველის გვერდით, შეუძლია ხალხს მოუტანოს დიდი სარგებლობა.

სენეკას ბევრი თვისება ჩვენთვის უცნობია და აღდგენას აღარ ექვემდებარება, მაგრამ შეიძლება შევეცადოთ გავიგოთ სენეკას ცხოვრების მთავარი წინააღმდეგობის არსი, გამოვალთ რა ისტორიული სიტუაციიდან, ფილოსოფოსის მსოფლაღქმიდან, რომელიც კარგად ჩანს მის ნაწარმოებებში, და იმ მიმართულების ტრადიციიდან, რომელსაც ის მისდევდა [მიმოხილვისათვის იხ. ა.ბარეტი 1999].

თუ ჩვენ ყურადღებით გავადევნებთ თვალს იმ მდგომარეობას, რომელშიც სენეკას აყენებდა ისტორია და ამას შევუსაბამებთ მის თხზულებებს, ადვილი იქნება დავრწმუნდეთ ერთ რამეში: თითქმის ყველა მისი ტრაქტატი იყო პასუხი იმ მორიგ შეკითხვაზე, რომელსაც მწერალს უყენებდა ცხოვრება. ეს პასუხი ეცემოდა არა სხვას, არამედ საკუთარ თავს [მ.ჯოუნსი1922:177-179]. ზოგჯერ, ეს მიბმულობა ცხოვრებისეულ სიტუაციასთან აძლევს მკვლევრებს სა-

ბაბს, რომ სენეკას წიგნები მისი პოლიტიკური ტაქტიკის ნაწილად ჩათვალონ. ასე მაგალითად, იტალო ლანა თვლის, რომ ტრაქტატი „ცხოვრების მსწრაფმავლობის შესახებ", რომელშიც სენეკა ლაპარაკობს იმაზე, რომ ფილოსოფოსი არ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო საქმეებში, დაიწერა იმისთვის, რომ დაერწმუნებია აგრიპინა და კლაუდიუსი, რომ ძლიერ სენეკას განზრახული ჰქონდა კვლავინდებურად შორს ყოფილიყო პოლიტიკისაგან. ტრაქტატში „ქველმოქმედების შესახებ" ავტორს მიზნად ჰქონდა, თავი დაეცვა იმ ბრალდებებისგან, რომ იგი უმადურობას იჩენდა ნერონისადმი, რომელმაც მწერალი სიმდიდრით აავსო [თ.ჰაბინეკი1998:32045]. მიმართვა „შენ, რომელსაც მოგემართება ეს ტრაქტატი", ყოველთვის გულისხმობს ადრესატსაც. ცხოვრებასა და ფილოსოფიას შორის იშლება ძალადობრივი ხაზები და წარმოიშობა დაძაბულობა, რითაც გამოირჩევა კიდეც სენეკას ფილოსოფია მის საუკეთესო შრომებში. სწორედ ეს იყო აუცილებელი სტიმული სენეკა-მწერლისთვისაც, მაგრამ ცხოვრებასთან კავშირი გულისხმობს მის მიმართ გარკვეულ დამოკიდებულებას, რომელიც ჩამოყალიბდა არა მხოლოდ დროის მოთხოვნით, არამედ დიდი ტრადიციითაც, რომლის ცოდნის გარეშეც შეუძლებელია გავიგოთ ერთის მხრივ, სენეკას ცხოვრებისეული ქცევები და მეორეს მხრივ, მისი ფილოსოფია [ტ. გრიფინი 1992: 227-229].

ცნობილი ფაქტია, რომ ავგუსტუსის „მშვიდობიანი" მმართველობის დროსაც კი ძალიან ხშირი იყო მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი. ასე მაგალითად, გარდაიცვალა ყველა ის, ვისაც ავგუსტუსი თავის მემკვიდრედ თვლიდა: ქალიშვილის, იულიას პირველი ქმარი, მისი მამიდაშვილი, მარკუს კლაუდიუს მარცელუსი; მისი მეორე მეუღლე, მარკუს ვიპსანიუს აგრიპა; ამ უკანასკნელის ვაჟიშვილები - იულიუს გაიუს კეისარი და ლუციუს კეისარი [ს. ბობზიენი 1998: 59-71].

იმპერატორ ტიბერიუსის დროს, სრულიად გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ავგუსტუსის უმცროსი შვილიშვილი, აგრიპუს კეისარი და პოპულარული მხედართმთავარი, ტიბერიუსის ნათესავი,

გერმანიკუსი (ტიბერიუსმა „მოახერხა“ თავისი სიკვდილით მომკვდარიყო). ტიბერიუსის გარდაცვალების შემდეგ, იმპერატორი გახდა გაიუსი (კალიგულა). მანამდე კი, 4 წლით ადრე, შიმშილით გარდაიცვალა მისი დედა, აგრიპინა უფროსი. კალიგულამ გაიზიარა წინამორბედთა ბედი - იგი მოკლეს ჯარისკაცებმა, პრეტორიელებმა, რომელთაც წინ უძღოდათ კალიგულას ბიძა, ავგუსტუს კლაუდიუსი, რომელმაც მოაკვლევინა თავისი აღვირახსნილი ცოლი - მესალინა. ამ უკანასკნელმა მოწამლა კლაუდიუსისა და მესალინას ვაჟიშვილი, რათა კლაუდიუსის ტახტი გადასცემოდა მის შვილს, ნერონს. ასეც მოხდა, მაგრამ ნერონმა მოაწამვლინა საკუთარი დედა, აგრიპინა, რომელიც ხელს უშლიდა შვილს დამოუკიდებლად მმართველობაში [ჰ.შნაიდერი2000:38-46].

მოეწყო შეთქმულება ტირან ნერონის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა მასობრივი სიკვდილით დასჯა. თავი მოიკლეს პოეტებმა: ლუკანუსმა, პეტრონიუსმა და სხვებმა. შემდეგ ნერონმა გადაწვა რომი (ამბობენ, იმისათვის, რომ, სურდა დაეწერა სიმღერა ტროაზე, ანუ ილიონზე სიმღერის მსგავსი და არ ჰყოფნიდა შთაგონება), რასაც მოჰყვა უამრავი უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი. რომის დაწვა ნერონმა ქრისტიანებს დააბრალა, რასაც მოჰყვა მათი სასტიკად დასჯა... რომში საქმეები უკან და უკან მიდიოდა და ნერონმა თავი მოიკლა [ტ.ჰონდერიჩი1995:16-19].

ასეთ ვითარებაში მიმდინარეობდა ცნობილი რომაელი სტოიკოსის, რომაელი მწერლისა და ფილოსოფოსის, ლუციუს ანეუს სენეკას (უმცროსი) ცხოვრება და შემოქმედება. ამდენად, სიკვდილის თემა, როგორც ჩანს, იმ დროისათვის აქტუალური იყო და არ არის გასაკვირი, რომ ამ თემას შეეხო სენეკაც.

ახალგაზრდობაში იგი ბრონქიალური ასთმით იყო დაავადებული და ამით განაწამები, ხშირად ფიქრობდა თვითმკვლელობაზე, მაგრამ მას ჰყავდა კარგი მასწავლებელი. ეს იყო სოტიონ ალექსანდრიელი, რომელმაც დაარწმუნა ახალგაზრდა სენეკა, ხელი აეღო თვითმკვლელობაზე ფიქრიდან, უარი ეთქვა ხორციან საჭმელებზე

და გამხდარიყო ვეგეტარიანელი.

მე შევეცადე ყურადღება გამემახვილებინა იმ რამდენიმე მომენტზე, რომელიც, ჩემი აზრით, საჭირო იქნებოდა გაგვეთვალისწინებინა, როცა შევუდგებით მწერლის დამოკიდებულების ჩვენებას სიცოცხლისა და სიკვდილის მიმართ. ესენია: 1. სენეკას ცხოვრება, ერთის მხრივ, მაგალითია იმისი, რისკენაც მწერალი მოუწოდებს ადამიანებს - იცხოვრონ აქტიურად, მეორეს მხრივ კი, იმის საწინააღმდეგო, რასაც ქადაგებდა - ბევრი საკუთარი მორალური მოწოდება მან ცხოვრებაში არ (ვერ) განახორციელა; 2. სენეკას დროს ხშირი იყო სიკვდილის ფაქტები, სასიკვდილო სანახაობები და ბუნებრივი ჩანს ამ მოვლენის შესწავლით მწერლის დაინტერესება; 3. სენეკას დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებისადმი იქნებოდა განსაზღვრული იმ ფილოსოფიური მიმდინარეობით, რომელსაც სტოიციზმი ეწოდებოდა და რომლის ერთ-ერთი თალსაჩინო წარმომადგენელი ლუციუს ანეუს სენეკა იყო.

ბერძნებმა და რომაელებმა სიკვდილის შესახებ უამრავი ტრადიცია გამოიმუშავეს, მაგრამ ყველა მათგანის მიმოხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს. ამიტომ მე აქ შევეხები ზოგიერთი ბერძენი მწერლის და რომის მხოლოდ გვიანი რესპუბლიკისა და ადრეული იმპერიის მწერლების შეხედულებას ამ საკითხზე.

ჰესიოდეს მიხედვით, ადამიანები უდარდელ, უზრუნველყოფილ, დაუსრულებელ ოქროს ხანაში ცხოვრობდნენ. მათ დედამიწა ასაზრდოებდა და არ იყო სიკვდილი, ადამიანები მხოლოდ იძინებდნენ. უთანხმოება ღმერთებთან და ღმერთებს შორის, მოგვიანებით იწვევს ადამიანთა ცხოვრების გაუარესებას. ღმერთები დედამიწაზე აგზავნიდნენ წყალდიდობებს, ავადმყოფობებს, მიწისძვრებს, და მათვე შექმნეს ქალი, როგორც ბოროტება მამაკაცებისათვის, როგორც სასჯელი იმისათვის, რომ ადამიანებისთვის ღმერთებს მოპარეს ცეცხლი, რომელიც იყო ცივილიზაციისა და კრეატიულობის სიმბოლო. ამას თან მოჰყვა სიკვდილიც: ადამიანები უნდა მოკვდნენ და წავიდნენ, როგორც აჩრდილები მიწისქვეშეთში [შდრ.გრანტი;

კიზინგერი1988:870ff.].

აქვე, სხვადასხვა ავტორთან, ჩნდება სული, სხვადასხვა წინამძღოლებითა და სხვადასხვა საშიშროებებით. მიწისქვეშეთში არის ორი ბილიკი: ერთი მიდის დავიწყებისკენ, მეორე - სიცოცხლისკენ. იქ ჩასულმა ადამიანმა უნდა გააკეთოს არჩევანი: ან ცხოვრების გაუტანლობა, ან სიცოცხლე, რომელიც გრძელდება სიკვდილის შემდეგ. ეს კარგად ჩანს პლატონის „სახელმწიფოში", როცა ომში მოკლული ჯარისკაცი ერისი ბრუნდება ჯოჯოხეთიდან (ობლივიონის დაბლობიდან) ამ ქვეყანაში. მისი დაბრუნება არწმუნებს სოკრატესს და გლავკოსს, რომ უკვდავების იმედი შეიძლება იყოს, მაგრამ გარანტია - არა (პლატონი 1959:387-401).

ციცერონი ოპტომისტურად წერდა, რომ „სამყარო არის სახელმწიფო, რომელიც ერთობლივად ეკუთვნის ღმერთებს და ადამიანებს" (ციცერონი1991:65). ბერძნულმა და რომაულმა კულტურამ შექმნა მითებისა და ამბების დაუსრულებელი სერიები იმის შესახებ, რომ ღმერთებიც და ადამიანებიც მუდმივად ამოწმებენ მათ შორის არსებული საზღვრების ბუნებასა და სიძლიერეს. ამ საზღვრებს შორის არაფერი იყო ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც მოკვდავობა (ადამიანთა ხვედრი) და უკვდავება (ღმერთების ხვედრი). ადამიანები მუდმივად ცდილობდნენ გადაელახათ ეს ზღვარი და მუდმივად განიცდიდნენ მარცხს. შეიქმნა სიკვდილისა და ხელახლა დაბადების მითები, როგორიცაა მითები ჰადესის, პერსეფონესა და დემეტრეს შესახებ; ორფევსისა და ევრიდიკეს შესახებ; ადონისისა და აფროდიტეს შესახებ; სელენესა და ენდიმიონოსის შესახებ; ჰერაკლესა და დიონისოს შესახებ. ისინი ყვებიან მიწისქვეშეთში შესვლასა და იქიდან დაბრუნებაზე, სიკვდილსა და ხელახლა დაბადებაზე, ღმერთებსა და ადამიანებს შორის ტრანზაქციასა და ტრანსფორმაციაზე.

ყველა მათგანი იმემკვიდრა რომმა (კლასიკურიც და ელინისტურიც), და დაუმატა საკუთარი ფორმები და ტრადიციები.

სჯეროდათ რომაელებს ამ მითების? განათლებულებს არ სჯეროდათ, შედარებით გაუნათლებლები ამბობდნენ, თუ არ იყო, აბა

ისე ვინ იტყოდაო? [შდრ.ვეინე1988:67].

ეპიკურეელები ამბობდნენ: სიკვდილი ჩვენთვის არაფერია, და არც ჩვენი საქმეა. მაგალითად, ლუკრეციუსი (ძვ.წ. Iს.) წერდა: *სიცოცხლის სული არსებობს მთელს სხეულში... სხეული თავისთავად, არასდროს ცდის დაბადებას, ან ზრდას და ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ის არ არსებობს გარდაცვალების შემდეგ...მეხსიერება მოკვდავია. ცოცხალი არსებების აზროვნება და მათი მსუბუქი სულის აღნაგობა არც ცოცხალია და არც მკვდარი. როცა სასიცოცხლო სუნთქვის ექსპულსიის მერე მთელი სხეულის კონვერტი იხსნება, მახსოვრობისა და სულის შეგრძნებები ერთნაირად იშლება, რადგანაც სხეულსა და სულს მხოლოდ ერთად შეუძლიათ არსებობა* (ლუკრეციუსი1994:74-91). ეს რომაელი ფილოსოფოსი (ძვ.წ.100 წელი) მისდევდა თავის ბერძენ მასწავლებელს, ეპიკურეს (ძვ.წ. 341წ.) იმაშიც, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული ატომებივით დაიშლება ჰაერში, ხოლო სხეული თვით ჰაერი იქნება (ლუკრეციუსი1994:81). ატომების ამ შემთხვევით ცეკვაში ჰაერი-სხეული ხდება უკვდავი, გარკვეულწილად, დაუსრულებელი სიცოცხლე, აქედან გამომდინარე კი ლუკრეციუსი ასკვნის: *„ასე რომ, ელემენტების ომი, რომელიც მძვინვარებს მარადისობაში, აგრძელებს თანაბარ პერიოდში. ხან აქ, ხან იქ, ცხოვრების ძალები იმარჯვებენ. მგლოვიარე ხმის შერევით იმ ხმასთან, რომელსაც ჩვილები გამოსცემენ, როცა ისინი თვალს ახელენ შხით განათებულ სამყაროში. არასოდეს დღე ღამეს ადგილს არ დაუთმობს, ისე როგორც ღამე - გარიჟრაჟს. ამ ჩვილის ტირილშია შერეული გოდება, რომელიც თან სდევს სიკვდილს და დიდებულ დაკრძალვებს"*(ლუკრეციუსი1994:51-2).

ასი წლის შემდეგ სტოიკოსი სენეკა მეგობარ ლუცილიუსს მისწერს: *ცხოვრების უმშვენიერესი დღეები, ჩვენთვის, უბრალო ადამიანებისათვის, ავადმყოფობები და ტანჯვა-წამება, უფერული მოხუცებულობა, შეუბრალებელი სიკვდილის მსახვრელი ხელი ახლოს დაცოცავს* (სენეკა 1969:208).

რაც უნდა მოვიდეს, ამბობს სენეკა, არის გაურკვეველი, თუმცა

ის დარწმუნებული იყო, რომ მოხუცებულობა თავისთავად არის განუკურნებელი სენი (იქვე:209). იგი აღნიშნავს, რომ პითაგორას (ძვ.წ.მე-6 ს.) მსგავსად, ცოტა ხნით ის გახდა ვეგეტარიანელი, რათა ერწმუნა სულის ტრანსმიგრაცია (გადასახლება). სენეკა თავის წერილში აღნიშნავს: *რასაც ჩვენ სიკვდილს ვეძახით, არის მხოლოდ გადასახლება სხვა სახლში...არასდროს არაფერი კვდება ამ დედამიწაზე, უბრალოდ, გარდაიქმნება* (იქვე:206). შეაბამისად, ღორის ჭამისას, შესაძლოა, ადამიანს ღორთან ერთად შეეჭამა მისი გარდაცვლილი წინაპრის სულიც, რომელმაც შეიცვალა მისი ადგილსამყოფელი და მოთავსდა ღორში. როგორც სენეკა ამბობს, მან მიატოვა თავისივე ვეგეტერიანიზმი რომელიღაც მეგობრის თხოვნით.

ლუკიანუსისი აზრით, *თუ აჩრდილს არ ჰყავს გადარჩენილი მეგობრები ან ახლობლები, ჰადესში ძალიან მძიმე ხვედრი ელის* (ლუკიანუსი "ტანჯვის შესახებ" 1905, ტ. 3,214). ლუკიანუსი დაწვრილებით აღწერს დაკრძალვის ეპიზოდებს: როგორ მოთქვამენ ადამიანები, მჯიღს გულში იცემენ, თმებს იწეწავენ, ტალახს თავზე იყრიან, საუკეთესო ნივთებს ჰადესში ატანენ გარდაცვლილს და თან მწარე ხმით დასტირიან (იყვნენ მსახიობები, სპეციალური ადამიანები ტირილისთვის), რომ ვეღარასდროს შეჭამდნენ, ითხოვდნენ ცოლს, მეგობრებში ვეღარ მოილხენდნენ. ბოლოს, ლუკიანუსი აღნიშნავს, რომ შესაძლოა, სულ ტყუილად, რადგან პრობლემებისაგან (ამ პრობლემებს შორის ლუკიანუსი, სხვათა შორის, ასახელებს ქალებს და მოხუცებულობას) თავისუფალი გარდაცვლილი შეიძლებოდა ჰადესში უფრო ბედნიერიც კი ყოფილიყო: *გარდაცვლილი ეკითხება თავის მოტირალ მამას - შეგიძლია დაასახელო ცხოვრების რაიმე სიკეთე, რომელსაც ჩვენ მოკლებული ვიქნებით მიწისქვეშეთში?* (იქვე,2120208). ამის საწინააღმდეგოდ, ლუკიანუსი თავისი მეგობრის, დემონაქსეს (რომელიც, ჰომეროსის მსგავსად, თვლიდა, რომ უსაქმური ხარ თუ დაკავებული, სიკვდილი ორივეს ერთნაირად შეეხება) გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღნიშნავს: *როცა მან აღმოაჩინა, რომ მეტად აღარ შეეძლო ეზრუნა თავის თავზე, ის თავის მეგობ-*

რებს უმეორებდა ფრაზას, რომლითაც მაცნეები ხურავდნენ დღესასწაულს: თამაშები დასრულებულია, გვირგვინები მოგებულია, მეტად აღარაფერი დაგვრჩენია, გაჩქარების გარდა და ამ მომენტიდან უარი თქვა რა საკვების მიღებაზე, ცხოვრება ისევე მხიარულად დატოვა, როგორც იცხოვრა დედამიწაზე; არც კი დაინტერესებულა დაკრძალვის საკითხებით, ამბობდა: *სულს გამოიწვევენ ჩემი ქვევით ჩამყვანები* (დემონაქსეს ცხოვრება, ლუკიანუსი 1905, ტ.3,11-12).

დემონაქსეს სურვილები არ გაითვალისწინეს ათენელებმა, რომლებმაც ჩვეული პომპეზურობით დაიტირეს იგი, მისი სკამიც კი, სადაც ხშირად იჯდა ხოლმე, გირლიანდებით შეამკეს.

თუ ლუკიანუსი დასცინოდა ბერძნებს და მათ მითოლოგიას, ციცერონმა იგი გაცილებით მეტი სერიოზულობით მიიღო. ციცერონმა მიზნად დაისახა, რომაელებისათვის ბერძენთა ფილოსოფია საუკეთესო კუთხით გაეცნო. მას სჯეროდა ღმერთების და ღვთიური ბედისწერის, რომელიც თან სდევდა ადამიანებს, მაგრამ არ გამორიცხავდა, რომ მათ თავად უნდა ეზრუნათ საკუთარ ცხოვრებაზე. ციცერონმა განავითარა პლატონისეული თეორია (რომელიც უარყო ლუკრეციუსმა) სულის უკვდავებაზე, იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არსებობს ადამიანის დაბადებამდე და მისი გარდაცვალების შემდეგაც (გავიხსენოთ პითაგორას თეორია სულთა გადასახლების შესახებ, სენეკას ვეგეტარიანიზმი). ციცერონმა დაწერა სიტყვები, რომელიც აღიარეს ადრეულმა ქრისტიანმა მამებმა და მათთან ერთად, ბევრმა ქრისტიანმა მარტვილმა: *ვინაიდან ჩვენ ვრჩებით ჩვენი სხეულის შიგნით, ჩვენ განვიცდით მძიმე შრომას, რომელიც განსაზღვრულია ბედისწერით. რადგანაც ჩვენი სული ზეციდან მოვიდა ჩვენს სხეულში. ისინი გამოგზავნეს თავიანთი დიადი სამყოფელიდან და ჩამოეშვნენ დედამიწაზე,. რომელიც უცხოა მათი ღვთიური და უკვდავი ბუნებისათვის. მჯერა, რომ უკვდავმა ღმერთებმა მოახდინეს სულის ჩანერგვა ადამიანებში, რათა უზრუნველეყოთ დედამიწა დამცველებით, რომელთაც უნდა აერეკლათ თავიანთი ღვთიური განზრახვა ადამიანის მოწესრიგებული ცხოვრებით* (ციცერონი

1971:244).

საინტერესოა შევეხოთ სიკვდილის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამეტურ პრობლემას, რომელიც იწვევს ღმერთი/დამიანის დაშორებას - ღმერთი უკვდავია (როგორც ბერძნები და რომაელები თვლიდნენ) და per contra -ადამიანი არ არის უკვდავი. თუ სული ზეციურია და მიწიერი სხეულის ტყვე, რომლისგანაც უნდა გაიქცე, მაშინ სიკვდილი არის სულის დაბრუნება თავის უპირატეს და უკვდავ მდგომარეობაში. ციცერონი ემხრობა ქსენოფონის აზრს, როცა ის ლაპარაკობს კიროს უფროსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. კიროსი ეუბნება თავის ვაჟიშვილებს: *თუ მე მართალი ვარ, როცა მჯერა სულის უკვდავების, მაშინ ახლა მე გარდავიქმნები თქვენთვის ღმერთად, რომელსაც უნდა ეთაყვანოთ. მეორეს მხრივ, თუ ჩემი სული მოკვდება ჩემს სხეულთან ერთად, მაინც ვიცი, რომ თქვენ ყოველთვის გემახსოვრებით მე და პატივს ცემთ ღმერთებს, რომლებიც მართავენ სამყაროს და ზრუნავენ დედამიწის მშვენიერებაზე* (იქვე:245).

კიროსი დაეჭვებული იყო - თუ არის უკვდავიო, ციცერონი უფრო შორს მიდის და დარწმუნებით ამბობს სიკვდილის შემდეგ თავის *ბედზე: რა დიდებული დღე იქნება, როცა მე შევუერთდები სულთა ღვთიურ სამყაროს, გავეცლები ამ ცხოვრების სიბინძურეს და მოუწესრიგებლობას. მე არა მხოლოდ მათ შევხვდები, ვიზეც გელაპარაკეთ, არამედ ჩემს ვაჟიშვილსაც. მას უნდა დაეწვა ჩემი სხეული, მაგრამ მე დავწვი მისი. ჯერ კიდევ მისი სული არ წასულა ჩემგან, უკან იყურება და მაჩქარებს. და მე ვიცი , მივალ იმ ადგილზე, სადაც ჩემი შვილის სული გასცილდა მის სხეულს. გგონიათ, რომ მე ჩემი დანაკლისი მამაცურად გადავიტანე, მაგრამ ეს ასე არ არის. თუმცა, მე ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ ჩვენი ცალ-ცალკე ყოფნა და დაშორება დროებითია და ხანმოკლე* (იქვე:242-247).

ჰორაციუსი (ძვ.წ.I ს.) წერს ჩვენს დროში ყველაზე ხშირად ციტირებულ ფრაზას (უპირატესად, გაკრიტიკებულს) იმის შესახებ, რომ თავგანწირვა აუცილებელია, რათა დავიცვათ მშვიდობა, რომე-

ლიც ხდის ცხოვრებას შესაძლოს და სიკვდილს - ასატანს (ჰორაციუსი1968:175). ჰორაციუსს კარგად ესმოდა, რომ საფრთხე ყოველთვის არსებობდა იმ იმპერიაში, რომელმაც თავისი თავი ჯარის ძალით შექმნა: *უხეში ძალა, რომელიც გონიერებასაა მოკლებული, ინგრევა საკუთარივე წონით, ხოლო ძალა, გაჯერებული რჩევა-დარიგებებით, ღმერთებსაც კი უფრო დიდებულებს ხდის, მაგრამ ძალა, რომელიც მის სულშია გაბატონებული მთელს ურწმუნოებაზე, მათ ძულთ* (ჰორაციუსი1968:191).

რა იყო რომაელებისათვის კარგი ბედის თეოდიცი? ომის კულტურის უქონლობა, შიმშილი და ხანძარი, ალაგ-ალაგ სიღარიბე, უბედურებები, ტანჯვა-წამება, ავადმყოფობები, სიკვდილი და ძალადობა, რომლებიც ყოველთვის იჭრებოდა პატრიციების ცხოვრებაში, რადგან თავად პატრიციებს, ჰორაციუსის მსგავსად, კარგად ჰქონდათ შეგნებული თავიანთი ცივილიზაციის არასანდოობა [გ.ვივენზა2001:40-45].

ეს, რა თქმა უნდა, არ იყო პალესტინა, სადაც ნამდვილი არმაგედონი და რელიგიის აპოკალიფსური სტილი რეალობა იყო, არც ადრეული ქრისტიანობა, სადაც ადამიანები ცოდვებისათვის სიკვდილის შემდეგ ისჯებოდნენ. რომაული სამყარო სჩანდა სტაბილური, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა აუცილებელი ფორმა ეტიკეტისა იქნებოდა მობილიზებული, რომ შეენარჩუნებინათ ქაოსი და უწესრიგობა გამოუვალ მდგომარეობაში, ანუ - არასდროს დამარცხებული, მაგრამ შესაძლოა, არც არსდროს გამარჯვებული. რომაელთა თანატოლოგია იყო ნაწილობრივ იმედით სავსე და უფრო მეტად შიშით სავსე, შიშით იმაზე, რომ ადამიანის მოქმედებას, თუ ის ხშირად ღმერთებს სხვაგვარად შეეხებოდა, შეიძლებოდა და უნდა შეეცვალა ერთადერთი ანტი-სასიკვდილო სისტემა, რომელიც კი იყო შესაძლებელი, საქვეყნოდ ცნობილი - რომაული სახელმწიფოს, რომაელთა ურბანიზაციის, რომაელთა decorum-ის რუტინა.

როდესაც ჩვენ ვიკვლევთ რომაელთა დამოკიდებულებას სიკვდილის და სიკვდილის შემდგომ ადამიანთა ცხოვრების საკითხე-

ბისადმი, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სუზან ვოლკერის კომენტარი: *რომაელები არ იყვნენ დარწმუნებული სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობაში და გარდაცვლილი არ ასრულებდა ცენტრალურ როლს ორგანიზებულ რელიგიურ რწმენებში* [ვოლკერი 1985:13].

ჰუმფრეისი იმავე აზრს გამოთქვამს დაკრძალვის ბერძნულ წესთან მიმართებაში: *რასაც ბერძნები ცდილობდნენ მიეღწიათ სიკვდილისაგან, იყო მუდმივი ხსოვნა არა მხოლოდ ნაცნობებისაგან, არამედ უცნობებისაგანაც. გარდაცვლილები ვერ ხდებოდნენ წინაპრები, ისინი ვერ ახდენდნენ ზეგავლენას თავიანთ შთამომავლებზე და ხელახლა ვერ ერთვებოდნენ საზოგადოებაში, რათა განესაზღვრათ სოციალური მიმართებების გენეალოგიური დეფინიცია* [ჰუმფრეისი1981:270].

ბერძნული და რომაული რელიგიები, ძირითადად, იყო ქალაქებისა და მათი მფარველი ღვთაებების კულტივირება. გარდაცვლილებს უგებდნენ ძეგლებს და ამით განადიდებდნენ და უკვდავყოფდნენ მათ.

ლუკრეციუსის აზრით, სიკვდილი არ არის ყოფითის არაყოფითში გადასვლა, რადგანაც სიკვდილს არა აქვს ზეგავლენა პირველსაწყისებზე და მატერიაზე, როგორც ამ პირველსაწყისების ერთობლიობაზე. *სიკვდილი მხოლოდ წყვეტს პირველსაწყისების შეთანხმებებს, რის შედეგადაც ცოცხალი ხდება არა ცოცხალი, მგრძნობელი - არა მგრძნობელი, მაგრამ აქვე ცხოვრება ქმნის სხვა შეთანხმებას. სიკვდილი და სიცოცხლე განუყოფელია, ყველაფერს, რაც შექმნილა დასაწყისიდანვე, აქვს დასასრული, რთულის სიკვდილი სამართლიანია და ბუნებრივი, მაგრამ ასეთივე ბუნებრივია ცხოვრებაც. უფრო კონკრეტულად, ზოგჯერ სიცოცხლის ძალები იმარჯვებენ, ზოგჯერ - მათი სიკვდილი* (ლუკრეციუსი 1994:2,575-580).

ლუკრეციუსი, ეყრდნობა რა თუკიდიდეს, იხსენებს ათენში ხანძრის პერიოდს და ამავდროულად, აღწერს მსგავს სიტუაციას *რომში: უამრავი სხეული ეყარა მიწაზე, დაუმარხავი, ერთმანეთზე*

დაწყობილი, ეყარნენ ცოცხლებიც, სულს რომ ღაფავდნენ და მათთვის არავის ეცალა. ყველა ღმერთის ტაძარი სავსე იყო გარდაცვლილთა გვამებით. დამარხვის ცერემონიალი, რომელსაც მანამდე რომაელები აღასრულებდნენ, აღარავის ახსოვდა. გარდაცვლილ ნათესავებს ადამიანები ყრიდნენ კოცონზე და ჩირაღდნებს ანთებდნენ (ლუკრეციუსი 1994:197-199).

წარჩინებული რომაელებისათვის გარდაცვალებულთა ასეთი მოპყრობა იქნებოდა სამარცხვინო. უზარმაზარი თანხა იხარჯებოდა, რათა ოჯახის genius-ი შესაბამისი დიდებულებით დაკრძალულიყო. ძველი ეგვიპტელებისა და ქრისტიანებისათვის სიკვდილი ყოველთვის იყო რელიგიური, ბერძნებისა და რომაელებისთვის კი სხვაგვარად იყო, ანუ ეს არ იყო მათი დაკრძალვების მთავარი პრიორიტეტი. მათთვის რელიგია იყო სოციალური და პოლიტიკური მოვლენების ერთობლიობა, რომელშიც იგულისხმებოდა ოლიმპიური თამაშებიც კი, რომლებიც ემსახურებოდნენ ქალაქის, ან სახელწიფოს განდიდებას და უკვდავებას. *რომაელი, რომელიც იზრუნებს საკუთარი ქვეყნის განდიდებასა და გამდიდრებაზე უფრო მეტად, ვიდრე საკუთარზე, სიკვდილის შემდეგ განდიდების და ქების ღირსია. ესეც უეჭველია, რომ ჩვენ ვიფიქროთ იმათზე, ვინც ჩვენს მერე მოვამათიევგულისათვის* (ციცერონი1991:65-67).

ადამიანის პატივით დაკრძალვა მიანიშნებდა იმაზე, რომ იგი აგრძელებდა ცხოვრებას საკუთარ შთამომავლებში და იმაზეც, რომ მან კარგად იცხოვრა. მემკვიდრეს, გაგრძელების დასამტკიცელად, უნდა გაეკეთებინა დაკრძალვის ორგანიზება. დაკრძალვა, რა თქმა უნდა, იყო სახალხო, მაგრამ ძირითადად, საოჯახო და „კოლეგიალური". კიდევ უფრო დიდი მოვლენა იყო, რა თქმა უნდა, იმპერატორის დაკრძალვა. ჰეროდიანე, პოლიბიუსი და სვეტონიუსი აღწერენ, როგორი დიდებულებით მიასვენებენ გარდაცვლილი იმპერატორის ცვილის სურათს მისი სასახლის წინ, რათა მას საჯაროდ უკანასკნელად სცენ თაყვანი [შდრ. მ. კოორტბოიანი; მკდერმონტი, ორენტზელი1979:7]. შელტონი აღწერს, რომ იყვნენ სპეციალური და-

ქირავებული მსახიობები, რომლებიც გადმოსცემდნენ სცენებს გარადაცვლილის ცხოვრებიდან, ადამიანები ყვებოდნენ მის მიერ გაკეთებული ღირსეული საქმეების შესახებ, რათა მისი ამბები თაობიდან თაობას გადასცემოდა და ეს სამაგალითო გამხდარიყო ადამიანებისთვის, რათა მათაც ეზრუნათ იმაზე, რომ ასეთი დაკრძალვის ღირსნი გამხდარიყვნენ. სწორედ ეს უწყობდა ხელს მის უკვდავებას [შელტონი1988:99].

დიდებული მოქალაქეების სახალხო დაკრძალვები იყო მწვერვალი პოლიტიკურ-რელიგიური სისტემისა და რომის წარმატების გარანტია.

პლუტარქე, რომელიც იყო 40 წლის, როცა დომიციანუსი მოკლეს, *De Fortuna Romanorum*-ში წერდა: *სამი სახალხო ფესტივალი ეღვნებოდა დაკრძალულებს: Parentalia, Feralia, Lemuria. ცალკე აღნიშნავდნენ გარდაცვლილის დღეს ოჯახში, ახლობლების გარემოცვაში. იყო სპეციალური დაკრძალვის ბიუროები (collegia funeraticia), რომელიც ოჯახთან ერთად უზრუნველყოფდა დაკრძალვის ორგანიზებას. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი იყო "დიანა და ანტინუსი". რომაელები იყენებდნენ დიდ, ძვირიან მარმარილოს სარკოფაგებს, რომელიც, შესაძლოა, შემოვიდა რომში ეტრუსკებისა და მინოსური კულტურებისაგან, შესაძლოა, ეგვიპტელებისგანაც)* (ახ.წ. მეორე საუკუნიდან). ბერძნებს კიდევ ჰქონდათ შედარებით პატარა osteothekai (საძვალე).

რომაული ეპიტაფიები, როგორც რომაელთა სიკვდილისადმი დამოკიდებულების ამსახველი, შესწავლის ცალკე და საინტერესო თემაა. ცნობილი ფაქტია, რომ რომაელები ახლადდაბადებულ გოგონებს კლავდნენ. ქმარი, ვინმე ჰილარიონი ძვ. წ. ბოლო წელს ცოლს წერს: *ბიჭს მიხედე. ფულს გამოგიგზავნი. თუ გოგო დაიბადება, მოკალი.* ერთ-ერთი საფლავის ქვაზე აწერია: *შეხედე, მგზავრო. აქ არის ჩემი გოგონა, რომლის მოფერების და გამოპრანჭვის საშუალება არ მომეცა, სანამ არ გარდაიცვალა. ეს მხოლოდ მაშინ მოვახერხე, როცა მისი დედამიწაზე ყოფნის დრო ამოიწურა.* ამ მემორიალით

დედამ უკვდავყო თავისი ქალიშვილი, რომელიც მას ძალიან უყვარდა [შელტონი1988:205]. როგორც ჩანს, გოგონა იყო მონა და მოშორებული დედის კალთას. სარკოფაგები და ეპიტაფიები ქმნიან ძირითად წყაროს, რათა გავიგოთ ბერძენთა და რომაელთა დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ. ოვიდიუსი თავის „მეტამორფოზებში“ გვაძლევს სამყაროს პოეტურ მოდელს, რომელიც მუდმივ ცვალებადობაზეა აგებული. მარადიული არის მხოლოდ სული, რომელიც ახალ-ახალი სხეულებში გარდაიქმნება. ამიტომ, აცხადებს პოეტი, ადამიანებს არ მართებთ შიში სიკვდილისა, რადგა ეს არ არის დასასრული, არამედ საწყისია ახლისა (ოვიდიუსი:15,151-159). იგი წერს: *ყველაფერი იცვლება. არაფერი ქრება. სული დადის აქეთ-იქით* (ოვიდიუსი1987:357). ეს სტრიქონები აჯამებს ბერძენთა და რომაელთა აზრს სიკვდილის (ან თუგინდ, სიცოცხლის) ორბუნებოვნობის შესახებ. ამ სტრიქონებში არის დაუსრულებელი ცვლილებები და მიგრაცია, მაგრამ შუაში ამ ყველაფრის, არის სიყვარული და მოვალეობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მამაკაცს, ქალს და მათ თაობებს. ეპიტაფია სწორედ ამ კავშირზე მიანიშნებს, ხოლო სარკოფაგი - მუდმივ ცვალებად ფორმებზე.

როგორც ვნახეთ, რომაელი მწერლები საკმაოდ ინტენსიურად იკვლევდნენ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას, მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველაზე მეტად ამ საკითხებით დაინტერესდა სენეკა და ამის ჩვენებას მე ქვემოთ შევეცდები.

ცნობილი ფაქტია, რომ სენეკა, რომელიც ბევრს წერდა ქველმოქმედებაზე, თავად არ იყო არ იყო ქველმოქმედის მაგალითი. ის იყო თავისი დროის შვილი, დროისა, რომელიც ისტორიაში შეფასდა, როგორც ამორალური [ს. შარპლეისი1996:166-180]. სენეკა არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება დაშორდეს ერთმანეთს მწერლის მსოფლმხედველობა და მისივე ცხოვრების სტილი. როგორც დიონ კასიუსი აღნიშნავს, სენეკა არ ცხოვრობდა თავისი პრინციპების მიხედვით. ვფიქრობ, ეს სწორედ ასეა: სენეკა ქადაგებდა სიღარიბეს, თავად კი მთელი ძალით, მართალი და უმართებულო

გზებით, ცდილობდა ქონების დაგროვებას. საკუთარი სიტყვისა და საქმის დაშორებას თავად სენეკა კარგად აცნობიერებდა და ცინიკურად ამართლებდა ამას. თავის ტრაქტატში "ბედნიერი ცხოვრების შესახებ" იგი ამბობს: *მეუბნებიან, რომ ჩემი ცხოვრება არ ეხამება ჩემსავე ნაწერებს.. ამაში თავის დროზე ადანაშაულებდნენ პლატონსაც, ეპიკურესაც, ზენონსაც. ფილოსოფოსები იმაზე კი არ ლაპარაკობენ, თავად როგორ ცხოვრობენ, არამედ იმაზე, როგორ უნდა ვიცხოვროთ. მე ვლაპარაკობ ქველმოქმედზე და არა საკუთარ თავზე და ვებრძვი ნაკლოვანებებს, მათ შორის, საკუთარსაც: როცა შევძლებ, ვიცხოვრებ ისე, როგორც უნდა ვიცხოვრო. რომ შემეძლოს ჩემი ნაწერების მიხედვით ცხოვრება, ჩემზე ბედნიერი ვინ იქნებოდა, მაგრამ ახლა ნუ გამკიცხავთ კარგი სიტყვებისა და გულისათვის, რომელიც კეთილი ზრახვებითაა სავსე* (18,1). მოგვიანებით კი აღნიშნავს: *ჩემზე ამბობენ - რატომ არის ის მდიდარი, როცა არის ფილოსოფოსი? რატომ გვასწავლის, ვიცხოვროთ სიღარიბეში, თავად კი სიმდიდრეს აგროვებს? ცხოვრება სძულს და ცხოვრობს? სძულს ავამყოფობები, მაგრამ ზრუნავს ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე?- ...მე კი ვამბობ: ეს ყველაფერი იმიტომ კი არ უნდა გვძულდეს, რომ მათზე უარი ვთქვათ, არამედ იმისათვის, მათზე რომ აღარ ვიდარდოთ. ადამიანი აგროვებს სიმდიდრეს არა თავის სულში, არამედ თავის სახლში.* და აკეთებს დასკვნას, რომელიც, ალბათ, შეიძლება ყველა ცალკეული შემთხვევისათვის განვაზოგადოთ: *უმოკლესი გზა სიმდიდრისაკენ არის სიმდიდრის სიძულვილი* (62,3).

ამის საპირისპიროდ, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ შემოქმედმა სწორედ ისე განვლო წუთისოფელი, როგორც ამას თავის ნაწერებში სხვებს მოუწოდებდა: იყო აქტიური, იცოდა ყოველი წუთის ფასი და საინტერესო ცხოვრებით იცხოვრა.

სენეკა, ძირითადად, ციცერონის მსგავსად, მაშინ წერდა, როცა საქმე არ ჰქონდა [კ.იეროდიაკონი1999:236]. თავისი თხზულებების უმეტესი ნაწილი მან შექმნა სიცოხლის ბოლო სამ წელიწადში. მისი ზოგიერთი ნაწარმოები დაკარგულია, მაგრამ შემორჩა ბევრი საინ-

ტერესო, როგორიცაა: 9 ტრაგედია, რომლებშიც იგი ბაძავდა დიდ ბერძენ ტრაგიკოსებს, 10 დიალოგი ფილოსოფიურ-ეთიკურ თემებზე...და ყველაზე საინტერესო "მორალური წერილები ლუცილიუსს" (124 წერილი).

სენეკას დევიზი იყო: "დაე, ჩვენმა სიტყვებმა მოგვიტანოს არა სიამოვნება, არამედ სარგებლობა" (75,5). მისი თხზულებები სავსეა გარკვეული ცხოვრებისეული სიბრძნით, რომლებიც ახლაც აქტუალური შეიძლება იყოს. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი არის მისი ეთიკური და ფილოსოფიური ხასიათის ტრაქტატი „სიცოცხლის მსწრაფმავლობის შესახებ" (De brevitate vitae=დიალოგი10-12), რომელშიც სენეკა მიმართავს თავის მეგობარს, პაულინუს უმცროსს და რომელიც ეხება ისეთ ზოგადსაკაცობრიო საკითხებს, როგორიცაა დროის მსწრაფმავლობა, სიცოცხლის არასაიმედოობა, სიკვდილი, როგორც ადამიანთა გარდაუვალი ხვედრი და სხვა. ამ მარადიულ საკითხებს სენეკა ეხება აგრეთვე ორ წერილში, რომლებიც გადასახლების დროსაა დაწერილი - „სანუგეშო წერილი დედის მიმართ" (ალბათ, 42 წელს დაწერილი) და „სანუგეშო წერილი პოლიბიოსის მიმართ" (43წ.?).

მეცნიერები ფიქრობენ, რომ „სიცოცხლის მსწრაფმავლობის შესახებ" დაიწერა 48-55 წლებს შორის [მ.გრიფინი1976:396;398;41-407]; კალიგულა გარდაიცვალა (18.5); აქედან გამომდინარე, 41 არის terminus post quem. რადგანაც სენეკა ვარაუდობს, რომ სულა უნდა ყოფილიყო უკანასკნელი, ვინც გააფართოვა pomerium (ქალაქის კედლის მიღმა სივრცე)(13.8=14.2), სავარაუდოდ, ეს დიალოგი დაიწერა მანამდე, სანამ კლაუდიუსმა გააფართოვა pomerium, მაგალითად, 24,49 მაისამდე [პ. გრიმალი1947:164-177]; მესამე თარიღი (62) მეტად აღარ განიხილება. სიცოცხლე და დრო. სენეკას აზრით, ადამიანისათვის გამოყოფილი დრო მცირე არ არის: *არ არის მცირე საჩვენო ჟამი..თუ მას გონივრულად დავაბანდებთ, საკმაოდ გრძელია და საკმარისიც დიად საქმეთა საკეთებლად(1,1); მოკლე სიცოცხლე კი არ მოგვენიჭა, მას ჩვენ ვაკნინებთ. უზოგველნი ვართ და არა ღა-*

ტაკუპოვარნი. წუთისოფელიც ასეა, გონიერ მოკვდავს ბევრს სთავაზობს (1,1).

სენეკა თვლის, რომ სიცოცხლე, თუ მისი ფასი იცი და დროსაც სწორად ანაწილებ, საკმაოდ ხანგრძლივია: *სიცოცხლე, თუკი მისი მოხმარება იცი, გრძელია (2,1). იმისათვის, ვის სიცოცხლესაც სხვა ადამიანები ბარცვავენ, დრო არასოდეს იქნება საკმარისი (2,2). გადათვალე შენი ცხოვრების დღეები და დაინახავ, რა ცოტა დაგრჩება თავად შენ - მხოლოდ ის, რაც გარეშეთ არ დასჭირვებიათ (2,3). დროს არ აფასებენ და ისე უდიერად ეკიდებიან, თითქოს სულაც არა ღირდეს რა (1,1).*

ფუჭად დახარჯული დრო. სენეკა დარდობს ფუჭად დახარჯული დროის შესახებ და მიაჩნია, რომ დრო ერთადერთი რამ არის, რომლის ხარჯვისას სიძუნწე ღირსებად ითვლება: *სიცოცხლეს ცუდუბრალოდ და ამაოდ ვფლანგავთ. სიცოცხლე, თუ მას გონივრულად დავაბანდებთ, საკმაოდ გრძელია და საკმარისიც დიად საქმეთა აღსასრულებლად (1,1). სიცოცხლის მხოლოდ მცირე ნაწილს ვცხოვრობთ, დანარჩენი ხანგრძლივობა ცხოვრება კი არ არის, უბრალოდ დროა (2,1). არავინაა ქვეყნად ისეთი, ფულის სხვებისთვის მიცემა რომ სურდეს, სიცოცხლეს კი ყველა უშურველად უნაწილებს მტერს და მოყვარეს. ადამიანები მომჭირნეობენ, როცა ქონების დაგროვებას მოინდომებენ, ხოლო როდესაც დროის ზოგვას ეხება საქმე, აქ მეტისმეტად ხელგაშლილნი არიან უკვე. არადა, ერთადერთი დროა, რომლის ხარჯვისას სიძუნწე ღირსებად ითვლება (3,1). იმდენი წელი არ გიცხოვრია, რამდენისაცა ხარ (3,1). ათასწლიანი სიცოცხლე რომ გეძლეოდეთ, უმცირეს წამამდე შეამცირებდით. მანკიერებანი ხომ დაუნდობლად შთანთქავენ ასწლეულებს (3,1).*

სენეკა მოუწოდებს ყველას, დროს გაუფრთხილდნენ და გონივრულად გამოიყენონ: *თქვენთის ბოძებული დრო, ბუნებრივი განვითარების საწინააღმდეგოდ, კიდევ რომ გაგეგრძელებინათ თქვენივ გონებით, მაინც მალე გაგიფრინდებოდათ, რადგან არ ეჭიდებით მას, არ აფერხებთ და არც კი ცდილობთ დააყოვნოთ საგანთა შორის*

უსწრაფესი, პირიქით, ისე დაუდევრად უშვებთ ხელიდან, თითქოს ზედმეტი და ადვილად მოსახელთებელი რამ იყოს (3,1).

სენეკა თვლის, რომ ხშირად ადამიანები თამაშობენ ისეთი ძვირფასი საგნით, როგორიც დრო არის, და არაფრად აგდებენ მას, როგორც ურგებს და უხმარს: *გადათვალე შენი ცხოვრების დღენი და ნახავ, რა ცოტა დაგრჩება თვითონ შენ - მხოლოდ ის, რაც გარეშეთ არ დასჭირვებიათ მუდამ მაოცებს, როცა ვხედავ, როგორ ითხოვს ერთი კაცი მეორისგან დროს და ის მეორეც უყოყმანოდ უძღვნის მას მთხოვნელს. არც ერთი მათგანი არ უკვირდება, თითქოს არაფერს ითხოვდნენ, თითქოს არაფერს გასცემდნენ. ყველაზე ძვირფასი საგნით თამაშობენ, მაგრამ ვერ გრძნობენ რას სჩადიან, რადგანაც უსხეულოა იგი და უხილავი. ამიტომაც არად აგდებენ, ვითარცა რასმე ურგებს და უხმარს (3,2).*

მწერლის აზრით, ადამიანები იღწვიან, მიღწეულს შიშით ებღაუჭებიან, მაგრამ ავიწყდებათ დრო, რომელიც უკან აღარასოდეს დაბრუნდება: *იმგვარად გასცემენ (დროს), რომ საკუთარ თავს ძარცვავენ მხოლოდ, სხვებს კი ვერარას მატებენ. დაფარულად გასცემენ და ზარალიც იმიტომაა გასაძლისი, რომ დანაკლისი უხილავია (20,2). მავანნი წვითა და დაგვით აღწევენ სასურველს, მოპოვებულის შიშით ებღაუჭებიან და ამასობაში სრულიად ავიწყდებათ დრო, რომელიც უკან არასოდესაღარშემოიქცევა (4,2).*

სიცოცხლე და სული. ფილოსოფოსი მოუწოდებს ყველას, იზრუნონ სულზე, რათა ის უფრო სრულყოფილი გახდეს: *სანამ ჰირში სული მიდგას და ძალა მერჩის, ხელს არ ავიღებ ფილოსოფიაზე (4,1). მოუსვენრობა ავადმყოფ სულს ახასიათებს . მე ხომ სხვას არას ვაკეთებ, გარდა იმისა, რომ დავდივარ ქალაქში და ვარწმუნებ ყველას, მოხუცსაც და ახალგაზრდასაც, უმეტეს და უწინარეს ყოვლისა, სხეულსა და ფულზე კი არა, სულზე იზრუნონ, რათა ის უფრო სრულქმნილი გახდეს . ნუთუ არ გინდა შენი სული უფრო წმინდა იყოს, უფრო ზნესრული? (4,4).*

სენეკა თვილს, რომ ერთადერთი რამ, რაც აღტაცებას იმსახუ-

რებს, სწორედ სულია: *აღტაცებას არ იმსახურებს არაფერი გარდა სულისა, ბოლო მის სიდიადესთან შედარებით ყოველი კნინია (5,1). წორედ ახლა, სანამ სისხლი ჩქეფს და მღელვარებს, ჯიქურ უნდა გაეშურო უკეთესისკენ! ამგვარ ყოფაში მიემთხვევი მრავალ ღირსსაცნობ მეცნიერებას, ზნეობრივი სრულქმნილების სიყვარულს, რომელიც შემდგომ ბორცს შეისხამს შენს საქციელში; გარდა ამისა, ივიწყებ ამაო ვნებებს, სიკვდილ-სიცოცხლის ხელოვნებას ეზიარები, მოიპოვებ სულის სიმშვიდეს (5,5).*

სენეკას აზრით, სული ცეცხლზე უფრო მსუბუქია და იგი მისი ამ წარმავალი ყოფიერებიდან მარადიულისა და უსასრულობისაკენ მიიქცევა, რაც ადამიანს უნდა უხაროდეს, რადგან ეს უკეთესთან, უაღრესთან გვაკავშირებს: *თუ წმიდასა და ამაღლებულს მიეახლები, დაფიქრდები ღვთის ნებასა და რაობაზე, ნაღვაწსა და იერსახეზე, ან იმაზე, თუ რა ბედი მოელის შენს სულს, ან ბუნება რას გვიქადის სხეულიდან გასვლის შემდეგ, რა აკავებს სამყაროს ამ უმძიმეს ნაწილს მსუბუქთა შორის, რომელთაგან ცეცხლი უმსუბუქესია, ანდა რისთვის იცვლებიან მნათობები ცის კაბადონზე. ნუთუ არ გინდა განერიდო დედამიწას და გონებით შეიმეცნო ეს ყველაფერი? (5,3). თუკი ბუნება ნებისმიერ საუკუნეს მიგვაახლოვებს, რად არ უნდა მოვაქციოთ ჩვენი სული ამ წარმავალი ყოფიერებიდან მარადიულისა და უსასრულოსაკენ, რაც უკეთესთან, უაღრესთან გვაკავშირებს? (5,2).*

სიცოცხლე და ხვალინდელი დღე. ყველაზე დიდ დაბრკოლებად ცხოვრებაში სენეკას მოლოდინი მიაჩნია, რადგან იგი მომავალს ელის, ახლანდელს კი არაფრად აგდებს და ამასობაში თავს ჩამომდგარ სიკვდილსაც კი ვეღარ ამჩნევს: *ყველა მათგანი (ადამიანები) გამალებით მიაქანებს თავის ცხოვრებას, მომავლისაკენ უჭირავს თვალი, აწმყო კი ეზიზღება (6,1). ის, ვინც ყოველ წამს თავისი საჭიროებისთვის იყენებს, ვინც ყოველ დღეს ისე ანაწილებს, თითქოს მისი ცხოვრება იყოს, არც ხვალინდელ დღეს შეჰფოფინებს და ეშინია მისი (6,1). სამომავლოდ საქონელ-საკეთებელს ბევრად ადრე განიზ-*

რახავენ, სიცოცხლის ყველაზე დიდი წახნაგები კი სწორედ საქმეთა გადადებაა, რაც თანისთანობით გვაცლის ხელიდან დღეებს, აწინდელს წარგვტაცებს და მომავალს გვპირდება. ყველაზე დიდი დაბრკოლება ცხოვრებაში მოლოდინია, რომელიც შეფარვით ელის ხვალინდელ დღეს, დღევანდელს კი, რაც კი ხელთ გიპყრია, ქარს ატან. მთელი მომავალი ბუნდოვანია და გაურკვეველი, ჰოდა, ახლავ იცხოვრე! (63).სიცოცხლე გაგექცევა, მაგრად თუ არ მოეჭიდები. თუმცა იგი მაინც წავა, გაფრინდება, რაც არ უნდა ღონე იხმარო. ასე რომ დროის სისწრაფეს შენც სისწრაფით უნდა ებრძოლო(6,4). ცხოველები გარბიან, როცა საფრთხე ემუქრებათ. და, რა გადაივლის იგი, მშვიდდებიან. ჩვენ კი გარდასულიც გვაღელვებს და მოსალოდნელიც. ჩვენი უდიდესი ტალანტები ჩვენვე გვვნებენ. მეხსიერება აცხოველებს შიშით მოგვრილ განგაშს, მომავლის განჭვრეტის უნარი წინდაწინ გვაფორიაქებს (6,5).

როგორ ვიცხოვროთ სწორად. სენეკას აქვს სწორად ცხოვრების მისეული შეხედულებები, რომლებიც, ვფიქრობ, დღესაც ძალიან საინტერესოა. მოვიტანთ რამდენიმე მათგანს: *ეცადე ისე იცხოვრო, რომ მტრისთვისაც არ მოგერიდოს იმის გამხელა, რაშიც საკუთარ თავს გამოუტყდები (7,1). უდარდელ ცხოვრებას ვერასოდეს ეწევა კაცი, თუ მეტისმეტად ბევრს ფიქრობს მისი გრძელჟამიერობისთვის; თუ დღეგრძელობა უდიდეს სიკეთეთა შორის შეურაცხავს (7,1). ისე მოაწყვე შენი ცხოვრება, მხოლოდ სიამოვნებათ ჰკრეფდე მის გამო (სიკვდილის გამო). ჭმუნვა კი განზე გადადე. ადამიანს სიხარულს ვერ მოუტანს ფლობა იმისა, რასთან შელევაც უნუგეშოდ დაამწუხრებდა (7,2). ვეცადოთ, რათა ვეწეოდეთ ბრბოზე ღირსეულ ცხოვრებას, მაგრამ არა საპირისპიროს (7,3). ჩვენი ცხოვრება საზოგადოდ მიღებულ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს. დაე, ჩვენი ცხოვრების წესი ყველამ გაჩხრიკოს, მაგრამ შემდეგ აღიაროს მისი მართებულობა (7,4). ჭაღარა თმისა და ნაოჭების გამო ნუ იფიქრებ ვინმეზე, დიდბანს უცხოვრიაო. მას დიდხანს კი არ უცხოვრია, დიდხანს იყო (4,4). ვინც ყოველგვარ საქმიანობას განრიდებული სიმშვიდით ცხოვრობს,*

რად არ იქნება მისი სიცოცხლე დღეგრძელი? მას ხომ თავისი სიცოცხლიდან არავისთვის არაფერი გადაურიცხავს, არაფერი უბნევია წაღმა-უკუღმა, არც არა დაუთმია შემთხვევისათვის, არც დაუდევრობითა და ხელგაშლილობით დაუკარგავს რამ, არც რა ჰქონია ზედმეტი. ასეთ შემთხვევაში სიცოცხლე მთლიანად სარგებელში ითვლება. ამიტომ, რაც არ უნდა მოკლე იყოს, მაინც საკმარისი აღმოჩნდება ბრძენკაცისათვის, რომელიც, როცა უკანასკნელი დღე დაუდგება, უყოყმანოდ და მტკიცე ნაბიჯით მიეშურება სიკვდილისაკენ (4,5). უმჯობესია საკუთარი ცხოვრება შეისწავლო, ვიდრე სახელმწიფოს მარცვლეულის ავკარგიანობა (6,6). ბევრს აქვს ამგვარი მისწრაფება - სურს იმაზე მეტხანს იღვაწოს, ვიდრე ამის უნარი შესწევს. ხშირად თავგამოდებით ებრძვიან სხეულთა სიმაბუნეს და მხოლოდ იმიტომ მიიჩნევენ სიბერეს ძნელად, რომ მას საქმეთაგან განდგომა მოსდევს. კანონი უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს ადამიანს, ვიდრე იგი საკუთარ თავს (7,5). სანამ ადამიანები სხვებს ძარცვავენ და თავადაც იძარცვებიან, სანამ ერთურთის სიმშვიდეს ხელჰყოფენ და ერთნაირად უბედურნი არიან მძარცველნიც და გაძარცვულნიც, სიცოცხლე გადის ფუჭად, უსიამოდ, სულიერი წვისა და აღმაფრენის გარეშე. ვერავინ ამჩნევს თავს წამომდგარ სიკვდილის აჩრდილს, ყველა სამომავლოდ განიზრახავს ოცნებათა ახდენას თუ იმედების დაფრთიანებას. თუმცა, ზოგი იმისთვის მეცადინეობს, რაც დარჩება, მისი აზრით, სიცოცხლის შემდგომ გრანდიოზულ ძეგლთათვის, მათ სახელზე აგებული საზოგადოებრივი ნაგებობებისათვის, სამსხვერპლო კოცონთან მიტანილი შესაწირისა და მდიდრული დასაფლავებისათვის. და მაინც...ისინი უნდა დაიკრძალონ ჩირაღდნებისა და სანთლებისწ შუქზე, რადგან ხამოკლე იყო მათი ცხოვრება (8,1). ცამდე ატყორცნილი ცხოვრების დასასრული ხშირად ძირს დაბერტყეებაა (8,2). ცხოვრება მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა ისწავლო და ალბათ, კიდევ გაგაკვირვებს ის, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა ისწავლო სიკვდილი (8,2).

სიცოცხლე და ბრძენკაცი. საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს სენე-

კა თავს ნაშრომში ბრძენკაცთან ურთიერთობის თემას, რადგან ისინი ყველაზე კარგად გვასწავლიან, როგორ უნდა იცხოვროს კაცურმა კაცმა და როგორ უნდა აღესრულოს იგი: *ყველა მოკვდავს შეუძლია ეწვიოს ბრძენკაცს დღითა და ღამით (8,3). ბრძენკაცთაგან არცერთი სასიკვდილოდ არ წაგაქეზებს, მაგრამ იმას კი გასწავლის, როგორ უნდა აღესრულოს კაცური კაცი. მათგან არც ერთი არ წარგტაცებს წამებს, პირიქით, საკუთარსაც შეგმატებს და თუ რომელიმე მათგანს გამოელაპარაკები, გახსოვდეს, ეს შენ სიცოცხლეს არასოდეს დაემუქრება, არაფრით ავნებს... ო. რა დიდი ბედნიერებაა, რა მშვიდი სიბერე მოელის კაცს, ვინც მათთან კავშირი შეკრა (8,3).*

ამავე დროს, მწერალს მიაჩნია, რომ ბრძენკაცი გვაჩვენებს მარადისობისაკენ მიმავალ გზას: *მარადისობისაკენ მიმავალ გზას გაჩვენებენ ბრძენკაცნი, იმ მწვერვალზე აგიყვანენ, საიდანაც ჯერ არავინ ჩამოვარდნილა. ეს არის ერთადერთი საშუალება ჩვენი მოკვდავი არსებობის უკვდავსაყოფად (8,4). ჟამი ანგრევს და ანადგურებს ყველას და ყოველს. ვინც სიბრძნით განიწმინდა, ვერარა ავნებს, საუკუნენი ვერ მოსპობენ და ვერ წაშლიან მას და მის სახელს. ჩვენ შემდგომ მოსულნი და მათი მომდევნონიც უფრო დააფასებენ, რადგან შური ახლო მყოფს მიმართ ჩნდება, მაშინ როცა შორეულს ლაღად შესტრფიან (8,5). მხოლოდ ბრძენკაცი არ ეპუება ადამიანთა მოდგმის კანონებს. საუკუნენი მას ისევე მორჩილებენ, ვითარცა ღმერთებს. დრომ განვლო? ბრძენი იმახსოვრებს. აწმყოა? - მარჯვედ მოიხმარს. მყოფადია? - წინასწარ განჭვრეტს. ყოველი დროის გაერთმთელება ახანგრძლივებსსიცოცხლეს (8,5).*

მიუხედავად იმისა, რომ სოფოკლე ხშირად აკრიტიკებდა სხვადასხვა ფილოსოფოსებს და ფილოსოფიურ მიმდინარეობებს, მიაჩნია, რომ მხოლოდ ფილოსოფოსები ცხოვრობენ ჭეშმარიტად, რადგან მათ იციან დროის ფასი, ერთნაირად ეძვირფასებათ წარსულიც, აწმყოც და მომავლიც: *მხოლოდ მას შეიძლება ეწოდოს მოცალე, ვინც მთელ თავის დროს ფილოსოფიას უძღვნის. მხოლოდ ეს ადამიანები ცხოვრობენ ჭეშმარიტად, რადგან არა მარტო ზოგავენ თავი-*

ანთ დროს, არამედ მას მიურთავენ ყოველივე ყოფილს და ყოფადს. თუ რამ წელს მათ წინ ჩაუვლია, ყველა თავისად უქცევიათ, ყველა დაუსაკუთრებიათ (8,6).

ცხოვრება გადის, ვიდრე მისთვის მოვიცლიდეთ. სენეკას განსაკუთრებით ის დრო ეწანება, რომელსაც ადამიანები დაუდევრობით ფლანგავენ: *დროის უმეტეს ნაწილს ჩვენ თვითონ ვფლანგავთ, ნაწილს გვპარავენ, ნაწილი კი შემჩნეველად ქრება. ყველაზე დასანანი და მიუტევებელი კი მაინც ის დანაკარგია, დაუდევრობით რომ მოგვდის (9,1). ვცხოვრობ თითქოს გევრის მქონე ადამიანი, მაგრამ როგორც სიზუსტისა და წესრიგის მოყვარე კაცი. ჩემი გონება აღნუსხავს ყოველ დანაკარგს. ვერ ვიტყვი, არაფერი გამიფლანგავს-მეთქი, მაგრამ რაც წამიგია და რატომ და რისთვის, ვუწყი(9,2). სიცოცხლის დამლევს იგულვებ საშენოდ და სწორედ ის გინდა მოახმარო ფიქრსა და განსჯას, რომელიც ყოველივე სხვისთვის უსარგებლოა (6,6). შენი სიკვდილ-სიცოცხლის მსაჯულია ნებისმიერი მონა. შენი სიცოცხლის ბატონ-პატრონია ყველა, ვისაც საკუთარი მოსძულებია (6,2).*

სენეკასათვის ღირსეულია ის ადამიანი, რომელიც არასოდეს მისცემს სხვას საკუთარი დროის ხელჰყოფის ნებას: *ღირსეული და ადამიანურ ვნებებზე ამაღლებული კაცი არასოდეს აძლევს სხვებს თავისი დროის ხელჰყოფის უფლებას (3,3). მოცალედ მხოლოდ იგი ცხოვრობს, ვისაც გაცნობიერებული აქვს თავისი მოცალეობა (2,4). დაე, ბედისწერამ სურვილისამებრ გაბაგოს დანარჩენი - სიცოცხლეს აღარეფერი ემუქრება (27).*

სიცოცხლის მსწრაფლმავლობის შესახებ. *ადამიანთა უმრავლესობა უმოწყალობას ყვედრის ბუნებას, რადგან ოდენ წუთით მოვდივართ ქვეყნად და ჩვენთვის განსაზღვრულ დროის მონაკვეთით ისე სწრაფად, ისე მალიად წარხდება, რომ კაცთა უმრავლესობა სიცოცხლისათვის მზადებისას მიიცვლება (1,4). რა გვიანაა ცხოვრების დაწყება მაშინ, როდესაც მიწურვილია სიცოცხლის ჟამი (4,5). ყოველივე ისე გაშინებთ, ვითარცა მოკვდავთ, ყველაფერი კი უკვდავებივით გსურთ ზოგს არარა აქვს მოსაწონი და საოცნებო, ამიტომ ბუ-*

რანსა და ძილღვიძილში ეგებება სიკვდილს (9,1). თქვენ ისე ცხოვრობთ, თითქოს სიკვდილს არ აპირებდეთ და ველარ ამჩნევდეთ თქვენს წარმავლობას. ვერც იმას ხვდებით, რამდენი დღე ჩაბარდა წარსულს. თუ ბევრი დრო გაქვთ, ქარს ატანთ , მაშინ როცა, შესაძლოა, სწორედ ის დღე, ვიღაცას ანდა რაღაცას მშვიდად რომ უძღვნით, უკანასკნელი აღმოჩნდეს თქვენთვის (9,2). მაგრამ აბა ავადმყოფობის ჟამს ინახულე ეს „ხელგაშლილნი" (დროს რომ ფლანგავენ), როცა კარს მოადგებათ სიკვდილის საფრთხე. მაშინ ნახავ, როგორ ეხვევიან მუხლებზე ექიმებს, ანდა როგორ მიაქვთ მსხვერპლად მთელი თავისი მონაგები სასიკვდილო განაჩენით შეურვებულთ. ასე წინააღმდეგობრივია მათი გრძნობები (9,3). ო, რა მომჭირნედ დაიწყებდნენ მაშინ ცხოვრებას , როცა ზუსტად იცი, თუ რამდენი წელი გაქვს კიდევ, ადვილია სხვებისთვისაც გაიღო ცოტა, მაგრამ გადამეტებული გულისხმიერება გმართებს მაშინ, როცა არ იცი, როდის დადგება აღსასრულის დღე (9,4). ვერავინ გიზღვავს დაკარგულ წლებს, ვერც საკუთარ თავს დაგიბრუნებს ვინმე. სიცოცხლე ისე გასრულდება, როგორც დაიწყო. არც მბარს იცვლის და არც სრბოლას შეანელებს. წავა, უჩუმრად გაიპარება. ვერც მეფის ბრძანებითა და ხალხის სურვილით გაბანგრძლივდება.. რა გელის? ახლა საქმეებით ხარ გართული. სიცოცხლე კი ჩქარობს, ამასობაში სიკვდილიც გამოგეცხადება და მისთვის, გინდა თუ არა, აუცილებლად მოგიწევს მოცლა (9,5).(მოკვდავთ) სიბერეშიც ბავშვური ზნე აქვთ, რადგან წინასწარ არაფრისთვის უზრუნიათ, არაფრისთვის მომზადებულან. ისე უეცრად დაბერდნენ, რომ უკან მოხედვაც ვერ მოასწრეს. სიბერე კი ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდა ყოველდღიურად და ვერ ამჩნევდნენ (9,6). ყველაზე ხანმოკლე ფრიად მეცადინე ხალხის ცხოვრებაა სწორედ (9,7). ყველაზე ხანმოკლე და შფოთიანი მათი ცხოვრებაა, რომელთაც წარსული დაივიწყეს, აწმყო უარყვეს, მომავალს კი ძრწოლით ელიან. ძალიან გვიან, უკვე აღსასრულს მიწევნულნი შეიცნობენ ეს საბრალონი, რომ უქმედ გარჯილან და სინამდვილეში არა გაუკეთებიათ რა (9,3).

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ სენეკას აზრით, სიცოცხლის მსწრაფმავლობა მხოლოდ ჩვენივე თავის ბრალია, რადგან ჩვენვე ტყუილად ვფლანგავთ ყველაზე ძვირფასს - დროს. ადამიანის უბედურების სათავეც სწორედ დროის ფუჭად ხარჯვაშია. ადამიანები ან მომავალზე ფიქრით იღლიან თავს, ან წარსულს მისტირიან, ხოლო ჭკვიანი ის ადამიანია, რომელიც ცხოვრობს ჰეშმარიტი ცხოვრებით.

სიკვდილის შიში აქვს ადამიანს. ეს არის ჩვეულებრივი და ყველასთვის დამახასითებელი რამ. ადამიანი მოკვდავია და მაინც, ადამიანს არასდროს შეუძლია მიიღოს და აღიაროს იგი, გაიგოს და მოიქცეს შესაბამისად. ადამიანმა არ იცის, როგორ იყოს მოკვდავი. ადამიანის გარდა ყველა არსება უკვდავია, რადგან მათ არ იციან სიკვდილი, რადგან არ შეუძლიათ თავისი დასასრულის შემეცნება.

ადამიანებს ყოველთვის აინტერესებდათ სიკვდილის ბუნება. მოკვდავობა ის არის, რასაც ყველა ადამიანი ერთნაირად ინაწილებს და აქვს მნიშვნელოვანი გავლენა იმაზე, როგორ ვცხოვრობთ და როგორ ვფიქრობთ ჩვენს ცხოვრებაზე. გარდა ამ ზოგადი ინტერესისა, არის კიდევ ხანგრძლივი ტრადიცია სიკვდილზე ფილოსოფიური ჩაფიქრებისა. ზოგიერთი ჩვენთაგანი უკვდავია. აქ გულისხმობენ „სიცოცხლეს სიკვდილის შემდეგ". ამის საწინააღმდეგოდ, არის ტრადიცია, რომელიც ამტკიცებს, რომ „სიკვდილის შემდეგ არანაირი სიცოცხლე არ არის". სიკვდილი მისთვის დასასრულია. ეს არის პიროვნების მოსპობა. თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა ვიფიქროთ ჩვენს სიკვდილზე და მოკვდავობაზე? სხვაგვარად რომ ვთქვათ, საშიშია სიკვდილი? და თუ ასეა, ვისთვის უფრო ცუდია იგი, ვინც კვდება, თუ მისი ახლობლებისთვის, რადგანაც ადამიანის დაკარგვა დიდ ტკივილთან არის დაკავშირებული?

თუ ვიწმეს შეუძლია ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, ერთ-ერთი პირველთაგანი არის სენეკა, რომელიც აღნიშნულ პრობლემებს შეეხო იმავე ფილოსოფიურ ტრაქტატში „სიცოცხლის მსწრაფმავლობის შესახებ" და „მორალური წერილებში ლუცილიუსის მიმართ".

შიში აღსასრულისა. სენეკა ფიქრობს, რომ ადამიანებს აქვთ სიკვდილის შიში და ეს ძალიან ბევრს ხშირად გონებას აკარგვინებს: *იმას, რომ ზოგჯერ სიკვდილს უხმობენ, ნუ მიიჩნევ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის მტკიცე საბუთად. უგუნურების გამო იტანჯენ თავს ათასგვარი ვნებებით და რასაც განელტვიან, მასვე მიეახლებიან უნებლივ. ხშირად სიკვდილსაც ნატრობენ, რადგან შიში აქვთ მისი. ნურც იმას ჩათვლით გრძელჟამიერი ყოფის დასტურად, ასე უსასრულოდ რომ ეჩვენებათ დღე... მაშინ როცა ყველა საქმეს თავს ანებებენ, მოცალეობა უსიამო ტვირთად ექცევათ ბოლმე და აღა რ იციან, რაში მოიხმარონ ამდენი დრო, რით მოკლან იგი (16,1). რა მსწრაფლმავალია დრო მაშინ, როცა ილხენენ, და რარიგ მოკლდება იგი უფრო მათივე ბრალით, რადგან მუდამ ეცვლებათ გატაცების საგანი. დრო არა მარტო უსასრულო რამაა მათთვის, არამედ საძულველიც, და პირიქით, ხანმოკლე ეჩვენებათ ღამეები, რომელთაც მკლავებში და ღვინის სმაში ატარებენ (16,1). შიში აღსასრულისა, რომელიც ადრე თუ გვიან დადგება, გონს აკარგვინებს საბრალოთ (16,1).*

ვინ არის გასაკიცხი? სენეკა სიკვდილის წინ გასაკიცხთა რამდენიმე ტიპს ასახელებს: *ბევრმა თავისი ამპარტავნული მიზნის მიღწევამდე, ჯერ კიდევ პირველ სიძნელეებს შეჭიდებულმა, დათმო სიცოცხლე, ზოგიერთი კი მხოლოდ მაშინ, როცა ათასი დამცირების წილ ასრულებს გულის საწადელს, მიხვდება, რომ ეპიტაფიისათვის გარჯილა ოდენ. ბევრი მოხუცი ღრმა მიხრწნილობაში, ყმაწვილის მსგავსად, ახალსა და იმდენ მიზნებს ისახავს, ამასობაში კი დიდ და თამამ აზრებს გამოდევნებული, ძალდაშრეტილი განუტევებს სულს (12,1). ზიზღს იმსახურებს ის გერიკაცი, რომელიც სასამართლო პროცესზე სრულიად ჩვეულებრივი დავის გარჩევისას, უვიცი მსმენელია და ბოტბის მომლოდინე გარდაიცვლება. გასაკიცხია.. ვინც სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას კვდება. გასაკიცხია, ვისაც სული ამოხდება ანგარიშის დროს და ვისაც მწარედ დასცინიან მემკვიდრეები (12,3).*

ვემზადოთ სიკვდილისათვის. სენეკასათვის გონიერი ის ადა-

მიანია, რომელიც სიკვდილს კი არ გაურბის, არამედ ემზადება სიკვდილისათვის: *ჩვენ ამაში ვცდებით, სიკვდილს რომ მუდამ მორით ვუყურებთ; მისი დიდი წილი ხომ უკვე მიღებული გვაქვს. უკან მიტოვებული წლები სიკვდილის მფლობელობაშია (13,1). მოკვდავნი იმდენად უგუნურნი არიან, რომ უფრო მცირე და უმნიშვნელოს, ისიც ადვილად მისაძღვევლის გამო, თავს დავალებულად თვლიან, ხოლო არაფრად ულირთ სხვისი დრო, ეს ერთადერთი რამ, რასაც უკან ვერასოდეს შემოაქცევს ვერანაირი მადლიერება (13,4). ბაბს კაცი ყოველ წამს გაჰირვებასთან, სიკვდილთან შესაბამისად ემზადოს და ჰირთა თმენას შეეჩვიოს ( ). მოგეახლა სიკვდილი? საშიში და საზარელი იგი მაშინ იქნებოდა, შენთან დარჩენა რომ შეძლებოდა. გარდაუვალია ერთი: სიკვდილი ან გვერდს აგივლის, ანდა მოვა, მოგცელავს და გაგეყრება (13,5). ყოველდღიურად ემზადე, რათა უშფოთველად დათმო სიცოცხლე, რომელსაც მრავალნი იმდაგვარად ებღაუჭებიან, ვითარცა წყალწაღებულნი - ბავსს.*

სენეკა ამტკიცებს, რომ სიკვდილი გარდაუვალია. იგი ყველას ერთნაირად მოიკითხავს, ამიტომ ამით არ უნდა მოიშხამო მთელი ცხოვრება: *მოკვდავთაგან სიკვდილის შიშსა და ცხოვრების ამაოებას შორისაა საწყალობლად გაბირული: სიცოცხლე არ სურს, სიკვდილიც ვერ მოუხერხებია (14,4). გამხნევდი და გამოაწრთე გული იმასთან შესახვედრად, რაც თვით უძლიერესსაც შეიძლება შემოუყაროს (14,3). დაბადებითვე სასიკვდილოდ ხარ მოწოდებული! გმართებს ასე და ამგვარად შთააგონებდე თავს, თუ გსურს, უდრტვინველად ელოდე ალსასრულს და მის წინაშე შიშმა არ მოგიშხამოს მთელი ცხოვრება (14,2). სიკვდილის შიში, სხვა არა არის რა, მოქალქენო, გარდა იმისა, რომ ბრძენკაცად მოგქონდეს თავი და იჩემებდე იმის ცოდნას, რაც, სინამდვილეში არ იცი.*

რა არის სიკვდილი? ფილოსოფოსი ცდილობს ამაზე გასცეს პასუხი, მაგრამ იგი ორ ვარიანტს უშვებს - სიკვდილი ან სიკეთეა, ან ბოროტება: *მართლაც, ვინ იცის, რა არის სიკვდილი? იქნებ ის უდიდესი სიკეთეა ადამიანისათვის, თუმცა ისე კი ეშინიათ მისი, თით-*

ქოს დაბეჯითებით იცოდნენ, რომ ის უდიდესი ბოროტებაა. მაგრამ მხოლოდ სრულიად უვიცი და უმეცარი თუ დაიჯერებს იმის ცოდნას, რაც არ იცის (15,1). არ შევუკრთები იმას (სიკვდილს), რაც შესაძლოა, სიკეთეც იყოს ჩემთვის დაარ შევუშინდები იმას, რასაც ჩემთვის აშკარა ბოროტებად ვთვლი (15,2). მე ჩემსას არ მოვიშლი, ათენელნო, ერთხელ კი არა, ათასჯერაც რომ მომაკვდინოთ (16,1).სიკვდილის შიშმაც ვერ მაიძულა ვისიმე საამებლად მეღალატა სამართლიანობისათვის, რამაც კინაღამ წამაგებინა თავი (16,2).

ფიზიკური სიკვდილი თუ სულიერი სიკვდილი? სენეკა თვლის, რომ ფიზიკურ სიკვდილზე გაცილებით მძიმეა სულიერი სიკვდილი: *სიკვდილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, არაფრად მიჩანს, ხოლო უსამართლობისა და უკეთესობისაგან განზე დგომა ყველაფერია ჩემთვის (17,4). არც სამსჯავროში და არც ბრძოლის ველზე , არც სოკრატეს და არც სხვას ვინმეს არ ეკადრება სირცხვილის ფასად დააღწიოს თავი სიკვდილს (17,6). არც ისე ძნელია სიკვდილისაგან თავის დაღწევა. გაცილებით უფრო ძნელია თავი დააღწიო სულიერ სიკვდილს. ის უფრო სწრაფია და უფრო მალე ეწევა თავის საბრალო მსხვერპლს. აი, ახლაც მე , საჰყარი მოხუცი, უფრო ზანტი მტრის მსხვერპლი გავხდი, მაშინ, როცა ჩემი მხნე და მკვირცხლი მბრძოლებლები უფრო სწრაფი მტრის - სულიერი სიკვდილის წერა შეიქმნენ (17,8). მოაღწია დრომ, როცა კაცში მისნობის ნიჭი იღვიძებს, - ასე სჩვევია სიკვდილის სიახლოვეს (17,5).*

ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ სიკვდილი ბოროტებაა (18,1). *რამდენი რამ გვიმტკიცებს იმის რწმენას, რომ სიკვდილი სიკეთეა! მართლაც რომ სიკვდილი სიკეთეა! მართლაცდა, ორში ერთია. სიკვდილი ან არარაობად იქცევა, ასე რომ, მკვდარი ვერაფერს ვერ გრძნობს! ანდა, თუ არა გარდაცვალება, სულის ფერისცვალება და აქედან სხვა ქვეყნად გადასახლებაა. თუკი იგრძნობა, სადაა სიკვდილი და სადაა ტკბილი ძილი, როცა მტანჯველი სიზმრები არ გიმღვრევენ გულს (18,2).*

სიკვდილი სენეკასათვის უფლის წყალობაა, შესაბამისად, უდი-

დესი სიკეთე, რომ სულეთის მკვიდრნი უფრო ბედნიერნი არიან, თუნდაც იმიტომ, რომ მათთან ხელი არა აქვს სიკვდილს: *თუკი მართლა ასეა, სიკვდილი უფლის წყალობაა სწორედ (12,2). თუ სიკვდილი მხოლოდ გარდაცვალებაა და სულის სხვა ქვეყნად გადასახლება, და თუ მართალს გვაუწყებს გადმოცემა, რომ იქ ერთად იყრიან თავს მიცვალებულნი, რა შეიძლება იყოს იმაზე დიდებული? (12,4).განა ბოროტება ეთქმის ამნაირ გადასახლებას? (14,2). რა დიდი პატივია თითოეული ჩვენგანისათვის ორფევსის... ჰომეროსის გვერდით ყოფნა! მე მზად ვარ ათასჯერ მოვკვდე, თუკი ეს მართალია, რადგან ჩემთვის ენით უთქმელი ბედნიერება იქნებოდა შევხვედროდი და მესაუბრა იქ, ვთქვათ,პალამედესთან, აიანტ ტელემონის ძესთან, თუ რომელიმე სხვასთან, რომელიც მათსავით უსამართლო მსჯავრის მსხვერპლი გახდა. ვფიქრობ, სასიამოვნო იქნებოდა ჩემი ხვედრის შედარება მათ ხვედრთან (11,1). რა ნეტარება უნდა იყოს მათი სიახლოვე, მათთან საუბარი, მათი გამოცდა. მარტო ის რად ღირს, რომ ამის გამო სიკვდილით არ დაგსჯიან. ეგეც არ იყოს, სულეთის მკვიდრნი ჩვენზე უფრო ბედნიერნი არიან, ვინაიდან,თუ გადმოცემა მართალს გვაუწყებს,მათთან ხელი არა აქვს სიკვდილს (?). ჩემო მოსამართლენო, ნურაფერს ავს წუ მოელით სიკვდილისაგან, რადგან თუ ამქვეყნად რამეა მართალი, უწინარ ყოვლისა ის, რომ კეთილი კაცის ხვედრი კეთილია როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგაც, და რომ ღმერთები მზრუნველობას არ აკლებენ მათ. თუმცა უკვე დროა წავიდეთ: მე - რათა მოვკვდე; თქვენ - რათა იცოცხლოთ. ხოლო ვისი ხვედრია უკეთესი, არავინ უწყის, გარდა უფლისა (19,3).*

ამგვარად, სენეკას აზრით, სულისათვის სხეული მხოლოდ ტვირთია და სული ცდილობს, მისგან რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს. იგი სიკვდილში ხედავს ორ შესაძლებლობას. კითხვაზე, რა არის სიკვდილი, იგი პასუხობს: ან დასასრული, ან გადასახლება. მე არ მეშინია იმისი, რომ შევწყვიტო არსებობა. ეს ხომ იგივეა, არ იყო სრულიად. მე არ მეშინია გადასახლების. მაგრამ ბევრი აქვს

ისეთი გამოთქმა, სადაც ამბობს, რომ ჩვენი სული უკვდავია, მიუხედავად მისი სხეულებრიობისა. ადამიანმა უნდა დაძლიოს სიკვდილის შიში და იცხოვროს მშვიდად მის მოსვლამდე, რადგან სიკვდილი სიკეთეა და არა ბოროტება.

სენეკას ფილოსოფიური პროზა პოპულარული იყო საუკუნეების მანძილზე, მიუხედავად მის გარშემო ატეხილი პერიოდული პოლემიკისა და წინააღმდეგობისა [ი.ანნასი1995:75]. გვიან ანტიკურობაში ქრისტიანი ავტორები ხშირად იხსენებენ სენეკას. ისინი მას მიიჩნევდნენ სერიოზულ ფილოსოფოსად. მოსაზრება გამყარდა მიმოწერით წმინდა პავლესთან. ეს მიმოწერა შეთხზულია მეოთხე საუკუნეში, ხოლო მას პირველად იერონიმე ახსენებს, რის შემდეგაც სენეკა კიდევ უფრო პოპულარული ხდება მთელი შუა საუკუნეების მანძილზე [კ.ფრიისი1998:89-92].

ალბათ, ქრისტიან ავტორთა ასეთ აღიარებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ სენეკას ნაწარმოებებმა ჩვენამდე მოაღწიეს. სენეკა იმდენად პოპულარული გახდა, რომ მეექვსე საუკუნეში მარტინ ბრაგელმა მისი გავლენით დაწერა *De ira* - მრისხანების შესახებ. ასევე მის კალამს ეკუთვნის *Formula Honestae Vitae - ღირსეული ცხოვრების ფორმულა*, რომელიც სენეკას დაკარგული თხზულების (შესაძლოა, *De Officiis*-ის, რომელიც საკმაოდ აღიარებული იყო) პლაგიატი უნდა იყოს.

ბევრმა ნაშრომმა, რომელიც შუა საუკუნეებში ცნობილიც და აღიარებულიც იყო, ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგალითად, ლაქტანციუსს ციტატა მოაქვს *Exhortationes, De Immatura Morte Moralis Philosophiae Libri*-დან, იერონიმეს - *De Matrimonio*-დან, ავგუსტინეს - *De Supersstitione*-დან, კასიოდოროსს - *De Forma Mundi* -დან. ყველა ეს თხზულება დღეს დაკარგულია. მხოლოდ ერთი, მესამე თუ მეოთხე საუკუნის ხელნაწერი შეიცავს დანარჩენი ორი დაკარგული ნაწარმოების ფრაგმენტს. ეს არის Quomodo Amicitia Continenda Sit და De Vita Patris. „ზნეობის საკითხებზე ლუცილიუსის მიმართ" კი გადაურჩა დროს, მაგრამ ორ ჯგუფადაა დაყოფილი (1-88 და 89-124).

ორივემ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოაღწია და მხოლოდ მეთორმეტე საუკუნიდან გააერთიანეს. იყო შემთხვევები, როცა რომელიმე ავტორი პირდაპირ სულაც არ იცნობდა სენეკას ნაწარმოებს, მაგრამ სტილის გამო მოდაში იყო მისი ციტირება, ზოგჯერ მთლიანი ნაწყვეტების მოტანაც კი. ერთი ასეთი იყო *Liber Senecae ან Liber Senecae de Moribus* და მას ავტორიტეტულად მიიჩნევდნენ, რამეთუ 567 წელსაა ნახსენები.

დანტესთვის სენეკა არის „Seneca Morale", როჯერ ბეკონი და შუა საუკუნეების სხვა ფილოსოფოსები კი მას ციცერონზე უფრო ხშირად მიმართავენ.

ფილოსოფიური შემოქმედებისაგან განსხვავებით, სენეკას პოეტურ თხზულებებს უფრო მძიმე ხვედრი ერგო [შდრ. ბ.როლერი 2001:59-78].

საინტერესოა, რომ კვინტილიანუსი, რომელიც სენეკას კრიტიკოსადაა მიჩნეული, ასეთ რამეს წერდა მწერალზე: „სენეკას მრავალი ღირსება ჰქონდა - ფართო და ყოველმხრივი გონება, უდიდესი სიბეჯითე, ვეებერთელა ცოდნა... მას მრავალი მშვენიერი გამონათქვამი ეკუთვნის, ბევრი მათგანი ჩვენი ზნეობის გასაკეთილშობილებლად უნდა წავიკითხოთ" (De Orat. 10. 1, 130).

ჩამოყალიბებული ქრისტიანული თეოლოგია თანაგრძნობით ეკიდებოდა სენეკას. ტერტულიანუსი პოულობს მასთან ბევრ ქრისტიანულ აზრს. უფრო მეტიც, ის ამტკიცებდა, რომ სენეკა იყო თითქმის ქრისტიანი. ლაქტანციუსიც პოულობდა გარკვეულ მსგავსებას სენეკას მსოფლმხედველობასა და ქრისტიანობას შორის. ის ამბობდა, რომ შეუძლებელია ქრისტიანმა უფრო გულწრფელად ილაპარაკოს ღმერთზე, ვიდრე ამას აკეთებს სენეკა, თუმცა მან არ იცოდა ჭეშმარიტი რწმენა. ჰიერონიმუსმა შეიყვანა სენეკა ქრისტიან ავტორთა შორის. როგორც ჩანს, ამისკენ მას უბიძგა სენეკას და მოციქულ პავლეს მიმოწერამ (მართლაც, შემონახულია 14 წერილი: 8 სენეკასი პავლეს მიმართ და და 6 პავლესი - სენეკას მიმართ, თუმცა, ეს წერილები არ არის ნამდვილი). ამ წერილებს ახსენებს ავგუსტინეც, მაგ-

რამ ის არასდროს ამბობს, რომ ეს წერილები არ არის ნამდვილი. შუა საუკუნეებშიც სენეკას ციტირებას ხშირად მიმართავდნენ საეკლესიო შეკრებებზე.

აღორძინების ეპოქაში სენეკა დიდი სიყვარულით სარგებლობდა [ნ.ნელსონი 1994:305-311]. მას ხშირად აქებდნენ ჰუმანისტები მისი მორალური სწავლებების და ადამიანის მისეული იდეალის გამო. ამასთან ერთად, ჰუმანისტები ახდენდნენ სენეკას იდეალიზებას, რასაც იგი, როგორც ადამიანი არ იმსახურებდა. თვითონ ფილოსოფოსი თავად ამბობდა საკუთარი თავის შესახებ, რომ იგი ხედავს უკეთ, მაგრამ მისდევს უფრო ცუდს. ამით იგი თავადვე აღიარებდა თავის მიუტევებელ სისუსტეებს.

ტაციტუსი დიდი პატივისცემით აღწერს სენეკას სიკვდილს (ტაც.ანნ.15.60-64); კალიგულა ასე ახასიათებდა მის სტილს: „მსოფლიოში სულ რამდენიმე რამაა, რომლებშიც გამოგონებები და ეპოქები ჩანს ისეთი უაზრო, როგორც რომაელთა რელიგიის ისტორიაში. ჩვენ რომ იმ საუკუნეების რომელიმე პერიოდში დავბადებულიყავით, ვიცხოვრებდით ჩვენი ცხოვრებით, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე. თუმცა, ეს ეხება ახლანდელ დროსაც. მცირედნი თუ გრძნობენ და განიცდიან რაიმე რელიგიურ ცვლილებებს, მაგრამ მომავალი თაობები შეამჩნევენ და რელიგიის ისტორიაში დააფიქსირებენ ამ დროში მიმდინარე ცვლილებებს. ასე რომ, წარსულში ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი დაყოფები. სწორედ ეს წარმოსახვა მიგვანიშნებს, რომ ეს დაყოფები სინამდვილეს არ შეეფერება. როდესაც ეტრუსკები პირველად რომში გამოჩნდნენ, მათ იქ დახვდათ განუვითარებელი ტომები, მაგრამ ისინი პატივს მიაგებდნენ ღმერთებს, როგორც მოსავლის, ფარის... დამცველებს. აქ ინდივიდს არ ჰქონდა თავისი საკუთარი სულიერი ცხოვრება, შესაბამისად, საკუთარი სულიერი ინტერესები.

როცა ეტრუსკებმა რომი დატოვეს, მათ იქ დატოვეს ერი, საკუთარი ინდივიდუალიზმის და თვითშეგნების დიდი განცდით, საკუთარი პატრიოტიზმით, რომელმაც რელიგიას საფუძველი შეუქმნა

და გაუმაგრა [კ.ლ.გაკა2003:47-55], რაც რომაელებმა საუკუნეების მანძილზე ღირსეულად ატარეს. ამ პროცესის დეტალურად თვალყურის მიდევნება არ არის ჩემი კვლევის საგანი, მაგრამ აქ მინდა აღვნიშნო ერთი გარემოების შესახებ, რომელიც ავგუსტუსის დროს მოხდა და რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალიზმის გაზრდის პროცესში [დ.კოგანი2001:131-146]. ავგუსტუსმა ქალაქში ზევსის ქანდაკებების გვერდით დადგა იულიუს კეისრისა და საკუთარი ქანდაკებები და ამით მან დაამკვიდრა გარდაცვლილი და ცოცხალი იმპერატორის კულტი და თაყვანიცემა რომში. ამით მან ხელი შეუწყო ინდივიდუალიზმის განცდის გაზრდას. სენეკას დროს ეს განცდა პრევალირებდა.

სხვადასხვა ახსნას აძლევენ ამ ფაქტს მეცნიერები: 1. ნერვასთეორია დამახასიათებელი იყო იმპერიის დროს ზედა ფენებისათვის. შეურაცხმყოფელი ღირებულებები მოედო ადამიანთა ცხოვრებას და ამ შიშის სახელმწიფოში გაიზარდა თვითმკვლელობის შემთხვევები. მათ აღიარეს, რომ კაცი არის ინდივიდუალური და აქვს გარკვეული პასუხისმგებლობები ღმერთის წინაშე; რომ არა მხოლოდ ადამიანის სიცოცხლე არის ხანმოკლე და არა მუდმივი, არამედ მთლიანად სამყაროს აღსასრულიც არის ძალიან რეალური: ეს ინდივიდის თვითკვდომაა თუ ეს საიქიო ცხოვრებაა? ეს ადამიანური სული ცხოვრებას აგრძელებს სიკვიდილის შემდეგ? და როგორ უნდა განიწმინდოს ის, რომ შევიდეს იმ ცხოვრებაში? და პირველად რომაელებმა დასვეს შეკითხვა, რომელიც იყო ძალიან წარმართული და ბერძნული, მაგრამ არა რომაული.

პასუხი ბერძნებისათვის იყო მისაღები, რომაელებისათვის - არა. და ეს პასუხი იყო: ცოდვა არცოდნაა [გ.ტრავერი2002:167-179]. სიმართლე რომ იცოდე, ეს უნდა გააკეთო. სრულყოფილი ცოდნა არის ცოდვისაგან გათავისუფლების გარანტია. ბრძენი კაცი არის წმინდა კაცი. მაგრამ თუ ეს ასეა, და თუ სამყარო მალე სრულდება, მაშინ ყველა ცოდნა კი არ არის სასარგებლო, არამედ ის, რომელიც არის უბიწო, ალალმართალი, ხოლო თუ ცხოვრება ასეთი მსწრაფმავალია,

მაშინ ჭკვიანი კაცი უკუაგდებს ცხოვრების ცდუნებებს და გონივრულ საქმეს მოკიდებს ხელს. ეს არის შეფასებების ახალი შკალა (მასშტაბები), რომელიც ცხოვრების აღსასრულის შეგნებას მოაქვს თან. ეს არის უარის თქმის მრწამსი. ეს არის სულის ფილოსოფია და მკურნალი (წამალი), და ამის პირველი და უდიდესი მთქმელი და წარმომადგენელი არის სენეკა.

ჩვენ შეიძლება წარმოვიდგინოთ სენეკა როგორც არა გულწრფელი და მედროვე, ანუ ადამიანი, ვინც თავის დროის მოთხოვნილებებს ხარკს უხდის. ჩვენ შეიძლება მის გარდაცვალებაშიც კი მელოდრამის ელემენტები აღმოვაჩინოთ, მაგრამ ვერ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ იმ კლასში, რომელსაც ის წარმოადგენდა, ის იყო ნამდვილი ლიდერი, რადგან იშვიათად, რომ ადამიანს ახალგაზრდებისა და საერთოდ თანამედროვეებისათვის ამდენი სწორი რჩევა მიეცა [რ.მატისენი2001:93-97]]. მართალია, ზოგჯერ მისი რჩევები იყო თავისებური, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ასეთივე თავისებური იყო ის საზოგადოება, რომელსაც იგი მიმართავდა. მართალია, მისი რჩევები ხშირად იყო არაგულწრფელი, აფექტური, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ეპოქა, რომელშიც მწერალი ცხოვრობდა, იყო გაცილებით უფრო poseurs (პოზების მოყვარული), ვიდრე ჩვენია. ასე რომ, ის ტრიალებდა არისტოკრატთა იმ წრეში, რომელიც დამძიმებული იყო ennui, bon viveurs-ით (მოწყენილობითა და კარგი ქცევებით), რომელსაც ატარებდა მოყირჭებულობით, და რომელმაც შეცდომა დაუშვა, გამოფიტა და დააუძლურა რა სინანული, იქადაგა ყველა მათგანისთვის მათი საჭიროების შესაბამისად. ის არისტოკრატთა წრიდან დაჟინებით მოითხოვდა თვითგამოცდას, დანაშაულის აღიარებას და აღსარებას, ხოლო ჯილდოდ პირდებოდა იმას, რაც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო - თავისუფლებას სიკვდილზე, სიკვდილის შიშის დაძლევას. სწორედ სენეკას შემდეგ გამოიყენა ბევრმა ეს მეთოდი. მათგან ჩვენთან უფრო ახლო მყოფი არიანე, ეპიქტეტუსი და მარკუს ავრელიუსია.

ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემ-

დეგი:

ლუციუს ანეუს სენეკას ნაშრომები „სიცოცხლის მსწრაფმავლობის შესახებ" და "მორალური წერილები ლუცილიუსისადმი" გარკვეულ მიმართებაშია თავად მწერლის ცხოვრებასთან: სენეკა იკვლევდა სიცოცხლის საკითხებს, მოუწოდებდა ადამიანებს, გაფრთხილებოდნენ დროს და აქტიურად ეცხოვრათ, და, თავის მხრივ, თავად მისი ცხოვრება იყო ამის მაგალითი. პარადოქსია, რომ ავტორს, რომელიც სიკვდილის არსს იკვლევდა, ორჯერ გამოუტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი და ბოლოს მან ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულა.

სიკვდილისა და სიცოცხლის საკითხებს რომში იკვლევდნენ სენეკამდეც, განსაკუთრებით, გვიანი რესპუბლიკისა და ადრეული იმპერიის ეპოქაში, ისეთი ცნობილი ავტორები, როგორებიც იყვნენ ციცერონი, პლუტარქე, ოვიდიუსი და სხვები. ისინი, ძირითადად, ხაზს უსვამდნენ სიცოცხლის ორბუნებოვნებას, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეხებია ამ საკითხებს ისე სიღრმისეულად და საფუძვლიანად, როგორც სენეკა. იგი დასცინოდა კლაუდიუსის სიმპათიებს „ახალი ავტორებისადმი" (novi poetae), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იყო რეაქციონერი. პირიქით, მან გააოცა კლასიცისტებიც და არქაისტებიც საყოველთაოდ მიუღებელი ვერდიქტებით. მისი „მოდერნიზმი" არ ამბობს უარს ისტორიაზე, მაგრამ არადოგმატურად უდგება ტრადიციას.

სენეკა დაინტერესებული იყო, უპირატესად, ეთიკის საკითხებით, თუმცა, ამავე დროს, მისი ნაშრომები ეხებოდა ნატურფილოსოფიას (ფიზიკა), შედარებით ნაკლებად ეხებოდა - ლოგიკას, მაგრამ ამითაც ინტერესდება. სენეკას მიზანი, როგორც ჩანს, ფილოსოფიის ყოვლისმომცველი გამოკვლევა იყო.

უპირველესად, ყურადღება უნდა მივაქციოთ სენეკას სტოიციზმს, რადგან ის თავის თავს თვლის ამ მიმართულების ერთგულად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი თხზულება „სიცოცხლის მსწრაფმავლობის შესახებ". ფილოსოფოსის ამოსავალი წერტი-

ლი არის პრაქტიკული ცხოვრება და არა აბსტრაქტული იდეები, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ სენეკა სტოიციზმის მიმდევარია, ის არ უარყოფს ფილოსოფიის სხვა სკოლებს. მისთვის დამახასიათებელია ინტელექტუალური თავისუფლება. იგი უპირისპირებს ერთმანეთს სიბრძნეს და ფილოსოფიას, ერთის მხრივ, და ცოდნას, მეორეს მხრივ, ოღონდ, მოციქულ პავლესაგან განსხვავებით, არა იმიერ, არამედ ამიერ ცოდნას (მაშინაც კი, როცა ღმერთზე ლაპარაკობს). მისთვის სიბრძნე არ არის სამუალება იმისთვის, რომ მოხვდე „იმ" სამოთხეში, არამედ „ამ" სამოთხეში. მისთვის ცოდნა არ არის უკეთესობის გარანტი, ის უფრო მეტი ცოდნის გარანტია. ეს ის არის, რაც ახლა ძალიან გვაკლია, ანუ ის ცოდნა, რომელიც უნდა გამოიყენო ხალხის საკეთილდღეოდ.

სენეკას აზრით, სულისათვის სხეული მხოლოდ ტვირთია და სული ცდილობს, მისგან რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს. იგი სიკვდილში ხედავს ორ შესაძლებლობას. კითხვაზე, რა არის სიკვდილი, იგი პასუხობს: *ან დასასრული, ან გადასახლება. მე არ მეშინია იმისი, რომ შევწყვიტო არსებობა. ეს ხომ იგივეა, არ იყო სრულიად. მე არ მეშინია გადასახლების. მე ხომ ასე ვიწროდ არსად არ ვიქნები.* ბევრი აქვს ისეთი გამოთქმა, სადაც ამბობს, რომ ჩვენი სული უკვდავია, მიუხედავად მისი სხეულებრიობისა. იგი ამბობს: *ეს შენელებული სასიკვდილო საუკუნე მხოლოდ პროლოგია უკეთესი და ბანგრძლივი ცხოვრებისათვის. ჩვენ ვემზადებით ახალი დაბადებისათვის. როცა მოვა ბოლო დღე და გაყოფს ღვთიურსა და ადამიანურს, რომელიც ახლა არეულია, მე (სული) დავტოვებ ამ სხეულს იქ, სადაც ვიპოვე და თავად დავბრუნდები ღმერთებთან.*

სენეკა, ცდილობს რა გადალახოს სიკვდილის ბუნებრივი შიში თავის თავში, შიში, რომელიც არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ღვთიურ ნაწილს ის არ ეხება, იყენებს კიდევ ერთ არგუმენტს - ის ახდენს ცხოვრების, როგორც ნაკლებად მნიშვნელოვანის, რომ მას ჩაეჭიდო, დისკრედიტაციას: *ცხოვრობენ მონებიც და ცხოველებიც.*

ვაკეთებთ ერთსა და იმავეს - ჭამა, ძილი, სიყვარული.

სენეკა დასცინის იმ ადამიანებს, რომლებიც დარდობენ, რომ ვერ იცხოვრებენ 1000 წლის შემდეგ. ამ დროს კი არ დარდობენ იმაზე, რომ ისინი არ იყვნენ 1000 წლის წინ. და აღნიშნავს, რომ ცხოვრება არც ჩვენამდე და არ ჩვენს შემდეგ ჩვენი არ არის.

მისთვის სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავია, ჩვენამდეც ბევრი მომკვდარა და მერეც ბევრი მოკვდება. გინდოდეს ცხოვრება, ნიშნავს, იცოდე, როგორ იცხოვრო. მაგრამ ეს არავინ იცის. ბევრს უნდა იცხოვროს, რომ აღასრულოს თავისი შეუსრულებელი პასუხისმგებლობები, მაგრამ სიკვდილიც ერთ-ერთი მათგანია. სიკვდილისათვისაც მას ბევრი არგუმენტი აქვს, მაგალითად, ასეთი: ცხოვრება პიესას ჰგავს. არა აქვს მნიშვნელობა, მოკლეა იგი, თუ გრძელი. მთავარია, კარგად არის თუ არა იგი გათამაშებული.

სენეკა, ისე როგორც ყველა სტოიკოსი, უშვებდა სიცოცხლის შეწყვეტას ძალით, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ ვითარებაში *თუ სხეული არ ვარგა, რატომ უნდა ეწამოს სული?* სენეკა ასევე შენიშნავს, თუ ამის მიზეზი არ გაქვს, მაშინ თვითმკვლელობა არის სულმოკლეობა და მშიშროება.

სენეკას აზრით ცხოვრების მიზანია, მედგრად დაუდგე ბედის დარტყმებს, რომ ადამიანი ისე და იმდენადაა უბედური, როგორადაც თავს თვლის და რამდენადაც თავად თვლის თავის თავს უბედურად. ეს არის სტოიციზმის პასიური ჰეროიზმი. ამაშივე არის სულის ის დიდებულება, რომელიც იქადაგა სტოიციზმმა - ჩვენ ვერაფერს შევცვლით, მაგრამ შევიძენთ სულის სიდიადეს. მისი ფატალიზმი ცოტა უფრო მხნეა, ვიდრე ეს არის ბუდისტებთან და დაოსელებთან.

სენეკა ამბობს, უნდა იცხოვრო სხვისთვის, თუ გინდა იცხოვრო საკუთარი თავისთვის.

ასეთია სენეკას ფილოსოფია, მისი მოძღვრება ცხოვრებასა და სიკვდილზე. იგი მარტოსულია. იგი არა მარტო ცხოვრებასთან გამკლავებას, არამედ საკუთარ თავთან მეგობრობასაც გვასწავლის და,

მაშინ, აღარასდროს იქნები მარტო, და ყველას მეგობარიც იქნები. საკუთარი თავის მეგობრობაში, ბუნებრივია, სენეკა არა ეგოიზმს, არამედ გონივრულ შინაგან სამყაროსა და ადამიანის შიგნით ჰარმონიას - ვნებებზე გონიერების ბატონობას- გულისხმობს. ხოლო ასეთ ჰარმონიულ ადამიანს, თავისი თავის მეგობარს, სენეკას აზრით, ნამდვილად შეუძლია იყოს სხვისი მეგობარიც. ყოველივე ზემოთქმული კი, ამავდროულად, ნიშნავს ყველაზე ღირებულის, დროის გაფრთხილებას.

ქრისტიანული რელიგია, რომელიც მაშინ ყალიბდებოდა, თანაგრძნობით ეკიდებოდა სენეკას. ტერტულიანუსი მასთან ბევრ ქრისტიანულ აზრს პოულობს. იგი ამტკიცებდა, რომ ზოგჯერ სენეკა ქრისტიანად მიაჩნდა. ლაქტანციუსიც ამჩნევდა ზოგ მსგავსებას სენეკასა და ქრისტიანობის მსოფლმხედველობას შორის. მისი აზრით, უფრო გულწრფელად ღმერთზე ვერცერთი ქრისტიანი ვერ ილაპარაკებდა, მიუხედავად იმისა, რომ მან არ იცოდა ჭეშმარიტი რწმენის არსი. იერონიმმა სენეკა ქრისტიან მწერალთა შორისაც კი მოიხსენია. მას ამისკენ უბიძგა დრამატურგისა და ფილოსოფოსის მიმოწერამ მოციქულ პავლესთან. შუა საუკუნეებშიც მის ციტირებას ხშირად ახდენდნენ საეკლესიო შეკრებებზე.

აღორძინების ეპოქის დროს სენეკა სარგებლობდა დიდი სიყვარულით. მას ხშირად აქებენ ჰუმანისტები მისი მორალური სწავლებების სისუფთავისა და ადამიანის მისეული იდეალისათვის. ამასთან ერთად, ჰუმანისტები ახდენდნენ მის იდეალიზირებას, რასაც, იგი, როგორც ადამიანი, თვლიან, რომ არ იმსახურებდა. სენეკა თავადაც აღნიშნავდა, რომ ხედავს უკეთესს, მაგრამ მისდევს უარესს. ამით ფილოსოფოსი თავის სისუსტეს თავადვე აღიარებდა.

მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი
მჭევრმეტყველების სწავლება
ლათინურიდან თარგმნა ნინო ჩიხლაძემ

თავი პირველი.

1. მამამ, რომელსაც ვაჟიშვილი შეეძინა, მაშინვე უნდა დაიწყოს მასზე ზრუნვა და იმედების დამყარება. დღის წესრიგში თავიდანვე უნდა დადგეს მისი აღზრდის საკითხი. არასწორია, თუ ვფიქრობთ, რომ ბუნება მხოლოდ ცოტას აძლევს სწავლისადმი ინტერესს, და თითქოს, უმეტესწილად, ფუჭი დროის ნაყვაა სულელი თავებისთვის ზრუნვა. პირიქით, საკმაოდ არიან ისეთები, რომელთაც ჩაფიქრებაც უყვართ და სწავლისთვისაც მზად არიან. სწავლის ამგვარი წყურვილი დამახასიათებელია ადამიანისთვის: როგორც ჩიტები იბადებიან ფრენისთვის, ცხენები - სირბილისთვის, ველური მხეცები - სისასტიკის და სიძლიერის ჩვენებისთვის, ასევე, ჩვენ გვერგო სწავლის უნარი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი გონება ზეციური წარმოშობისაა.

2. სულელი და უსწავლელი ადამიანები იმაზე მეტნი არ იბადებიან ბუნებამი, ვიდრე ისინი, რომელნიც გამოირჩევიან თავიანთი უზნეობით და სიცუდით. ასეთებიც, რა თქმა უნდა, არიან, მაგრამ გაცილებით ცოტანი. ეს იქნება იმის მტკიცებულება, რომ, ბიჭებს შორის ბევრია სწავლას მოწყურებული, მაგრამ თუ ეს სურვილი წლების განმავლობაში თანდათან ნელდება, ამაში ბუნება კი არ არის დამნაშავე, არამედ, აღზრდის ნაკლებობა.

3. თქვენ მეტყვით, რომ ერთი ადამიანი აღემატება თავისი შესაძლებლობებით მეორეს. ასე თუ ისე, გეთანხმებით, მაგრამ ვერავის იპოვით ისეთს, რომ მონდომების და სწავლის შემთხვევაში, ვერაფერს მიაღწიოს. ყველა მშობელი, რომელიც ამ ჰეშმარიტებაში დარწმუნდება, აღივსება იმედით ბავშვთან დაკავშირებით მისი დაბადე-

ბისთანავე, ძალ-ღონეს არ დაიშურებს და მცდელობას არ დააკლებს მომავალი ორატორის აღსაზრდელად.

4. უპირველესად, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ბავშვების ძიძები არ იყვნენ გრამატიკის უცოდინრები. ქრისიპოსი გვირჩევს, აღმზრდელებად შევარჩიოთ გარკვეული ცოდნის მქონე ქალბატონები. იგი ამბობს, რომ თავად ეცდებოდა, შესაძლებლობის ფარგლებში, რაც შეიძლება უკეთესი ძიძა ამოერჩია. ამ მიზნისათვის უნდა ავიყვანოთ ყველაზე უფრო ჭკვიანები და კეთილსინდისიერები. ყველაზე მეტად მათში უნდა დავაფასოთ ზნეობა და მორალი, მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა, რომ ისინი სწორად და გამართულად საუბრობდნენ.

5. ძიძა ის ადამიანია, ვისაც ჩვილი ყველაზე პირველად უსმენს. სწორედ მისი სიტყვების მიბაძვას ცდილობს იგი. ბუნებრივია, შემდგომშიც ის გვამახსოვრდება, რაც პატარაობისას ვისწავლეთ. სუნი, რომლითაც ახალი ჭურჭელი ივსება, დიდხანს იგრძნობა; საღებავი, რითიც უბრალო სითეთრე იფარება, არასდროს იშლება; ხოლო, ცუდი ჩვევები კიდევ უფრო ადვილად იკიდებენ ჩვენში ფეხს. კარგი ჩვევები ზოგჯერ ცუდში გადაიზრდება, მაგრამ შეიძლება ცუდი - კარგში გადაიზარდოს? ყურადღება მივაქციოთ, რომ ბავშვმა ადრეულ ასაკშივე არ ისწავლოს ისეთი საუბარი, რომელსაც შემდგომ უნდა გადაეჩვიოს.

6. რაც შეხება მშობლებს, ისინი უნდა იყვნენ განათლებულები. მე მხოლოდ მამებზე არ ვსაუბრობ, რადგან ცნობილია, რომ გრაკხუსების მჭევრმეტყველებას დედამაც დიდად შეუწყო ხელი. ამ ქალბატონის დიდებული მეტყველება ჩანს ჩვენამდე მოღწეულ მის წერილებში. ამბობენ ასევე, რომ ლელიუსის ქალიშვილი თავისი მჭევრმეტყველებით მამას უთანაბრდებოდა. კვინტუს ჰორტენსიუსის ქალიშვილის სიტყვა კი, რომელიც მან წარმოთქვა ტრიუმვირატის წინაშე, ჩვენს სქესსაც შეშურდებოდა.

7. აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ ის მშობლები, რომელთაც თავად არ ჰქონდათ სწავლის საშუალება, ნაკლებად არიან ვალდე-

ბული, საკუთარი შვილების განათლებაზე იზრუნონ. პირიქით, სწორედ ამ მიზეზის გამო უნდა მიაქციონ მათ ყურადღება ბავშვის აღზრდისას ყველა წვრილმანს.

8. იმ ბიჭებზეც, რომელთა შორისაც გაიზრდება მომავალი ორატორი, იგივე უნდა ითქვას, რაც ძიძებთან დაკავშირებით აღვნიშნე. ყველაზე მეტად ვისურვებდი, რომ მასწავლებლები იყვნენ ჭეშმარიტად განსწავლულნი და ტყუილად არ წარმოიდგინონ საკუთარ თავზე, რომ თითქოს ისინი არიან განსწავლულნი. არაფერია იმ ადამიანზე უარესი, რომელიც, მას შემდეგ, რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტუჩები პირველდაწყებითი განათლებით შეიღება, თავს დიდ მცოდნედ ამჟღავნებს. იგი განსწავლულებსაც ტოლს არ უდებს, ამაყობს იმ ძალაუფლებით, რომელსაც ამ ტიპის ადამიანები, ჩვეულებრივ, ვითომ კანონიერად, საკუთარ თავს ანიჭებენ და მბრძანებლური სიუხეშით გადასცემენ თავიანთ სისულელეებს ბავშვებს.

9. მათი უცოდინრობა არანაკლებ ვნებს მოსწავლეების ზნეობას. დიოგენეს ბაბილონიელი გვარწმუნებს, რომ ლეონიდესმა, ალექსანდრე მაკედონელის მრჩეველმა, მასში ბავშვობიდანვე ჩანერგა რამდენიმე ნაკლი, რომლებიც მოწიფულობაშიც არ ტოვებდნენ ამ დიად მეფეს.

10. ვინც ჩათვლის, რომ მე ბევრს ვითხოვ, გაიხსენოს - საქმე ეხება აღზრდას ორატორისა, რომელიც უნდა იყოს განათლებული: თუნდაც დასაწყისში მიღებული იქნას ყველა საჭირო ზომა, მაინც რჩება კიდევ უფრო დიდი და გაცილებით მნიშვნელოვანი საზრუნავი. მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება განუწყვეტელი ვარჯიში, საუკეთესო მასწავლებლები და სხვადასხვაგვარი შემეცნებითი სავარჯიშოები.

11. ამიტომაც მინდა მივცეთ პატარებს საუკეთესო დარიგებები. ვინც ამ რჩევების შესრულებას არ ისურვებს სირთულის საბაბით, უნდა დააბრალოს საკუთარ თავს და არა წესებს. თუ შეუძლებელია ბავშვების გვერდით იყვნენ ისეთი აღმზრდელები, რომლებზეც მე ვსაუბრობ, უკიდურეს შემთხვევაში, ვეცადოთ, მოვძებნოთ თუნდაც

ერთი ისეთი ყურადღებიანი *pedagogus,*[1] რომელიც განუწყვეტლივ იქნებოდა რა ბავშვთან, დაუყონებლივ გაასწორებდა პატარას თანდასწრებით სხვების მიერ დაშვებულ შეცდომებს და არაფრით მისცემდა საშუალებას ბავშვს, რომ მათთვის მიებაძა. ზემოთ ვისაუბრე იმაზე, როგორ მივაღწიოთ დასახულ მიზანს, აქ კი ვაჩვენებ, როგორ გამოვასწოროთ შეცდომები.

12. გირჩევთ, ბავშვს ვასწავლოთ უპირველესად ბერძნული ენა, რადგან ლათინური, როგორც ჩვენს შორის გამოყენებული ენა, თავისთავად, ჩვენი სურვილის წინააღმდეგაც გადაეცემა მას. ამიტომ, უნდა დავიწყოთ ბერძნულით, რომლისგანაც ჩვენი ენა განვითარდა.

13. არ უნდა ვაიძულოთ ბავშვს, დიდხანს იკითხოს, ან ილაპარაკოს მხოლოდ ბერძნულად, როგორც ამას ბევრი აკეთებს. აქედან მომდინარეობს მშობლიურ ენაზე საუბრისას წარმოთქმის ნაკლი, რადგან უცხო ენის, მისი იდიომების მუდმივი გამოყენებით მას ვეჩვევით, ხოლო ასეთი ჩვევის გადაგდება შემდგომში ადვილი არ არის.

14. ბერძნულის შემდეგ ლათინურიც უნდა ვასწავლოთ, და ამ ორმა ენამ უნდა ასე ერთად „იარონ," რათა რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭებით მეორე არ დაზარალდეს.

15. ზოგი ფიქრობს, რომ ბავშვის განათლება მხოლოდ 7 წლის ასაკიდან უნდა დაიწყოს, რადგან მანამდე სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობები მას სწავლით დაკავების საშუალებას არ აძლევს. ასეთი იყო ჰესიოდეს აზრი, როგორც ის მწერლები ამტკიცებენ, რომლებიც ცხოვრობდნენ გრამატიკოს არისტოფანესამდე. მან კი პირველმა დაამტკიცა, რომ ის ქმნილება, რომელშიც ზემოხსენებული წესია დაფიქსირებული, სულაც არ ეკუთვნის ჰესიოდეს.

16. მართალია, სხვებიც თვლიდნენ ასე, მაგალითად, ერატოსთენესი, მაგრამ უფრო საფუძვლიანად ისინი ფიქრობენ, რომლებიც ქრისიპოსთან ერთად მიიჩნევენ, რომ ერთი წუთიც კი ადამიანის ცხოვრებაში არ უნდა იყოს უყურადღებოდ. ფილოსოფოსი ეთანხმება, რომ ჩვილი სამი წელი ძიძის ხელში უნდა იყოს, მაგრამ ამასთანა-

ვე ამტკიცებს, რომ ძიძასაც შეუძლია ჩვილს მხოლოდ ყველაფერი კარგი ასწავლოს.

17. მაშინ რატომ არ შეიძლება ვასწავლოთ სიტყვიერება ამ ასაკში, თუ ვასწავლით კეთილზნეობას? ვიცი, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომელზეც აქ არის საუბარი, იმდენს ვერაფერს ისწავლიან, რასაც შემდგომ პერიოდში, მაგრამ ჩემს მოწინააღმდეგეებს, მგონი, მოსწავლეებზე უფრო მათი მასწავლებლების შრომის დაზოგვა სურთ.

18. რაც უფრო მეტად აიძულებთ ბავშვს, მით უფრო ადრე დაიწყებს ლაპარაკს? ხოლო ვარჯიში, ნებისმიერი ფორმით, საჭიროა. რატომ ველოდოთ შედეგს, როგორიც არ უნდა იყოს იგი, 7 წლამდე? მართალია, ადრეულ ასაკში ცოტას ისწავლიან, მაგრამ რაღაცას გაცილებით უკეთ ისწავლიან სწორედ ამ ასაკში, ვიდრე მომდევნოში.

19. ასე თუ გავაგრძელებთ, წლიდან წლამდე შეიძენს პატარა ცოდნას და მიაღწევს საჭირო წარმატებას. რამდენ დროსაც მოიგებს ბავშვობაში, იმდენივეს დაზოგავს მოწიფულობისას. იგივე ეხება მომდევნო წლებსაც. რაც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, არის ის, რომ არ არის საჭირო გვიან დავიწყოთ სწავლა; არ დავკარგოთ დრო ტყუილუბრალოდ, მით უმეტეს, რომ ყველანაირი სწავლის დასაწყებად საჭიროა მხოლოდ მეხსიერება, რომლითაც ბავშვები ამ ასაკში ყველაზე მეტად არიან დაჯილდოებულნი.

20. თუმცა, მეც ვაღიარებ ასაკობრივ განსხვავებებს. არ არის საჭირო, ბავშვი ვაიძულოთ ისწავლოს. გირჩევთ, ყველაზე მეტად მოვერიდოთ იმას, რომ ბავშვმა არ შეიძულოს სწავლა, რომლის შესაყვარებლად დრო ჯერ კიდევ აქვს. თუ ერთხელ სიმწარეს ნახავს, მოწიფულობის ასაკშიც არ შეეშინდეს მისი. სწავლა მისთვის გართობა უნდა იყოს. უნდა გავამხნევოთ სწავლის პროცესში თხოვნით, შექებით; მივიყვანოთ იქამდე, რომ უხაროდეს, როცა რაიმეს ისწავლის; დაინტერესებული იყოს, როდის ისწავლის სხვა რამესაც. თუ თავად შეეზარება, ვაჩვენოთ მისი მეტოქე, რომ გაუთანაბრდეს ცოდნით თანატოლებს და ხშირად იგრძნოს თავი გამარჯვებულად. ამისთვის

არც ჯილდო უნდა დავიმსახუროთ, რაც ამ ასაკისთვის საკმაოდ მაღალუნებელია.

21. ჩემი დარიგებები მომავალი ორატორის აღზრდისათვის წვრილმანად მოგეჩვენებათ, მაგრამ მეცნიერებასაც აქვს თავის ჩვილობის ხანა. როგორც ყველაზე მაგარი სხეულები იღებენ პირველ ბალას რძისა და იავნანასაგან, ასევე დიდი მჭევრმეტყველი იწყებს ბავშვური ბურტყუნით, ნაკლებად გასაგები ტექსტებით, ანბანის სუსტად წარმოთქმული ბგერებით. თუ რაიმეს შესწავლა სრულყოფილად არ შეიძლება, საერთოდ არ უნდა ვისწავლოთ?

22. თუ არავინ კიცხავს მამას, რომელიც თავის ვაჟიშვილში უყურადღებოდ სულ უმნიშვნელო წვრილმანსაც არ ტოვებს, რატომ უნდა გავკიცხოთ ადამიანი, რომელსაც ყველა ადამიანამდე მიაქვს ინფორმაცია, რასაც იგი საკუთარ სახლში გააკეთებდა სასარგებლოს და შესაქებს? რაც უფრო მარტივია საგანი, მით უფრო ადვილია იგი ბავშვისათვის აღსაქმელად. როგორც ჩვენი სხეული მხოლოდ მაშინ ეუფლება გარკვეულ მოძრაობებს, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ნაზია, ასევე ჭკუაც ბევრ რამეს ვეღარ შეძლებს, თუ პატარა ასაკიდან დავტოვებთ მას უყურადღებოდ.

23. ფილიპოსმა, მაკედონიის მეფემ, თავისი შვილის, ალექსანდრეს პირველდაწყებითი განათლება დაავალა არისტოტელეს, იმ დროის საუკეთესო ფილოსოფოსს. მოიწდომებდა იგი მოერგო ეს როლი, თუ ორივენი არ იქნებოდნენ დარწმუნებულნი, რომ პირველი მეცნიერების საფუძველს, ოსტატის მიერ ჩაყრილს, მივყავართ ჭეშმარიტი სრულქმნილებისაკენ?

24. წარმოვიდგინოთ, მანდეს ბავშვი ალექსანდრე, საყვარელი, ყველაფერი კარგის ღირსი (და ვინმე სხვაგვარად ფიქრობს?); ვთქვათ, იგი გადმომეცა ძიძების ხელიდან, შემრცხვებოდა მისთვის მესწავლებინა ყველაზე მარტივი წესები, რაც უმოკლეს დროში შეიძლებოდა მომესწრო? არ შემიძლია მივიღო ჩვევა - ვაიძულოთ ბავშვები, დაიზუთხონ ასოების სახელწოდებები და რიგი ანბანში, თუ მანამდე არ ვაჩვენებთ მათ ამ ასოების მოხაზულობას.

25. ეს ხელს უშლის წარმატებას, რადგან იციან რა ასოები ზეპირად, უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მათ გამოსახულებას, ვიდრე იმას, რაც უკვე მახსოვრობაში აქვთ; ამის გამო ბავშვებს ყოველთვის არ უნდა აჩვენონ ასოები ჩვეულებრივი ანბანური წყობით, არამედ ზოგჯერ - უკურიგით, სანამ მოსწავლეები არ განასხვავებენ მათ მოხაზულობით და არა რიგითი თანმიმდევრობით, ისე როგორც ადამიანებს განასხვავებენ ხოლმე სახეებით და სახელებით.

26. მაგრამ თხრობისა და წყობის შესახებ განსჯისას სხვაგვარადაა საქმე. საპირისპირო უნდა ვეძებოთ. მე არ ვსაუბრობ ცნობილ საშუალებაზე - მოვანდომოთ ბავშვებს სწავლა, ანუ სათამაშოების ნაცვლად მივცეთ მათ სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ასოები, ან რაიმე ამდაგვარი, რითაც პატარა სიამოვნებით დაკავდებოდა.

27. ხოლო როცა წერას დაიწყებენ, არ იქნებოდა ცუდი, მათთვის მიგვეცა პატარა დაფები, რომლებზეც ამოკვეთილი იქნებოდა ასოები და შესაძლებელი იქნებოდა საწერი საშუალებებით მათზე მოძრაობა, ასოების მოხაზულობის შემოვლება; სტილუსი[2] არ იხტუნებდა, როგორც ეს ცვილზე ხდება ხოლმე, რადგან ორივე მხრიდან დამაგრებული იქნებოდა; ბავშვი, რომელიც მიბაძავდა ნიმუშს, ისწავლიდა უფრო ლამაზად და სუფთად წერას: აქ აღარც იქნებოდა საჭირო დახმარება მასწავლებლისა, რომელიც ხელით შემოახაზინებდა ასოთა კონტურებს ბავშვს.

28. სწრაფად და სუფთად წერა ჭეშმარიტად დიდი მნიშვნელობის საქმეა, თუმცა, ამას ადამიანები, ხშირად, საკმაოდ ღირსეულნიც, არად დაგიდევენ. სასწავლო სამუშაოთა შორის წერა ერთ-ერთი განსაკუთრებული სავარჯიშოა, რომლისგანაც მიიღება ჭეშმარიტი და მდგრადი წარმატება; ამიტომ ამ საქმეში სინელე ძალიან ვნებს ტვინის სიცოცხლისუნარიანობას, ხოლო ცუდი ხელწერა ჩრდილავს აზრს. დამატებითი შრომა ხდება საჭირო, ანუ ხელახლა უნდა გადაიწეროს ის, რისი ამოკითხვაც შეუძლებელია ცუდი ხელწერის გამო.

29. ამიტომაც ყველგან და ყოველთვის უნდა ვწეროთ ლამაზად, თუნდაც პრივატული, განსაკუთრებით კი, სასიყვარულო წერილე-

ბი.

30. რაც შეხება მარცვლებს, ისინი ყველა უკლებლივ უნდა ვისწავლოთ და არ გადავდოთ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ურთულესები იმ მიზეზით, რომ ისინი თავისთავად აირევა წერის დროს.

31. ასევე, არ შეიძლება ზედმეტად დავეყრდნოთ ბავშვების მახსოვრობას: მათ განმეორება უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს. კითხვისას არ ავაჩქაროთ ისინი, სრულად ვერ გაითვალისწინებ, რის საშუალებასაც იძლევა ასოების ზუსტი შეერთება. მაშინ, დაე, მათ წარმოთქვან ისე, რომ არცერთი მარცვალი არ გამოტოვონ, შემდეგ კი მთელ სიტყვასაც იტყვიან.

32. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ანელებს ბავშვის კითხვაში წარმატებას სიჩქარე. აქედან არის ხშირი გადაღლილობა, შეჩერება, განმეორებები თუ ბავშვი მოინდომებს უკეთესად წარმოსთქვას, ვიდრე შეუძლია; ხოლო თუ შეეშლება, დაეუფლება შიში იმის წარმოთქმის დროსაც კი, რაც კარგად იცის.

33. ნება დართეთ, იკითხოს, მაგრამ თავდაპირველად, დარწმუნებით, შემდეგ -გააგრძელოს კარგა ხანს ნელ-ნელა კითხვა, სანამ ვარჯიშით არ მიაღწევს საჭირო სიჩქარეს.

34. მარჯვნივ და წინ ყურება, როგორც ამას ასწავლიან, დამოკიდებულია არა წესებზე, არამედ ჩვევაზე. სანამ ბავშვი ეძებს, რა მოდის შემდგომ, მან ხმით უნდა წარმოთქვას, რა იყო მანამდე და რაც ყველაზე უფრო რთულია, მისი ფიქრი უნდა გაიყოს ისე, რომ ერთი დავალება შესრულდეს ხმით, ხოლო მეორე - თვალებით. არც ის იქნება ცუდი, ყურადღებას თუ მივაქცევთ, რომ სიტყვების გადასაწერად ზედმეტად მარტივი და შემთხვევითი მასალა არ შევურჩიოთ პატარას.

35. რადგან, შესაძლოა, იგი წერისას სიამოვნებით გაეცნოს შედარებით ბუნდოვანი ადგილების განმარტებებს, რომელთაც ბერძნები Glossa-ს ეძახიან და ამასთან ერთად, სწავლის დასაწყისშივე შეიძინოს ის ცოდნა, რომელიც შემდგომ განსაკუთრებულ დროს მო-

ითხოვს. ვჩერდები რა ასეთ წვრილმანებზე, იმასაც დავუმატებ, რომ გადასაწერად არ მივცეთ არაფრის მთქმელი წინადადებები, შევურჩიოთ ისეთი, რომელიც აღსაზრდელს რაიმე კეთილს ასწავლის.

36. ასეთი შენიშვნები ღრმა სიბერემდე ამახსოვრდებათ და ისინი ზნე-ჩვეულებაზეც მოქმედებენ. ასევე სასარგებლოა, თამაშის დროს ვაიძულოთ პატარა, ზეპირად ისწავლოს ცნობილი ადამიანების გამონათქვამები და სწორად შერჩეული ადგილები, განსაკუთრებით, ლექსებიდან, რომელთა შესწავლა ბავშვებს ძალიან ხიბლავთ. მახსოვრობა ყველაზე მეტად სჭირდება ორატორს (ამას თავის ადგილზე ვაჩვენებ). მახსოვრობა კი არაფრით ისე არ მყარდება და ვითარდება, როგორც ვარჯიშით. ხოლო იმ ასაკში, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, მახსოვრობა ერთადერთი უნარია, რომელიც შეიძლება განვითარდეს სწორედ მასწავლებლების დახმარებით.

37. ამ ასაკის ბავშვებს რომ მეტყველება გაუხდეთ უფრო გამომსახველობითი, არ იქნება ზედმეტი, ვაიძულოთ რაც შეიძლება სწრაფად იმ სიტყვების და სტრიქონების წარმოთქმა, რომლებიც განგებ არის შედგენილი უხეში, ძნელად წარმოსათქმელი მარცვლებისაგან, განსხვავებით - კეთილხმოვნებისგან. ბერძნები ამას ეძახიან *χαλεπόι* -ს. შეიძლება, ეს რჩევა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი იგნორირების შემთხვევაში, ბევრი დეფექტი, თუ ახალგაზრდობაშივე არ აღმოიფხვრება, სამუდამოდ დარჩება ადამიანის წარმოთქმაში.

თავი მეორე.

1. წარმოვიდგინოთ, რომ ნელ-ნელ ბავშვი გაიზარდა, გამოვიდა ძიძის ზედამხედველობიდან და დადგა ნამდვილი განათლების მიღების დრო. აქ ძალიან კარგად უნდა შევისწავლოთ საკითხი - რომელი უფრო სასარგებლოა, მომავალი ორატორი სახლში, ოჯახურ გარემოში აღიზარდოს, თუ მრავალრიცხოვან სას-

წავლებლებში გავგზავნოთ და მისი აღზრდაც სახალხო მასწავლებლებს მივანდოთ.

2. ვიცი, რომ განვითარებული სახელმწიფოს მესვეურები და ცნობილი მწერლები ამ უკანასკნელს უჭერენ მხარს. თუმცა, ვერც იმაზე დავხუჭავ თვალს, რომ ზოგიერთი ამ საყოველთაოდ აღიარებულ ტრადიციას არ ემხრობა. მათ ორი არგუმენტი მოჰყავთ: პირველი, რომ ერთიდაიმავე ასაკის მქონე, ნაკლისკენ მიდრეკილი მეგობრების ერთად თავშეყრისას ძნელი იქნება ბავშვის დაცვა უზნეო ჩვევებისაგან და მეორე, რომ მასწავლებლისთვის, ვინც არ უნდა იყოს იგი, უფრო მოსახერხებელია, თავისი ენერგია და ყურადღება, უპირატესად, ერთი მოსწავლისაკენ მიმართოს და არა - ყველასკენ.

3. პირველი მიზეზი საკმაოდ მნიშვნელოვანია: ნამდვილად რომ აღიარებულიც იყოს, - სკოლაში, თუმცა კარგი განათლება მიიღება, მაგრამ ზნე-ჩვეულება ფუჭდება, - მე პირადად, თუნდაც ყველაზე მაღალ სტანდარტებს განათლების მიღებისას, მაინც ზნეობის შენარჩუნებას ვამჯობინებდი. ჩემი აზრით, ერთი მეორესთან მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული: არ შეიძლება იყო ორატორი, თუ არა ხარ პატიოსანი ადამიანი; შესაძლებელიც რომ იყოს, მაშინაც კი არ მინდა ვიხილო ასეთი ადამიანი ამ საქმეში. თავდაპირველად სწორედ ამაზე ვილაპარაკებ.

4. თვლიან, რომ ზნეობა სკოლებში ფუჭდება; ზოგჯერ მართლაც ასე ხდება, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მშობლიურ სახლშიც. ბევრი მაგალითი მოწმობს ერთსაც და მეორესაც. დაბადებიდან თანდაყოლილი მიდრეკილებები და მათი შემდგომი განვითარება ორი სხვადასხვა რამეა. ბავშვი თუ მიდრეკილია ცუდისკენ და მისი გამოსწორებისთვის პატარაობიდანვე არ ვიზრუნებთ, საკმაოდ ბევრ უზნეობას ისწავლის სკოლის მეგობრების გარეშეც; ისევე ისწავლის ცუდ რამეებს უზნეო მასწავლებლისა და მსახურებისგან, როგორც - გაუფრთხილებელი და ნაკ-

ლებად მორიდებული თანაკლასელებისგან.

5. ხოლო თუ ბავშვს კეთილი გული აქვს, თუ მშობლებს არ ახასიათებთ მისადმი ბრმა სიყვარული, შეიძლება ვიპოვოთ კეთილი ზნეობის მქონე მასწავლებელი და მივაჩვიოთ პატარა წესრიგს. ამასთან ერთად, მივუჩინოთ მას ჭკვიანი და გულისხმიერი ზედამხედველი, ან ერთგული თავისუფალი მონა, რომელთა მუდმივი ყოფნა დაიცავდა ბავშვს იმათთან კონტაქტის დროსაც კი, ვისთანაც ურთიერთობა საეჭვოდ გვეჩვენება.

6. როგორც ვნახეთ, ადვილია ამ საფრთხის თავიდან აცილება. მაგრამ ჩვენ თავად არ გავაფუჭოთ ჩვენი შვილების ზნეობა! ზოგჯერ ჩვენ თავადვე ვასუსტებთ მას სხვადასხვა ფუფუნებით. ისეთი ნაზი აღზრდა, რომელსაც ჩვენ ზედმეტ სიყვარულს ვეძახით, ასუსტებს ბავშვის სულსაც და სხეულსაც. რას არ მოისურვებს ზრდასრული ადამიანი, რომელიც ჩვილობიდან მიეჩვია ფუფუნებას? ბავშვმა ჯერ ძლივს წარმოთქვა პირველი სიტყვა, ერთმანეთისგან უკვე არჩევს გემრიელ ტკბილეულობას და მათ ითხოვს.

7. ჩვენ, უპირველესად, ვზრუნავთ იმაზე, რომ სხვადასხვა ტკბილეულობას გემო გაუსინჯოს და არა იმაზე, რომ კარგად ილაპარაკოს. ჩვენი ბავშვები იზრდებიან აკვნებში. მიწას მხოლოდ მოსამსახურის ხელებში მყარად მოქცეულნი ეხებიან. მათი თავისუფალი საუბარი გვართობს. სიტყვებს, ყველაზე ზნედაცემულ სახლებშიც რომ ვერ გაიგონებთ, მათგან სიცილით და კოცნით ვიღებთ. რა გვიკვირს? ჩვენ თვითონვე ვასწავლეთ. ისინი მხოლოდ იმეორებენ ჩვენგანვე ნასწავლს.

8. ყოველგვარ ლხინს თან ახლავს არაკეთილხმოვანი სიმღერები; რაზე საუბარიც კი სირცხვილია, რეალურად, მათ თვალწინ გამოგვაქვს. აქედან მოდის ჩვევა, რომელიც შემდგომ ბუნებაში იჩენს თავს. საბრალო ბავშვები ყველაფერ ამას ისე გადმოიღებენ, ჯერ კიდევ არ ესმით, რომ ეს ცუდია. ასე რომ, სიმდიდრით და ფუფუნებით გაფუჭებულებს ასეთი ბოროტება

სკოლებიდან კი არ მოაქვთ, არამედ სკოლებში მიაქვთ.

9. ამბობენ, რომ თუ მასწავლებელს მხოლოდ ერთი მოსწავლე ჰყავს, მეტ ყურადღებას მიაქცევს მას. ჯერ ერთი, არავინ გვიშლის, მოვიძიოთ განსაკუთრებული მასწავლებელი სკოლის აღსაზრდელებისთვის. ამის გაკეთებაც რომ შეუძლებელი იყოს, მაინც ყველაფერს გადაწონის სკოლების სადღესასწაულო, კეთილმოწყობილი შეკრებები, რომლებსაც აღმზრდელები ამჯობინებენ კერძო სახლების განმარტოებულობას და არა ცნობადობას, რადგან ნებისმიერ მასწავლებელს სურს, ჰყავდეს რაც შეიძლება მეტი მსმენელი და ჰქონდეს სახალხო აღიარება.

10. ხოლო საშუალო მონაცემების ადამიანი არად დაგიდევთ ადგილსამყოფელს, უარს არ ამბობს, იმუშაოს კერძო სახლებში და ზედამხედველობასაც არ თაკილობს.

11. მაგრამ დავუშვათ, ვინმემ ნაცნობობით, ან მეგობრობით, ან შესაძლებლობით იპოვა ყველაზე საუკეთესო და განსწავლული მასწავლებელი: შეუძლია მას მთელი დღის განმავლობაში დაკავდეს ერთი მოსწავლით? არ დაიღლება მოსწავლე მისი დაჭინებული მზერით? ამასთან ერთად, მეცადინეობას ზოგჯერ ჭირდება დრო განმარტოებისთვის.

12. გაკვეთილების მომზადებისას, წერის თუ ფიქრის დროს არ არის საჭირო მასწავლებლის ყოფნა. ასეთ დროს მასწავლებელიც და ნებისმიერი სხვაც მხოლოდ ხელს შეუშლის ბავშვს. არც ყველანაირი კითხვის პროცესი საჭიროებს ყოველთვის დამრიგებელს. კითხვის გარეშე კი როგორღა მივიღოთ ცნობები მწერლებზე?

13. მთელი დღის სამეცადინოს მისაცემად არ არის საჭირო ბევრი დრო, ამიტომ გადასაცემი მასალა შეიძლება ერთდროულად მიაწოდო რამდენიმეს, რა რაოდენობის მოსწავლეც არ უნდა გყავდეს. არის ისეთი საგნები, რომლებიც ერთჯერადად უნდა შევთავაზოთ. მე არ ვგულისხმობ თხზულების და რიტორთა დეკლამაციების წერით დავალებებს. იგი, როგორც ცნობილია,

ერთნაირი თანმიმდევრობით იქმნება ერთნაირი რაოდენობის ბავშვებისათვის.

14. მასწავლებლის ხმა არ სუსტდება მოსწავლეთა რაოდენობით. სამაგიეროდ, იგი თითოეულ მათგანზე მზესავით მოქმედებს, თანაბარი სინათლით და სითბოთი. როდესაც გრამატიკოსი ენის შესახებ მსჯელობს, ბავშვებს უხსნის პოეტების და ისტორიკოსების შემოქმედებას და ყველაფერ ამას ასწავლის ყველას ერთდროულად, როგორიც არ უნდა იყოს მსმენელთა რაოდენობა.

15. ბოლოს, შემომეპასუხებიან, რომ მოსწავლეთა დიდი რაოდენობის შემთხვევაში არ იქნება საკმარისი დრო ყველას დავალების შესამოწმებლად და გასასწორებლად. მე არც უარვყოფ ამ უხერხულობას. რაში არ გვხვდება იგი? შევადაროთ მას ამ პროცესიდან მიღებული სარგებელი. მეც არ გირჩევთ, ბავშვი ისეთ სასწავლებელში გაგზავნოთ, სადაც სათანადოდ არ მიაქცევენ ყურადღებას. კეთილგონიერი მასწავლებელი არც დაიტვირთავს თავს მოსწავლეთა ზედმეტად დიდი რაოდენობით. ყველაზე კარგია, შევეცადოთ, მასწავლებელი ჩვენი მეგობარი გახდეს, რომ გაკვეთილზე არა მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით მუშაობდეს, არამედ ჩვენს მიმართ განსაკუთრებული გულშემატკივრობა ამოძრავებდეს. მაშინ ჩვენი ბავშვიც არასდროს იგრძნობს თავს დავიწყებულად ბავშვთა იმ სიმრავლეში.

16. ასევე, ყველა, ასე თუ ისე განათლებული აღმზრდელი, როცა მოსწავლეში განსაკუთრებული ნიჭსა და უნარს დაინახავს, მას ყურადღებას საკუთარი ღირსებისა და პატივის გამოც მიაქცევს. ფიქრობენ, ზოგჯერ ის სასწავლებელი, სადაც მრავალი მოსწავლეა, ცუდ ზეგავლენასაც ახდენს ბავშვზე (რაშიც მე არ ვეთანხმები, რადგან მოსწავლეთა რაოდენობა მასწავლებლის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მთელი სასწავლებელი უნდა განვიკითხოთ. სხვა საქმეა სკოლების საერთოდ აღმოფხვრა და სულ სხვა - მა-

თი სწორად შერჩევა.

17. მას შემდეგ, რაც ვთქვით საზოგადო სასწავლებლების მოწინააღმდეგეთა არგუმენტების შესახებ, ჩემს საკუთარ აზრსაც შემოგთავაზებთ.

18. უპირველესად, მომავალი ორატორი, რომლის პირადი ცხოვრება საჯაროა, პატარაობიდანვე უნდა მიეჩვიოს, რომ არ ეშინოდეს ხალხის სიმრავლის და გადალახოს ის მოკრძალებულობა, რომელიც მომდინარეობს განმარტოებული და ჩაკეტილი ცხოვრებისაგან. საჭიროა, რომ სული განუწყვეტლივ აღიგზნებოდეს და მაღლდებოდეს, განმარტოებით კი იგი ან სუსტდება და თითქოს, სიბნელეში რჩება, ან პირიქით, თვითკმაყოფილი და ქედმაღალი ხდება, რადგან ის, ვინც თავის თავს არავის ადარებს, ძალიან ბევრს ფიქრობს საკუთარ თავზე.

19. ხოლო შემდეგ, როცა საჭირო ხდება სხვა ადამიანების წინაშე გამოამჟღავნოს თავისი ცოდნა, იგი იბნევა. ყველაფერი ახალი რთულად ეჩვენება, რადგან განმარტოებაში ისწავლა ის, რაც ბევრის წინაშე უნდა აკეთოს.

20. აღარაფერს ვამბობ ბავშვების მეგობრობაზე, რომელიც სიბერემდე გრძელდება, როგორც წმინდა მოვალეობა. ისინი, უდავოდ, ასეთები უნდა იყვნენ, რადგან ერთად ეუფლებიან ცოდნას. ჩვეულებრივ წრეშიც როგორ იმოქმედონ, სად შეიძლება ისწავლონ იმ ადამიანებმა, რომლებიც იმ ერთობისგან განმარტოვდნენ, არა მხოლოდ ადამიანებისთვის, არამედ უტყვი ცხოველებისთვისაც რომ არის დამახასიათებელი?

21. ამას დაუმატეთ ისიც, რომ სახლში ბავშვი სწავლობს მხოლოდ იმას, რასაც მხოლოდ მას ასწავლიან, ხოლო სასწავლებელში იმასაც გაიგებს, რასაც სხვებს ასწავლიან; ყოველდღიურად მოისმენს, რატომ აქებენ ერთს და რატომ აძლევენ შენიშვნებს მეორეს; საყვედურებით აღვსილი ზარმაციც და ათასგზის ნაქები ბეჯითიც მას სარგებელს მოუტანენ.

22. ქებით გაღვივდება შეჯიბრი, ბავშვს შერცხვება, თავის

ტოლს ჩამორჩეს, პატივად ჩათვლის, უფროსს აჯობოს. ყველაფერი ეს აღანთებს სწავლისადმი ინტერესს. მართალია, პატივმოყვარეობა ნაკლია, მაგრამ იგი ხშირად არის კეთილშობილთათვის დამახასიათებელი.

23. მახსოვს, რამდენად სასარგებლო იყო ის ჩვევა, რომელსაც იცავდნენ მასწავლებლები. ისინი, ყოფდნენ რა მოსწავლეებს ჯგუფებად, სიტყვის წარმოთქმის რიგს ადგენდნენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების მიხედვით - უპირველესი ყველაზე წარჩინებული იყო. ამის გამო ყველა ცდილობდა, სხვებზე უკეთესი ყოფილიყო.

24. რიგის თავში ყოფნა ჩვენს შორის დიდ პატივად ითვლებოდა. თუმცა, ეს არ იყო ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული: თვის ბოლოს თითოეულს ხელახლა ეძლეოდა შეჯიბრის უფლება. ასე გამარჯვებულიც ცდილობდა ადგილის შენარჩუნებას და დამარცხებულსაც ეძლეოდა შანსი, სირცხვილი ჩამოერეცხა, რიგში უფრო მაღალი ადგილი დაეკავებინა.

25. როგორც მახსოვს, ეს სწავლისათვის უფრო დიდ სტიმულს გვაძლევდა, ვიდრე მასწავლებლების შეგონებანი, მეთვალყურეთა სიფრთხილე და მშობლების რჩევები ყველა ერთად აღებული.

26. მაგრამ, როგორც უფროსებში შეჯიბრი ზრდის წარმატებებს, ასევე დამწყებებში ჩნდება სურვილი, უფრო მიბაძონ თავიანთ ტოლებს, ვიდრე მასწავლებელს, რადგან პირველი მათთვის უფრო ადვილია. როგორ გაბედონ ბავშვებმა, იოცნებონ - მიაღწიონ მჯევრმეტყველებაში იმ ხარისხს, რომელიც მასწავლებელს აქვს? ამიტომაც, ვაზის მსგავსად, იმ ხეს ეხვევიან, რომელიც მათთან უფრო ახლოს დგას. თავდაპირველად ტოტებად იშლებიან, ხოლო შემდეგ - მწვერვალებს აღწევენ.

27. თავად მასწავლებელმაც, რომელიც ცდილობს, იყოს უფრო სასარგებლო, ვიდრე ჭკუა-გონებით იბრწყინოს, არ უნდა დაამძიმოს ჯერ კიდევ მოუმწიფებელთა და სუსტთა ნორჩი გო-

ნება მთელი თავისი ცოდნის გადმოფრქვევით, არამედ იგი უნდა შეუფარდოს მოსწავლეთა აღქმის უნარს.

28. როგორც ვიწროყელიან ჭურჭელში მთელ სითხეს ერთბაშად ვერ ჩაასხამ, არამედ ცოტ-ცოტათი უნდა შეავსო, ასევე უნდა ვიმსჯელოთ ბავშვების გონებაზე. რაც მათ გაგებას აღემატება, არ შევა მათ თავში, ამისათვის ჯერ კიდევ შეუფერებელში.

29. ამიტომ, სასარგებლოა გვყავდეს ისეთი ვინმე, რომელსაც ჯერ მივბაძავთ, ხოლო შემდეგ - ვაჯობებთ. ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, შესაძლებელი იქნება დიდი წარმატებების მიღწევა. ამას დავუმატებ კიდევ იმას, რომ თავად მასწავლებლის სიტყვასაც არ ექნება ის ძალა და სიცოცხლე ერთი მოსწავლის წინაშე, რაც - დიდი აუდიტორიის წინაშე.

30. შთაგონების ყველაზე დიდი წყარო სულია. საჭიროა, რომ სული გაიცდეს, წარმოიდგინოს საგანთა გამოსახვა და გადაიქცეს იმ საგანთა სახედ და თვისებად, რომელზეც ვსაუბრობთ. რაც უფრო ამაღლებული და კეთილშობილია სული, მით უფრო ძლიერ შთაგონების წყაროს თხოულობს იგი მამოძრავებლად და ყოველთვის დიდებულისკენ მიისწრაფვის.

31. ჩვენ ვგრძნობთ გარკვეულ საიდუმლო სიძულვილს - ერთი მსმენელის წინაშე წარმოვაჩინოთ ჩვენი მჭევრმეტყველება, რომელსაც დიდი შრომით მივაღწიეთ. სირცხვილიც კია ამ დროს ჩვეულებრივ საუბარს გადავუხვიოთ. მართლაც, წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც ერთი მოსწავლის წინაშე წარსდგება თავისი მჭევრმეტყველების მთელი დიდებულებით, ამაღლებული ხმით, ვნების შინაგანი და გარეგანი მოძრაობით, სულიერი და ფიზიკური ძალების სრული მობილიზებით: არ მოგვეჩვენება მისი ამგვარი საუბარი შმაგის გააფრთებად? რა თქმა უნდა, აღარ იქნებოდა საჭირო მჭევრმეტყველება, თუ ადამიანები მხოლოდ ერთმანეთის პირისპირ ისაუბრებდნენ.

თავი მესამე.

1. კეთილგონიერი მასწავლებელი უპირველესად უნდა დაინტერესდეს მისი აღსაზრდელის გონებრივი მონაცემებით და მიდრეკილებებით. მცირეწლოვანთა გონებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიშანია *ცბიერობა*. მისი მოქმედება ორგვარია: სწრაფად გაგება და არდავიწყება იმისი, რაც გაიგეს. ამას უნდა მივუმატოთ *ბაძვა*. იგი მიანიშნებს მიმიკებზე, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ბავშვმა ეს ნიჭი მიმართოს იმაზე, რასაც ასწავლიან და არა იმაზე, რომ პაროდირება მოახდინოს იმ ადამიანების, რომლებსაც ამა თუ იმ ნაკლს შეუნიშნავს.

2. არაფერი კარგი არ შემიძლია ვთქვა იმაზე, ვინც ამგვარი მიბაძვით ვინმეს დაცინვას ისახავს მიზნად. ბავშვი მორალურადაც კეთილზნიანი უნდა იყოს, თორემ ჯობია ჰქონდეს ნელი აზროვნება, ვიდრე იყოს ბოროტი. სიტყვაში „კეთილზნიანი" არ ვგულისხმობ შებოჭილ და ყველაფერში ჩამორჩენილ ბავშვს.

3. ის, ვისაც მე წარმოვადგენ, დიდი ჯაფის გარეშე უნდა ახერხებდეს სწავლას. ზოგჯერ შეკითხვებიც დასვას, მაგრამ უფრო უნდა მისდიოს მასწავლებელს, ვიდრე მის წინ გარბოდეს. სხარტი ტვინი, ადრეული ნაყოფივით, მთლიანად თითქმის არასდროს მწიფდება.

4. სხარტი გონების მქონენი იმით შეიცნობიან, რომ ნაკლებ მოსახერხებელს აკეთებენ. ისინი თამამები არიან, მაშინვე შეეჩიდებიან, რაც შეუძლიათ. ეს ძალები მათში მყარდება. მაგალითად, ისინი კითხვისას უფრო სწრაფად არჩევენ სიტყვებს, წარმოთქვამენ მათ თამამად და წაბორძიკების გარეშე კითხულობენ, ბევრს არა, მაგრამ სწრაფად და მონდომებით.

5. აქ არ არის ჭეშმარიტი ძალა, არ არის მყარი საფუძველი; ისე, როგორც მიწის ზედაპირზე დაყრილი მარცვლები ამოდიან უფრო სწრაფად; როგორც პურის მსგავსი ბალახების ცარიელი თავთავები ყვითლდებიან მოსავლის აღებამდე. ეს ყველაფერი ჩვენ ბავშვებში გვხიბლავს, მაგრამ მათი წარმატება ამაზე ჩერდე-

ბა და მალე ჩვენი ადრინდელი გაკვირვება ქრება.

6. ამგვარი შენიშვნების შემდეგ ვნახოთ, როგორ უნდა მოვექცეთ მოსწავლეებს. ზოგს სიმკაცრე სჭირდება, ზოგი ვერ იტანს მბრძანებლობას; ერთი შიშით აღინთება, ხოლო მეორეს ამით სიმხნევე ერთმევა; ზოგი მუდმივი შრომით ასწრებს, ზოგიც - დროებითი მონდომებით. ვისურვებდი, ისეთი მოსწავლე მყავდეს, რომელიც ქებითაც წახალისდება და პატივმოყვარეობის შელახვითაც შეძრწუნდება, რომ ტიროდეს კიდეც, თუ მეგობარს ჩამორჩება.

7. მე არ მეშინია იმის სიზარმაცის, ვიზეც მკრეხელობა და პატივი თანაბრად მოქმედებს.

8. რა თვისებების მატარებელიც არ უნდა იყოს ბავშვი, მას უნდა მივცეთ გზადაგზა განტვირთვის საშუალება. არა მხოლოდ იმიტომ, რომ განუწყვეტელი შრომა არაბუნებრივია, და რომ უსულო საგნებიც კი თავიანთ ძალას მხოლოდ იმით ინარჩუნებენ, რომ ზოგჯერ სიმშვიდეში იყვნენ, არამედ იმისთვისაც, რომ ბეჯითობა დამოკიდებულია კეთილ ნებაზე, რომელიც არ შეიძლება იყოს ძალდატანებითი.

9. ასე რომ, დასვენების შემდეგ კიდევ უფრო მონდომებით შეუდგებიან პატარები სწავლას და გონებაც, რომელსაც თავისუფლებისადმი მიდრეკილება ახასიათებს, უფრო მხნე გახდება.

10. მე არც თამაშზე ვიტყოდი უარს. ეს მიანიშნებს მათ სიცოცხლის უნარიანობაზე. უფრო მეტიც, არა მგონია, იმ ჩაფიქრებულ და ყოველთვის მოწყენილ ბავშვს, რომელიც თამაშებში არ ერთვებოდა, როცა ამის ასაკი ჰქონდა, სწავლა ძალიან ჰყვარებოდა.

11. თუმცა, ამგვარი შესვენებების დროს უნდა დავიცვათ ზომიერება და შუალედი, რომ მათი სიმცირის დროს არ წარმოიშვას სწავლისადმი სიძულვილი, ხოლო ხანგრძლივი დასვენებისას - დღესასწაულობის ჩვევა. ბავშვის გონებრივი შესაძლებლობების გაფართოებისათვის არსებობს კიდევ სხვადასხვა გა-

სართობი სამუალებები. მაგალითად, სასარგებლოა, ბავშვებს დავუსვათ სხვადასხვა ტიპის შეკითხვები, რომლებზე პასუხის გაცემასაც ისინი შეეცდებიან ერთმანეთის წინაშე.

12. თამაშის დროს კარგად ჩანს ხასიათები. არ არსებობს სხვა ისეთი ასაკი, როცა კარგი და ცუდი ისე სწრაფად იცვლება, როგორც ბავშვობის ხანაში. სწორედ მაშინ უნდა შევეცადოთ ყველა ცუდი ჩვევის გამოსწორებას, რადგან ბავშვებს არ შეუძლიათ თავის მოკატუნება და ყურს უგდებენ დარიგებებს. ძველი ხის გადატეხვას უფრო ადვილად მოახერხებ, ვიდრე გაასწორებ მას.

13. უნდა ვასწავლოთ ბავშვს, რომ ახირების, ან ბოროტების გამო, არაფერი არ უნდა გააკეთოს. ყოველთვის გვახსოვდეს, რომ პატარაობისას შეძენილი ჩვევა, როგორც ვერგილიუსი ამბობს, დიდი საქმეა.

14. მე არა ვარ ბავშვების ფიზიკურად დასჯის მომხრე, თუმცა ამას უკვე ყველა აღიარებს და არც ქრისიპოსი უარყოფს. ასეთი დასჯა უზნეობად მიმაჩნია. იგი მხოლოდ მონებისთვის არის დამახასიათებელი. სრულიად სამართლიანად, ყველა სხვა ასაკში ფიზიკური დასჯა შეურაცხყოფად ითვლება. სხვათა შორის, უზნეო ბავშვი, რომელსაც საყვედურებით ვერ გამოასწორებ, მიეჩვევა ცემას და მონური შეუპოვრობით დათმენას. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არ იქნებოდა საჭირო ასეთი დამამცირებელი ზომების გამოყენება.

15. ჩვენს დროში ბავშვის ქმედებები, მასწავლებლების უყურადღებობით და გულგრილობით წარმოქმნილი, როგორც ჩანს, სწორდება არა იმით, რომ უკეთესისკენ მივმართოთ ისინი, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ დაისაჯონ, რატომ არ შეასრულეს მასწავლებლის დავალება. ამასთან, თუ ფიქრობთ, რომ ცემა ერთადერთი საშუალებაა ბავშვს რომ სწავლა აიძულო, მაშინ როგორღა მოვექცეთ ყმაწვილს, რომლის ცემით შეშინება მიუღებელია, ხოლო სწავლით გაცილებით მეტი უნდა ისწავლოს?

16. ამას ისიც მიუმატეთ, რომ ცემის დროს, შიშის თუ ტკი-

ვილის გამო, ჩნდება ისეთი სირცხვილის განცდა, რომელზე საუბარიც კი არ შეიძლება: ბავშვი ამგვარი დამოკიდებულების გამო მოიწყენს, განმარტოვდება და საკუთარ თავში ჩაიკეტება.

17. დამრიგებლების და მასწავლებლების არჩევის დროს, მრცხვენია კიდეც შეგახსენოთ, როგორ იყენებენ ამ საშუალებას ცუდი მასწავლებლები მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად; შიში, რომელსაც გამუდმებით განიცდიან ეს საწყალი პატარები, ზოგჯერ სხვებისთვისაც სამაგალითო ხდება. დავანებოთ ამ ყველაფერს თავი. რისთვის ვისაუბროთ იმაზე, რაც ისედაც ცხადია? მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არავის არ უნდა მიეცეს უფლება, დაამციროს ასეთი სუსტი არსებები, რომელთაც თავად ჯერ კიდევ არ შეუძლიათ საპასუხო რეაქცია.

18. ამ საჭირო დარიგებების შემდეგ შევუდგეთ იმ მეცნიერებებზე საუბარს, რომელთა ცოდნაც საჭიროა, ორატორის წოდება რომ მოგენიჭოს და ვნახოთ, რომელ მათგანს რა ასაკში უნდა დაეუფლოს ბავშვი.

თავი მეოთხე.

1. თუ პატარა მალე ისწავლის წერა-კითხვას, საჭიროა მაშინვე დავიწყოთ მისი მეცადინეობა გრამატიკაში, არა აქვს მნიშვნელობა - ბერძნულში თუ ლათინურში, მაგრამ მაინც ვფიქრობ, უმჯობესია, დაიწყოს ბერძნულით, თუმცა, ორივეს ერთი მიზნისაკენ მივყავართ.

2. ეს მეცნიერება უმოკლესად უნდა გაიყოს ორ ნაწილად: აზრის სწორად შერჩეული სიტყვებით გამოხატვა და პოეტთა შემოქმედების კითხვა. იგი თავის თავში გაცილებით უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

3. რადგან ოსტატურად ლაპარაკი ოსტატურად წერასაც გულისხმობს, ხოლო პოეტთა შემოქმედების ცოდნა - კარგად და გამართულად კითხვას. ეს ის საკითხებია, რომლებიც ფრთხილად განხილვას საჭიროებენ. ძველი გრამატიკოსები წიგნის კითხვას ისე მკაცრად ეკიდებოდნენ, რომ არა მხოლოდ ზოგი-

ერთ ადგილს არ უგულებელყოფდნენ ცალკეული ნაწარმოებებიდან, არამედ მთელ ქმნილებებსაც. იმ მწერლებს, რომლებიც კრიტიკას გაუძლებდნენ, ცალკე ახარისხებდნენ, ხოლო ზოგიერთ მათგანს საერთოდ იღებდნენ კარგ თხზულებათა ნუსხიდან.

4. მაგრამ გრამატიკოსისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ პოეტთა შემოქმედების კითხვა. მან ყველა ტიპის შემოქმედებას უნდა გადახედოს, არა მხოლოდ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენებისთვის, არამედ სიტყვებისთვისაც, რომლებიც ხშირად იძენენ ავტორიტეტს სწორედ ავტორების წყალობით. არც მუსიკის ცოდნის გარეშე შეუძლია გრამატიკას იარსებობს, რადგან გრამატიკოსმა უნდა ილაპარაკოს საზომზე და რიტმზე; თუ არ ეცოდინება პლანეტების განლაგება, ვერ გაუგებს იმ პოეტებს, რომლებიც ხშირად საუბრობენ მნათობების ამოსვლასა და ჩასვლაზე წელიწადის დროთა აღსანიშნავად. განსწავლული უნდა იყოს იგი ფილოსოფიაშიც, რადგან ზოგ პოეტს ბევრი აზრი მათგან აქვს ნასესხები. ასეთები არიან: ემპედოკლესი - ბერძნებთან, ვარონი და ლუკრეციუსი - რომაელებთან.

5. ისინი ფილოსოფიურ საკითხებზე ლექსად წერდნენ. ამგვარად, იმაზე მეტია საჭირო, ვიდრე უშუალობა, მჭევრმეტყველებაა, რათა ყველა მოცემულ საკითხზე ისაუბრო ზუსტად და უხვად. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიწმეს ეპატიოს ქარაფშუტობა, ვინც გრამატიკას თვლის უბრალო მეცნიერებად, რომელიც მხოლოდ წვრილმანი და უმნიშვნელო რამეებით არის დაკავებული? თუ იგი მომავალი ორატორისთვის არ შექმნის მყარ, საიმედო საფუძველს, მაშინ, მიუხედავად ჩვენი ყოველგვარი მცდელობისა, ჩვენს მიერ ჩაფიქრებული შენობა ხუხულასავით დაინგრევა. გრამატიკა საჭიროა ახალგაზრდებისთვის, მოსწონთ მოხუცებს, იგი განმარტოებაში კარგი მეგზურია, მხოლოდ მას, შეიძლება თამამად ითქვას, ყველა ტიპის სწავლებიდან უფრო მეტი არსებითი აქვს, ვიდრე გარეგნული ბრჭყვიალებაა.

6. ნურავინ იფიქრებს, რომ გრამატიკის ელემენტები პატარა საქმეა. არა იმიტომ, რომ ძნელია ერთმანეთისგან ხმოვნები და თანხმოვნები გაარჩიო, ან იმიტომ, რომ რთულია მათი დაყოფა ნახევრად ხმოვნებისა და ყრუ თანხმოვნების სწორ რაოდენობად, არამედ იმიტომ, რომ ისინი, ვინც აქ შემოვა, როგორც ტაძარში, შესწავლილი საკითხებით გაცილებით მეტად გაივარჯიშებენ გონებას, მიიღებენ დიდ ერუდიციას და ცოდნას.

7. განა ყველას შეუძლია ყურით ბგერების ჟღერადობის გარჩევა? დარწმუნებული ვარ, არა, გარდა მუსიკალური სიმების ხმისა, ყველა გრამატიკოსი ჩაერევა კამათში ისეთ სასაცილო აზრებზე, როგორიცაა: გვჭირდება თუ არა ჩვენ ნამდვილად ასოები, როცა ვწერთ ბერძნულად, გარდა ორი ასოსი[3], რომლებსაც ბერძნებისაგან ვსესხულობთ? მაგრამ საკუთრივ ლათინურში:

8. როგორც სიტყვებში *seruus* და *uulgus* გამოიყენება ეოლიკური დიგამა[4] და ასოებს u და i შორის გარკვეული ასოა, რადგან ჩვენ არ წარმოვთქვამთ *optimum*-ს *opimum*- ის მსგავსად. აქაც ასევე არც e და არც i ისმის გარკვევით. თუ კვლავ, სხვა ასოები ზედმეტია (გარდა ასპირაციის ნიშნისა, რომელიც, თუ საჭიროა, საპირისპირო ნიშანსაც მოითხოვს)[5],

9. როგორც მაგალითად k, რომელიც გარკვეულ სიტყვებში გვხვდება და q (მისი მსგავსი ჟღერადობით და მოხაზულობით, გარდა იმისა, რომ q ჩვენი მწერლების მიერ ოდნავ დაბრეცილია, koppa ახლა ბერძნებთან გვხვდება მხოლოდ, ისიც მხოლოდ რიცხვების დასახელებაში), ისე როგორც x, რომლის გარეშეც სულაც არ გაგვიჭირდებოდა, რომ არ გამოძებნილიყო.

10. რაც შეეხება ხმოვნებს, ესეც გრამატიკოსების საქმეა ნახონ, თუ შეცვალა ტრადიციამ რომელიმე მათგანი თანხმოვნებით, როგორც მაგალითად *iam* / *tam* და *uos* / *cos*. მაგრამ ის ხმოვნები, რომლებიც გაერთიანდა, როგორც ხმოვნები, ქმნიან ან ერთი სიგრძის ხმოვანს, როგორც ძველები წერდნენ, ცირკუმფლექსის ნიშნის მაგივრად გაორმაგებულად, ან ორი სიგრძისას.

ვინმემ იქნებ ივარაუდოს, რომ მარცვალი შეიძლება წარმოიქმნას სამი ხმოვნისგანაც, მაგრამ ეს ვერ მოხდება მანამ, სანამ ზოგი მათგანი ასრულებს თანხმოვნის როლს.

11. გრამატიკოსები ასევე იკითხავენ, რატომ აქვს მხოლოდ ორ თანხმოვანს გაერთიანების საშუალება მაშინ, როცა არც ერთ თანხმოვანს არ შეუძლია შეცვალოს მეორე ასო, გარდა მეორე თანხმოვნისა? მაგრამ ასო *i* მხოლოდ საკუთარ თავთან ერთიანდება, რადგან *coniicit* არის სიტყვიდან *iacit*; ასევეა ასო *u*, სიტყვებში *uulgus* და *seruus*, როგორც ახლა იწერება. დაე, გრამატიკოსებმა იცოდნენ აგრეთვე, რომ ციცერონი ამჯობინებდა დაეწერა *aiio* და *Maiia* ორმაგი *i*-თი, და თუ ასე მოვიქცევით, ერთი *i* მეორეს შეუერთდება, როგორც ხმოვანი.

12. დაე, ბიჭებმა ისწავლონ, რა არის თავისებური ასოებში და რა ჩვეულებრივი, რა ურთიერთმიმართებაა მათ შორის; ნუ გაუკვირდებათ, რატომ წარმოიშვა *scabellum* სიტყვისგან *scamnum*; ან რატომ არის *bipennis*, *ორივე მხრიდან ნაპირიანი ნაჯახი*, წარმოშობილი სიტყვისგან *pinna*, რაც რაიმე ბასრს ნიშნავს; რომ არ უნდა გაიმეორონ იმათი შეცდომა, რომლებიც თვლიან, რომ მას უნდა ერქვას ჩიტების ფრთების მიხედვით *pinnae*, იმის გამო, რომ ეს სიტყვა წარმოიშვა ორი ფრთისაგან.

13. არც იმ ცვლილებებს ვაღიარებ, რომლებიც მხოლოდ ბრუნებას და წინდებულებს ცნობს, როგორიცაა *secat/secuit*, *cadit/excidit*, *credit/excidit*, *calcat/exculcat*; (*lotus* სიტყვიდან *lavare*, ასევე *illotus*; და არის კიდევ ათასობით მსგავსი დერივაცია); აგრეთვე, რა ცვლილებები მოხდა სახელობით ბრუნვაშიც კი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, როგორც, მაგალითად, *Valesii* და *Fusii* გადაიქცა *Valerii* და *Furii*-ად; ასევე so*arbos*, *labos*, *vapos*, ისევე როგორც *clamos* და *lases* გვხვდებოდა ერთ დროს.

14. სწორედ ეს ასო *s*, რომელიც გამოიდევნა ამ სიტყვებიდან, თავად ჩაენაცვლა სხვა ასოებს ზოგიერთ სიტყვებში. მაგა-

ლითად, ნაცვლად სიტყვებისა *mersare* და *pulsare*, ამბობენ *mertare* და *pultare*. ასევე *fordeum* და *foedus*, სადაც ასპირაციის ნაცვლად გამოიყენებენ *v*-s მსგავს ასოს, რადგანაც ბერძნები, ერთის მხრივ, მიჩვეული არიან ასპირაციას, მეორეს მხრივ, ციცერონი თავის სიტყვაში ფუნდარიუსისთვის, დასცინის მოწმეს, რომელიც ვერ წარმოთქვამს სახელის ამ პირველ ასოს[6].

15. მაგრამ ჩვენ აგრეთვე ასო b დავსვით სხვა ასოების ადგილზე: *Burrus*, *Bruges*, *Belena*. უფრო მეტიც, იმავე ასომ შექმნა *bellum* სიტყვისგან *duellum*, რომელსაც ზოგი ეძახის *Duellii*, *Bellii*.

16. რატომ მჭირდება ლაპარაკი *silocus* და *silites*-ზე? რატომ მჭირდება იმის აღნიშვნა, რომ გარკვეული მიმართება არსებობს ასოებს t და d შორის? არ არის გასაკვირი, თუ ჩვენი ქალაქის ძველ შენობებზე, ან კარგად ნაცნობ ტაძრებზე არის წარწერები *Alexanter* და *Cassantra*. რატომ გავუსვი ხაზი, რომ u და o ერთმანეთს ენაცვლებიან (*Hecoba* და *notrix*, *Culchides* და *Pulyxena*)? ეს არ შეიმჩნეოდა მხოლოდ ბერძნულ სიტყვებში *dederont* და *probaveront;* ასე რომ, *'Οδυσσεύς*, რომელსაც ეოლიელები ეძახდნენ *Ουδυσσεύς*-ს, გადაიქცა *Ulysses*-ად.

17. ხომ არ ჩაანაცვლა აგრეთვე *e*-მ *i*, როგორც სიტყვებში *Menerva*, *leber*, *magester* და *Dilove*, *Veiove* ნაცვლად სიტყვებისა *Dilovi* და *Velovi*? მაგრამ ჩემთვის საკმარისია საგანზე მივანიშნო, რადგან მე კი არ ვასწავლი, არამედ შთავაგონებ მათ, ვინც უნდა ასწავლოს. მოსწავლის ყურადღება მაშინ გადატანილი იქნება მარცვლებზე, რომლებზეც რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებ თავში ორთოგრაფიის შესახებ.

18. უფრო ძველები, რომელთა შორის იყვნენ არისტოტელე და თეოდექტესი, ამტკიცებდნენ, რომ იყო მხოლოდ სახელები, ზმნები და კავშირები, რადგან, მათი აზრით, ენის ძალა იყო ზმნებში, ხოლო მისი არსი - სახელებში (ერთია, რასაც ჩვენ ვამბობთ და მეორეა, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ), ხოლო სიტყვები ერ-

თმანეთს კავშირების საშუალებით უერთდებიან. მაგრამ მეორე ტერმინი უფრო ზუსტ თარგმანად მეჩვენება სიტყვისა *συνδεσμος*.

19. ფილოსოფოსების, განსაკუთრებით, სტოიკოსების მიერ მეტყველების ნაწილების რაოდენობა თანდათან გაიზარდა. თავდაპირველად დაემატა არტიკლი, შემდეგ წინდებულები. სახელებს დაემატა ჯერ არსებითი სახელი, შემდეგ ნაცვალსახელი, შემდეგ მიმღეობა, რომელსაც ნაწილობრივ ჰქონდა ზმნის ბუნება. თავად ზმნებს შეუერთდა ზმნიზედები. ჩვენს ენას არ სჭირდება არტიკლები, მაგრამ ისინი მაინც გამოყოფილია მეტყველების სხვა ნაწილებიდან. უკვე ჩამოთვლილ მეტყველების ნაწილებს დაემატა შორისდებული.

20. საქმეში შედარებით უფრო ჩახედულმა მწერლებმა, როგორებიც არიან ჩვენს დროში არისტარქოსი, ან პალერმონი, გამოჰყვეს 8 მეტყველების ნაწილი. მათ *სიტყვა* ან *სახელი* მოაქციეს არსებით სახელში, როგორც მისი სახეობები. ხოლო მათ, ვისაც სახელი და არსებითი სახელი სხვადასხვა ჰგონიათ, გამოჰყვეს 9 მეტყველების ნაწილი. იყვნენ ისეთებიც, ვინც ამათ განასხვავებდა და *სახელს* უწოდებდა ყველაფერს, რასაც შეხედავ და შეეხები, როგორც *სახლი, საწოლი;* ხოლო *სიტყვა* უწოდეს იმათ, რომლებისთვისაც ამ ორი მახასიათებლიდან ერთი, ან ორივე იქნებოდა საჭირო, როგორიცაა *ცა, ქარი, სიქველე*. ისინი ასევე უმატებდნენ საზეიმო წამომახილებს (შორისდებულებს), როგორიცაა: *აფსუს, ვაი!* . ამ ყველაფერს მე არ ვეთანხმები.

21. *προσηγορια* უნდა ვთარგმნოთ, როგორც *სიტყვა* ან *სახელი* (სახელწოდება), ის არის თუ არა არსებითი სახელი, ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხია, რომელზეც აზრის გამოთქმა სხვებისთვის მიმინდვია.

22. დაე, ბავშვებმა, პირველ რიგში, ისწავლონ სახელის გრუნება და ზმნის უღლება. სხვაგვარად ისინი ვერასდროს მიხვდებიან, რას მიჰყვნენ. გაფრთხილებთ, რომ ზოგჯერ მასწავლებელ

ლი მოჩვენებითი სიჩქარით იწყებს იქ, სადაც უნდა დაამთავროს და როცა სურთ მოსწავლეებმა თავი მოიწონონ უფრო დიდ მოვლენებში, გზის შემოკლებით აყოვნებენ მათ წარმატებას.

23. მაგრამ, თუ მასწავლებელს აქვს საკმარისი ცოდნა, რაც არანაკლებ სასურველია, სურვილი - ასწავლოს სხვას, რაც თავად ისწავლა, იგი არ დაკმაყოფილდება იმის ჩვენებით, რომ არსებითი სახელების სამი სქესი არსებობს და ხაზს გაუსვამს, რომ სახელებს აქვთ ორი, ან სამივე სქესი.

24. გულმოდგინე ტუტორი ვალდებულია აჩვენოს, რომ არსებობს არაწესიერი არსებითი სახელები, ე. წ. ეპიკენები, რომლებშიც ორივე სქესი არის ნაგულისხმევი, ან არსებითი სახელები, რომლებიც მდედრობითის ტერმინით აღნიშნავენ მამრობითს, ან საშუალო ტერმინით ქალს, როგორც: *Muraena* და *Glycerium*

25. გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი მასწავლებელი მოძებნის ათასობით სახელის წარმოშობის წყაროს, ეტიმოლოგიას, რომელმაც შექმნა სიტყვები, მაგალითად, *Rufus* (წითელი) და *Longus* (გრძელის) პერსონალური თავისებურებებისაგან; მათ შორის იქნება ზოგიერთი სიტყვის ბუნდოვანი ეტიმოლოგია, როგორიცაა: *Sulla, Burrhus, Galba, Plancus, Pansa, Scaurus* და მათი მსგავსი. ასევე, ზოგი - დაბადების უბედური შემთხვევიდან, როგორც: *Agrippa, Opiter, Cordus,Posthumus*; ზოგი - დაბადების შემდგომი მოვლენებიდან, როგორც: *Vopiscus*; ზოგი *Cotta, Scipio, Laenas, Seranus*, წარმოიშვა სხვადასხვა მიზეზებით.

26. ჩვენ ასევე შეგვიძლია ვიპოვოთ ადამიანები, ადგილები და სხვა ბევრი რამე სახელების წარმოშობათა შორის, როგორიცაა: *Marcipores* და *Publipores*[7] ხმარებიდან გამოსულია. ნება მიეცით ტუტორს ჩათვალოს, რომ ბერძნულში არ არსებობს საფუძველი მე-6 ბრუნვისთვის და ჩვენთან - მე-7 ბრუნვისთვის, რადგან, როცა მე ვამბობ *hasta percussi* (დავეჯახე შუბით), მე არ გამოვხატავ აბლატივუსს, არც ბერძნულად თქმისას გამოვხატავ

მიცემით ბრუნვას.

27. რაც შეეხება ზმნებს, ვინ არ იცის მათი სახეობები, ხარისხი, პირი და რიცხვი. ამგვარი საკითხები განეკუთვნება კითხვის სკოლების და არა უფრო ქვედა განყოფილებების ინსტრუქციებს, მაგრამ ისეთი მომენტები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ფლექსიით, სხვა ადამიანებს თავსატეხს გაუჩენს, რადგან ეჭვქვეშ დადგება - მიმღეობაა, თუ ზმნისაგან მიღებული ისეთი არსებითი სახელები, როგორც, მაგალითად, *lectus*, *sapiens*.

28. ზოგი ზმნა არსებით სახელს ჰგავს, როგორც, მაგალითად *frandalor*, *nutritor*. წინადადებაში *Itur in antiquam silvam* ზმნა არ არის თავისებური რომ მისით იწყება წინადადება? *Fletur* მისი მსგავსია. ჩვენ ვნებითი გვარი ხან როგორ გვესმის, მაგალითად: *Panditur interea domus omnipotentis Olympi*, ხან როგორ, მაგალითად: *TotisUsque adeo turbatur agris*. არსებობს მესამე გზაც, როგორც: *urbs habitatur*, ან *campus curritur*, *mare navigatur*.

29. *Praesus* და *potus*-ს აგრეთვე სხვა მნიშვნელობა აქვთ იმასთან შედარებით, რასაც მათი ფორმა გამოხატავს. აქვე უნდა დავამატო, რომ ბევრი ზმნა არ იუღლება. ზოგი - შეიცვლება, როგორც მაგალითად, *fero* პერფექტში; ზოგი მხოლოდ მესამე პირის ფორმით გამოიყენება - *licet*, *piget*; ზოგი ემსგავსება არსებით სახელს, რომლებიც გარდაიქმნებიან ზმნიზედებად. მაგალითად, რადგან ჩვენ ვამბობთ *noctu* და *diu*, ამიტომ ვამბობთ *dictu* და *factu*; ეს ზმნები მაინც მიმღეობრივია, მაგრამ არა ისე, როგორც *dicto* და *facto*.

თავი მეხუთე.

1. ყველა სიტყვა საჭიროა ფლობდეს სამ სრულყოფილებას: უნდა იყოს სწორი, ნათელი და ლამაზი. საკმაოდ ბევრი თვლის კარგ ტონად მოკლედ ლაპარაკს; ამის საპირისპიროდ, ბევრმა შეიძლება ნაკლიც დაინახოს. ამას აჩვენებს გრამატიკა, რადგან

წესები, როგორ ვილაპარაკოთ გამართულად, მისი პირველი შემადგენელი ნაწილია.

2. ამ წესების დაცვა სავალდებულოა, ***verbis aut singulis aut pluribus*** ერთ ან რამდენიმე სიტყვასთან მიმართებაში. მე მსურს სიტყვა ***verbum*** აქ გავიგოთ ზოგადი მნიშვნელობით, რადგან მას აქვს ორი მნიშვნელობა - პირველი, რომელიც მოიცავს ყველა იმ სიტყვას, რასაც ენა ფლობს, როგორც, მაგალითად, ჰორაციუსის ვერსიაში: ***Verbaque provisam rem non invita sequentur*** (და სიტყვები, არა სურვილის წინააღმდეგ, მიჰყვება განსაზღვრულ საკითხებს) და მეორე, რომლის ქვეშ მოიაზრება მეტყველების მხოლოდ ერთი ნაწილი, მაგალითად, ***lego, scribo***, რათა თავიდან ავიცილოთ გაურკვევლობა, რომელი ტერმინი გამოვიყენოთ: ***voces, dictiones, locutiones.***

3. სიტყვები, რომლებიც ცალკე განიხილება, ან ჩვენი საკუთარია, ან ნასესხები, მარტივი ან შედგენილი, საკუთარი ან მეტამორფული, ჩვეული დატვირთვით, ან ახლებური გამოყენებით. ცალკე აღებული სიტყვები უფრო ხშირად მოუხერხებელია. როგორც არ უნდა გამოვხატოთ წესიერება, ელეგანტურობა და გაიდეალება, არც ერთი ამ თვისებათაგან არ წარმოიშობა დისკურსის კავშირისა და წყობის გარეშე. ამიტომ ჩვენ მტკიცედ ვამბობთ, თითოეულ სიტყვას თავისი მკაცრად განსაზღვრული ადგილი უნდა მივუჩინოთ. ერთადერთი კარგი თვისება, რაც შეიძლება მათში აღინიშნოს, არის ***vocalitas***, ე. წ. ***ευφωνια,*** რომელიც დამოკიდებულია სელექციაზე, როცა ორ სიტყვათაგან, რომელთაც ერთი და იგივე მნიშვნელობა და თანაბარი ძალა აქვთ, ჩვენ ვირჩევთ იმას, რომელიც უკეთ ჟღერს.

4. თავდაპირველად, მოიშორეთ უსიამოვნებები, ანუ ***ბარბარიზმები და სოლეციზმები,*** მაგრამ რადგანაც ეს ხარვეზები არის ჩვეულების, ავტორიტეტების, ან სილამაზის ბრალი (ხშირად ძნელია გაარჩიო ხარვეზები მეტყველების ფიგურებისაგან), გრამატიკოსი, რომელიც ძალიან დაურწმუნებელი არის დაკვირვე-

ბის ობიექტზე, არავის არ მოატყუებს, მიაპყრობს თავის ყურადღებას იმ მშვენიერ დისკრიმინაციაზე, რომელზეც ჩვენ უფრო სრულად ვისაუბრებთ ნაშრომის ნაწილში, რომელშიც მეტყველების ფიგურებს შევეხებით.

5. მანამდე კი ცალკეული სიტყვებისთვის ჩადენილ შცდომებს დავარქვათ ბარბარიზმები.

6. მაგრამ ვინმე გამაჩერებს შენიშვნით - რა არის აქ ღირებული ამდენი შრომისთვის? ან ვინ არ იცის, რომ ბარბარიზმები გამოიყენება ზოგი წერაში და ზოგიც მეტყველებაში (იმიტომ, რომ რაც არასწორად იწერება, არასწორადვე ითქმება. თუმცა, ვინც არასწორად ლაპარაკობს, შეიძლება წერის დროს შეცდომებს არ უშვებდეს)? პირველი სახეობა გამოწვეული იყო დამატებით, შეცვლით, შემოკლებით ან სიტყვების წყობის შეცვლით; მეორე - მარცვლების განცალკავებით, ან არევით, ასპირაციით, ან ბგერის სხვა ნაკლით? შესაძლოა, ეს ყველაფერი წვრილმანი იყოს, მაგრამ ბიჭებს მაინც უნდა ვასწავლოთ და ჩვენ გრამატიკოსებს ვახსენებთ მათ მოვალეობებს.

7. თუ ერთ-ერთი მათგანი საფუძვლიანად არ იქნება კარგად აღზრდილი და შეაბიჯებს ხელოვნების ვესტიბიულში, მან თავი უნდა შეიზღუდოს იმ წესებით, რომლებიც გამოქვეყნებულია პროფესორების მცირე სახელმძღვანელოებში. რაც უფრო ბევრს სწავლობ, მით უფრო გასაგები იქნება, რომ რამდენიმე სახის ბარბარიზმი არსებობს.

8. ერთი, ქვეყნის მითითებით (დამოწმებით), ხდება, როცა ადამიანი იყენებს აფრიკულ, ან ესპანურ ტერმინს ლათინურ კომპოზიციაში, მაგალითად, როცა რკინის ბეჭედს, რომლის თვლები მიჯაჭვულია, ეძახიან ***canthus***-ს, თუმცა პერსიუსი იყენებს მას, როგორც მიღებულ სიტყვას;

9. როგორც კატულუსმა იპოვა სიტყვა ***ploxenum*** პოს ნაპირებზე; და ლაბიენუსის სიტყვაში (თუ ეს სიტყვა კორნელიუს გალუსს არ ეკუთვნის), სიტყვა ***casnar*** (პარასიტი) მოტანილია გაუ-

ლიდან პოლიონის წინააღმდეგ; როგორც *mastruca* (გაბურძგნილი ტანსაცმელი), რომელიც სანდირიული სიტყვაა, ციცერონმა განგებ გამოიყენა ხუმრობით.

10. ბარბარიზმის მესამე სახეობაა ის, რომლის მაგალითებიც ყველგან უხვადაა და რომელიც ყველას თავად შეუძლია შექმნას ასოს, ან მარცვლის დამატებით ნებისმიერ სიტყვაზე, რომელიც მოესურვება, ან ერთის გამოკლებით, ან ერთის მეორით ჩანაცვლებით, ან ერთის იქ ჩასმით, სადაც მისი ადგილი არ არის.

11. მაგრამ ზოგიერთი გრამატიკოსი, მიჩვეულია, უმეტესად, მაგალითები ამ პოეტებიდან აიღოს და ნაკლი იპოვოს იმ ავტორებთან, ვისაც ის ბაძავს. ბიჭმა უნდა იცოდეს, რომ მეტყველების ასეთი ფორმები პოეზიის შემქმნელებში ითვლება ბოდიშის, ან ქების ღირსად; და მასწავლებლებმა ნაკლებ ჩვეულებრივი მაგალითები უნდა ასწავლონ.

12. ასე მაგალითად, პლაკენტიელი ტინკა (თუ ჰორტენსიუსს დავუჯერებთ, რომელიც მასთან ნაკლს პოულობს), დამნაშავე იყო ორ ბარბარიზმში ერთ სიტყვაში, როცა ამბობდა *precula*-ს, ნაცვლად სიტყვისა *pergula*; პირველად, ასოს შეცვლით, ჩასვა რა *g*-ს ნაცვლად *c*, და მეორე - *r*-ს გადმოტანით *e*-ს წინ. მაგრამ ენიუსმა, როცა ამგვარი ორმაგი დანაშაული ჩაიდინა, როცა თქვა *Metieo Fufetieo*, დაეყრდნო oi პოეტურ ნებართვას.

13. პროზაშიც ასევე არის ახლახანს შეტანილი ცვლილებები. მაგალითად: ციცერონი ლაპარაკობს *Canopitae*- არმიის შესახებ, თუმცა ხალხი მას ეძახის *Canobus*-ს; ბევრი ავტორი ამბობს *Tharsomenus* ნაცვლად *Thrasymenus*-ისა[8], თუმცა მასში ტრანსპოზიციაა. სხვა სიტყვებთან მიმართებაშიც ვაწყდებით მსგავს მოვლენებს. მაგალითად, თუ *assentior* (ვეთანხმები) ითვლება, რომ ამ სიტყვის სწორი წერაა, სისენა ამბობს *assentio* და მას ბევრი იმეორებს. თუ *assentio* სწორი მეთოდია, მეორე ფორმა-*assentior* პრაქტიკითაა გამყარებული.

14. სუსტი მასწავლებელი ჩათვლის, რომ ერთ შემთხვევაში

საქმე გვაქვს შემოკლებასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში - დამატებასთან.

15. რადგან *dua, tre* და *pondo* ბარბარიზმებია ერთმანეთის საწინაარმდეგო სქესის. კომპოზიტი *duapondo* (ორი გირვანქა) და *trepondo* (სამი გირვანქა) ჩვენს დროში ყველას მიერ გამოიყენება. მესალა მიანიშნებს, რომ ისინი გამოიყენება შესაბამისად.

16. შეიძლება აბსურდულად მოგვეჩვენოს იმის თქმა, რომ ბარბარიზმი, რომელიც არასწორია ცალკეულ სიტყვაში, შეიძლება შეცდომა იყოს რიცხვში და სქესში, სოლიციზმის (გრამატიკული შეცდომა) მსგავსად; მაგრამ *scala* (კიბეები) და *scope* (ცოცხი) მხოლობით რიცხვში და *hordea* (ქერი) და *mulsa* (მდელო), მრავლობით რიცხვში, რადგანაც ცვლილების გარეშე არიან, გადასროლის ან ასოების დამატების გარეშე, მოუხერხებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მრავლობითი რიცხვი გამოხატულია მხოლობითში და მხოლობითი - მრავლობითში. ისინი, ვინც იყენებენ სიტყვას *gladia* (გაზონი, კორდი), შეცდომას უშვებენ სქესში.

17. დავკმაყოფილდები მხოლოდ მსუბუქი შენიშვნით, რათა კიდევ უფრო არ ავრიო საქმე, რომელიც უკვე ისედაც არეულია გრამატიკოსების შეცდომების გამო.

18. შეცდომები, რომლებიც დაიშვება ლაპარაკის დროს, უფრო მეტ მოქნილობას და სისხარტეს თხოულობს კრიტიკის თვალსაზრისით, რადგან მათი მაგალითები არ შეიძლება ამოღებულ იქნას წერიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი გვხვდება ლექსებში, როგორც გაყოფა დიფთონგისა სიტყვაში *Europai* და საწინააღმდეგო წესის დარღვევა, რომელსაც ბერძნები ეძახიან და ეწოდება *synaeresis* და *synalaepha*, და ჩვენ *conflexio* -სს (კომბინაცია), როგორც პუბლიუს ვარონის ლექსში: *Quam te flagranti dejectum fulmine Phaeton;* ეს რომ პროზა იყოს, შესაძლებელი იქნებოდა იმ ასოების წარმოთქმა მათი კუთვნილი მარცვლებით. ის ის თავისებურებები, ასევე, რომელიც ეხება

კვანტიტეტურობას, როცა მოკლე მარცვალი გრძელი ხდება, როგორც - *Italiam fato profugus*, ან როცა გრძელი მარცვალი მოკლე ხდება - *Unius ob noxam et furias*, არ უნდა აღნიშნო ლექსების გარდა. ლექსებშიც კი ისინი არ უნდა გამოვიყენოთ როგორც ხარვეზი.

19. ის ხარვეზები, რომლებიც ბგერებში ხდება, მხოლოდ ყურით განიკითხება. რაც შეეხება ასო h-s.

20. ძველები მას ძალიან იშვიათად იყენებდნენ ხმოვნების წინაც კი, რადგან ისინი ამბობდნენ *aedos* და *ircos;* და ეს იყო კარგა ხნის შემდეგ თანხმოვნებით კავშირებისგან, როგორც მაგალითად, *Graccus* and *triumpus*. მაგრამ მოულოდნელად მისი დიდი დოზით გამოყენება გახდა პრევალენტური, ასე რომ *choronae, chenituriones, praechones* ახლაც შეიძლება ვიპოვოთ წარწერებზე. ასეთია, მაგალითად, კატულუსის კარგად ცნობილი ეპიგრამა[9].

21. ჩვენს დროშიც რჩება ისეთი ფორმები, როგორიცაა: *vehementer, conprehendere*, და *mihi*. ძველ მწერლებს, განსაკუთრებით, ტრაგიკოსებს შორის, ძველ ასლებში ვპოულობთ აგრეთვე *mehe* -ს (მე).

22. და მაინც, უფრო რთულია დაუშვა ამ თვალსაზრისით ხარვეზი სიტყვაში *tenores* (ხმები), რომელსაც, ვფიქრობ ასე ეწოდა ძველ მწერლების მიერ იმის გამო, რომ თითქოს ეს სიტყვა წარმოიშვა ბერძნებისაგან, რომლებიც მას ეძახდნენ τονος-ს), ან *accents, რომელსაც ბერძნები უწოდებდნენ προσωδιαι*, როცა მკვეთრი არის ყრუს ნაცვლად, ან ყრუ - მკვეთრის ნაცვლად. თითქოს სიტყვაში *Camillus* პირველმა მარცვალმა უნდა მიიღოს მკვეთრი მახვილი.

23. ან თუ ყრუ არის კირკუმფლექსის ნაცვლად, როგორც მაშინ, როცა კეთეგუსის პირველ მარცვალს აქვს მკვეთრი, და ასე შუა მარცვლის კვანტიტეტურობა იცვლება, ან თუ კირკუმფლექსი არის ყრუს ნაცვლად, როცა მეორე მარცვალი კირკუმფლექ-

სდება, უპირისპირებენ რა რომელი ორი მარცვლიდან ერთში, და შემდეგ ცირკუმფლექსირება, ადამიანები უშვებენ ორ შეცდომას.

24. მაგრამ ეს გაცილებით იშვიათად ხდება ბერძნულ სიტყვებში, როგორც, მაგალითად, *Atreus,* რომელიც, როცა ახალგაზრდა ვიყავი, ყველაზე უფრო განსწავლულები იყენებდნენ მკვეთრით პირველ მარცვლაზე, ისე რომ მეორე აუცილებლად ყრუვდებოდა, ისე როგორც სიტყვებში *Tereus* და *Nereus.* ასეთია მახვილის გამოყენების წესები.

25. მე შეგნებული მაქვს, რომ ეს სწავლული ადამიანები და აგრეთვე, ზოგიერთი გრამატიკოსი, ასწავლის და ლაპარაკობს ამგვარად, რათა დაასრულონ სიტყვა დროდადრო მკვეთრი ბგერით, რათა დაიცვან ეს განსხვავება სიტყვებში, როგორც ეს აროს სიტყვაში *circum* შემდეგ სტრიქონებში: *Quae circum litora, circum Piscosos scopulos.* თუ ამ სიტყვაში *circum* მეორე მარცვალი გახდება ყრუ, უნდა ჩანდეს *circus* და არა *circuit.*

26. *Qucircuantum* და *quale* ასევე, როცა შეკითხვას სვამენ, ამთავრებენ ყრუ მახვილით, როცა შედარებას აკეთებენ, მკვეთრით. ამას ისინი იცავენ მხოლოდ ზმნიზედებში და ნაცვალსახელებში, სხვა სიტყვებში ისინიც ძველ ჩვეულებას მისდევენ.

27. ჩემთვის აღმოჩნდა სხვადასხვა, როცა ამ ფრაზებში ჩვენ ვაერთებთ სიტყვებს, რადგან როცა მე ვამბობ *circum litora,* მე ვამბობ სიტყვებს, როგორც ერთს, ყოველგვარი განსხვავების გარეშე. ამიტომ მხოლოდ ერთი მარცვალი, როგორც ერთ ცალკე სიტყვაშია, არის მკვეთრი. იგივე შემთხვევა გვაქვს ჰომისტიხში *Trojae qui primus ab oris.*

28. ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ საზომის წესი ცვლის მახვილს: *Pecudes, pictaeque volucres;* მე შემიძლია წარმოვთქვა *volucres* მახვილით შუა მარცვალზე, იმიტომ რომ მართალია, იგი ბუნებით მოკლეა, მაგრამ პოზიციით გრძელია. მას არ შეუძლია შექმნას იამბი, რომელსაც საგმირო ლექსი არ აღიარებს.

29. მაგრამ ცალკე აღებული ეს სიტყვები არ განსხვავდება წესისგან. ანუ თუ ჩვეულება გაიმარჯვებს, ენის ძველი წესი გაბათილდება. ამ წესის დაცვა არ დასტურდება ბერძნებთან (რადგან მათ აქვთ ლაპარაკის რამდენიმე სახეობა, რომელთაც ისინი დიალექტებს უწოდებენ და ამიტომ რაც ერთ შემთხვევაში სწორია, მეორეში არასწორია). მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მახვილის პრინციპი ძალიან მარტივია.

30. ყველა სიტყვაში მახვილიანი მარცვალი შემოსაზღვრულია სამი მარცვლით იქნება ეს სამი მხოლოდ, თუ სამი უკანასკნელი. აქედან მახვილიანი მარცვალი არის ან მომდევნო, ან მომდევნო ერთის, ბოლოს გარდა. იმ სამი მარცვლიდან, რომელზეც მე ვსაუბრობ, შუა მარცვალი იქნება გრძელი, ანუ მახვილიანი ანუ კირკუმფლექსი. ამ პოზიციაში, რა თქმა უნდა, მოკლე მარცვალს ექნება ყრუ ბგერა, და შესაბამისად, მახვილი მოვა მის წინ მდგომზე, ანუ ბოლოდან მესამე მარცვალზე.

31. მაგრამ ყველა სიტყვაში არის მახვილიანი მარცვალი, თუმცა არასდროს ერთზე მეტი. არც ბოლოზე, და აქედან გამომდინარე, ორმარცვლიან სიტყვაში იგი პირველზეა. ამას გარდა, არასდროს არ არის ერთსა და იმავე სიტყვაში ერთი მარცვალი კირკუმფლექსური და მეორე მკვეთრი. რადგან კირკუმფლექსური მარცვალი, თავის მხრივ, უკვე მკვეთრია. ამ ორთაგან არცერთზე არ სრულდება ლათინური სიტყვა. ის სიტყვები, რომლებიც ერთზე მეტი მარცვლისგან შედგებიან, იქნება ან მკვეთრი, ან კირკუმფლექსური, რადგან არ არსებობს სიტყვა რაიმე სიმკვეთრის გარეშე.

32. ბგერებში ასევე გვხვდება წარმოთქმისას ხარვეზები, რომლებსაც წერისას ვერ დავუშვებთ. ბერძნები, რომლებიც უფრო ბედნიერები არიან სახელების გამოგონებაში, მათ ეძახიან *solacism*, *lambdacisms*, ισχνοτητες და πλατειασμοι: აგრეთვე χοιλοστομια, როცა ხმა ისე ისმის, თითქოს ხორხიდან სიღრმიდან ამოდის.

33. არის ასევე მთელი რიგი განსაკუთრებული, გამოუთქმელი ბგერებისა, რომელთა გამოც ჩვენ ზოგჯერ ხარვეზებს მთელ რიგ ერებში ვპოულობთ. ყველა ის შეცდომა, რაც ზემოთ აღვნიშნეთ რომ მოვაშოროთ, შედეგი იქნება ის, რასაც ეძახიან *ორθοεπεια*-ს (სიტყვის სწორი და მკაფიო წარმოთქმა ბგერის მესაგამისად). მხოლოდ ასე შეიძლება სწორი წარმოთქმა დავიცვათ.

34. ყველა სხვა ნაკლის წარმოშობა ერთზე მეტი სიტყვისგან არის გამოწვეული. მათ შორის არის *solecism*, თუმცა ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაც არსებობს. ისინიც კი, ვინც თვლიან, რომ ეს დევს სიტყვების შეერთებაში, მაინც მიიჩნევენ, რომ რადგანაც იგი შეიძლება შესწორებულ იქნას ცალკეული სიტყვის ხარვეზის გამოსწორებით, ეს არის სიტყვის არასწორობაა და არა შეთხზვის ხარვეზი.

35. და მაინც, თუ *amarae corticis* ან *medio cortice* შეიცავს ხარვეზს სქესში (რომელთაგან ორთავეს წინააღმდეგი ვარ, ორივეს ავტორი ვერგილიუსია[10], მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ერთერთი მათგანი არასწორია), ერთი სიტყვის ალტერაცია, რომელშიც არის ხარვეზი, ქმნის ფრაზეოლოგიის კორექტულობას. ამიტომ ჩვენ გვაქვს *amari corticis* ან *media cortice*. ეს არის აშკარა დამახინჯება, არასწორად წარმოდგენა. რადგან ორივე სიტყვა სწორია, ცალკე აღებული, მაგრამ ხარვეზი ჩნდება მაშინ, როცა ისინი ერთად იდება და ეს არის ფრაზის ხარვეზი.

36. ეს არის უფრო დიდი გამჭრიახობის (შორსმჭვრეტელობის) საკითხი, შეიძლება თუ არა გრამატიკული შეცდომა დაშვებულ იქნას ერთ სიტყვაში. როგორც, თუ კაცი თავისთან უხმობს ერთ ადამიანს, მან უნდა თქვას: *venite*, ან თუ რამდენიმეს უშვებს მისგან, უნდა თქვას: *abi*, ან *discede;* ან უფრო მეტიც, როცა პასუხი არ შეესაბამება შეკითხვას, თითქოს ადამიანებს ეუბნები: *quem vides?* შენ უნდა უპასუხო: *ego*. ზოგი ასევე ფიქრობს, რომ იგივე ხარვეზი დაშვებულია ჟესტიკულაციაში ხმით, და მეორე -

თავის დაქნევით, ან ხელით.

37. ამ ყველა აზრს მე არ ვეთანხმები, არც ყველას ვემიჯნები, რადგან მე ვუშვებ, რომ სოლეციზმი შეიძლება იყოს ერთ სიტყვაში, მაგრამ არასდროს, თუ მასში არ არის სხვა სიტყვის ზეგავლენა, რომელსაც არასწორი სიტყვა მიემართება. ასე რომ, სოლეციზმი წარმოიშობა საგანთა გაერთიანებით, რომლებითაც რაიმე აღინიშნება, ან რაიმე განზრახვა ხდება ცხადი.

38. მაგრამ არ არის თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რამდენი და რა ფორმებით ხდება გრამატიკული შეცდომები. ისინი, ვინც მასზე ლაპარაკობენ, ყველაზე სრულად ქმნიან მათ ოთხჯერად ბუნებას, ბარბარიზმების მსგავსად. ასე რომ, ის შეიძლება დაშვებულ იქნას დამატებით, როგორც: *Veni de Susis in Alexandriam*; ან შემცირებით, როგორც *Ambulo viam, Aegypto venio; ne hoc fecit*;

39. ტრანსპოზიციით, რომლითაც სიტყვების წყობა იცვლება, როგორც: *Quoque ego* ; *Enim hoc voluit; Aulem non habuit*; რომლის დროსაც თავი, *igitur*, გადანაცვლებული ფრაზის დასაწყისში, უნდა ჩაითვალოს საკამათოდ, რადგან მე ვხედავ, რომ ცნობილი ავტორები საწინააღმდეგო აზრის არიან.

40. ამ სამ სახეობას არაწესიერებისას ზოგი განასხვავებს სოლეციზმისაგან და ეძახიან დამატების ხარვეზს - პლეონაზმს , შემცირების ხარვეზს ელიპსისს, ივერსიის ხარვეზს ანასტროფს და ამტკიცებენ, რომ თუ ესენი მოექცევიან სოლეციზმის სათაურის ქვეშ, *hyperbalon* შეიძლება აერთიანდეს იმავე სახელწოდების ქვეშ.

41. სუბსტიტუცია, უდავოდ, არის, როცა ერთი რაიმე მეორეს ენაცვლება. არაწესიერება, რომელიც, როგორც ვნახეთ, ზეგავლენას ახდენს მეტყველების ყველა ნაწილზე, მაგრამ შედარებით იშვიათად - ზმნაზე, რადგან მას აქვს უმეტესი მოდიფიკაცია.

42. შესაბამისად, სუბსტიტუციის გამო, ხდება სოლეციზმი

სქესში, დროში, პირში, კილოში (ან სახე თუ სახეობა, თუ ვინმეს სურს ასე ვუწოდოთ), ექვსია, ან როგორც ზოგიერთს მიაჩნია - რვა (რამდენ ფორმასაც გამოყოფ, იმდენი სახის შეცდომა იქნება დაშვებული), ისე როგორც რიცხვში, ჩვენ გვაქვს მხოლობითი და მრავლობითი, ხოლო ბერძნებს დამატებით - ორობითი.

43. ზოგიერთი მოგვაწერს ჩვენ ორობითსაც *scripsere, legere*, ტერმინები, რომელიც იყო შერბილება, რათა თავიდან აეცილებინათ ბგერის სიუხეშე, როგორც ძველ ავტორებთან: *male merere* ნაცვლად *male mereris*; ასე რომ, რასაც ისინი ორობითს ეძახიან, მხოლოდ ერთი ტერმინისაგან შედგება, მაშინ როცა ბერძნებთან იგი დაიძებნება არა მხოლოდ თითქმის მთელი ზმნის სისტემაში, არამედ, აგრეთვე, არსებით სახელებშიც. და მაინც, მიუხედავად ამისა, მისი გამოყენება ძალიან იშვიათია.

44. მაგრამ არცერთ ჩვენს ავტორთან არ მოიძებნება დაბოლოების ამგვარი ტიპი. პირიქით, ფრაზები *Devenere locos, Conticuere omnes, Consedere duces*, ნათლად გვიჩვენებს, რომ არცერთი მათგანი მხოლოდ ორ პერსონას არ ებება. ასევე *dixere*, მიუხედავად იმისა, რომ ანტონიუს რუფუსს მოჰყავს იგი, როგორც საწინააღმდეგოს მაგალითი[11], მაცნე წარმოთქვამს მას, უფრო მეტის მისამართით, ვიდრე ორია. განა ლივიუსიც, ამ წიგნის დასწყისში არ ამბობს: *Tenuere arcem Sabini*, და ცოტა ხნის შემდეგ: *In adversum Romani subiere?* მაგრამ ვის ვენდო უფრო მეტად, ვიდრე ციცერონია, რომელიც ამბობს[12]: მე არა ვარ წინააღმდეგი სიტყვისა *scripsere*, მაგრამ მირჩევნია *scripserunt?*

45. საზოგადო არსებით და სხვა სახელებში, როგორც ჩანს, სოლეციზმი თავს იჩენს სქესთან და რიცხვთან მიმართებაში, მაგრამ განსაკუთრებით, ბრუნვაში. ამ სამთაგან, რომელიც დაიკავებს სხვა ადგილს, შეცდომაც ამის მიხედვით იქნება. ისევე, როგორც არაკორექტულობა შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ზედსართავ სახელებში; ისე როგორც ბრუნვებში, როცა მამის სახელი ჯდება კუთვნილებითის ნაცვლად და პირიქით.

46. რაც შეეხება ხარვეზს, რომელიც კვანტიტეტურობის გამოა დაშვებული, როგორც, მაგალითად, ***magnum peculiolum***, აუცილებლად გამოჩნდება ვინმე, ვინც ამას გრამატიკულ შეცდომად ჩათვლის, რადგან შემოკლება გამოიყენება ინტეგრალური სიტყვის ნაცვლად; მაგრამ მეეჭვება, რომ მე არ ვუწოდებ მას სიტყვის არასწორად გამოყენებას, რადგან იგი გამოცალკავებულია მნიშვნელობისგან. შესაბამისად, სოლეციზმი არის არა სიტყვის მნიშვნელობაში, არამედ სიტყვების შეკავშირებაში.

47. მიმღეობაში შეცდომები დაიშვება სქესსა და ბრუნვაში, ისევე როგორც სახელებში; დროში, ისევე როგორც ზმნასა და რიცხვში, ისე როგორც ორივე შემთხვევაში. ნაცვალსახელსაც აქვს სქესი, რიცხვი და ბრუნვა, შესაბამისად, დაიშვება შეცდომებიც.

48. სოლეციზმი გვხვდება ასევე მეტყველელების ნაწილებშიც და საკმაო რაოდენობით, მაგრამ ბავშვმა უნდა იფიქროს მხოლოდ იმ გრამატიკულ შეცდომებზე, რომლებიც ხდება ერთი მეტყველების ნაწილის მეორეს ნაცვლად გამოყენების დროს, როგორც მაგალითად, ზმნის - სახელის ნაცვლად, ან ზმნიზედის გამოყენება იქ, სადაც ნაცვალსახელი უნდა იყოს და სხვა ამის მსგავსი.

49. რადგან არის ისეთი არსებითი სახელები ***cognate***, როგორც ამბობენ, იმავე ტიპის, რომელთა გამოც ვინც გამოიყენებს სხვა სახეობას, გარდა იმისა, რაც უნდა გამოიყენოს, არანაკლებ დამნაშავე იქნება, ვიდრე მაშინ, თუ ის გამოიყენებდა სხვაგვარ სიტყვას.

50. ამგვარად, ***an*** და ***aut*** ორივე კავშირებია, მაგრამ არასწორია თუ იკითხავ: ***hic, aut ille, sit?*** ***Ne*** და ***non*** ორივე ზმნიზედებია, მაგრამ ვინც იტყვის ***non feceris*** ნაცვლად ***ne feceris***, მსგავს შეცდომას დაუშვებს, რადგან ერთი უარყოფის ზმნიზედაა, ხოლო მეორე - აკრძალვის. მე დავამატებ კიდევ ერთ მაგალითს: ***intro*** და ***intus*** ორივე ადგილის ზმნიზედებია,მაგრამ ***eo intus*** და ***intro***

sum სოლეციზმებია.

51. ამგვარივე შეცდომის დაშვება შეიძლება ნაცვალსახელების, შორისდებულების და წინდებულების შემთხვევაში. შეუწყობელი განლაგება წინამავალი და მომდევნო სიტყვებისა ერთი ტიპის წინადადებაში, ასევე სოლეციზმია.

52. არის ისეთი სიტყვები, რომლებსაც სოლეციზმის ნიშნები აქვს, მაგრამ არ შეიძლება მათ ხარვეზი დავარქვათ, როგორიცაა: *tragoedia Thyestes*, *Ludi Floralia*, და *Megalesia*; მართალია, გამოთქმების ეს სახეობები კარგა ხანია ხმარებიდან გამოსულია, ძველებში არ იყო ოდესმე რაიმენაირი სხვა სახეობა მათგან. მათ უნდა დავარქვათ *figures* (მეტაფორები). მეტაფორები, ძირითადად, პოეტებისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ მწერლებისა და მოსაუბრეებისთვისაც ნებადართულია პროზაში.

53. მაგრამ მეტაფორას, ზოგადად, ექნება რაღაც სწორი თავისი საფუძვლისათვის, რასაც, როგორც ადრე შეგპირდით, გაჩვენებთ. რასაც ახლა *figure*-ს, არ იქნება დაზღვეული გრამატიკული შეცდომებისაგან, თუ ვინმე მას შესაბამისი ცოდნის გარეშე გამოიყენებს.

54. ამის მსგავსს, მაგრამ ისე, რომ მეტაფორასთან არანაირი კავშირი არა აქვთ, ვხვდებით სახელებში, რომელთაც მდედრობითი სქესის მიუხედავად, მამაკაცებთან ვხვდებით და სახელებში, რომელთაც, მამრობითი სქესის მიუხედავად, ქალებს ეძახიან. მაგრამ სოლეციზმის შესახებ მეტს აღარ ვიტყვი. მე არ დამისახავს მიზნად დავწერო გრამატიკის ტრაქტატი, მაგრამ რადგან გზად გრამატიკა შემომხვდა, არ მსურდა ჩემი ღრმა პატივისცემის გარეშე ჩამევლო მისთვის გვერდი.

55. ნება მომეცით, იმ გზაზე, რაც მე დავისახე მიზნად, გავიმეორო, რომ სიტყვები ან ლათინური წარმოშობისაა, ან უცხოური. უნდა ვთქვა, რომ უცხოური სიტყვები ჩვენთან შემოვიდა სხვადასხვა ერებიდან.

56. არაფერს ვამბობ ტუსკანების, საბინების და პრენოსტიე-

ბის შესახებ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ლუკილიუსი ეკამათება ვექტიუსს მათი დიალექტის გამოყენების შესახებ, როგორც პოლიონი აღნერს ლივიუსთან, მე იტალიის ყველა ნაწილს რომაულად ჩავთვლი.

57. ბევრი გალური სიტყვა შემოიჭრა ჩვენში, როგორიცაა, *rheda* (ეტლი), *peiorritum* (ოთხბორბლიანი ეტლი), რომელთაგან ერთს ციცერონი იყენებს, მეორეს - ჰორაციუსი. *Mappa*-ც (ხელსახოცი) აგრეთვე არის ტერმინი, რომელიც უფრო გამოიყენება ცირკში, კარტაგენელები ამტკიცებენ, რომ მათია. *Gurdus*, რომელსაც ადამიანები იყენებენ *სულელის* აღსანიშნავად, როგორც მსმენია, ესპანური წარმოშობისაა.

58. მაგრამ ჩემი ეს დაყოფა, ძირითადად, ეხება ბერძნულ ენას, რადგან ის სწორედ იმ ჯგუფს ეკუთვნის, საიდანაც დიდი დოზით ლათინური ენა განვითარდა. ჩვენ წმინდა ბერძნულ სიტყვებსაც კი ვიყენებთ, სადაც ჩვენი საკუთარი არ გვაქვს, ისე როგორც ზოგჯერ ისინი სესხულობენ ჩვენგან. ჩნდება შეკითხვა, რამდენად სწორია, რომ უცხო სიტყვები ისევე ვაბრუნოთ, როგორც ჩვენი საკუთარი.

59. თუ თქვენ შეხვდებით გრამატიკოსს, რომელიც შეყვარებულია ანტიკურობაზე, ის გეტყვით, რომ არ უნდა დავშორდეთ ლათინურ მეთოდს. რადგანაც ჩვენ გვაქვს ჩვენს ენაში აბლატივუსი, რომელიც არა აქვთ ბერძნებს, უდავოდ, ერთი ბრუნვა უნდა იყოს ჩვენი, ხუთი - ბერძნების.

60. და იგი აუცილებლად შეასხამს ქება-დიდებას მათ, ვინც ცდილობდა გაეზარდა ლათინური ენის რესურსები და ირწმუნებოდა, რომ მათ არ სჭირდებოდათ უცხოური პრაქტიკა, რომლის ზეგავლენით ისინი ამბობდნენ *Castorem*, გრძელი შუა მარცვლით, იმიტომ რომ ასეთი იყო ბრუნვა ყველა ჩვენი არსებითი სახელისა, რომელიც ნომინატივუსში ბოლოვდება იმავე ასოებით, როგორც *Castor*; და მათ დატოვეს ეს პრაქტიკა, როცა ამბობდნენ *Palaemo, Telamo*, and *Plato* (ციცერონიც ასევე ეძახდა

მათ), რადგან მათ ვერ იპოვეს ლათინური სიტყვა, რომელიც დასრულდებოდა *o* და *n* ასოებით.

61. არც ბერძნული მამრობითი სქესის სიტყვების დასრულებას თანხმდებიან *as*-ზე სახელობით ბრუნვაში ადვილად. შესაბამისად, კელიუსთან ვკითხულობთ: *Pelia Cincinnatus;* მესალასთან - *Bene fecit Euthia;* ციცერონთან - *Hermagora*. ამგვარად, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ფორმები *Aenea* and *Anchisa* უმეტესი ავტორების მიერ გამოიყენებოდა. ისინი ამბობდნენ: თუ ეს სიტყვები დაიწერებოდა ასე: *Maecenas, Suffenas, Asprenas,* ისინი დამთავრდებოდნენ გენეტივუსით, არა *e* ასოთი, არამედ მარცვლით *tis*.

62. და მაინც, სიტყვებს *Olympus* და *tyrannus* -ს მათ მისცეს მკვეთრი შუა მარცვალი, რადგან ჩვენი ენა არ რთავს ნებას სიტყვის პირველ მარცვალს, თუ იგი მოკლეა, ჰქონდეს მკვეთრი აქცენტი, თუ მოსდევს ორი გრძელი მარცვალი.

63. ამგვარად, გენეტივს აქვს ფორმები *Achilli* და *Ulixi*; ასევეა ბევრი სხვა მსგავსი სიტყვა. თანამედროვე გრამატიკოსებმა პრაქტიკაში დაამკვიდრეს მისცენ ბერძნულ სიტყვებს უფრო ბერძნული ბრუნება. თუმცა, ამ პრაქტიკის დაცვა ყოველთვის ვერ ხერხდება. რაც შემეხება მე, ვამჯობინებდი ლათინურ მეთოდს, რამდენადაც ამის საშუალებას შესაბამისობა და წესები გვაძლევს. მე არ ვიტყოდი *Calypsonem, Junonem,* მაგრამ გაიუს კეისარი, მისდევს რა უფრო ძველ მწერლებს, აკეთებს ამას.

64. მაგრამ ჩვეულებამ მოახდინა ავტორიტეტებზე პრევალირება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინც გადაწყვეტს გამოიყენოს ბერძნული ფორმა, ილაპარაკებს არა ნამდვილი რომაელივით.

65. მარტივი სიტყვები ისინია, რომლებიც არის თავიანთი თავდაპირველი ფორმით, რაც მათ საკუთარ ბუნებაშია[13]. რთულია ის სიტყვები, რომლებიც შედგება ან სიტყვისა და წინდებულის შეერთებით, როგორც *innocens* (ყურადღება მივაქციოთ,

რომ არ იყო ორი ერთმანეთთან შეუთავსებელი წინდებული, როგორც სიტყვაში *imperterritus*, სხვა შემთხვევაში ორი შიძლება გაერთიანდეს ერთ შიტყვაში, როგორც ეს არის სტიყვებში: *incompositus, reconditus* და *სიტყვაში, რომელსაც იყენებს ციცერონი: subabsurdum*), ან ორი სიტყვა შეისისხლორცებს ერთმანეთს, როგორც *maleficus*.

66. ხოლო სამი სიტყვის გაერთიანებას არ მივესალმებოდი ჩვენს ენაში რომ გვესესხებინა. ციცერონი ამბობს, რომ *capsis* is შედგენილი სამი სიტყვისაგან: *cape si vis*; ზოგიც ამტკიცებს, რომ *Lupercalia*-ც შდგება მეტყველების სამი ნაწილიდან: *luere per caprum*[14].

67. რაც შეეხება *solitaurilia*-ს, ახლა დარწმუნებით აღიარებულია, რომ იგი არის *suove-taurilia*-ს ნაცვლად, და ასეთი ნამდვილად არის მსხვერპლშეწირვა, ამასთან, იგი აღწერილია ჰომეროსთან[15]. მაგრამ ეს სიტყვები აგებულია არა იმდენად სამი სიტყვისაგან, არამედ სამი სიტყვის ნაწილებია. პაკუვიუსმა, როგორც ჩანს, შექმნა რთული სიტყვები ყველაზე უფრო ულაზათოდ წინდებულისა და ორი სიტყვისაგან: *Nerei Repandirostrum, incurvicervicum pecus* (ნერევსის ფართეცხვირიანი, მოგრეხილ კისრიანი ბავშვები).

68. რთული სიტყვები, როგორც წესი, შედგება ორი სრულფასოვანი სიტყვისაგან, როგორიცაა: *superfui, subterfugi* (თუმცა საკითხავია, ნამდვილად სრული სიტყვებისაგან არის თუ არა ნაწარმოები), სრული და არასრული სიტყვებისაგან, როგორც *malevolus*, უცხოური და ლათინური სიტყვებისაგან, როგორც *epilogium* და *Anticato*, ან ორი უცხო სიტყვისაგან, როგორც *epirhedium*, რადგან წინდებული επι ბერძნული წარმოშობისაა, ხოლო *rheda* - გალური. მიუხედავად იმისა, რომ არც ბერძნული და არც გალური ენა არ იყენებს შედგენილ სიტყვებს, რომაელებმა შექმნეს თავიანთი სიტყვა ორი უცხო სიტყვისაგან.

69. იშვიათად, ასევე გაერთიანება იწვევს ცვლილებას წინ-

დებულებში, როგორც სიტყვებში: *abstulit, aufugit, amisit,* თუმცა წინდებულებია *ab* და *coit,* წინდებული არის *con.* ასევეა *ignovi, erepti* და სხვა მსგავსი შედგენილი სიტყვები.

70. კომპოზიტი ყველაზე მეტად შეეფერება ბერძნებს. ჩვენთან ის ნაკლებად წარმატებულია. არ ვფიქრობ, რომ ეს ენის ბუნების ბრალია. ჩვენ უფრო მეტად ვიღებთ უცხოურ რთულ სიტყვებს. შესაბამისად, როცა ჩვენ აღფრთოვანებული ვართ სიტყვით *κυρταυχένα,* ძლივს ვიცავთ *incurvicervicum*-ს დაცინვისაგან.

71. სიტყვები საკუთარია, თუ ისინი აღნიშნავენ იმას, რასაც პირველად მიეკუთვნებოდნენ, მეტაფორულად, როცა აქვთ მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ბუნებით, და მეორე იმ ადგილზე, სადაც ისინი გამოიყენება. საზოგადო სიტყვებს ჩვენ ვიყენებთ უფრო ნაკლები რისკით. ახლების ფორმირება არ ხდება ცოტა საფრთხის გარეშე. თუ ისინი კარგად მიიღება, ჩვენ სტილს ცოტა ღირსებას თუ უმატებენ და თუ უარყოფილია, იქცევა ხუმრობებად ჩვენს წინააღმდეგ.

72. მაინც უნდა ვცადოთ. რადგან, როგორც ციცერონი ამბობს, ის სიტყვებიც კი, რომლებიც თავიდან უხეშად გვეჩვენება, გამოყენებისას რბილდება. რაც შეეხება *onomatopoeia*-ს, იგი უცილობლად ნასესხებია ჩვენს ენაში. თუ ჩვენ გავრისკავთ შევქმნათ ამ აღმაფრთოვანებელი გამოთქმების მსგავსი, როგორიცაა: λιγξεβιος (სიმმა დაიწკრიალა) და σιζε οφθαλμος[16] (თვალმა დაუსტვინა), ვინ მოითმენს ამას? ჩვენ იმასაც ვერ გავბედავთ, ვთქვათ *balare* (ბღავილი) ან *hinnire* (ჭიხვინი), ეს სიტყვები რომ ანტიკურობით არ იყოს გამაგრებული და დამტკიცებული.

თავი მეექვსე.

1.არსებობს გარკვეული წესები, რომლებიც უნდა დაიცვან როგორც მოსაუბრეებმა, ისე მწერლებმა. ენა დაფუძნებულია საფუძველზე, სიძველეზე, ავტორიტეტზე, ჩვეულებაზე.

2. ანალოგია და ეტიმოლოგია ზოგჯერ ის არის, რაც საშუალებას აძლევს საფუძვლის მთავარ საყრდენს, გარკვეულ დიდებულებას და თუ შეიძლება ასე ვთქვა, რელიგიას, ალამაზებს ანტიკური ხელოვნება. ავტორიტეტი, ჩვეულებრივ, იძებნება ორატორებს, ან ისტორიკოსებს შორის.

3. რაც შეეხება პოეტებს, საზომის ვალდებულება ზღუდავს მათ ფრაზეოლოგიას.

4. რასაც ითხოვს, არის ის, რომ მწერალმა ან მოსაუბრემ უნდა შეადაროს ყველაფერი, რაც კი საეჭვოა, რაიმე მსგავსთან, რომლისადმიც არანაირი ეჭვი არ არსებობს, რათა დაამტკიცოს განსაზღვრულით განუსაზღვრელი. ეს კეთდება ორი გზით: მსგავსი სიტყვების შედარებით, მათ ბოლო მარცვლებს (რადგან ის სიტყვები რომელსაც ერთზე მეტი მარცვალი აქვთ, არ აიხსნება ანალოგიით) და *diminutives*-ით.

5. შედარება არსებით სახელებში გვიჩვენებს ან მათ სქესს, ან მათ ბრუნვას. მათი სქესი, როცა გაცნობებს, *funis* მამრობითი თუ მდედრობითი, *panis* შეიძლება მასთან იყოს შედარების ობიექტი; მათი ბრუნება, თუ ეს იქნება ეჭვის საგანი, უნდა ვთქვათ *hac domu* თ *hac domo*, და *domuum* თ *domorum, domus, anus, manus*, შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს.

6. *diminutives*–ის ფორმაცია გვიჩვენებს სიტყვების მხოლოდ სქესს, როგორც *funiculus* ამტკიცებს, რომ *funis* მამრობითი სქესისაა.

7. ასეთივე მსგავსი მიზეზია ზმნების შედარებისთვის. თუ ვინმე, ვინც მისდევს ბველ მწერლებს, წარმოთქვამს *fervere*-ს მოკლე შუა მარცვლით, მას დასწამებენ არაკორექტულად ლაპარაკს, და მაინც, ყველა ზმნა, რომელიც მთავრდება *e* -სა და *o* -ზე თხრობით კილოში, როცა მათ უარყვეს *e* ინფინიტივის შუა მარცვლებში, აქვთ იგი აუცილებლად გრძელი, როგორც სიტყვებში *prandeo, pendeo, spondeo, prandere, pendere, spondere*.

8. მაგრამ რომელთაც აქვთ *o* მხოლოდ ინდიკატივში, როცა

ბოლოვდებიან იმავე ასო *e*-ზე ინფინიტივუსში, ამოკლებენ მას, როგორც სიტყვებში *lego, dico, curro, legere, dicere, currere*. თუმცა ლუკილიუსთან გვხვდება *Fervit aqua et.fervet; fervit nunc, fervit ad annum* (წყალი დუღს და იდუღებს, ის ახლაც დუღს და წლების მანძილზე იდუღებს).

9. მაგრამ მიუხედავად ასეთი ცნობილი ადამიანის განსწავლულობისადმი პატივისცემისა, თუ ის ფიქრობს, რომ *fervit* მსგავსია სიტყვებისა *currit* და *legit*, *fervo* იქნება მსგავსი სიტყვებისა *curro* და *lego*, სიტყვა, რომელიც მე არასდროს გამიგონია. მაგრამ ეს არ არის ზუსტად შედარება, რადგან *servit* ჰგავს სიტყვას *fervit*, და ვინც ამ ანალოგიას მისდევს, მან უნდა თქვას *fervire* ისევე როგორც *servire*.

10. პრეზენს ინდიკატივი არის ასევე ზოგჯერ აღმოჩენილი სხვა კილოებსა და დროებში. მე მახსოვს, რომ ზოგი ადამიანი, რომელიც მლანძღავდა მე სიტყვის *pepigi* გამოყენების გამო, ჩემს მიერ შემჩნეული იყვნენ სხვა შეცდომაში. მათ დაუშვეს, რომ საუკეთესო ავტორები იყენებდნენ ამ სიტყვას, მაგრამ უარყოფდნენ, რომ ანალოგია უშვებდა მის გამოყენებას. პრეზენს ინდიკატივი სიტყვისა *paciscor*, რადგან მას ჰქონდა ვნებითის ფორმა, პერფექტში იყო *pactus sum*. მაგრან მე, გარდა იმისა, რომ მოვიშველიე ორატორებისა და ისტორიკოსების ავტორიტეტი, დავადგინე, რომ *pepigi* ასე გამყარებული იყო ანალოგიით.

11. როგორც „12 არაკში" ვკითხულობთ, *ni ita pagunt*, დავადგინე, რომ მსგავსია *cadunt* და *pagunt*. ფრეზენთ ინდიკატივი, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში მისი გამოყენება შემცირდა, აშკარად იყო *pago*, ისე როგორც *cado*; და ჩვენ ვამბობთ *pepigi* მსგავსად *cecidi*-სა.

12. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ანალოგიის კურსი არ შეიძლება იყოს მეტყველების ყველა ნაწილში, რადგან ბევრ შემთხვევაში იგი წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ თავთან. ნასწავლი ადამიანები, ნამდვილად, მთელ ძალღონეს ხარჯავენ,

რატა გაამარტლონ მისგან ზოგიერთი დასორება, რადგან როცა აღნიშნულია, რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ბრუნვებში და რიცხვში *lepus* და *lupus*, მიუხედავად იმისა, რომ სახელობითში მსგავსი არიან, ისინი პასუხობენ, რომ ისინი არ არის ერთი და იგივე სახეობის, მაინც, *lepus* არის ეპიკენე და *lupus* - მამრობითი. თუმცა, ვარონი წიგნში, რომელშიც იგი გვიყვება ქალაქ რომის დაარსების შესახებ, იყენებს *lupus* - ს როგორც მდედრობითს, ბაბავს რა ენიუსსა და ფაბიუს პიქტორს.

13. მაგრამ იგივე გრამატიკოსები, როცა ეკითხებიან, რატომ არის, რომ *aper* ქმნის *apri*-ს და *pater – patris* -ს, ამტკიცებენ, რომ პირველი უარყოფილია მთლიანად, ხოლო მეორე - სხვა რამესთან მიმართებაში. გარდა ამისა, რადგან ორივე წარმოშობილია ბერძნულისაგან, ისინი ემორჩილებიან წესს, რომ *πατρος* გვაძლევს *patris-ს, ხოლო καπρου – apri*-ს.

14. როგორ გაექცევიან ისინი იმ ფაქტს, რომ არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდებიან ასოებზე *u* და *s* ნომინატივუსის მხოლობით რიცხვში, არასდროს, მდედრობითი სქესიც კი, არ ბოლოვდება მარცვლით *ris* გენეტივუსში, და მაინც, *Venus* გვაძლევს *Veneris*-ს, და რომ მართალია, *es*-ზე დაბოლოებულ სახელებს გენეტივუსში სხვადასხვა დაბოლოებები აქვს, მაინც მათი გენეტივუსი არასდროს არ ბოლოვდება იმავე *ris* მარცვალზე მაშინ, როცა *Ceres* გვაიძულებს ვთქვათ *Cereris*?

15. და რა ვთქვა მეტყველების იმ ნაწილების შესახებ, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი დასაწყისი აქვთ, წინ უძღვით სხვადასხვა ფლექსია, როგორც *Alba* ქმნის *Albani* -ს და *Albenses*-ს, *Volo - volui* და *volavi*-ს? ტადგან, ის ზმნები, რომლებიც მთავრდებიან *o* ასოზე პირველი პირის მხოლობით რიხცში, სხვადასხვაგვარად ფორმირდება პერფექტში, როგორც *cado* ხდება *cecidi, spondeo - spopondi, pingo - pinxi, lego - legi, pono -posui, frango - fregi, laudo – laudavi.*

16. რადგანაც ანალოგია ზეციდან არ ჩამოფრენილა, როცა

პირველად შეიქმნა ადამიანი, მათთვის რომ ლაპარაკის წესები დაედგინათ, არამედ, აღმოჩენილ იქნა მას შემდეგ, რაც ადამიანებმა დაიწყეს ლაპარაკი, და მას შემდეგ, რაც აკვირდებოდნენ, როგორ მთავრდებოდა თითოეული სიტყვა საუბრისას. იგი დაფუძნებულია არა მიზეზზე, არამედ მაგალითზე. იგი არც საუბრის კანონია, არამედ დაკვირვების შედეგი. არაფერი, გარდა ჩვეულებისა, არ არის ანალოგიის წყარო.

17. და მაინც, ზოგი ადამიანი რჩება ამის ერთგული ყველაზე უფრო უსიამოვნო დაჟინებით დამოკიდებულებით სიზუსტის მიმართ. ასე რომ, ისინი უფრო იტყვიან *audaciter*, ვიდრე *audacter*, თუმცა ყველა ორატორი ამ უკანასკნელს ამჯობინებს; და *emicavit* და არა *emicuit*, *conire* და არა *coire*. ასეთ ადამიანებს ჩვენ შეიძლება ნება დავრთოთ თქვან *audivisse* და *scivisse*, *tribunale* და *faciliter*, *frugalis* და არა *frugi*, რადგან კიდევ როგორ შეიძლება მოხდეს *frugalitas* -ის ფორმირება?

18. დაე, მათ დაამტკიცონ, რომ *centum millia nummum* და *fidem Deum* ორი სოლეციზმია, თუმცა ისინი ცდებიან ორივეში - ბრუნვასა და რიცხვში. ჩვენ მათ უარვყოფთ და ლამის ვწუწუნებდით ჩვეულებაზე, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ციცერონი ამოწმებს შესანიშნავად თავის „ორატორში."

19. ასევე ავგუსტუსი, თავის წერილებში კაიუს კეისარისადმი, უსწორებს მას, რომ თქვა *calidum* და არა *caldum*. არა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი არ არის ლათინური, არამედ იმიტომ, რომ არასასიამოვნოა და თავად იგი მას გამოხატავს ბერძნული სიტყვით *περιεργον*.

20. ამ ყველაფერს ისინი ნამდვილად თვლიდნენ უბრალო *ορθοεπεια*-დ (ორთოეპია, მართლწარმოთქმა), რომელიც მე, რა თქმა უნდა, გვერდზე გადავდე; რა არის ისე აუცილებელი, როგორც მეტყველების კორექტულობა? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა მივსდიოთ მას, რამდენადაც ეს შესაძლებელია და დაჟინებულ მოთხოვნას ნოვატორების წინააღმდეგ. მაგრამ რომ დავაბრუ-

ნოთ ის სიტყვები, რომლებიც მოძველებულია და ხმარებიდან გამოსული, თავხედობაა და პატარა რამეებით ბავშვური ტრაბახი.

21. წება მივცეთ უკიდურესად განათლებულ ადამიანს, რომელიც მოგესალმათ ასპირაციის გარეშე და და მეორე დაგრძელებული მარცვლით (რადგან ზმნა, რომელსაც იგი იტყვის, არის *avere*), თქვას ასევე *calefacere* და *conservavisse* ზუსტად ისე, როგორც ჩვენ ვამბობთ და დაე, შეაერთოს *face, dice* და ამის მსგავსი.

22. მისი გზა სწორია გზაა. ვინ უარყოფს ამას? მაგრამ უფრო სწორი და გაცვეთილი გზა არის ახლოს მის გვერდით.

23. მათი ეს ცვლილება არანაკლებ გაბედულია (თავხედურია), ვიდრე თუ ისინი ისინი შეცვლიდნენ ასო *o*-ს ასო *u*-თი გენეტივუსში სიტყვებისა *sulfur* და *guttur*, იმიტომ რომ *eboris* და *roboris* ნაწარმოებია *o*-თი. ანტონიოს გნიფოსის[18] მაგალითის მიხედვით, რომელიც ამტკიცებს, რომ *robur* და *eburare* საკუთარი სახელებია, და *marmur*-იც კი, მაგრამ მათი მრავლობითი რიცხვი იქნება *robura, ebura, marmura*.

24. მაგრამ თუ ისინი ყურადღებას მიაქცევენ ასოების მსგავსებას, გაიგებენ, რომ *roboris* ისე მარტივად წარმოიქმნა *robur* -ისაგან, როგორც *militis, limitis* სიტყვებისგან *miles, limes*, ან *judicis, vindicis* სიტყვებიდან *iudex, vindex* და დააკვირდებოდა ზოგ სხვა ფორმას, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე.

25. განა მსგავსი ნომინატივუსი, რომელზეც მე ვისაუბრე, შორდება რაც შეიძლება არამსგავსი ფორმით ირიბ ბრუნვებში, როგორც *Virgo, Juno; fusus, lusus; cuspis, puppis* და ათასობით მათი მსგავსი? ისეც ხდება, რომ ზოგ არსებით სახელს არა აქვს მრავლობითი რიცხვი, ზოგს - მხოლობითი; ზოგი არ იბრუნება,- ზოგიც მთლიანად შორდება ნომინატივუსში თავის ფორმას, როგორც, მაგალითად, *Jupiter*.

26. იგივე თავისებურებებს ვაწყდებით ზმნების შემთხვევაშიც, როგორც, მაგალითად, *fero, tuli*, რომელთაგან წინარეწარსუ-

ლი იწარმოება და სხვა არაფერი. არ არის მნიშვნელოვანი, ეს გამოუყენებელი ნაწილები არის თუ არა აქტიურად ხმარებაში, თუ ისინი საკმაოდ უხეშია გამოსაყენებლად. რადგან მაგალითად, *progenies*-ს გენეტივუსში ექნება მხოლობითი რიცხვი? ან როგორ იქნება *spes* გენეტივუს პლურალისში? ან როგორ ფორმას მიიღებს *quire* და *ruere* პერფექტუმ პასივში, ან ვნებითი გვარის მიმღეობაში?

27. აზრი არა აქვს, კიდევ მოვიყვანოთ დასამტკიცებლად სხვა სიტყვები, თუ *senatus* იქნება *senatus senatui*, ან *senati senato*. მეჩვენება, რომ სამწუხაროდ, ერთია, ილაპარაკო ლათინურად, და სხვა საქმეა, ისაუბრო გრამატიკულად. ანალოგის შესახებ ბევრი ვისაუბრე, საკმარისზე ბევრიც.

28. ეტიმოლოგიას, რომელიც სიტყვების წარმოშობას გულისხმობს, ციცერონმა უწოდა ნოტაცია (ჩანაწერები), რადგან მისი აღნიშვნა არისტოტელესთან არის *συμβολον* (*nota*). რადგან სიტყვის *ετυμολογια* ლიტერატურული განმარტება იქნება *veriloquium,* თავად ციცერონი, ვინც მოახდინა ამ სიტყვის ფორმირება, არის ცუდად განწყობილი. ზოგი, ვინც სიტყვის მნიშვნელობას აქცევს ყურადღებას, ამ სიტყვას *წარმოშობას* უწოდებს.

29. გრამატიკის ეს ნაწილი ზოგჯერ ყველაზე მეტად გამოიყენება. რამდენიც შესაძლებელია, იმდენი ინტერპრეტაციაა საჭირო, რადგან როცა მარკუს კელიუსი დაამტკიცებდა, რომ ის იყო *homo frugi* (მომჭირნე ადამიანი), არა იმიტომ, რომ ის იყო ზომიერი და თავდაჭერილი (ამის შესახებ ტყუილის თქმა მას არ შეეძლებოდა), არამედ იმიტომ, რომ ის იყო სასარგებლო (შემოსავლიანი) ბევრისთვის, რაც არის *fructuosus*, აქედან, მან თქვა, განვითარდა *მომჭირნეობა.* შესაბამისად, ადგილი არის დადგენილი ეტიმოლოგიის გარკვეულობაში (განსაზღვრაში).

30. ასევე, ზოგჯერ, ის ცდილობს, გამოჰყოს უხეში სიტყვები თავაზიანისაგან. რადგან როცა საკითხი დგება, სიცილიას უნდა ეწოდოს *Triquetra* თუ *Triquedra*, და ჩვენ უნდა ვთქვათ

meridies თუ *medidies*, და სხვა ამ ტიპის საკითხები რომელიც ეხება ჩვეულებას.

31. მაგრამ მას თან მოაქვს დიდი სწავლა, ჩვენ გამოვიყენებთ თუ არა მას იმ სიტყვების განხილვისას, რომლებიც წარმოიშვა ბერძნულიდან, რომლებიც უამრავია, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც იუღლება და იბრუნება ეოლიური დიალექტის მიხედვით, რომელთანაც ჩვენი ენა ყველაზე მეტად ახლოს არის; ან გამოკვლევაში, ჩვენი ცოდნიდან ანტიკურ ისტორიაში, ადამიანების, ადგილების, ნაციონალობების, ქალაქების სახელებში; საიდანაც მოდის სახელები: *Bruti, Publicolae, Pici*, რატომ ვამბობთ: *Latium, Italia, Beneventum*; რატომ ვიყენებთ ტერმინებს: *Capitol, Quirinal*, *Argiletum*.

32. მე ახლა მოვიხსენიებდი აგრეთვე იმ წუთიერ აზრებსაც, რომლებზეც ეტიმოლოგიის უდიდესმა მოყვარულებმა თავი მოგვაბეზრეს. ადამიანები, რომლებიც დაბრუნდნენ თავიანთ ნამდვილ წარმოშობასთან, სხვადასხვა ხელოვნებით, სიტყვები, რომლებიც ცოტა გამრუდებულია ასოების და მარცვლების შემოკლებით, ან დაგრძელებით, დამატებით, ან გამოკლებით, ან გადანაცვლებით. ამ დევნაში, განსჯის უსუსურობის დროს, ისინი ყველაზე უფრო აბსურდულ მსჯელობებში გადადიან. დაე, *consul* იყოს (არა ვარ წინააღმდეგი) კონსულტაციისგან, ან სგასამართლებისგან, რადგან ძველებისთვის *consulere* სწორედ judicare-ს ნიშნავდა. მაინც რჩება ფრაზა: *rogat boni consulas*, რაც ნიშნავს: *bonum judices*.

33. დავუშვათ, რომ სახელი ძველ დროში დაარქვეს *senate*-ს, რადგან სენატორები *მამები* არიან. დაე, *rex, rector* და სხვა მსგავსი სიტყვები წარმოიშვა სიტყვისგან *rego*, არც სიტყვების: *regula, regula*-ს (და მათ მსგავსთა) წარმოშობას გავაპროტესტებ. დაე, *classis* იყო სიტყვისგან *Calare* (ერთად დაძახება) და *lepus* იყოს *levipes*, ხოლო *vulpes* - *volipes*.

34. მაგრამ დავუშვათ, სიტყვების წარმოქმნა საპირისპიროს-

გან, როგორც *lucus* (პატარა ტყე) სიტყვიდან *luceo* (ნათება), რადგან თუ ჩრდილი სქელია, *parum lucet* (ეს არ ანათებს)? როგორც *ludus* (სკოლა) არის *ludo*-დან (თამაში). რადგან იგი რამდენადაც შეიძლება შორსაა თამაშისგან? როგორც *Ditis* (Pluto) არის სიტყვისგან *dives* (მდიდარი), იმიტომ რომ იგი უდავოდ მდიდარია? შეიძლება დავუშვათ, რომ *homo* (ადამიანი) იყოს სიტყვისგან *humus* (მიწა), რადგან ის ამობტა მიწისგან, თითქოს ყველა ცხოველს იგივე წარმოშობა არ ჰქონდეს, ან რომ პირველმა ადამიანებმა მისცეს მიწას სახელი, ვიდრე იმავეს საკუთარ თავს დაარქმევდნენ? შეიძლება ჩავთვალოთ, რომ *verba* (სიტყვები) წარმოშობილია სიტყვებისგან *aer verberatus* (ნაცემი ჰაერი)?

35. მოდით, განვაგრძოთ. და ისე შორს წავალთ, რომ *stella* (ვარსკვლავი) შეიძლება დავიჯეროთ, რომ არის *luminis stilla* (შუქის წვეთი), რომლის წარმოშობის ავტორი, ლიტერატურაში ცნობილი ადამიანი, ჩემთვის იქნება არაკეთილშობილება, დავასახელო იმ თვალსაზრისით, რომლისთვისაც მე გავკიცხე.

36. თუმცა ისინი, ვინც ამგვარი ეტიმოლოგიით არიან დაკავებული, თავადვე მიუთითებენ საკუთარ სახელებს. მაგალითად, კაიუს გრანიუსი თავს ძალიან ჰკვიანად თვლის, როცა ამტკიცებს, რომ *coelibes* (მარტოხელები) იგივე იყო, რაც *coelites* (ცის ბინადარნი), რადგან ისინიც თაისუფალი არიან მძიმე ტვირთისგან, ასევე იგი წარმოშობის არგუმენტად მიანიშნებდა ბერძნულს. ის ამტკიცებდა, რომ *ηιθεους* იმავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა. არც მოდესტოსი[19] ჩამორჩებოდა მას წარმოსახვაში, რადგან ის ამბობს, რომ რადგანაც სატურნმა მოკვეთა გენიტალია *Coelus*-ს, ადამიანებს, რომელტაც არა ჰყავთ ცოლ-შვილი, უწოდეს *coelibes*.

37. ლუკიუს ელიუსი აცხადებს, რომ *pituita* (აპათიურობა) არის ე. წ. *quia petat vitam*, რადგან „ის უმიზნებს ცხოვრებას.“ მაგრამ ვინ არ მიუტევებს ვარონს, რომელსაც სურდა დაეთანხმებინა ციცერონი (სწორედ მას წერდა ამას), რომ *ager* (მინდორი) იწო-

დება ასე, რადგან წინადადებაში *in eo agatur aliquid* (რაღაც გაკეთდა მასში) და რომ *graculos* (ჭკები) იწოდებიან ასე, რადგან ისინი ფრენენ *gregatim* (გროვებად).თუმცა ამკარაა, რომ ერთი ბერძნულიდან წარმოიშვა, ხოლო მეორე - თავად ჩიტების ყვირილისგან? მაგრამ ვარონისთვის ასეთივე მნიშვნელოვანი იყო მიეღო, რომ *merula* (შავი შაშვი), რომელზეც მან განაცხადა, ასე იწოდებოდა, რადგან ის მარტო დაფრინავს, თითქოს *mera volans*.

38. ზოგიერთი არ უარყოფს ყველა ცალკეულ შემთხვევაში მიმართოს ეტიმოლოგიას. წარმოშობის დადგენა სიტყვებისა *Longus Rufus* პერსონალური თავისებურებებიდან; *strepere* და *murmurare* - თავისებური ბგერებისაგან, რომლებითაც ისინი უერთდებიან გარკვეულ დერივატივებს, როგორც, მაგალითად *velox,* (სწრაფი, ფიცხი), რომელიც წარმოიშვა სიტყვისგან *velocitas* (სისწრაფე, სიფიცხე). და უფრო დიდი რაოდენობა მათი მსგავსი შეგდენილი სიტყვებისა, რომლებიც, უდავოდ, საღაციდან წარმოიშვა, მაგრამ არ ჭირდება დიდი მიხვედრილობა იმას, რომ გარდა საეჭვო აზრებისა, არ არსებობს ამ მიხვედრილობების აუცილებლობა.

39. რაც შეეხება ბველ სიტყვებს, მათ არა მხოლოდ ბევრი სწავლული აღიარებს, არამედ ისინი წარმოთქმულ სიტყვას აძლევენ გარკვეულ დიდებულებას არცთუ სიამოვნების გარეშე. რადგან სიძველესაც ატარებენ თავის თავში და საერთო გამოყენებიდანაც გამოდიან, კვლავ ჩნდებიან მიმზიდველი სიახლეების სახით.

40. მაგრამ მათი გამოყენება არც ძალიან ხშირად შეიძლება, არც ძალიან ღიად: არაფერია იმაზე უფრო აუტანელი, ვიდრე რამეზე მიბმულობაა. არ ავიღოთ ისინი ძალიან დაშორებული დროიდან და უკვე მახსოვრობიდან გამოსულები, როგორიცაა: *Topper* (ანუ cito, სწრაფად), *Antegerio* (ანუ valde, ძალიან), *Exanclare, Prosapia;* არ ვისესხოთ ისინი ქურუმების ლექსებისგან და პოემებისგან, თავადაც რომ უკვე ნაკლებად ესმით.

41. მათ შეცვლას კრძალავს ღვთიურობა. დაე, ისინი ისე დარჩნენ, როგორც წმინდა საგნები. ხოლო წარმოთქმულ სიტყვაში, რომლის მთავარი ღირსება სიცხადეა, არ იქნება საკმარისი, თუ ახსნის გარეშე მისი გაგება შეუძლებელი იქნება. ასე რომ, ახალი სიტყვებიდან ის უკეთესია, რომელიც უფრო ძველია, ხოლო ძველი სიტყვებიდან - რომელიც უფრო ახალია.

42. ასეთივე წესი უნდა დავიცვათ ნიმუშების მიბაძვისას. თუმცა მეჩვენება, რომ არ ვცოდავთ, იმავე სიტყვებს თუ გამოვიყენებთ, რომლებსაც საუკეთესო მწერლებთან ვხვდებით. უნდა შევხედოთ არა მხოლოდ სიტყვებს, არამედ იმ მნიშვნელობასაც, რაც მათ თავის დროზე ჰქონდათ. ახლა არცერთი ჩვენგანი არ იტყვის და არ დაწერს კატონისებურად: *Tuburchinabundum* და *Lurchinabundum* (вместо вдруг и урывками пожирающего), არც *hos Iodices*-ს , პოლიონის მსგავსად, არც *gladiola*-ს, მესალას მსგავსად, არც *parricidatum*-ს, ცელიუსივით, არც *collos*-ს, კალვუსის[20] მსგავსად. თავად ისინიც ახლა ამგვარ სიტყვებს აღარ გამოიყენებდნენ.

43. ამგვარად, უნდა ჩავეჭიდოთ გამოყენებას, ან ჩვევას. სასაცილო იქნებოდა ისეთ ენაზე საუბარი, როგორზეც ოდესღაც საუბრობდა ხალხი და არა ისეთზე, როგორზეც ისინი ახლა საუბრობენ. აქ, უპირველესად, უნდა განვსაზღვროთ, რას ვეძახით ჩვენ გამოყენებას, ან ჩვევას.

44. თუ ამგვარად ყველაფერს იმას ვუწოდებთ, მაშინ გამოვა ყველაზე უფრო სახიფათო წესი არა მხოლოდ ენისთვის, არამედ (რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია), არამედ ზნეობისთვისაც. და მართლაც, საიდან მოდიოდა უფრო მეტი სიკეთე, თუ სიკეთედ მხოლოდ იმას ჩავთვლიდით, რაც უმრავლესობას მოსწონს. ამის მიხედვით, სხეულზე თმის დაგლეჯა, მოუწესრიგებელი ვარცხნილობის ტარება, აბანოებში სმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველა ქალაქში ხდებოდა, არ არის ჩვეულებრივი რამ. ეს ყველაფერი მხოლოდ ბაგეებას იმსახურებს. მაგრამ დაბანა, წვერის

გაპარსვა, მეგობრებთან მოლხენა, აი, ჩვეულება! ასევეა ენაშიც, არ არის საჭირო წესად მივიღოთ ზოგიერთების მიერ ცუდი გამოთქმების გამოყენება.

45. არაფერს ვამბობ უბრალო ხალხის ცუდ ენაზე. ხშირად მთელს თეატრში და შეკრებებზე ისმის ბარბაროსული შეძახილები. ამგვარად, გამოყენებას ენაში ვუწოდებ ნასწავლი ხალხის პირობას, ან თანხმობას, ისე როგორც ქცევებში, ზნეკითილთა პირობას.

თავი მეშვიდე.

1. ჩვენ უკვე დეტალურად ვაჩვენეთ, როგორ უნდა ვილაპარაკოთ. ახლა იმაზე ვთქვათ, წერის დროს რას უნდა მივაქციოთ ყურადღება. რასაც ბერძნები *ორთოგრაფიას* ეძახიან, ჩვენ ვუწოდოთ *სწორად წერის ხელოვნება*, რომელიც არ მოიცავს, რა ასოებისგან შედგება ცალკეული მარცვალი (რადგან ამის ცოდნა გრამატიკოსის ღირსებაზე დაბლაც კი არის, მაგრამ ავარჯიშებს მის მთლიან დახვეწილობას, ჩემი აზრით, საეჭვო აზრებით).

2. რადგანაც უდიდესი სისულელეა, მოვათავსოთ ნიშანი ყველა გრძელ მარცვალზე, მაშინ როცა უმეტესი მათგანი ნათელია იმ სიტყვის ბუნებისა, რომელშიც იგი წერია, მაინც, ზოგჯერ აუცილებელია მათი აღნიშვნა, რადგან ერთი და იგივე ასო ზოგჯერ სხვა ბუნებისაა და ზოგჯერ - სხვა, იმის მიხედვით, იგი მოკლეა, თუ გრძელი. ამგვარად, ***malus*** გამოყოფილია ნიშნით, რომ აჩვენოს, იგი „ხეს“ ნიშნავს, თუ „ცუდ ადამიანს.“

3. ***palus***, აგრეთვე, აღნიშნავს სხვა რამეს, როცა მისი პირველი მარცვალი არის გრძელი, და სხვა რამეს, როცა მისი მეორე მარცვალი არის გრძელი. როცა იგივე ასო არის მოკლე ნომინატივუსში და გრძელი აბლატივუსში, ჩვენ ზოგადად უნდა მივიღოთ ინფორმაცია ამ ნიშნის მიხედვით, რომლის კვანტიტენტუროზა (ბგერის სიგრძე) ჩვენ უნდა შევარჩიოთ.

4. გრამატიკოსებს უყვართ იფიქრონ, რომ შემდეგი გაყოფა

უნდა იქნეს ყურადღება მიქცეული: ჩვენ უნდა დავწეროთ წინდებული *ex*, თუ სიტყვა *specto* იქნება მისაგან შედგენილი, *s*-ს დამატებით მეორე მარცვალში - *exspecto*, თუ *pecto*, *s*-ს გარეშე.

5. ასევე ბევრი ყურადღებას აქცევს იმას, რომ როცა *ad* „იგი" წინდებული იყო, აიღებდა ასოს *d*, მაგრამ თუ კავშირი იქნებოდა, ასო *t* და *cum* თუ იგი დროს გამოხატავდა, დაიწერებოდა *q*-თი და მოჰყვებოდა ორი *u*, მაგრამ თუ იგი გამოხატავდა თანხლებას, *c*-თი.

6. ზოგიერთი სხვა საკითხი იყო კიდევ უფრო უმნიშვნელო, ვიდრე ესენი, მაგალითად, *quicquid*[21] -ში *c* მე-4 ასოდ უნდა იყოს, თუ ჩვენ ორმაგ შეკითხვას ვსვამთ; რომ უნდა დავწეროთ *quotidie*, და არა *cotidie*, რათა ვაჩვენოთ, რომ იგი იყო *quot diebus*-ს ნაცვლად. მაგრამ ეს შენიშვნები უკვე ჩაიკარგა სხვა თავისებურებებს შორის.

7. ასე თუ ისე, შეკითხვაა წინდებულების წერისას, სწორია თუ არა, შევინარჩუნოთ ასო, რომელსაც ისინი ქმნიან სხვა სიტყვასთან დაკავშირების დროს, ან ის, რომელსაც ისინი ქმნიან, როცა ცალკე გადიან, როგორც, მაგალითად, რომ წარმოვთქვამ სიტყვას *obtinuit*; რადგან ჩვენი წერის მეთოდი ითხოვს, რომ მეორე ასო უნდა ყოფილიყო *b*; მაშინ როცა ყური იჭერს ასოს *p*;

8. ან როცა ვამბობ *immunis*, რადგან ასოზე *n*, რომელსაც ითხოვს სიტყვის კომპოზიტი, ზეგავლენას ახდენს მომდევნო მარცვლის ასო და გარდაიქმნება *m*-დ.

9. ასევე უნდა დავაკვირდეთ, შედგენილი სიტყვების დაყოფისას, პირველ მარცვალს უნდა მიებას შუა თანხმოვანი, თუ მეორეს; მაგალითად, *aruspex*, რადგან მისი ბოლო ნაწილი ფორმირებულია სიტყვისგან *spectare*, მიაწერს ასო *s*-ს მესამე მარცვალს; *abstemius*, რადგან იგი წამოქმნილია სიტყვებისგან *abstinentia temeti* (ღვინისგან თავის შეკავება), დაუტოვებს ამ ასოს პირველ მარცვალს.

10. რაც შეეხება ასოს *k*, მე ვფიქრობ, ის არ უნდა იქნას რომე-

ლიმე სიტყვაში გამოყენებული, გარდა იმათი, რომლებიც თვითონვე არმიუთითებენ ამაზე, ისე რომ იგი შეიძლება ცალკე დავტოვოთ. ეს შენიშვნა არ გამოვტოვე, რადგან არიან ისეთები, რომლებიც ფიქრობენ, რომ *k* აუცილებელია, როცა *a* მოსდევს. თუმცა არის ასო *c*, რომელიც შეესაბამება ამ დროს გამოიყენება.

11. მაგრამ ორთოგრაფია დაკავშირებულია ჩვეულებასთან და შედარებით იშვიათად წარმოითქმება. არაფერს ვამბობ იმ ძველ დროზე, როცა რამდენიმე ასო იყო და როცა მათი მოხაზულობა განსხვავდებოდა დღეს არსებულისაგან. ასევე განსხვავებული იყო მათი ბუნებაც, როგორც, მაგალითად, *o* ბერძნებთან. იგი ხან გრძელი იყო, ხან მოკლე, და როგორც ჩვენთან - გამოიყენებოდა მარცვლად, რომელსაც იგი გამოხატავდა თავისი საკუთარი სახელით[22].

12. აღარაფერს ვამბობ აგრეთვე ასო *d*-ზე, რომელსაც ძველი ლათინები ამატებდნენ მთელი რიგი სიტყვების ბოლოში, რომელიც კარგად ჩანს ბოძიდან, რომელიც აღმართა გაიუს დუელიუსმა ფორუმზე; არც *g*-ზე ვიტყვი რამეს, რომელიც იმავეწაირად გამოიყენებოდა, როგორც, მაგალითად, მზის ღმერთის *pulvinar*-ზე, რომელსაც თაყვანს სცემდნენ რომულუსის ტაძრის ახლოს, იკითხება *vesperug*, ნაცვლად სიტყვისა *vesperugo*.

13. არც ასოების ურთიერთგაცვლაზე (რომელზეც ზემოთ ვისაუბრე) რაიმეს თქმა მიმაჩნია აქ საჭიროდ, რადგან, შესაძლოა, თუ წერენ, ამბობენ კიდეც.

14. დიდი ხნის განმავლობაში ჩვევად იყო, არ გაეორმაგებინათ ნახევარხმოვნები, მაგრამ, მეორე მხრივ, აქციუსის დროს და უფრო გვიანაც კი, როგორც შევნიშნე, წერდნენ გრძელ მარცვლებს ორ ხმოვანს შორის.

15. კარგა ხანს გაგრძელდა ხმოვნების *e* და *i* ერთად წერის პრაქტიკა, აერთებდნენ რა მათ ისევე, როგორც ბერძნები - დიფთონგში ει. ეს პრაქტიკა გამოყენებული იყო ბრუნვასა და რიცხვში სხვაობისათვის, როგორც ლუკილიუსი გვეუბნება: *Jam pueri*

venere: E postremum facito, atqae I,Ut puerei plures fiant; და შემდეგ: *Mendaci furique addes E, quum dare furei Jusseris.*

16. ასე თუ ისე, ამ *e*-ს დამატება არის ორივე, ზედმეტიც (რადგან *i*-ს შეუძლია იყოს მოკლეც და გრძელიც) და ზოგჯერ უხერხულიც. რადგან იმ სიტყვებში, სადაც *e* არის პირდაპირ ბოლო მარცვლის წინ, და მთავრდება გრძელი *i*-თ, თუ ამ მეთოდს მივიღებთ, უნდა ვწეროთ ორი *e*, როგორც სიტყვებში *aureei, argenteei* და მათ მსგავსში. ეს კი იქნებოდა უკიდურესად რთული მათთვის, ვინც კითხვას სწავლობს.

17. როგორც ბერძნებშიც ხდება ხოლმე ასო *i*-ს დამატებისას, რომელსაც ისინი არა მხოლოდ წერენ დატივუსის ბოლოში, არამედ, ზოგჯერ, სიტყვის შუაშიც, როგორც, მაგალითად, სიტყვაში *ΑΗΙΣΤΗΙ,* ეტიმოლოგიის გამო, რომ მოხდეს სიტყვაში განსხვავება სამ მარცვალს შორის, საჭიროა ეს ასო.

18. დიფთონგს *ai,* რომლის მეორე მარცვალში ვანაცვლებთ ასოს *e,* ჩვენი წინაპრები სხვადასხვაგვარი წარმოთქმით გამოხატავდნენ, ასოებით *a* და *i,* ზოგი იყენებდა მას ყოველთვის, ბერძნების მსგავსად, ზოგი - მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, როცა უნდა მოეხდინათ დატივუსის, ან გენეტივუსის ფორმირება. ვერგილიუსმა, რომელიც სიძველის მოყვარული იყო, გამოიყენა თავის ლექსებში *pictai vestis* და *aulai;* მაგრამ ამგვარი სიტყვების მრავლობით რიცხვში ისინი იყენებენ *e*-ს, როგორც, მაგალითად: *Syllae, Galbae.*

19. ამ თვალსაზრისით, არსებობს ლუკილიუსის მითითება, რომელიც, უამრავი ლექსიდანაც ჩანს. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, შეუძლია მოიძებნოს მის მე-9 წიგნში.

20. მე შემიძლია აღვნიშნო აგრეთვე, რომ ციცერონის დროს და ცოტა უფრო მოგვიანებით, ასო *s* , ისე ხშირად, რამდენადაც იგი გვხვდება ორ ხმოვანს შორის, ან როცა მოსდევდა გრძელ ხმოვანს, ორმაგდებოდა, როგორც: *caussae, cassus, divissiones.* რადგან ასე წერდნენ ორთავენი, ციცერონიც და ვერგილიუსიც,

ორთავეს ხელწერა იგრძნობა.

21. მაგრამ ცოტა უფრო ადრე წერდნენ *jussi*, რომელსაც ჩვენ გამოვხატავთ ორი *s*-ით, ერთი *s*-ით; *optimus, maximus* უნდა იყენებდეს *i*-ს, როგორც შუა ასოს, რომელიც ძველებთან იყო *u*, როგორც ამბობენ, იგი შემოვიდა გაიუს კეისრის[23] ჩანაწერის მიხედვით.

22. სიტყვას *here* ჩვენ ახლა ვასრულებთ ასო *e*-ზე, მაგრამ ძველ კომიკოს მწერლებთან ასევე ვპოულობთ: *Heri ad me venit*[24]; რომელიც გვხვდება ავგუსტუსის წერილებშიც, რომლებიც მან თავისი ხელით ჩაასწორა[25].

23. ცენზორი კატონიც ხომ წერდა *dicam* და *faciam*-ის ნაცვლად *dicem* და *faciem*? და იმავე მეთოდს განა იგი არ იყენებდა სხვა მსგავს ზმნებში? ეს ნამდვილად ჩანს მისი ძველი ჩანაწერებიდან და აღნიშნულია მესალას მიერ თავის წიგნში *s* ასოზე. *Sibe* და *quase* ბევრი ავტორის ჩანაწერებში გვხვდება.

24. მაგრამ განზრახული ჰქონდათ თუ არა თავად ავტორებს ასე ეწერათ, მე არ ვიცი. ლივიუსი რომ ასე წერდა, ეს მე შევიტყვე პედიანუსისგან, რომელიც თვითონ ბაბავდა ლივიუსს. ჩვენ ვასრულებთ იმ სიტყვებს ასოთი *i*.

25. რატომ მჭირდება ვახსენო *vortices, vorsus* და მსგავსი სიტყვები, რომლებშიც, როგორც ამბობენ, სკიპიო აფრიკანუსმა პირველმა შეცვალა მეორე ასო *e*-თი?

26. ჩვენი ტუტორები წერდნენ *ceruum* და *seruum* ასოების *u* და *o* გამოყენებით, *ceruom, seruom,* რათა იგივე ორი ხმოვანი, რომლებიც ერთმანეთს მიჰყვებოდა, არ გაერთიანებულიყვნენ იმავე ასოდ. ისინი ახლა იწერება ორი *u*-თი, რომლის პრინციპებზე უკვე ვთქვი. მაგრამ არცერთი გზით არ არის სიტყვა, რომელსაც ჩვენ გამოვხატავთ, ზუსტად გამოსახული. არც ის იყო ხელისშეწყობის გარეშე, რომ კლაუდიუსმა შემოიტანა ეოლიური ასო ასეთი შემთხვევებისთვის.

27. ჩვენი დროს დამსახურებაა, რომ ჩვენ სიტყვას *cui*

ვწერთ სამი ასოთი (რომლებიც ახლახანს დავწერე) რადგან ჩვენს ბავშვობაში იყენებდნენ, ქმნიდნენ რა ძალიან არასასიამოვნო ასოებს *qu* და *oi*, მხოლოდ იმას, რომელიც უნდა განსხვავებულიყო მარცვლისაგან *qui*.

28. რა უნდა ვთქვა, აგრეთვე, იმ სიტყვებზე, რომლებიც სხვაგვარად იწერება და სხვანაირად წარმოითქმება? *Gaius* იწერება ასო *c*-თი, რომელიც, შებრუნებულად ნიშნავს ქალს, რადგან ქალებს ეძახდნენ *Caiae* და კაცებს *Caii*, ჩანს ჩვენი საქორწინო ცერემონიალებიდანაც[26].

29. არც *Gneius* უშვებს იმ ასოს, სახელის განსაზღვრაში, რომელთან ერთადაც ის ჟღერს. ჩვენ ასევე ვკითხულობთ: *columna* და *consules* (*n* გაამოტოვებულია); და *Subura*, როცა ის განსაზღვრულია სამი ასოთი, იღებს-ს, როგორც მესამეს. არის კიდევ ამ ტიპის ბევრი თავისებურება. მაგრამ მეშინია, რომ მათ, რომლებიც შევნიშნე, გადაამეტეს ძალიან არა მნიშვნელოვანი საკითხების ლიმიტს.

30. მე გირჩევდით, სადაც ეს არ ეწინააღმდეგება ზოგადად აღიარებულ წესებს, სიტყვები ისე ვწეროთ, როგორც წარმოთქმისას გვესმის ისინი.

31. რადგან ასოები სწორედ იმისთვის გამოიგონეს, რომ მათი მეშვეობით ბგერები შენახულიყო და როგორც გარკვეული გარანტია, სწორად გადაცემოდა მკითხველს. აქედან გამომდინარე, ასოებმა ის უნდა გამოხატონ, რისი თქმაც ჩვენ გვსურს.

32. აი, თითქმის ყველაფერი ის, რაც შეეხება გრამატიკის პირველ ორ ნაწილს, რომელებიც გვასწავლის სწორად ლაპარაკს და გამართულად წერასI ორ მომდევნო ნაწილს, - გამომსახველობით და მჭევრმეტყველურად საუბარს[27], მართალია, გრამატიკისგან არ გამოვყოფ, მაგრამ შევეცდები მათზე ფართოდ საუბარს მხოლოდ მაშინ, როცა ორატორის პასუხისმგებლობებს შევეხები.

33. აქ კვლავ მოდის ის აზრი, რომ ზოგიერთები ჩემს დარი-

გებებს ნაკლებ მნიშვნელოვნად ჩათვლიან, ისეთებად, რომლებიც ემსახურებიან არაფრით დაკავებას. მე თავადაც არ ვთვლი, რომ უნდა ჩავუღრმავდე უმნიშვნელო, მხოლოდ მოსაწყენ დეტალებს, ისინი ზღუდავენ და მორიდებულს ხდიან გონებას.

34. მაგრამ გრამატიკაში ვნებს მხოლოდ ის, რაც ზედმეტია. განა ციცერონი მხოლოდ იმიტომ უნდა ჩაითვალოს დიდ მჭევრმეტყველად, რომ თავადაც ზედმიწევნით იცავდა გრამატიკულ წესებს და შვილისგანაც ასეთივე მიდგომას ითხოვდა?

35. განა შემცირდა კეისარში აზრთა სიძლიერე და იმ წიგნის მჭევრმეტყველება, რომელიც მან სიტყვების მსგავსებაზე დაწერა? განა მესალა ისეთი ბრწყინვალე და მაღალი აღარ არის მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე თხზულება მიუძღვნა არა მარტო სიტყვებს, არამედ ასოებსაც? ასეთი ცნობები არცთუ უსარგებლოა მისთვის, ვინც გრამატიკაზე, როგორც საფეხურებზე დაყრდნობით, უფრო მაღლისკენ მიიწევს, ხოლო ვნებს მას, ვინც მხოლოდ გრამატიკის წესებზე ჩერდება.

თავი მერვე.

1. სად შევყოვნდეთ, რომელ ადგილზე გავთიშოთ ლექსი, სად დავასრულოთ, საიდან დავიწყოთ, როდის ავუწიოთ, ან დავუწიოთ ხმას, რა წარმოვთქვათ უფრო ნელა, ან უფრო სწრაფად და შთაგონებით, ამის ყველაფრის სწავლა შეუძლებელია სხვაგვარად.

2. ამისთვის ერთ წესს შემოგთავაზებთ: აუცილებელია გავიაზროთ, რას ვკითხულობთ. უნდა წავიკითხოთ მამაცურად, მყარად, მნიშვნელოვნად, მაგრამ გარკვეული სიამოვნების თანხლებით. პოეზიის წაკითხვა არ უნდა ჰგავდეს პრეზის კითხვას. თავისი არსით ლექსი მუსიკის ნაირსახეობაა, ლექსთმთხზველები თავად ამბობენ საკუთარ თავზე, რომ მღერიან. თუმცა არ არის საჭირო, როგორც ახლა მოდაშია, მივეცეთ ნაზი და ქალური ტონალობის მქონე სიმღერებს. ამგვარ წაკითხვაზე კეისარმა ჯერ კი-

დევ თავისი ახალგაზრდობის დროს უთხრა ერთ ვინმეს საკმაოდ გონებამახვილურად: *თუ მღერი, ცუდად მღერი, ბოლო თუ კითბულობ, მაშინ მღერი.*

3. არ გირჩევდით (თუმცა ეს ბევრს მოსწონს), ჩართულ სიტყვებს, ანუ ისეთებს, რომელთაც პოეტი შემოყვანილ პირებს ათქმევინებს თეატრალური ხმით: თუმცა შეიძლება ეს ნაწილი პოეტისაგან ოდნავ განსხვავებული ხმით წარმოითქვას.

4. დანარჩენი თხოულობს ვრცელ დარიგებებს. პირველ რიგში საჭიროა, რომ ბავშვებმა ის ისწავლონ, რაც სულს უფრო ალამაზებს, ვიდრე გონებას, რადგან ყველაფერი, რაც ნაზ და გამოუცდელ ასაკში ისწავლება, მათ გონებაში უფრო ღრმად რჩება.

5. ამიტომ საკმაოდ გონივრულად გვირჩევენ, რომ კითხვა დავიწყოთ ჰომეროსისა და ვერგილიუსისაგან, თუმცა ნამდვილი სილამაზის აღსაქმელად მათთან გაცილებით მეტად მოწიფული განსჯაა საჭირო. ამას დროს სჭირდება, რადგან არ უნდა დავკმაყოფილდეთ მათი შემოქმედების ერთჯერადი წაკითხვით. ამას გარდა, იროინიული ლექსის დიდებულება აღამაღლებს ჭკუას და სულს, გულში ჩატოვებს ყველაზე საუკეთესო გრძნობებს.

6. სასარგებლოა ტრაგედიებიც. ჭკუის სასწავლებელია ლირიკოსებიც: მაგრამ ფრთხილად უნდა შევარჩიოთ არა მხოლოდ მათი შემქმნელები, არამედ ადგილებიც მათი ქმნილებებიდან. საქმე იმაშია, რომ ბერძნებიც ხშირად აძლევენ ზედმეტი თავისუფლების უფლებას თავს და ჰორაციუსთანაც გვხვდება ისეთი ადგილები, რომელთა ახსნაც, ჩემი აზრით, არ ივარგებს. რაც შეეხება ელეგიას, რომელიც მთლიანად სასიყვარულო თემებზეა აგებული და გენდეკასილაბებამდე[28], რომლებთანაც გვხვდება ინდე და სოტადეისური ლექსები (მათზე ლაპარაკიც არ ღირს), ვისურვებდი, ბავშვებისთვის ისინი საერთოდაც არ მიგვეწოდებინა, თუ ეს შესაძლებელია, ან, ყოველ შემთხვევაში, ცოტა მოწიფულ ასაკამდე გადაგვედო ეს საქმე.

7. კომედიები მჭევრმეტყველებაში დიდად განსაზღვრავენ

წარმატებას, ამასთან, აღწერენ სხვადასხვა სახეებს და ადამიანურ თვისებებს: მათზე თავის ადგილზე ვიტყვი. როცა ზნე-ჩვეულებები გახდება ცუდი ზეგავლენებისგან უსაფრთხო, ისინი უნდა გახდნენ საბავშვო საკითხავის მთავარი საგანი.

8. მე განსაკუთრებით მენანდროსზე ვამბობ, თუმცა სხვებსაც არ გამოვრიცხავ. რომაელ ავტორებსაც შეუძლიათ საკმაო სარგებლის მოტანა. მაგრამ იმათგან უნდა დავიწყოთ, რომლებიც განსაკუთრებით კვებავენ გონებას და სულს აჯანსაღებენ. სხვებისთვის კი, რომლებიც მხოლოდ შემეცნებას ამრავლებენ, შემდგომში საკმაო დრო იქნება. ძველი პოეტები, რომაელებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ მათი ღირსება, უპირატესად, გონებაა და არა ხელოვნება, გამოთქმებით ამდიდრებენ სათქმელს. მათ ტრაგედიებში შეიძლება ვიპოვოთ ენის მნიშვნელობა, ხოლო კომედიებში - სისუფთავე და გარკვეული ატიციზმი.

9. მათ განლაგებაც უფრო მოფიქრებული აქვთ, ვიდრე ზოგიერთ ახლებს, რადგან მთელ სილამაზეს, თუ ძალას დებენ მკვეთრ გამონათქვამებში. კეთილშობილება და აზრის სიძლიერე, უდავოდ, უკვე ძველებში უნდა ვეძებოთ, მაშინ როცა ჩვენ საქმეშიც და სიტყვაშიც ყველანაირი ნაკლი ჩავდეთ.

10. მივყვეთ ჩვენს დიდებულ ორატორებს, რომლებმაც ძველი მწერლების ლექსებისაგან ისესხეს თავიანთი სიტყვების დამამტკიცებელი საბუთიც და სამშვენისიც.

11. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ციცერონთან, კიდევ უფრო - ასინიუსთან და სხვებთან, რომლებიც უფრო ჩვენს დროში ცხოვრობენ. ისინი იყენებდნენ ენიუსის, აქციუსის, პაკუვიუსის, ლუცილიუსის, ტერენციუსის და სხვების ლექსებს. ეს ხდებოდა არა მხოლოდ ფართო განათლების გამო, არამედ იმიტომაც, რომ პოეზიის სიტკბოთი დაეტკბოთ მშრალი სასამართლო საჩივრებით გადაღლილი მსმენელის ყური.

12. ამის გარდა, ამგვარი ციტირებებით, როგორც გარკვეული მტკიცებულებებით, ხდებოდა მათი სიტყვის განმტკიცება.

აი, რას შეუძლია ჩაუნერგოს ბავშვებს პოეტებისადმი სიყვარული. ამას მოჰყვება სხვა სარგებელიც: ხელოვნებისადმი სწრაფვა და კითხვის ჩვევა უნდა მოხდეს არა მხოლოდ სასწავლებელში, არამედ უნდა გრძელდებოდეს ყველგან ყოველთვის, მთელი ცხოვრების მანძილზე.

13. როდესაც ბავშვი კითხვას სწავლობს, გრამატიკა სულ უმნიშვნელოდაც არ უნდა დაგვავიწყდეს: ვაიძულოთ მოსწავლე, ლექსის პროზად გადატანისას, გამოყოს მეტყველების ნაწილები და ახსნას სხვადასხვა სტრიქონის თავისებურებანი: ეს ძალიან საჭიროა როგორც პოეტების შემოქმედების კითხვისას, ასევე გარჩევის დროსაც.

14. არც ორატორების დაკვირვება იქნება ზედმეტი: ვაჩვენოთ, რა არ არის საჭირო, რა უხეშია და რა არ არის მისაღები გამოთქმებში. ეს არ უნდა გაკეთდეს მწერალთა ლანძღვით, რომელთაც ლესის საზომებით ისე ერიდებათ, რომ მათი ნაკლი ხშირად სხვა სახელს იღებენ, და ხდებიან გარკვეული თვალსაზრისით, მოსაბოდიშებელი. მაგალითად, ჩვენ ასეთ ნაკლს ვეძახით *მეტაპლაზმებს, სქემატიზმებს, სქემებს* და ამით საჭიროებას, როგორც გარკვეულ ღირსებას, ვიღებთ[29]. ეს, კიდევ ვიმეორებ, უნდა მოხდეს არა მწერლის საწინააღმდეგოდ, არამედ იმისთვის, რომ დავუმტკიცოთ მოსწავლეს, ეს პოეტური თავისუფლებაა და შეიძლება სხვა ავტორებისგან მათი სესხება.

15. არ იქნება ურიგო, ბავშვის ყურადღება მივმართოთ სიტყვების სხვადასხვა ახსნისაკენ. ასევე შედის გრამატიკის ფუნქციებში შედარებით იშვიათად გამოყენებული ახსნა-განმარტებაც.

16. განსაკუთრებული სიმძაფრით აჩვენებს მას ყველა ტროპს, რომლებიც არა მხოლოდ პოეზიას, არამედ პროზასაც ანიჭებს სილამაზეს: და ბოლოს, ფიგურების სქემები (სახეები, სახეობები), სიტყვები და წინადადებები, როგორც ჩვენ მათ ჩვეულებრივ ვეძახით.

17. მასწავლებელი განსაკუთრებით უნდა შეეცადოს, ბავშვს ჩაუნერგოს, რაში მდგომარეობს ამა თუ იმ განლაგების დიდებულება, ამა თუ იმ ქმნილების ღირსება, რა არის დამახასიათებელი, რა უნდა შევაქოთ, სად არის საჭირო სიტყვათა სიუხვე და სად - სიმოკლე.

18. ამას უნდა დავუმატოთ ისტორიული და იგავ-არაკული ახსნები, ოღონდ არ არის აუცილებელი ზედმეტი და გონების დამამძიმებელი დეტალები. საკმარისი იქნება, თუ მათ მოვუყვებით, რაც საუკეთესო მწერლების მიერ არის მიღებული, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნახსენები. ბავშვის თავის გატენა იმ ყველაფრით, რაც დაწერეს ყველაზე დიდმა ცრუპენტელებმა, მასწავლებლის გონებასუსტობაზე მიუთითებს. ეს დააქვეითებს განსჯას და წაგვართმევს დროს, რომლის გამოყენებაც უკეთეს რამეზე შეიძლება.

19. თუ არაჯანსაღ წიგნებს წავიკთხავთ, ჰორიკნებს დავემსგავსებით. ასეთი რამეებით სავსეა ზოგიერთი გრამატიკოსის ნაწერები.

20. ყველასათვის ცნობილია, რაც მოუვიდა დიდიმოსს[30], რომელმაც დაწერა ამგვარ სტილში უამრავი წიგნი. როცა მან ზოგიერთი მოვლენა უარყო, როგორც ცრუ და არასაკმარისი, წარუდგინეს მისი საკუთარი წიგნი, რომელშიც სულ სხვაგვარად მოგვითხრობს იმავე ამბებს.

21. განსაკუთრებით სასაცილო და სასირცხვოც კი ხდება ეს ყველაფერი იგავ-არაკული ტიპის ნაწარმოებებში, რომლებიც წიგნებზე და მწერლებზე ცრუის უსინდისოდ. არც ეშინიათ, რომ შესამოწმებლად მოიძებნა ისეთი წიგნები, რომლებსაც არასდროს უარსებიათ ამქვეყნად. აქედან ვასკვნი, რომ გრამატიკის ღირსებისთვის სხვა რამის ცოდნა არც არის საჭირო.

თავი მეცხრე.

1. აი, ის ორი ნაწილი, რომლებიც განეკუთვნებიან გრამატიკის ვალდებულებას, ანუ ენის სისწორის ჩვენება და მწერლების კითხვა. ერთი მისი ნაწილი გრამატიკულად იწოდება, ხოლო მეორე - ისტორიულად. მივუმატოთ ამას კიდევ რამდენიმე სავარჯიშო ბავშვებისათვის იმ დროს, როცა, თავიანთი ასაკის გამო, ჯერ კიდევ არ შეუძლიათ მიიღონ რიტორის დარიგებები.

2. უპირველესად, ჩემი აზრით, არ იქნება ურიგო, წავაკითხოთ ესოპეს იგავები, რომლებითაც ძიძების ზღაპრები მაშინვე უნდა შევცვალოთ, უნდა მოვუყვეთ პერიფრაზი საუბრების დროს, ხოლო ამის შემდეგ უნდა გადავაწყოთ თავად იგავების წაკითხვაზე. არ იქნება ურიგო, თავდაპირველად ლექსები პროზად გავაწყოთ, სხვა სიტყვებით ავხსნათ, შემდეგ კი თამამად შევამოკლოთ ისე, რომ არ დავცილდეთ შემოქმედის აზრს.

3. ამ ტიპის სავარჯიშოები დახელოვნებული მასწავლებლებისთვისაც ძნელია. მაგრამ თუ წარმატებით იქნება იგი ნაჩვენები, შემდგომ სწავლის პროცესშიც წარმატებების საწინდარი იქნება. ასეთივე ახსნა-განმარტებით ცნობილი ადამიანების გამონათქვამების და აზრების დამუშავება, ქრიების და ეფოლოგიების[31] შექმნაც გრამატიკოსთა მოვალეობაში შედის; ყველაფერი ეს დაფუძნებულია მწერალთა კითხვაზე. ქრიები და ეფოლოგიები თითქმის ერთნაირად იქმნება, მაგრამ განსხვავებული სახის არიან. აზრი არის საერთო ჭეშმარიტება, რომელიც სიტყვებით გამოითქმება. ეფოლოგია სახეებს ეხება.

4. ქრიები კი სხვადასხვა სახეობად იყოფა. ერთი სახეობა *აზრს* გავს, უბრალოდ გამოხატულს, როგორც ეს: *მან თქვა*; ან *ის ამბობდა*. მეორეს პასუხი შეადგენს: *როცა მას ჰკითხეს;* ან *როცა მას ეს უთხრეს, იგი პასუხობდა*. მესამე ამისგან ოდნავ განსხვავდება - ვინც არაფერიც არ თქვა, მაგრამ რაც არ არის გააკეთა.

5. (ითვლება, რომ ქრია მოქმედებაში მდგომარეობს), როგორც ეს: *კრატესმა როცა სულელი ბიჭი დაინახა, მისი მასწავლე-*

ბელი სცემს. და ბოლოც დაახლოებით ასეთივეა, მაგრამ ქრია კი არ ჰქვია, არამედ χρειῶδεν; როგორც: *მილონი, რომელიც მიეჩვია ხბოს მხრებზე ტარებას, შემდეგ ხარს დაატარებდა.* ყველა ამ ქრიებში, როგორც ყველა ბრუნვაში ბრუნება რომ გავაგრძელოთ, მოყვანილი თქმები და ქმედებები ისეთივე თანმიმდევრობით შეიძლება ავხსნათ.

6. წვრილმანებზე შეჩერება მხოლოდ ცნობისათვის შემიძლია გამართლებულად ჩავთვალო და არა მჭევრმეტყველებაში დასარიგებლად. რომაელმა ორატორებმა, გადააგდეს რა კიდევ ბევრი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, იგი გრამატიკოსებს დაუთმეს. ბერძნებმა უკეთ იცოდნენ თავიანთი შრომის საგნებიც და თავიანთი მოვალეობების მიზანიც.

თავი მეათე.

1. მე აქ გრამატიკის შესახებ საკმაოდ მოკლედ ვილაპარაკე, გვერდი ავუარე ყველა დეტალს, რომელთაც შეიძლება დასასრული არ ჰქონოდა. მინდოდა ყველაზე მთავარი მეჩვენებინა. ახლა სხვა მეცნიერებებზე ვიტყვი, რომელთა სწავლა საჭიროა, სანამ ყმაწვილები რიტორიკის შესწავლას შეუდგებიან. გაგაცნობთ იმ საგნების ჩამონათვალს, რომელთა ერთობლიობასაც ბერძნები ენციკლოპედიას ეძახიან.

2. არის ისეთი ცოდნა, რომელთა შეძენა ერთსა და იმავე დროს არის საჭირო. ისინი თავად შეადგენენ განსაკუთრებულ მეცნიერებას და მათ გარეშე რაიმე წარმატების მიღწევა ორატორულ ხელოვნებაში შეუძლებელია. მხოლოდ ისინი ქმნიან სრულყოფილ ორატორს. ისმის შეკითხვა: ჩვენი მიზნებისთვის რამდენად საჭიროა ისინი?

3. როცა სასამართლოში ვიწმეს დასაცავად წარმოვთქვამთ სიტყვას, ან აზრს ვაწოდებთ, როგორც ბევრს ეჩვენება, რა უნდა ვიცოდეთ, მოცემულ ნახაზზე როგორ იქმნება სხვადასხვანაირი სამკუთხედი? უკეთესი იქნება, დავიცვათ ბრალდებული და

სწრაფად გადმოვიბიროთ თათბირისას ის, რომელსაც შეუძლია სახელდებით განასხვავოს გიტარის ხმები და განლაგება?

4. შესაძლოა, მაგალითად მოიყვანონ ბევრი ღირსეული ორატორი, რომლებსაც არ უსწავლიათ გეომეტრია, არ უვარჯიშებიათ მუსიკაში, მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის თუ დაუკრავდნენ. ასეთებს მე ვუპასუხებ, რომ ჩვენ, როგორც ციცერონიც ბევრ ადგილას, წერს რა ბრუტუსზე[32], ხსნის, რომ გვსურს აღვზარდოთ არა ისეთი ორატორები, როგორებიც ახლა არიან, ან ოდესმე როგორებიც ყოფილან, არამედ ისეთები, ყველაფერში რომ იქნებოდნენ სამაგალითო.

5. როგორც ისინიც, რომელთაც სურთ სრულყოფილი ბრძენი და როგორც ისინი ამბობენ, ღმერთის მსგავსი ადამიანი, არა მხოლოდ მიწიერზე და ზეციურზე გადასცემენ მას ცნობებს, არამედ მიჰყავთ იგი ამ ნაკლებ მნიშვნელოვანი დეტალების გავლით მიზნისაკენ, რომ სოფისტების ეშმაკური სიტყვებით არა იმიტომ, რომ მათი საშუალებით შეიძლება ბრძენის შექმნა, არამედ იმისთვის, რომ ვერავინ შეძლოს მისი მოტყუილება[33].

6. ამგვარად, ორატორს რომელსაც სჭირდება სიბრძნე, ვერც გეომეტრია, ან მუსიკა ან სხვა გარეშე მეცნიერებები, ვერ გახდიან სრულყოფილს, მაგრამ ბევრ სარგებელს კი მოუტანენ. განა ჩვენ არ ვიცით, რომ საწამლავის საწინააღმდეგო საშუალება და სხვა წამლები, რომლებიც კურნავენ სხვადასხვა დაავადებებს, შედგება სხვადასხვა ნივთიერებებისაგან, რომლებიც ცალ-ცალკე ყოფნისას საწინააღმდეგო ზემოქმედებას მოახდენენ, ხოლო შეერთებისას სამკურნალო ეფექტს ვიღებთ[34]?

7. განა ვერ ვხედავთ, როგორ ქმნიან უსიტყვო ცხოველები სხვადასხვა ყვავილებისა და წვენებისაგან ადამიანური ხელოვნებისათვის შეუდარებელ ტკბილეულს? და ჩვენ გავოცდებით, რომ სიტყვა, რომლის შესაძლებლობა შეუფასებელია, ადამიანის ხელოვნებით შექმნილი, საჭიროებს ბევრ მეცნიერებას, რომლებიც, მართალია, არ ჩანს სიტყვაში აშკარად, მაგრამ ანიჭებენ მას

რაღაც ძვირფას ძალას და თავიანთ შესახებ უჩუმრად მიგვანიშნებენ?

8. იყვნენ ისეთი მჭევრმეტყველნიც, ამგვარი მეცნიერებები რომ არ სჭირდებოდათ, მაგრამ მე დიდებული ორატორის აღზრდა მსურს. ისინი ცოტას მატებენ, მაგრამ ის ვერ იქნება დიდებული, ვისაც თუნდაც ცოტა აკლია. სწორედ ამაში მდგომარეობს სრულქმნილების უმაღლესი ხარისხი. საეჭვოა ყველაფრის მოსწრება, მაგრამ შევეცადოთ ჩავდოთ ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა თუნდაც ჩვენი წესები გავხადოთ უფრო სრულყოფილი. და რისთვის მივეცეთ სასოწარკვეთილებას? ბუნება არ უშლის ხელს სრულყოფილ ორატორს: უღირსი საქციელია და სირცხვილია, არ გქონდეს იმედი, შესაძლებელს მიაღწიო.

9. აქ შემეძლო ძველებზე მსჯელობით დავკმაყოფილებულიყავი. ვინ არ იცის, რომ მუსიკა (ამით დავიწყებ) უძველესი დროიდან განსაკუთრებით პატივში იყო. ასე რომ, ვინც მუსიკას მისდევდა, მათ პატივს სცემდნენ შთაგონებულნი და ბრძენნი? ბევრ რამეზე დუმილს ვამჯობინებ. მხოლოდ ვიტყვი ორფევსზე და ლინოსზე. ორთავეს მიაწერენ ღვთაებრივ წარმომავლობას. ერთ-ერთ მათგანზე კი ჰყვებიან, რომ თითქოს ყველაზე უხეშ და უცერემონიალო ტვინებს აოცებდა; არა მხოლოდ მხეცებს, არამედ ხეებსაც და ქვებსაც აიძულებდა ეცეკვათ.

10. ტიმაგენოსიც[35] იმას ადასტურებს, რომ ხელოვნების ყველა დარგს შორის მუსიკა ყველაზე ძველია. ამასვე მოწმობენ უცნობილესი პოეტები, რომლებიც იხსენებენ, რომ სამეფო ზეიმებზე გმირებსა და ღმერთებს ქებას ლირის თანხლებით ასხამდნენ. ვერგილიუსის იოპასოსიც ხომ უმღერის „გზააბნეულ მთვარეს და მზის დაუღალავ დინებას“? რითიც ცნობილი პოეტი ამტკიცებს, რომ მუსიკას კავშირი აქვს ღვთიური საგნების შემეცნებასთან.

11. თუ ეს ასეა, მაშინ იგი ორატორსაც სჭირდება. ღვთიური საგნების შემეცნება, ორატორების მიერ მიტოვებული, ფილოსო-

ფოსებისმიერ ატაცებული, არანაკლებ გვეკუთვნის ჩვენც და მჭევრმეტყველება ვერ იქნება ამგვარი ცოდნის გარეშე.

12. ვის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ სიბრძნით განთქმული მამაკაცები მუსიკას სცემდნენ პატივს მაშინ, როცა პითაგორასი და მისი მიმდევრები, რა თქმა უნდა, ოდითგან მიღებული აზრის მიხედვით ამტკიცებდნენ, რომ სამყაროც შეიქმნა სასიამოვნო ჟღერადობის თანხლებით, რომელსაც მემდგომში ლირა ბაძავდა; და კიდევ, იყვნენ რა უკმაყოფილონი სხვადასხვა არსებების თანხმობით, რომელსაც ისინი ჰარმონიას ეძახდნენ, განსაკუთრებულ ჟღერადობას აძლევდნენ სხეულთა მოძრაობას.

13. პლატონი ზოგიერთ თავის ქმნილებაში, განსაკუთრებით *ტიმეოსში*, არ შეიძლება იყოს გონიერი მხოლოდ მათთვის, ვისთვისაც ეს ხელოვნება საკმარისად ნაცნობია. რა ვილაპარაკოთ ფილოსოფოსებზე, როცა მათი მეთაური სოკრატესი არ ერიდება მუსიკის სწავლას მოხუცებულობის ასაკშიც კი?

14. ყველაზე დიდებული მხედართმთავრები, როგორც თქმულებიდან არის ცნობილი, სხვადასხვა საბრძოლო იარაღებზე უკრავდნენ; ლაკედემონელთა ჯარი გარკვეული მუსიკალური ბგერებით აღინთებოდა საბრძოლველად. სხვა რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა რქას და საყვირებს ჩვენს ლეგიონებში? რაც უფრო ძლიერია მათი ხმები, მით ძლიერია რომაელთა საბრძოლო დიდება.

15. ამგვარად, პლატონი არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, საჯარო მოხელეს, როგორსაც ვეძახით პოლიტიკოსს, ასევე სჭირდება მუსიკა. ისეთი სექტის უფროსებიც, რომლებიც ზოგს ძალიან მკაცრი, სხვებს შეუბრალებელი ეჩვენება, იმ აზრის იყვნენ, რომ ზოგიერთ მათ ბრძენს არ-აწყენდა ამის შესწავლისთვისაც მიექცია ყურადღება; ლიკურგესი, სპარტელთა უმკაცრესი კანონების შემქმნელი, სწავლობდა მუსიკას.

16. თავად ბუნებამაც, როგორც ჩანს, მოგვცა იგი ჩვენ, როგორც საჩუქარი, შრომის გადატანის საუკეთესო საშუალება. შევ-

ხედოთ მენიჩბეებს, როგორ აღაგზნებთ მათ სიმღერა. ამას არა მხოლოდ იმ სამუშაოს დროს ვხედავთ, რომელსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება - როგორც კი ერთ სასიამოვნო ხმას გაიგონებენ, ერთი მიზნისაკენ მიიწევენ; ფარტოობაშიც ყველა თავის სევდას ღიღინით განიქარვებს.

17. მე ვაქებ შესანიშნავ ხელოვნებას და არ ვამბობ, რა კავშირი აქვს მას მჭევრმეტყველებასთან. ოდესღაც გრამატიკა და მუსიკა განუყოფელი იყო. უფრო მეტიც, არქიტოსი და არისტოქსენესი ფიქრობდნენ, რომ გრამატიკა მუსიკის ნაწილი იყო და რომ ერთიდაიგივე მასწავლებლები ასწავლიდნენ ამ ორივე მეცნიერებას, როგორც ამტკიცებს სოფრონი, მწერალი, მართალია, სახუმარო ქმნილებების, მაგრამ რომელსაც პლატონი ისეთ პატივს სცემდა, რომ გარდაცვალების შემდეგ, როგორც ამბობენ, სასთუმალთან სოფრონის თხზულებები უპოვეს.

18. ევპოლისიც ამბობს: მას პროდამი მუსიკას და სიტყვიერებას ასწავლის. ის ასევე ახსენებს ვინმე ჰიპერბოლესს, რომელსაც მარიკოსს ეძახდნენ, რომელიც აღიარებს, რომ მან მუსიკაში გრამატიკის გარდა არაფერი არ იცოდა. არისტოფანესი ბევრ ადგილზე ამბობს, რომ ბერძნებს ბავშვების აღზრდის ზუსტად ასეთი ჩვეულება ჰქონდათ. მენანდროსიც *ჰიპერბოლიმეებში* ამბობს, რომ როცა ერთი ვინმე მამა მივიდა მასწავლებლიდან შვილის შინ დასაბრუნებლად, ხარჯთა შორის, რომელიც მისი შვილის აღზრდაზე დაიხარჯა, მან მუსიკისა და გეომეტრიის თანხაც იანგარიშა.

19. აქედან ასევე მომდინარეობს ჩვეულება, რომ ქეიფის შემდეგ ყველა სტუმარს მიერთმეოდა ლირა; როცა თემისტოკლესმა აღიარა, რომ დაკვრა არ იცოდა, უზრდელ ადამიანად ჩათვალესეს, ამბობს ციცერონი.

20. ძველ რომაელებთანაც არ ჩაივლიდა ქეიფი მუსიკალური ინსტრუმენტების გარეშე. ახლაც იმღერება სალიიელი ქურუმების სიმღერები. როგორც ეს ყველაფერი დადგენილია მეფე ნუ-

მასგან, ჩანს, რომ მიუხედავად თავიანთი სიუხეშისა და მებრძოლი ხასიათისა, ისინი მეცადინეობდნენ მუსიკაში, რამდენადაც მათ ამის საშუალებას არცთუ მთლად მოწესრიგებული ეპოქა აძლევდათ.

21. ბოლოს, ბერძნებთან ანდაზაშიც კი შევიდა: *უსწავლელნი არც მუზებს იცნობენ და არც გრაციებს.*

22. ახლა ვნახოთ, რა სარგებლობას ნახულობს ამ ხელოვნებისაგან საკუთრივ მომავალი ორატორი. მუსიკაში ზომა ორგვარია: ხმაში და სხეულის მოძრაობაში. ერთშიც და მეორეშიც ზომიერებაა საჭირო. არისტოქსენესი, მუსიკის შესანიშნავი მასწავლებელი, ხმას ჰყოფს რიტმად და საზომ ბგერებად; ერთნი ჩანს სიტყვის შერჩევისას, ხოლო მეორენი - ბგერის მღერაში. ნუთუ ეს ყველაფერი ორატორს არ სჭირდება? ერთი ეხება სხეულის მოძრაობას, მეორე - სიტყვების განლაგებას, ხოლო მესამე - ხმის შეცვლას, რაც ასევე საჭიროა ორატორისთვის.

23. მხოლოდ ლექსებსა და სიმღერებში რომ იყოს საჭირო ზოგიერთი ცნობილი სიტყვების განლაგება და ხმების სასიამოვნო შეერთება, მაშინ ორატორისთვის ეს ყველაფერი იქნებოდა ზედმეტი, მაგრამ წარმოთქმულ სიტყვაში, ისე როგორც მუსიკაში, ზმნები განლაგდება საგნების მიხედვით.

24. დიდი საგნები უფრო ამაღლებულად იმღერება, სასიამოვნო - უფრო ნაზად, საშუალო - უფრო გრაციოზულად. ამისათვის საჭიროა ხმისა და სიტყვის გამოჩენა. მუსიკა ყოველთვის იმ ვნებასთან ასოცირდება, რომლის გამოხატვაც გვსურს.

25. ზუსტად ასევე, ორატორთან ხმის დაბაბვა, დადაბლება და სხვა ცვლილებები ხმაში მიმართული უნდა იყოს მსმენელში ვნებების გამოწვევისაკენ: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხმითაც ჩავაგონებთ მოსამართლეს უკმაყოფილებას, თანაგრძნობას. თუ მუსიკალური ინსტრუმენტები, რომელთაც არ შეუძლიათ ადამიანურ სიტყვებით საუბარი, ჩვენზე საოცარ შთაბეჭდილებებს ახდენენ, მაშინ ორატორს, რომელმაც მუსიკისაგან ზოგი რამ

ისესხა, გონებაზე კიდევ უფრო მეტად ზემოქმედება შეუძლია.

26. სხეულის მოძრაობაც უნდა იყოს რესპექტაბელური, მარტივი, დაუძაბავი, ხოლო ამას ვსწავლობთ მხოლოდ მუსიკისაგან. აქედან მოდის კიდევ ორატორის ხევრი ღირსება, რომლებზეც თავის ადგილზე ვისაუბრებთ.

27. თუ ორატორი, პირველ რიგში, თავის ხმაზე უნდა ზრუნავდეს, უფრო მეტად მუსიკას რაღა უნდა ეკუთვნოდეს? ვინმე ხომ არ იფიქრებს, რომ მე ერთი მაგალითით მინდა ამის დამტკიცება? გ. გრაკხუსს, თავის დროზე ცნობილი ირონიით, როცა ხალხს ესაუბრებოდა, მის უკან მდგომი ფლეიტისტი, რომელსაც Τονάριον-ს ეძახდნენ, ანიშნებდა, სად უნდა აემაღლებინა ხმა, ან დაეწია.

28. ამგვარ სიფრთხილეს იგი მაშინ მიმართავდა, როცა ყველაზე მძიმე თემებზე უნდა ესაუბრა, როცა აშინებდა წარჩინებულებს, ან თავად ეშინოდა მათი. ზოგიერთი უხეშის და ურწმუნოების დაჯერებას კიდევ შევეცდები ამ ხელოვნების სარგებლობაში.

29. ისინი, რა თქმა უნდა, დამეთანხმებიან, რომ მომავალ ორატორს სჭირდება ლექსების კითხვა. განა ლექსთა მთხზველობა შორს არის მუსიკისაგან? თუ ვინმე ყველა სახეობაზე ამას ვერ დაუშვებს, ყოველ შემთხვევაში, აღიარებს, რომ ლირიკული ლექსების წაკითხვა მუსიკის გარეშე შეუძლებელია. უფრო ვრცლად ვისაუბრებდი ამ ყველაფერზე, რაიმე ახალს რომ ვამბობდე.

30. როცა ძველთაგან, ჩვენს წელთაღრიცხვამდეც კი, ქირონისა და აქილესისგან სწორად კითხვის მოყვარულებს ამას ასწავლიდნენ, აღარ შევუდგები შემდგომ მტკიცებულებებს, რომ გაძლიერებული მტკიცებულებებით ჭეშმარიტი საეჭვოდ არ გავხადოთ.

31. მართალია, ჩემს მიერ მოყვანილი მაგალითები უკვე ცხადყოფენ, როგორი მუსიკა და რა ხარისხით მომწონს, მაგრამ

საჭიროდ ვთვლი, კიდევ უფრო ღიად დავაფიქსირო ჩემი პოზიცია. მე ისევ არ მსურს თეატრალური, ქალური და ტკბილი მღერა, რომელიც ახლაც და ძველი გადმონაშთითაც გვხიბლავს. მე ის ვაჟკაცური მღერა მინდა, რომლითაც ღირსეულ მამაკაცებს ასეთივე ღირსეული მამაკაცები აქებდნენ. არ მინდა მუსიკური იარაღები, რომლებიც ბოროტ აზრებს აღვივებენ და რომლებიც ყველა კარგად აღზრდილ ადამიანს უნდა აღიზიანებდეს. მე მხოლოდ იმ ხელოვნების ცოდნას ვაღიარებ, რომელიც კეთილგონიერების გაღვივებას და ვნებების შემცირებას უწყობს ხელს.

32. ამბობენ, რომ პითაგორამ, როცა მოჩხუბარ ახალგაზრდათა ბრბო დაინახა, კერძო სახლში შეჭრას რომ ლამობდნენ არცთუ კეთილი განზრახვით, საღ აზრზე ისინი მხოლოდ იმით მოიყვანა, რომ მათთან ერთად მყოფ ფლეიტაზე დამკვრელ ქალს უბრძანა, დაკვრის დროს ნაზი ბგერები გადაეყვანა ნელ და მნიშვნელოვან ხმაზე. ასევე, ქრისიპოსმა დაუდგინა ძიძებს ბავშვის რწევის დროს განსაკუთრებული სიმღერები ემღერათ. *დეკლამაციის* შესაქმნელად ჩვეულებრივი თემის ნაცვლად განზრახ მოყვანილია მაგალითი, როცა გთავაზობენ, რომ თითქოს ერთი მუსიკოსი, რომელმაც ფრიგიული მუსიკა იმ დროს დაუკრა, როცა ვიღაც მსხვერპლს სწირავდა, დაადანაშაულეს, რადგან

33. მსხვერპლის შემწირავი მაშინვე შეიშალა და ხრამში გადავარდა. ამგვარად, შეუძლებელია, ორატორი სრულყოფილი იყოს მუსიკის ცოდნის გარეშე.[36]

34. ზოგიერთნი თვლიან გეომეტრიას ბავშვებისთვის სასარგებლოდ იმით, რომ მას მოქმედებაში მოჰყავს გონება, ამდიდრებს და აფართოებს მას, და შესაბამისად, შესაძლოს ხდის გავიგოთ ბევრი რამ. მაგრამ, ამასთან ერთად, თვლიან, რომ იგი არ არის ისე სასარგებლო შესწავლის შემდეგ, როგორც სხვა მეცნიერებები, არამედ უფრო სასარგებლოა მისი შესწავლის პროცესში.

35. ასეთი შეხედულება მიეკუთვნება ერთ უბრალო ხალხს: რადგან ყველაზე დიდებული მამაკაცები, რა თქმა უნდა, არც თუ

უმიზეზოდ, დიდი მონდომებით მეცადინეობდნენ ამ მეცნიერებაში. გეომეტრია მოიცავს ორ საგანს: რიცხვებს და ფიგურებს. პირველის ცოდნა არა თუ ორატორისთვის, ყველასთვის, დამწყებთათვისაც კი, საჭიროა. სასამართლო პროცესებზე ორატორი მყისვე უზრდელად ჩაითვლება, თუ (აღარაფერს ვამბობ იმაზე, დიდ გამოთვლებში თუ გაიჭედება) თითებზე დაიწყებს დათვლას და მათი კანკალით რიცხვების სწორ გამოთვლას გაექცევა.

36. ხოლო რაც შეეხება ხაზოვან გამოთვლებს და გაზომვებს, ისინი ისედაც ხშირად არის სასამართლო წარმოებაში - ბევრი სადავო საკითხი ეხება სწორედ ზომა-წონას. თუმცა, ამ მეცნიერებას კიდევ ერთი, კიდევ უფრო მეტი კავშირი აქვს ორატორულ ხელოვნებასთან.

37. პირველ რიგში, საჭიროა გეომეტრიაში წესრიგი; და განა არ არის იგი საჭირო მჭევრმეტყველებაში? გეომეტრია წინათი - მომდევნოს, ნაცნობით - უცნობს ამტკიცებს. იგივეს არ აკეთებენ ორატორები? იგი, ამოცანების გადაწყვეტისას, არ ეფუძნება მხოლოდ სილოგიზმებს? აქედან გამომდინარე, ბევრი თვლის, რომ მას უფრო მეტი კავშირი აქვს დიალექტიკასთან, ვიდრე რიტორიკასთან. ორატორიც, მართალია, არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც მიაშურებს დიალექტიკას მტკიცებულებებისთვის.

38. რადგან, საჭიროების შემთხვევაში, ისიც იყენებს სილოგიზმებსაც, უკიდურეს შემთხვევაში, ენტიმემს, რომლებიც საკუთრივ მჭევრმეტყველების სილოგიზმია. ბოლოს, ყველაზე მტკიცე არგუმენტებს გეომეტრიულ მტკიცებულებებს ეძახიან. და რა არის ორატორის სიტყვაში უფრო საჭირო, ვიდრე მტკიცებულებებია?

39. გეომეტრია მართალს რომ შეესაბამება, ისეთ შემთხვევებშიც კი ამტკიცებს, რა არის მასში ცრუ. ეს განსაკუთრებით რიცხვებში ხდება და მას ჰქვია *Pseudographia*. ეს ბავშვობაში ჩვენთვის კარგი გასართობი იყო; მაგრამ არის კიდევ სხვა, უმ-

ნიშვნელოვანესი შემთხვევები. მაგალითად, ვინ შეიძლება სიცრუედ ჩათვალოს შემდეგი წინადადება: ყველა სივრცე, რომელსაც ერთნაირი გარემო აქვს, ერთმანეთს შორის არსის ტოლია?

40. მაგრამ ეს არ არის მართალი, რადგან აქ საჭიროა ვიცოდეთ, როგორი ფორმა, ან სახე აქვს ამ გარემოს. გეომეტრიის მცოდნენი სამართლიანად განსჯიან ისტორიკოსებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ კუნძულის სიდიდე განისაზღვრება მის ირგვლივ ხომალდით შემოვლით. მართლაც, რაც უფრო სრულყოფილია ფორმა, მით უფრო მეტ სივრცეს მოიცავს იგი თავის თავში.

41. რატომ არის, რომ თუ გარემოცვა წრეს ქმნის, რომელიც ყველა მოხაზულობათაგან ყველაზე უფრო სრულყოფილი ფორმაა, ქმნის მეტ სივრცეს, ვიდრე თანაბარგვერდიანი ოთხკუთხედი. იმავე მიზეზის გამო ოთხკუთხედები უფრო მეტ სივრცეს მოიცავს, ვიდრე სამკუთხედები, ხოლო თავად სამკუთხედებში ტოლ გვერდიანი სამკუთხედები მეტ სივრცეს მოიცავენ, ვიდრე არატოლგვერდიანები.

42. მაგრამ ეს, შესაძლოა, ყველასთვის არ არის საკმარისად ნათელი. ავიღოთ მაგალითი, რომელიც ყველასთვის გასაგები იქნება. ვინ არ იცის, რომ მიწის მეათედი შეიცავს 240 ფუტს სიგრძეში, ხოლო სიგანეში - მის ნახევარს? აქედან ადვილია გამოვთვალოთ, როგორია მისი ფართობი და რა სიბრტყეს მოიცავს იგი.

43. 180 ფუტი ყველა გვერდზე ქმნის იმ ფართობს, რომელიც მეათედი ფართობის ტოლია, მაგრამ იგი შეიცავს მიწის გაცილებით მეტ ფართს, ოთხ ხაზს შორის პოქცეულს.

44. თუ ვინმე არ დაინტერესდება შემდგომი კვლევით, ის შეიძლება დარწმუნდეს რიცხვების მცირე რაოდენობით: ოთხკუთხედს, რომლის ოთხივე გვერდი 10 ფუტის ტოლია, აქვს 40 რაუნდი და 100 კვადრატული სიბრტყელე. ხოლო თუ დავაწყობთ 15 ფუტს სიგრძეში და 5 სიგანეში, რაუნდი იგივე გამოვა,

მაგრამ მასში მოქცეული სივრცე 4-ჯერ შემცირდება. ხოლო თუ გრძელ ოთხკუთხედს აქვს 12 ფუტი სიგრძე და ერთი სიგანე, მაშინ რაუნდი მაინც 40 ფუტი იქნება, ისე როგორც იმ სრულყოფილი ოთხკუთხედისა, რომლის სიბრტყე არ იქნება იმაზე მეტი, ვიდრე იგი სიგრძეშია. ამგვარად, რამდენიც მოაკლდება სიბრტყეს, იმდენივე მოემატება ოთხკუთხედის ფართობს.

45. შესაბამისად, შესაძლოა, მეტ რაუნდში ნაკლები სივრცე თავსდება. ეს თანაბარ ადგილებზე. ხოლო მთაში თითოეულ დაბლობს მეტი სივრცე აქვს.

46. გეომეტრია ეხება სამყაროს მოწყობასაც კი: იგი, ასწავლის რა, როგორ გამოვითვალოთ განსაზღვრული და ცნობილი ზეციური სხეულების მოძრაობა, გვაჩვენებს, რომ არაფერი არ არის შემთხვევითი, გარკვეული წესრიგის გარეშე. ამის ცოდნა კი ზოგჯერ ორატორსაც ჭირდება.

47. განა არ დაამშვიდა პერიკლესმა შეშინებული ათენელები, როცა მზის დაბნელების მიზეზები აუხსნა? სულპიციუს გალუსი წინასწარ ყვებოდა ლ. პაბლუსის ჯარში მთვარის დაბნელების შესახებ, რათა ჯარისკაცები ამ მოვლენით, როგორც სასწაულით, არ დამფრთხალიყვნენ. განა ორთავენი ამ დროს ორატორის სახეს არ აჩვენებდნენ?

48. ნიკიასს რომ მსგავსი ცნობები ჰქონოდა, არ დაკარგავდა ამ მოვლენით დამფრთხალ და დამარცხებულ მშვენიერ ათენურ ჯარს სიცილიაში. დიონი, რომელსაც მეტი განათლება ჰქონდა, სულაც არ შეუშინდა ამ მოვლენას, როცა იქ დიონისიოს ტირანოსის განსადევნად ჩავიდა. მერე რა, რომ ეს მაგალითები მხოლოდ საომარ გარემოებებს ეხება. არაფერს ვიტყვი იმაზეც, რომ არქიმედემ მარტომ მოახერხა ცოტა ხნით გაეხანგრძლივებინა სირაკუზის ალყა.

49. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება არ დამეთანხმოთ, რომ ძალიან ცოტაა ისეთი შემთხვევა, როცა გეომეტრიული მტკიცებულებების გარეშე ძნელია სხვაგვარად ახსნა მოუძებნო მოვლე-

ნებს, როგორც, მაგალითად, გაყოფის, უსასრულო გადაკვეთების თუ სწრაფი გამრავლების დროს. ასე რომ, თუ ორატორი დამაჯერებლად ისაუბრებს ყველაფერზე (ამის დამტკიცებას შემდგომ წიგნში შევეცდებით), ვერაფრით ვერ მოიხვეჭს სახელს გეომეტრიის გარეშე.

თავი მეთორმეტე.

1. არ იქნება ცუდი, წარმოთქმა კომედიანტისგანაც ვისწავლოთ, მაგრამ იმაზე მეტად არა, რაც მომავალ ორატორს ჭირდება. მე არ მინდა, რომ ყმაწვილი, რომელიც ამისთვის ემზადება, მიეჩვიოს სიტყვები წარმოთქვას ან ნაზი, ქალური, ან მოხუცის აკანკალებული ხმით,

2. რომ ლოთებს ბაძავდეს, ან სამაგალ ტუტს წარმოადგენდეს; კიდევ უფრო ნაკლებად უნდა ისწავლოს სასიყვარულო, ძუნწის ან მოუქნელის ვნებების გამოხატვა. ეს ყველაფერი ორატორისთვის არა თუ საჭირო არ არის, არამედ მას შეუძლია დააავადმყოფოს რომელიმე უმწიკვლო ახალგაზრდას გული, რადგან ხშირი მიბაძვა ზოგჯერ ჩვევად იქცევა.

3. არც კომედიანტების ყველა მოძრაობის გადმოღებაა აუცილებელი. ორატორმა მათ ზოგჯერ უნდა მიბაძოს, მაგრამ ყველანაირად უნდა ეცადოს, თავიდან აიცილოს თეატრალური ხერხები; გაფრთხილდეს, რომ არაფერი არ იყოს ზომიერებას მოკლებული. ორატორის მთავარი ოსტატობა იმაშია, რომ ხელოვნება არ უნდა იყოს შესამჩნევი.

4. როგორ უნდა მოიქცეს ასეთ დროს მასწავლებელი? პირველ რიგში, უნდა გამოასწოროს შეცდომები წარმოთქმაში - ბავშვმა რომ სიტყვები წარმოთქვას ნათლად, რომ თითოეულ ბგერას თავისი ჟღერადობა მისცეს. არის ისეთი ბგერები, რომელთაც ჩვენ ძალიან სუსტად, ან ძალიან გამოკვეთილად წარმოვთქვამთ, ზოგს - არც ისე მტკიცედ და მათ მსგავსი ბგერებით ჩავანაცვლებთ. როგორც, მაგალითად:

5. P ბგერის ნაცვლად, რომელსაც დემოსთენესიც ძლივს ამბობდა, გვესმის λ, როგორც ლათინურ, ისე ბერძნულ ენებში; ასევე, დარბილებით c და t გადაიქცევა g და d-დ.

6. არ უნდა მოითმინოს მასწავლებელმა რომ ასო s ხშირად და გარკვეული პრანჭვით ისმოდეს; ყურადღება მიაქციოს, რომ სიტყვები ყელში კი არ ითქვას, არამედ პირის ღრუში. მეტყველების სისუფთავე განსაკუთრებით ითხოვს, რომ უბრალო სიტყვები არ ითქვას სავსე და გაზვიადებული ხმით. ბერძნები ამას ეძახიან კატაპეპლასმენონს,

7. ისეთ ფლეიტაზე დაკვრის მსგავსად, რომელსაც ხმის გამომცემ დამატებით ხვრელებს უკეთებენ, რათა იგი პირდაპირი გამოცემისას უფრო ძლიერი გახდეს.

8. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ ბავშვებმა სრულად წარმოთქვან ბოლო მარცვლები; რომ მეტყველება იყოს თანაბარი, საჭირო დროს აუმაღლონ ხმას; რომ ეს ამაღლება მოდიოდეს მკერდიდან და არა თავის დაძაბვით; რომ სხეულის მოძრაობა - ხმას, ხოლო სახის გამომეტყველება - სხეულის მოძრაობას შეესაბამებოდეს.

9. კიდევ საჭიროა თვალყური მივადევნოთ, რომ მოსაუბრე პირდაპირ იცქირებოდეს, პირს არ ატრიალებდეს, ძალიან დიდზე არ აღებდეს, ზემოთ არ იყურებოდეს, ან თვალებს მიწას არ აშტერებდეს.

10. სახის გამომეტყველება საქმეს ბევრჯერ აფუჭებს. მინახავს, როგორ ადიოდა წარბები ზემოთ ხმის ყოველი დაძაბვისას, ან შეიჭმუხნებოდა, ზოგჯერ ისე დაშორიშორდებოდნენ, რომ ერთი ზემოთ ადიოდა, ხოლო მეორე თვალს თითქმის ფარავდა.

11. მოგვიანებით ვაჩვენებთ, რომ ამ ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება მოგვწონდეს ის, რაც უხამსია.

12. კომედიანტისგან უნდა ვისწავლოთ თხრობა, როგორ დავარწმუნოთ, როგორი ხმით გამოვიწვიოთ რისხვა, ან სიბრალული. მეტი წარმატებისთვის კომედიებიდან უნდა შევარჩიოთ

ღირსეული ადგილები, ანუ ისეთები, სასამართლო სიტყვას რომ შეეფერება.

13. ეს ძალიან შეუწყობს ხელს არა მხოლოდ კარგ წარმოთქმას, არამედ დახვეწს თხრობასაც.

14. მაგრამ ასე შეიძლება მოვექცეთ ახალგაზრდა გონებას, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუძლიათ დიდი წინააღმდეგობის გაწევა. ხოლო როცა მოვა დრო, მოსწავლესთან ორატორების სიტყვები ვიკითხოთ, როცა იგი შეძლებს მათი სილამაზის შეგრძნებას, მაშინ საჭიროა მასწავლებელი, რომელიც არა უბრალოდ სწორ კითხვას მიაქცევს ყურადღებას, არამედ აიძულებს, ზეპირად დაისწავლოს რჩეული ადგილები, ხმამაღლა წარმოთქვას ისინი, როგორც სასამართლოზე, რომ ამით ხმაც გასწორდეს და მახსოვრობაც გაუმჯობესდეს.

15. ჩემი აზრით, არ არის ცუდი, გარკვეული დრო დავუთმოთ სხეულის ვარჯიშსაც. ამისთვის არსებობს სპეციალური ადგილები (palaestra). მე აქ არ ვგულისხმობ იმ ადგილებს, სადაც ათლეტები დროის ნაწილს ზეთის წასმას ანდომებდნენ, ნაწილს - ღვინოთი თრობას და სხეულისთვის ცხოვრების სულს კლავდნენ. მე ამ სამარცხვინოებს ჩემს აღსაზრდელს საერთოდ მოვარიდებდი.

16. აქ იმ სავარჯიშოებზე ვამბობ, რომელთა საშუალებით სხეულის მდგომარეობა სწორდება, რათა მხრები სწორად გვქონდეს, ხელები უხეშად და უხამსად არ ვაქნიოთ, არ ვიდგეთ მოუწესრიგებლად, არ გამოვიდეთ უზრდელად, არ გვეჭიროს თავი და თვალები სხვა დგომასთან შეუფერებლად.

17. ყველა აღიარებს, რომ ამას აქვს კავშირი წარმოთქმასთან, ხოლო წარმოთქმა ორატორისთვის აუცილებელია. უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რაც აუცილებელია, მით უმეტეს, რომ ეს *ქირონომია*, როგორც თავად სახელიც მიგვანიშნებს, ხელების მოძრაობის კანონებს თუ წესებს მოიცავს, იროიული დროიდან მომდინარეობს და იგი საბერძნეთის ყველაზე ცნობილი მამაკა-

ცებიდან თავად სოკრატეს მიერ იყო აღიარებული; პლატონი მას სამოქალაქო სათნოებათა შორის მიიჩნევს, ხოლო ქრისიპოსი ეხება მას თავის წიგნში ბავშვების აღზრდის შესახებ.

18. ისტორიაში ცნობილია, რომ სპარტელებს ჰქონდათ გარკვეული სახის ცეკვა, რომელსაც ბავშვები სწავლობდნენ, როგორც ბრძოლების დროს გამოსადეგს. რომაელებიც არ თაკილობდნენ ამგვარ ვარჯიშს. ეს მტკიცდება ცეკვით, რომელიც ახლაც შემონახულია სალიიელი ქურუმების და მათი მსახურების დასახელებაში. ამასვე ამტკიცებს ციცერონის ორატორზე წიგნის მესამე თავში კრასის სიტყვები, რომ ვიტიასს, რომელიც საზეიმოდ ლაპარაკობდა, სხეულის მოძრაობაში ჰქონდა რაღაც მამაცური და კეთილშობილური, მაგრამ არა თეატრალური და ოხუნჯების მსგავსი, არამედ მებრძოლი ადამიანებისგან აღებული. ჩვენს დროშიც არ არის ამის სწავლა სირცხვილი.

19. მაგრამ მე არ გირჩევთ ამის გაგრძელებას საბავშვო ასაკის შემდეგ, აქაც არც ისე დიდხანს - ორატორი მოძრაობისას მოცეკვავეს არ უნდა ჰგავდეს. ბავშვი კი ამგვარი ვარჯიშით ზედმეტი დარიგებების გარეშე იძენს იმ სიმსუბუქეს, რომელიც მასში სამუდამოდ რჩება.

თავი მეთორმეტე.

1. ისმის ხოლმე კითხვა - ყველა ზემოთქმულის ცოდნა რომ მართლაც საჭირო იყოს, შეიძლება იგი ერთდროულად კიდეც ისწავლო და კიდეც ასწავლო? ზოგი ფიქრობს, რომ სხვადასხვა საქმიანობა თრგუნავს აზრებს, ღლის გონებას, სხეულს და ამ ყველაფრის შესასწავლად დროც არასაკმარისია. შედარებით მოზრდილ ასაკში კი შეიძლება ამგვარი შრომის თუ დატვირთვის გადატანა, მაგრამ ბავშვობის ასაკის ამით დამძიმება არ შეიძლება.

2. მაგრამ ვინც ასე განსჯის, როგორც ჩანს, არ იცის, რამდენად დიდია ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები დაბადები-

დანვე. იგი ისეთი ცოცხალი და სწრაფია, იმდენი რამ შეუძლია, რომ არ უნდა შეიზღუდოს თავი მხოლოდ ერთი საქმიანობით; მას არა თუ ერთსა და იმავე დღეს, არამედ ერთსა და იმავე წუთში შეუძლია ბევრ რამეზე გააკეთოს საკუთარი ძალების მობილიზაცია.

3. განა გუსლისტი არ მუშაობს მახსოვრობით და ხმით, თან ერთი ხელით სიმებს ურტყამს, მეორეთი ჭიმავს, უშვებს, აგებს მათ? ფეხიც კი არ არის მოსვენებულად. ტაქტსა და ზომაში ცემს. და ეს ყველაფერი - ერთდროულად.

4. ჩვენ თავად, როცა საჭიროება მოულოდნელად გვაიძულებს კრებაზე ლაპარაკს, ხომ ვსაუბრობთ ერთზე და ვფიქრობთ მეორეზე? ერთსა და იმავე დროს ხომ ვეძებთ არგუმენტებს, ვარჩევთ გამოთქმებს, შევუსაბამებთ სხეულის მოძრაობას, ხმას, სახის გამომეტყველებას იმას, რაზეც ვსაუბრობთ? თუ ამას ყველაფერს ერთად ვახერხებთ, მაშინ რაღა გვიშლის ხელს რამდენიმე საათზე გავანაწილოთ სხვადასხვა საქმიანობები, მაშინ როცა სწორედ ეს სხვადასხვაობა ამსუბუქებს და აღადგენს გონების ძალას? პირიქით, ერთი და იმავე რამის შეუსვენებლად კეთება ჩვენთვის ხომ უფრო მძიმეა? ამიტომ, თხზულების წერიდან გადავდივართ კითხვაზე, ხოლო როცა კითხვა მოგვბეზრდება, თხზულების წერას შევუდგებით.

5. რაც არ უნდა ბევრი ვიშრომოთ, ახალ საქმიანობას მაინც განახლებული ვიწყებთ. ვინ არ დაიღლება მთელი ხნის განმავლობაში თუ ერთ რომელიმე მეცნიერებაში მოისმენს დარიგებებს? ცვლილებას სიმხნევე მოაქვს, ისე როგორც კუჭი აღიგზნება ხოლმე სხვადასხვა საკვებით. მრავალფეროვნება ნაკლებადაც დაამძიმებს მას.

6. მაჩვენონ სწავლის სხვა მეთოდი! ჯერ მხოლოდ გრამატიკა ვისწავლოთ, შემდეგ გეომეტრია? შემდეგ რაც ვისწავლეთ მივატოვოთ და მუსიკის სწავლას შევუდგეთ? როცა ლათინურის სწავლას დავიწყებთ, ბერძნულზე აღარც კი ვიფიქროთ? ერთი

სიტყვით, მხოლოდ ბოლო საგნით დავკავდეთ?

7. რატომღა არ ვუკრძალავთ თანასოფლელებს ერთდროულად მიწაც დაამუშაონ და ვენახიც, ზეთისხილიც დარგონ და სხვა ხეებიც? ერთსა და იმავე დროს იზრუნონ საძოვრებზე, საქონელზე, ბაღებზე და ფუტკრებზე? ჩვენ თვითონ რატომღა ვუთმობთ ყოველდღე ცოტ-ცოტა დროს სასამართლო საქმეებს, მეგობრებს, შინაურ საქმეებს, ჯანმრთელობაზე ზრუნვას, გართობასაც კი? თითოეული ამ საქმიანობათაგან რომ შეუჩერებლივ გრძელდებოდეს, მალევე ამოვწურავდით საკუთარ შესაძლებლობებს. აქედან ჩანს, რომ უფრო ადვილია სხვადასხვა საქმით დავკავდეთ, ვიდრე ერთით ხანგრძლივად და დაუსრულებლად.

8. არც იმისი უნდა შეგვეშინდეს, რომ ბავშვები ნაკლებად აიტანენ სწავლაში შრომას. არცერთ ასაკში ადამიანი ასე ძნელად არ იღლება. ბავშვები გაცილებით უფრო ადვილად ეგუებიან ყველაფერს, ვიდრე ზრდასრული ადამიანები.

9. ჩვენ ვხედავთ, რომ პირველი 2 წელი თუ სიტყვების სწორად წარმოთქმას სწრაფად ისწავლიან, ყველას შეუძლია ლაპარაკი, მიუხედავად იმისა, რომ ამას არავინ აძალებდა, განსხვავებით ჩვენი ახლად შეძენილი მონებისაგან. რამდენი წელი ჭირდებათ ლათინური ენის შესასწავლად? ვინც მოზრდილებს ასწავლიდა, დამეთანხმება, რომ უფრო გაწვრთნილი ამა თუ იმ საქმეში სწორედ ის არის, ვინც ამით ბავშვობაში იყო დაკავებული.

10. ბავშვები ბუნებით იტანენ შრომას უფრო მოთმინებით, ვიდრე ყმაწვილკაცები. ბავშვები მიწაზე ხშირად დაცემით, ხელებით და ფეხებით სიარულით არც ისე შავდებიან, ხოლო შემდეგ განუწყვეტელი თამაშით და მთელი დღე სირბილით არც ისე იღლებიან. მათი სხეული უფრო მსუბუქია და არ აიძულებს საკუთარ თავს დამღლელ ძალისხმევას. სწორედ ასევე, ჩემი აზრით, გონება ნაკლებად იღლება, თანაც ბავშვი საკუთარი ძალებით კი არ იღებს ცოდნას, არამედ, მასწავლებლების დახმარე-

ბით.

11. გარდა ამისა, მათი ასაკისათვის შესაფერისი თვინიერებით, ბავშვები ბრმად მიჰყვებიან მოსწავლის განრიგს ისე, რომ თავადაც ვერ ამჩნევენ, რა გააკეთეს. მათ ჯერ შრომაზე მსჯელობაც კი არ შეუძლიათ. სხვათა შორის, ბევრჯერ შემინიშნავს, რომ თავად შრომა ისე არ ღლის, როგორც შრომაზე ფიქრი.

12. უფრო ხელსაყრელ დროს სწავლისთვის ვერც იპოვის კაცი. ამასთან, ბავშვი მხოლოდ მოსმენით არის დაკავებული. როცა საქმე თხზულების წერაზე მიდგება, როცა თავად უნდა შექმნას რაიმე, მაშინ სხვა მეცნიერებებისთვის ან დრო აღარ ექნება, ან სურვილი.

13. თუ გრამატიკოსი, რომელიც მთელი დღე ამეცადინებს მოსწავლეს და არ იწვევს (და არც უნდა იწვევდეს) მასში სწავლისადმი ზიზღს, მაშინ რაღაში ვიყენებთ დანარჩენ დროს, თუ არა ჩემს მიერ ნახსენებ მეცნიერებებზე?

14. მაგრამ მე თავად არ გირჩევთ, რომ პატარამ მათში უმაღლეს ოსტატობას მიაღწიოს - მუსიკოსის შესაშური ოსტატობით მღეროდეს, გეომეტრიის ყველა წვრილმანს ჩაუღრმავდეს. ჩემი აღსაზრდელი არც კომედიანტი მინდა იყოს გამოთქმაში და არც მოცეკვავე სხეულის მოძრაობაში. მიუხედავად იმისა, რომ მინდა ამ ყველაფერში წარმატებას მიაღწიოს, ამაზეც ეყოფოდა დრო. ბავშვობა არც ისე პატარა ხანაა, მის გამოყენებას თუ მოინდომებ. სულელებზე არაფერს ვამბობ.

15. რატომღა იცოდა შესანიშნავად პლატონმაც, რა ესწავლებინა მომავალი ორატორისთვის, რაზეც მე ვისაუბრე? იგი, არ დაკმაყოფილდა რა იმ მეცნიერებებით, რომელთა შესწავლა ათენში შეეძლო, პითაგორეელების რჩევით, რომლებსაც იტალიაში ეწვია, ეგვიპტის ქურუმებიც მოინახულა, მათ საიდუმლოებას რომ ჩაწვდომოდა.

16. ასე რომ, ვაზვიადებთ რა სიძნელეებს, ამით მხოლოდ ჩვენს სიზარმაცეს ვფარავთ. ჩვენ არ გვიყვარს შრომა: მჭევრმეტყ-

ველებაში წარმატება იმისთვის კი არ გვინდა, რომ საპატიოა და ყოველგვარ პატივისცემას იმსახურებს, არამედ იმისთვის, რომ გამოვიყენოთ იგი სიმდიდრის შესაძენად.

17. დაე, იარონ სასამართლოებში იმ მეცნიერებების ცოდნის გარეშე, რომლებზეც მე ვისაუბრე. პატივმოყვარე ვაჭარიც კი მეტ მოგებას ნახულობს, როცა თავის საქონელს აქებს და განადიდებს საკუთარ თავს სახალხოდ ყვირილით. ასეთი მკითხველიც კი არ მინდა, რომელიც თავის შრომას და ცოდნას ფასს ადებს.

18. ვინც წარმოიდგენს მჭევრმეტყველების ღვთაებრივ გამოსახულებას, ვინც, ტრაგიკოს ევრიპიდეს სიტყვებით, ექნება თვალწინ, როგორც თავისი სიტყვის უცილობელი წესი, სწორედ ის ნაყოფს ეძებს არა პატივმოყვარეობასა და გასამრჯელოში, არამედ საკუთარ თავში, მის ცოდნასა და აზრის კეთილშობილებაში: მუდმივი და დროის ცვალებადობას არ დამორჩილებული ნაყოფი; ის დარწმუნდება, რომ დრო, რომელსაც სანახაობებზე, სიებზე, თამაშებზე, საზეიმო საუბრებზე ვკარგავთ, რომ აღარაფერი ვთქვათ უდროო ძილსა და თავაშვებულობაზე, უმჯობესია მოვახმაროთ გეომეტრიას, ან მუსიკას; და იგი ყველასთვის მოიძებნის უფრო მეტ სიამოვნებას, ვიდრე იმ უხეშ გართობებშია, რადგან განგებამ თავისი კეთილი ნებით ისე მოაწყო, რომ ადამიანი პატიოსანი შრომით უფრო მეტ სიამოვნებას იღებს.

19. ამგვარად, საკმაოდ ითქვა იმის შესახებ, რა უნდა ისწავლოს ორატორმა მანამ, სანამ შეეძლება უფრო სერიოზულად მეცადინეობა. მომდევნო წიგნი ახალ საგანს ეხება. მასში მოგითხრობთ ორატორის მოვალეობებზე.

მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი.
მჭევრმეტყველების სწავლება.

წიგნი პირველი
შენიშვნები

1. ჩვენ არა გვაქვს სიტყვა *პედაგოგის* ანალოგიური მნიშვნელობის გადმომცემი სიტყვა, რადგან ძველ საბერძნეთში იგი ნიშნავდა კარგი ხასიათის და თვისებების მქონე მონას, რომელსაც ცოტაოდენი განათლება ჰქონდა და პატარებს წვრთნიდა.
2. რკინის კალამი, რომელიც ცვილზე საწერად გამოიყენებოდა.
3. Y და Z
4. როცა რომაელები წარმოთქვამდნენ ასოს v, ისინი მას არ არჩევდნენ თანხმოვნიდან. მაგრამ ორივე დანიშნული იყო u-თი. ისეთი სიტყვების წერისას, როგორიცაა *servua* and *vulgus*, ორივეს მკვეთრი ხასიათი იგრძნობოდა, როცა ეს ასო გამოყენებული იყო ორჯერ, ორი სხვადასხვა ხმით (იხ. Cassiodorus de Orthographia. Putsch, გვ. 2282).
5. ძველი რომაელები, ბერძნების მსგავსად, ასპირაციის ნიშანს სვამდნენ თანხმოვნების თავზე, როგორც ეს ძველ ხელნაწერებში ჩანს, რომლებშიც წერია *'avium* და *'odie*. ამიტომ ამბობს კვინტილიანუსი, რომ თუ საჭიროა ასპირაციის აღნიშვნა, ასპირაციის აღნიშვნის ნიშანიც აუცილებელია.
6. ბერძნები წარმოთქვამდნენ ასპირირებულ *f* ან φ-ს, და ბერძენ მოწმეს არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ასპირაცია Fundanius-ის წარმოთქმის მცდელობისას.
7. *Marcipor - Marci puer, Publipor - Publii puer.*
8. კარგად ცნობილი ტბის სახელი, რომელთანაც ჰანიბალმა ბერ-

ძნები დაამარცხა.

9. Epigr. lxxviii. de *Ario* sive *Hirrio.*
10. Ecl. vi. 62, 63; Georg. ii. 74. |
11. როცა ორივე მხარე დაასრულებდა წარდგენას, უნდა ეთქვათ: Dixere - მათ დაასრულეს.
12. C. 47.
13. ეს არის სახელობითი ბრუნვა, რომელშიც ისინი პირელად ჩადგნენ.
14. ფიქრობენ, რომ ეს მომდინარეობას ლუპერკუსისგან (*lupos arcens*) პანის, ან პანის მლოცველისგან.
15. Odyss. xi. 130; xxiii. 277.
16. Il. iv. 125; Odyss. ix. 394.
17. Virg. Aen. xii. 208; Ecl. iii. 69; i. 15.
18. გამოჩენილი გრამატიკოსი, ან ორატორი, რომლის სკოლაშიც, ამბობენ, ბევრი ცნობილი ადამიანი დადიოდა, თავად ციცერონიც კი, მას შემდეგ, რაც ის პრეტორი გახდა. იხ. Suetonius , *v.* vii; Macrob. Sat. iii. 12.
19. იქვე
20. კაიუს ლიკინიუს კალვუს, ცნობილი ორატორი, რომელსაც ციცერონი მოიხსენიებს (Cicero, Brut. c. 82).
21. quid? quid?
22. ეს არის შორისდებული
23. კალიგულა, რომელმაც პირველმა მიიღო ეს ამ სათაურით - o*optimus maximus*; Sueton. თ. 22.
24. Terence, Phorm. i. 1, 2.
25. Sueton. Aug. c. 71; Cal. c. 8. See also Aul. Gell. x. 24.
26. რომელშიც ქალი ამბობდა: *Ubi tu Caius, ibi ego Caia.*
27. სიტყვა გამოხატავს სიცხადეს, ნათლად ლაპარაკს, სწორი სიტყვების სწორ ადგილზე გამოყენებას.
28. Phalaecian veraes, როგორც კატულუსი წერდა.
29. *metaplasmus* არის რაიმე ცვლილება სიტყვის ფორმაში, რომე-

ლიც ხორციელდება *aphoeresis, paragoge* ან სხვა ფიგურებით.

30. ამბობენ, ეს იყო ათენეოსი (iv. p. 139), რომელმაც დაწერა 3500 წიგნი.

(Senecs, Ep. 88, 4000).

31. წინადადება არის რაიმეს თხრობა, რომელიც რაიმეს აყვება, უშვებს, ან გიხსნის, რა არის რაიმე. პრისკიანე, რომელიც აკეთებს ---- ციტირებას. რასაც ბერძნები ეძახიან χρεια-ს, არის რაიმეს თქმის, ან მოქმედების მიმართება, ან ორივესი ერთად, რომელიც აშკარად გამოხატავს სათქმელს და უმეტესწილად, მორალური დატვირთვა აქვს (Priscian, *ib.* გვ. 1332).

32. იხ. Orator ad M. Brutum, თ.. 1 და 29.

33. სილოგიზმი: „შენ გაქვს ის, რაც შენ არ დაგიკარგავს. მაგრამ შენ არ დაგიკარგავს რქები. ამიტომ შენ გაქვს რქები" (იხ.Sen. Ep. Lib. v., and Politian, Miscell. c. 54). ან ნიანგები (სახელი ეწოდა შემდეგი შეკითხვისგან: ნიანგმა, რომელმაც გადაყლაპა ქალის ვაჟიშვილი, თქვა, რომ მას აღუდგენდა შვილს, თუ სიმართლეს ეტყოდა. ქალმა უპასუხა: „შენ მას არ დამიბრუნებ." უნდა აღედგინა ნიანგს ბავშვი თუ არა?

34. ასინიუს პოლიონის მეგობარი, რომელიც არ მოსწონდა ავგუსტუსს სიტყვის თავისუფლების გამო, მაგრამ ცნობილი იყო, როგორც ისტორიკოსი (L. Seneca de Ira, c. 23; M. Seneca, Controv. xxxiv.; and Vossius, de Hist. Graec. i. 24).

35. რამდენად ემოციური იყო ფრიგიული საზომი, შეიძლება ვნახოთ იამბლიქოსთან (Pythagoras, c. 26).

36. Suasorias - სათათბიროს მსგავსი სიტყვები, რომელიც განსხვავდება *controversiae*-სგან, ტერმინისგან, რომელიც მხოლოდ სასამართლო მიმართვებში გამოიყენება.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1.რ.გორდეზიანი, ბერძნული ლიტერატურა.ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა, თბილისი 2002.

2.რ.გორდეზიანი, ნ. ტონია... (ავტორთა ჯგუფი), ანტიკური ლიტერატურა, „ლოგოსი", თბილისი 2005.

3.Adam Smith and the Classics: The Classical Heritage in Adams Smith's Thought, Book by Gloria Vivenza; Oxford University Press, 2001.

4.A History of Ancient Philosophy: From the Beginnings to Augustine, Book by Karsten Friis Johansen; Routledge 1998.

5.A Biography of Philosophy,Book by Julian Marías, Harold C. Raley; University of Alabama Press, 1984.

6.A Philosopher in Politics, Contributors: Miriam T. Griffin; Publisher: Clarendon Press, Publication Year: 1992.

7.Ambitiosa Mors: Suicide and the Self in Roman Thought and Literature,Contributors: Timothy Hill; Publisher: Routledge, Publication Year: 2004.

8.After the Past: Essays in Ancient History in Honour of H.W. Pleket, Book by Willem Jongman, Marc Kleijwegt; Brill 2002.

9.Agrippina: Mother of Nero, Book by Anthony A. Barrett; Batsford 1996.

10.Agrippina: Sex, Power, and Politics in the Early Empire, Book by Anthony A. Barrett; Routledge 1999.

11.A History of Western Ethics, Book by Lawrence C. Becker, Charlotte B. Becker; Routledge, 2003.

12.A Literary History of Rome in the Silver Age: From Tiberius to Hadrian,Book by J. Wight Duff; Charles Scribners Sons, 1927.

13.A History of Ancient Philosophy: From the Beginnings to Augustine, Book by Karsten Friis Johansen; Routledge, 1998.
14.A pagan and Christian Rome,Book by Rodolfo Lanciani; Houghton, Mifflin, 1893.
Aspects of Roman History, AD 14-117,Book by Richard Alston; Routledge, 1998.
15.Classical Thought, Contributors: Terence Irwin; Publisher: Oxford University Press, Publication Year: 1989.
16.Constructing Autocracy: Aristocrats and Emperors in Julio-Claudian Rome, Book by Matthew B. Roller; Princeton University Press, 2001.
17.Christian Philosophy A-Z, Book by Daniel J. Hill, Randal D. Rauser; Edinburgh University Press, 2006.
18.Consolation in Philippians: Philosophical Sources and Rhetorical Strategy, Book by Paul A. 19.Holloway; Cambridge University Press, 2001.
20.Crime and Punishment in Ancient Rome, Book by Richard A. Bauman; Routledge, 1996.
21.Determinism and Freedom in Stoic Philosophy, Contributors: Susanne Bobzien; Publisher: Cl Death and the Displacement of Beauty, Book by Grace M. Jantzen; Routledge, 2004.
23.arendon Press, Publication Year: 1998.
24.Emperors Don't Die in Bed, Book by Fik Meijer; Routledge, 2004.
25.Ethics and Human Action in Early Stoicism, Contributors: Brad Inwood; Publisher: Clarendon Press, Publication Year: 1985.
26.Epictetus: A Stoic and Socratic Guide to Life,Book by A. A. Long; Clarendon Press, 2002.
27.Fifty Key Classical Authors, Contributors: Alison Sharrock, Rhiannon Ash; Publisher: Routledge, Publication Year: 2002.
28.Flying against the Arrow: An Intellectual in Ceausescu's Romania, Book by Horia-Roman Patapievici; Central European

University Press, 2003.
29.From Polis to Empire, the Ancient World, C. 800 B.C.-A.D. 500: A Biographical Dictionary, Book by Andrew G. Traver; Greenwood Press, 2002.
30.From Autothanasia to Suicide: Self-Killing in Classical Antiquity, Book by Anton J. L.Van Hooff; Routledge, 1990.
31.Greek Literature and the Roman Empire: The Politics of Imitation, Book by Tim Whitmarsh; Oxford University Press, 2001.
32.Great Thinkers: The Quest of Life for Its Meaning, Book by Trumbull G. Duvall; Oxford University Press, 1937.
33.Hellenistic Philosophies, Book by Paul Elmer More; Princeton University Press, 1923.
34.Human Rights in Ancient Rome, Book by Richard A. Bauman; Routledge, 2000.
Julian, Philosopher and Emperor: And the Last Struggle of Paganism against Christianity, 35.Book by Alice Gardner; G. P. Putnams Sons, 1895.
36.Julio-Claudian Building Programs: A Quantitative Study in Political Management,Book by M. K. Thornton, R. L. Thornton; Bolchazy-Carducci, 1989.
37.Law, Society, and Authority in Late Antiquity, Book by Ralph W. Mathisen; Oxford University Press, 2001.
38.Morals and Law: The Growth of Aristotle's Legal Theory,Book by Max Hamburger; Yale University Press, 1951.
39.Nero, Book by Edward Champlin; Belknap Press, 2003.
40.Octavia: A Play Attributed to Seneca, Book by Rolando Ferri, Seneca; Cambridge University Press, Cambridze,2001.
41.Paul on Marriage and Celibacy: The Hellenistic Background of 1 Corinthians 7,Book by Will Deming; William B. Eerdmans, 2004.
42.Paradoxes of Freedom: The Romantic Mystique of a Transcendence, Book by Thomas McFarland; Oxford University,

1996.
43.Philosophers and Religious Leaders,Book by Christian D. Von Dehsen; Oryx Press, 1999.
Philosophia Togata: Essays on Philosophy and Roman Society, Contributors: Miriam Griffin, 44.Jonathan Barnes; Publisher: Clarendon Press, Publication Year: 1997.
45.Physical Science in the Time of Nero: Being a Translation of the Quaestiones Naturales of Seneca, Book by John Clarke, Seneca; Macmillan, 1910.
46.Roman Eloquence: Rhetoric in Society and Literature, Contributors: William J. Dominik; Publisher: Routledge, Publication Year: 1997.
47.Roman Social History, Book by Susan Treggiari; Routledge, 2002.
48.Rome, the Greek World, and the East Government, Society, and Culture in the Roman 49.Empire Book by Fergus Millar, Hannah M. Cotton, Guy M. Rogers; University of North Carolina Press, 2002.
50.Seneca: A Philosopher in Politics, Contributors: Miriam T. Griffin; Publisher: Clarendon Press, Publication Year: 1992.
51.Seneca the Philosopher, and His Modern Message, Contributors: Richard Mott Gummere; Publisher: Marshall Jones, Publication Year: 1922.
52.Spectacles of Death in Ancient Rome,Book by Donald G. Kyle; Routledge, 1998.
53.Statius' Silvae and the Poetics of Empire,Book by Carole E. Newlands; Cambridge University Press, 2002.
54.Stoics, Epicureans, and Sceptics: An Introduction to Hellenistic Philosophy
Contributors: R. W. Sharples; Publisher: Routledge, Publication Year: 1996.
55.The Cambridge Companion to the Stoics, Contributors: Brad Inwood; Publisher: Cambridge University Press, Publication Year:

2003.
56.Topics in Stoic Philosophy, Contributors: Katerina Ierodiakonou; Publisher: Clarendon Press, Publication Year: 1999.
57.The Roman Mind: Studies in the History of Thought from Cicero to Marcus Aurelius, Contributors: M. L. Clarke; Publisher: Harvard University Press, Publication Year: 1956.
58.The Morality of Happiness, Contributors: Julia Annas; Publisher: Oxford University Press, Publication Year: 1995.
59.The Roman Philosophers: From the Time of Cato the Censor to the Death of Marcus Aurelius,Contributors: Mark Morford; Publisher: Routledge, Publication Year: 2002.
60.The Five Great Philosophies of Life, Contributors: William De Witt Hyde; Publisher: Macmillan, Publication Year: 1911.
61.The Passion for Happiness: Samuel Johnson and David Hum, Book by Adam Potkay; Cornell University Press, 2000.
62.The Religious Quests of the Graeco-Roman World: A Study in the Historical Background of Early Christianity,Book by S. Angus; Biblo and Tannen, 1967.
63.The Philosophers: Their Lives and the Nature of Their Thought, Book by Ben-Ami Scharfstein; Oxford University Press, 1980.
64.The First Philosophers: The Presocratics and Sophists, Book by Robin Waterfield; Oxford University Press, 2000.
65.The Presocratic Philosophers, Book by Jonathan Barnes; Routledge, 1989.
66.Teachers and Texts in the Ancient World: Philosophers, Jews, and Christians,Book by H. Gregory Snyder; Routledge, 2000.
67.Thinking about Feeling: Contemporary Philosophers on Emotions, Book by Robert C. Solomon; Oxford University Press, 2004.
68.The Allegany Senecas and Kinzua Dam: Forced Relocation through Two Generations,Book by Joy A. Bilharz; University of

Nebraska Press, 1998.
69.The Oxford Companion to Philosophy, Book by Ted Honderich; Oxford University Press, 1995.
70.The Rise of Modern Philosophy, Book by Anthony Kenny; Clarendon Press, 2006.
71.Suicide in the Middle Ages, Book by Alexander Murray; Oxford University Press, 1998.
72The Roman Empire, Book by M. P. Charlesworth; Oxford University Press, 1951.
73.The Politics of Latin Literature: Writing, Identity, and Empire in Ancient Rome, Book by Thomas N. Habinek; Princeton University Press, 1998.
74.The Making of Fornication: Eros, Ethics, and Political Reform in Greek Philosophy and Early Christianity, Book by Kathy L. Gaca; University of California Press, 2003.
75.Traditions of Theology: Studies in Hellenistic Theology : Its Background and Aftermath,Book by Dorothea Frede, AndrÉ Laks; Brill, 2002.
76.The Western Frontiers of Imperial Rome, Book by Steven K. Drummond, Lynn H. Nelson; M.E. Sharpe, 1994.
77.The Senecan Amble: A Study in Prose Form from Bacon to Collier, Book by George Williamson; University of Chicago Press, 1951.
78.The Bible and Archaeology, Book by J. A. Thompson; William B. Eerdmans Publishing, 1982.
79.The Roman's World, Book by Frank Gardner Moore; Biblo and Tannen, 1971.
80.Roman Nature: The Thought of Pliny the Elder, Book by Mary Beagon; Clarendon Press, 1992.
81.The Cambridge Companion to the Stoics, Book by Brad Inwood; Cambridge University Press, 2003.

82.The Oxford History of the Biblical World, Book by Michael D. Coogan; Oxford University Press, 2001.
83.The Oxford Companion to Classical Literature, Book by M. C. Howatson; Oxford University Press, 1989.
84.Who's Who in the Roman World, Book by John Hazel; Routledge, 2001.
85.Writers and Philosophers: A Sourcebook of Philosophical Influences on Literature, Book by Edmund J. Thomas, Eugene G. Miller; Greenwood Press, 1990.

ელექტრონული ბიბლიოთეკები:

1. ამაძონ ონლაინ ბიბლიოთეკა – www. Amazon. Com./research/library
2. გეილი 1998 – Gail Bixler-Thomas (1998). Perspectives from the Ancients through
   modern Times. www. Brailleworks.com/Resources/Famo. Times MA November
3. კემბრიჯის უნივერსიტეტის ონლაინ ბიბლიოთეკა – www. Lib. Cam. Ac. Uk./research/libraries
4. ოქსფორდის უნივერსიტეტის ონლაინ ბიბლიოთეკა – www. Ox. Ac. Uk./research/libraries
5. ქვესტია ონლაინ ბიბლიოთეკა – www.questia. Com

შემოკლებები

AAASzeged: Acta antique et archaeological.Szeged.
AALig: Atti dell Accademia Ligure di Scienze e Lettere. Genova.
AG: Archivio guiuridico. Modena.
AAL: Anthologia Latina, ed. A. Riese, vol. 1, Lipsiae 2nd ed.1982.
BCH: Bulletin de Correspondance Hellenique. Paris.
bibl: bibliography.
Bibliothek. Forschung und Praxis. Munchen.
CAF: T.Cock, ed., Comicorum Atticorum Framenta, vols. 1-3, Lipsiae 1880-1888.
CE: Carmina Latina epigraphica, ed. F. bBucheler, 2vols., Lipsiae 1895-1897.
CIAnt: Classical Antiquity, Berkeley.
Dekkers: E. Dekkers, Ae. Gaar, Clavis Patrum Latinorum, Steenbrugis 3nd ed. 1995.
Fuhrmann, Rhetorik: M. Fuhrmann, Die antike Rhetorik, Zurich 1984.
Hermathena: Hermathena. A Series of Papers by Members of Trinity Collage. Dublin.
MRS: Mediaeval and Renaissance Studies. London.
NPh: Neophilologus. Groningen.
Philologus: Philologus. Zeitschrift fur klassische Philologie. Berlin.
RLAC: Reallexikon fur Antike und Christentum. Stuttgart.
Schulz, History: History of Roman Legal Sciences, Oxford 1953.
U. P.: University Press.
VL:Vita Latina. Avignon.
Wille, Musica Romana: Musica Romana,Amsterdam 1967.
YCIS: Yale Classical Studies. New Haven.